05
ə 80

ᲛᲝᲚᲐᲛᲖᲔ

ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ

№ II

ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1904

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ
ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲣᲬᲧ.ᲒᲝᲑ.ᲞᲠᲘᲜᲢ.ᲓᲐᲛᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲢᲘᲞ. ᲥᲣᲩ. №8, ᲢᲔᲚ. №8.
1904

შინაარსი

გვ.

I—დარისპანის გასაჭირი.—სურათი ერთ მოქმედებად.—დავ. კლდიაშვილისა. 1

II—უსინათლო მემუსიკე.—ვ. კორელენკოსი (ეტიუდი), თავი მეორე.—თარგმანი ინ-ანისა. . . . 33

III—ბლეხი კაცი.—წიგნი მეორე, თავი I—II. რომანი ვილჰელმ ფონშოლენბერგისა.—თარგმანი ივ. ბოლუმორდვინოვისა. 59

IV—თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი.—მ. ბანაშვილისა. 1

V—პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი.—ივ. მაჭავარიანისა. 34

VI—ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა.—ა. მეუნარგიასა. 55

VII—უცხოეთის წვრილმანი.—I. კორეის საქმეები.—ვ. ს.-სა. 83

XIII—ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.—1. თ. მაკმაძე—ბოლოკი.—2. წმინდა გიორგის რაზმი.—ა. ბაკისა.—3. ლექსები გრ. ორბელიანისა,—გამოცემა ს. მერკვილაძისა.—4. საქართველოს კალენდარი.—5. რომის კათოლიკეთა ეპისკოპოზი დე. როპი და მისი მოგზაურობა საქართველოში.—6. თ. ალ. სუმბათაშვილი.—„ღალატი“.—დრამა.—თარგმ. გრ. ყიფშიძისა.—7. პირველი ნაბიჯი.—რომანი.—ვ. წერეთლისა.—8. ლექსთა ბაასი და არსენას ლექსი.—9. სრული სიზმრის ახსნა.—10. სრული სიზმრის ახსნა ანბანითა და მთვარითა.—11. ხალხური მესხური ლექსები.—შეკრებილი და გამოცემული მესხი კონსტანტინე გვარამაძისაგან. . . . 106

(იხ. მე-2 გვერდი)

მ ო ა მ ბ ე

05
280

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეთერთმეტე

№ II

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი, 1904

ტ ფ ი ლ ი ს ი
ელექტ. ტიპ. ფარო. ფოლიანტ. ტიპ. ГРУЗ. ИВА. Т—ВА.
1904

Центральная Городская
БИБЛИОТЕКА
ИСТОРИЧЕСКАЯ

Дозволено цензурою. 15 Марта, 1903 г. Тифлисъ.

შინაარსი

		გვ.
I	**დარისპანის გასაჭირი.**—სურათი ერთ მოქმედებად.—დაგ. კლდიაშვილისა.	1
II	**უსინათლო მეშუსიკე.**—ვ. კორელენკოსი (ეტიუდი), თავი მეორე.—თარგმანი ინ-ანისა.	33
III	**გლეხი კაცი.**—წიგნი მეორე, თავი I—II. რომანი გიდ‌ჰელმ ფონ‌ბოლენცისა.—თარგმანი იგ. ჰოლუმორდვინოვისა.	59
IV	**თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი.**—მ. ჯანაშვილისა.	1
V	**პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტზმი.**—იგ. მაჭავარიანისა.	34
VI	**ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა.**—ი. მეუნარგიასი.	55
VII	**უცხოეთის წვრილმანი.**—I კორეის საქმეები.—ვ. ს.-სი.	83
XIII	**ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.**—1. თ. მაგმაძე—ბიბლიოკი.—2. წმინდა გიორგის რაზმი.—აკაკისა.—3. ლექსები გრ. ორბელიანისა,—გამოცემა ს. მერკვილაძისა.—4. საქართველოს კალენდარი.—5. რომის კათოლიკეთა ეპისკოპოზი დე როკპი და მისი მოგზაურობა საქართველოში.—6. თ. ალ. სუბა. იაშვილი.—„ღალატი“.—დრამა.—თარგმ. გრ. ყიფშიძისა.—7. პირველი ნაბიჯი.—რომანი.—გ. წერეთლისა.—8. ლექსთა ბაასი და არსენას ლექსი.—9. სრული სიზმრის ახსნა.—10. სრული სიზმრის ახსნა ანბანითა და მთვარითა.—11. ხალხური მესხური ლექსები.—შეკრებილი და გამოცემული მესხი კონსტანტინე გვარამიძისაგან.	106

(იხ. მე-2 გვერდი)

IX—ნარევი —1. ფინლანდიელი პოეტი რუნებერგი.—2. მკვდარი გულის გაცოცხლება.—3. ჭაობის ხალხი.—4. სვედური გიმნაზია.—5. რადის სარკებლობა.—6. სპენსერის ავტობიოგრაფია.—7. ტურინის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დაწვა.—8. მეტრული ზომა ინგლისში.—9. უცნაური თეატრი.—10. მისაბაძი მაგალითი.—11. ახალი იტალიური ჟურნალი.—12. ამერიკული ქალაქის მართვა.—13. იაპონელის აზრი ტოლსტოის შესახებ.—14. ომის მიზეზი.—15. ევროპიელთაგან გაურყვნელი ხალხი.—16. ოდისსეის დამწერი.—17. ველური ხალხი.—18. ჰიპნოტიზმი აბაშაში.—19. პირუტყვთა გონება 115

X—შინაური მიმოხილვა.—კერძო თაოსნობის საჭიროება.—ფ. გოგიჩაიშვილისა. 125

XI—უცხოეთის მიმოხილვა. 155

დარისპანის გასაჭირი

სურათი ერთ მოქმედებად

მოქმედნი პირნი:

მ ა რ თ ა ქვიტირიძისა.
პ ე ლ ა გ ი ა საბელაშვილისა.
ნ ა ტ ა ლ ი ა, პელაგიას ქალიშვილი.
დ ა რ ი ს პ ა ნ ქარსიძე.
კ ა რ ო ჟ ნ ა, დარისპანის ქალიშვილი.
ო ნ ი ს ი მ ე მათარაძე.
ო ს ი კ ო ხარებაძე.

უბრალოთ მოჩრთული ოთახი მართას სახლში.

გამოსვლა პირველი

მართა და პელაგია

მართა. ახლავე აქ მოიმიყვანე ჩემი ნათლული, პელაგია ჩემო... ამ საღამოს მესტუმრება ონისიმე მათარაძის ბიძაშვილის ედუკიას, ხარებაძეს რომ ყავს—შვილი... ეგებ ღმერთი შეგვეწიოს და ჩემი ნატალიას ბედმა გასჭრას!..

პელაგია. მიშველე, ჩემო ბატონო, ჩემო მწყალობელო!.. იცხონე სული... მოისხი ჩემი შვილების მადლი!.. ერთი, ერთი ვინმე... რას დავეძებ ვინ იქნება, სახლში სიძეთ შემომაყვანიე და გაჭირვებისაგან გიხსნივართ!..

ერთი ვინმე პირველი მაშოვნინე და მერე მე ვიცი... საშველს არ ვაღირსებ, სანამ თითო სიძე თითო ცოლის დას არ გამათხოვებინებს... შენ არ მომიკვდე!..

მართა (იცინის). ეგ ძალიან მოგიფიქრებია, პელაგია!.. ხა, ხა, ხა!..

პელაგია. უი მე, რას არ მოვიფიქრებ, შენ გენაცვალე, როცა ჩემისთანა ოხერ გაჭირვებულს სამი გასათხოვარი სახლში მიზის და მთხოვნელი კაცი არსადა სჩანს?..

მართა. კაი ოჯახის პატრონია, იცი!..

პელაგია. არ დავეძებ, შენ გენაცვალე!.. ცოდვისაგან მიხსნას, ქალიშვილობაში შვილი არ დამაბერებინოს და მის სიმდიდრეს რას დავეძებ!...

მართა. მერე თუ ღმერთმა ქნა და ყმაწვილმა სხვანაირი თვალით დეინახა ჩემი ნატალია—ეგებ არც-კი დაგვჭირდეს რამე! ვინ იცის, რა თვალით შეხედავს!.. თუ არა და ერთი ათი, თხუთმეტი თუმნით მოვიტყუოთ. (პელაგია ამოოხრებს) აბა, შე ქალო, რას იზამ!.. ყოველისფერს ბედი უნდა!..

პელაგია. ბედი უნდა... ბედი უნდა, ჩემო მაცხონებელო!.. ბედი უნდა!..

მართა. რასაკვირველია!.. მერე, ნათლი-დედა, ნატალიას უთხარი... მეც ვეტყვი, მარა შენ უთხარი—ქე რომ გადაპრანჭვა და ტუჩის აბზუება იცის, თავი დაანებოს, თვარა გლახა საქმეს უზამს თავის თავსაც და დებსაც... თავათაც ჩარჩება, ჩაბერდება ქალიშვილობაში და იმათაც ჩააბერებს!.. ნუღა იგვიანებ, პელაგია ჩემო!.. გასწი და ამ წამსვე მოდით ორივე!..

პელაგია. ორივე დედა-შვილი აქ გავჩნდებით... რავა დეივიგვიანებთ, შენ დაგენაცვლე! ცხონებას მპირდები!.. (მიიჩქარის კარებისაკენ, გამობრუნდება) შენ დაგენაცვლე: კაბა რომელი ჩავაცვა? შენ სინათლიან თვალებში რომელი უფრო მოუხდება!.. შავი, შენი

ჭირი შემეყაროს, თუ... ყველა შენი ნაჩუქარი აქვს!..

მართა. ნატალია თავად ამოარჩევს!..

პელაგია (კარებთან მისული გამობრუნდება). პიპოჩკა გეიკეთოს თუ დეიმწნას? ბედათ წუხელი თავიც დეიბანა!..

მართა. პიჩესკა... პიჩესკა გეიკეთოს!

პელაგია. კი, ჩემო სინათლევ, ჩემო მაცოცხლებელო!.. მე უბედურს ამისთანების რა გემეგება? ნაცარში ამოგლიგნილ დედაბერს!.. (გაექანება კარებისაკენ; უცებ გამობრუნდება და მორიდებით დაიწყებს) ერთი რამ მინდოდა მოგახსენო, ჩემო ღმერთო, ჩემო ყორისფელო... მარა ნუ შემრისხავ ჩემი ჭკუა-მოკლეობისათვის... ჩემს გამოჩერჩეტებულობისაგან ნუ რას მიწყენ, შენი ჭირი შემეყაროს!..

მართა. რაა?

პელაგია. ნუ გეწყინება ჩემი უგუნურობა და სისულელე!..

მართა. კაია... სთქვი, რა არის? რა გინდა?

პელაგია. ყველასფრის მეშინია... მე უბედურს!..

მართა. მომკალი, პელაგია, და ეს არის... თქვი, შე ქალო, რა გინდა?

პელაგია. რომ დამიწუნოს!.. სალაპარაკოდ შექმნიან... უარესად გაჭირდება, შენ გენაცვალე, კაცის შოვნა... დაწუნებული ქილიშვილის ამბავი თავათ იცი, ჩემო ცხონებავ...

მართა. აბა მიდღეგჩი სხვასთან ვერაფერი გითქვამს შენი ქილიშვილებისათვის და ეგ არის!.. მე რალაც მეგონა! დაწუნებაზედ სიტყვა ნუ იქნება, თვარა ისეთ დასაწუნს გამოვუნახავ მთქმელს, რომ ვაი-ვუი იძახოს!.. შენ, ბატონო, ის ქენი, რაც მე გითხარი .. ჩემი ნათლული მომიყვანე აქ!..

პელაგია. შიში მალაპარაკებს მე ღტვინოს! ყველასი მეშინია! შვილების შიშიც კი მაქვს!.. რომ რამე საწყენი

შეხვდეთ, უნდათ მომკლან, ისე შეუბრალებლად მეკიდებიან!..

მართა. ეგ მე და ჩემმა ნათლულმა ვიცით... წადი, წადი, ნუღა იგვიანებთ!..

ბელაგია. მივდივარ, მივდივარ, ჩემო სიცოცხლეე!.. არაფერი გეწყინოს, ჯვარი დაგწერე!.. ახლავე აქ გავჩნდებით!.. (ხჩქარებით გავა).

გამოსვლა მეოთხე

მართა შემდეგ დარისპანი და კარიუნა.

მართა (შემობრუნდება, მიეგება ფანჯარასთან). ეს ვინაა!?. ჩვენსა ჩამოუხვია!.. უიმე! დარისპანი თავის ქალიშვილით!.. დასწყევლა ღმერთმა, საიდან გაჩნდა?!. საიდან მოეთრევა?!. (გავა) მობძანდით, მობძანდი, დარისპან ჩემო!..

დარისპან (რომ შემოვა). აქა მშვიდობა?..

მართა. უი, შენ დაგენაცვლა მამიდაშენი... რამხელა გაზრდილა!.. რავა დამშვენებულა!.. პირველად რომ შემოგხედეთ, ვერც-კი ვიცანი!.. დაბძანდი, დარისპან ჩემო!.. რავა შვიდობით, შენ გენაცვალე!..

დარისპან. გახლავართ, მართა ჩემო!..

მართა. ჩემი რძალი ხომ კარგათაა?

დარისპან. მადლობელი ვარ!.. ვართ ისე, მართა ჩემო!.. რავარც მოგეხსენება ჩვენისთანების ამბავი!.. შენ რაღა დაგიმალო, მართა ჩემო, ჩემი სისხლ-ხორცი ხარ—აგერას წელში გავწყდებით, მართა ჩემო!.. ნამეტან გაჭირვებაში ვიმყოფებოდით—მარა ამ ქალიშვილებისაგან უფრო გვემატება გასაჭირი, შენ გენაცვალე!.. შენ გაშორა ღმერთმა ეს დღე, ჩვენ რომ გვადგია... ერთი გყავდა და ქე მოახერხე მისი გათხოვება—ჩვენ კი ერთობ გაწვალებული შევიქენით,

მართა ჩემო!.. ოჯახს ვერ ნახავ, რომ სამი და ოთხი ქალიშვილი არ ყავდეს გასათხოვარი და მეხოვნელი კი არსადაა, შენი ჭირი შემეყაროს!.. არსად არის! რაღაც უბედურობამ გული შეუცვალა ახლანდელ ყმაწვილებს... აღარ ეკიდებიან ოჯახობას!.. ე გოგოები კი გვიყრია სახლში და გვაბერდებიან საცოდავათ სახლში!.. ამას წინად მაშვლით მაინც მოახერხებდი კაცი საქმეს—ახლა იმათაც მიანებეს თავი, მაშვლობას აღარ ჰკიდებენ ხელს—ვერასფერი გამოსარჩენი ხვდებათ და ტყვილა წანწალით როდილა იწუხებენ თავს!.. სხვა გზა აღარ გრჩება გასათხოვარის პატრონს—ისევ შენ თავათ გამოძებნო და მოინახო სადმე სასიძო!.. არ დაგიმალავ, ჩემი სისხლ-ხორცი ხარ, შეხვალ ჩემს გასაჭირში,—დავათრევ ამ ჩემს ქალბატონს ყოველგან—ნათესავებში, კეთილებში, დღეობებში—ეგებ ვისმეს ან მოეწონოს, ან ვინმემ სხვანაირ გუნებაზედ თვალი გადაავლოს და გამანთავისუფლოს მაგისაგან!.. სად არ ვყოფილვარ, ცის კიდე მაქვს მოარებული, მართა ჩემო—არაფერი იქმნა!.. ახლა აგერ ერთმა, ჩემი ცოლის ნათესავმა, შემომითვალა, მომიყვანეო... ვიღაც ყმაწვილი ყოლია სახეში—ვაჩვენებო!.. მიმყავს იქ!.. აბა რა ვქნა, შენი ჭირი შემეყაროს?!. უწინ თავად მოდიოდნენ სანახავად, ახლა შენ უნდა მიიყვანო!.. რას იზამ?!. წანწალმა მომკლა, მართა ჩემო!.. ეგებ ერთი კი გავათხოვო, მარა-რა, მადლი აღარ აქვს ამისთანა გათხოვებას!.. შენთან შემოვუხვიე ეგებ ცოტა დევისვენო და შენ კარგა ხანია აღარ მინახავხარ!..

მართა. ბედია, დარისპან ჩემო!.. ყველაფერში ბედი მუშაობს!.. სანამ თავის ბედს არ შეეყრება, არაფერი არ იქნება... თავისით მოვა!..

დარისპან. შე დალოცვილო, სანამ თავისით მოაგნებდეს, ე შვილი კიდეც დამიბერდა, დამიუშნოვდა... დამახინჯე-

ბულსა და დაგლახავებულს რომ შეხვდა საბედო, კი ალარ მოჰკიდა ხელი, ქე დეიწუნა!..

მართა. ამისთანა კარგ გოგუნის ვინ დეიწუნებს, რას ამბობ, შე კაცო?!. ყოველთვის მოიწონებენ!..

დარისპან. მოიწონებენ კი არა!.. სისხლი გამიშრო მე მაგან, მართა ჩემო, სისხლი გამიშრო!.. ამ გზაში სულ იმას ჩავჩიჩინებ—აი, ბოშო, სხვას რომ დეინახავ, თამამათ იყავი, ხმა ამოიღე, ენა მუცელში ნუ ჩაგივარდება, დაანახვე, რომ მუნჯი არა ხარ!.. შენც არ მომიკვდე, ვერაფერი შევასმინე!..—რავარც ვინმე გარეშეს თვალს მოჰკრავს, ქვე დამუნჯდება, ქვე დაყრუვდება, ქვე დაკუტდება... დაჯდომა თუ ერთი მოასწრო, ააყენებ ზეზე?—ისე დეეკოსება ერთ ადგილას, რომ ვერას გზით ვერ ააგლეჯ ზევით!.. მომკლა მე მაგან!.. ვინ უნდა მოიწონოს?.. სახლში-კი, მართა ჩემო, ოთხივე რომ ლაქლაქს მოჰყვებიან, ზედ შენი რძალიც დეერთვის—ჰმ, ყურთა სმენაა წაღებული, მართა ჩემო!.

მართა. კი, მამიდა —თამამად უნდა იყვე ყველასთან!.. ხმაც უნდა ამოიღო... დეელაპარაკო კიდეც!.. თუ ყმაწვილი შეგხვდა—უნდა გაუსრიალ-გამოუსრიალო თვალწინ!.. ვინ იცის, რა თვალით შემოგხედავს!.. თავი უნდა მოაწონო... უფრო მალე გათხოვდები, მამიდა!..

დარისპან. სხვებრ იცოცხლე, მართა ჩემო,—ერთობ მარჯვე არიან; ნამდვილ საოჯახო ქალები დარჩებიან!.. ხელ საქნარი, მე შენ გეტყვი, არ ემარჯვებათ და არ იციან!.. წვრილფეხის მოვლა, ფრინველის მოშენება! რამდენი ფრთა ქათამი გყავდა წრეულს ბოშო?

ჯარიჟნა. ორასი გამოტეხა!.. მარა ჭირმა გაგვიწყვიტა...

დარისპან. აბა, აბა!.. ერთობ დაგვაზარალა, მართა ჩემო, ჭირმა!..

მართა. არაფერია... გაისათ უფრო მეტს მოაშენებს!..

დარისპან. არ მინდა, შენ გენაცვალე... ქათამსა და ბატს სამიდღემჩიოთ დავთმობ, ოღონდ კი მაგას პატრონს მოვუნახავდე!..

გამოსვლა მესამე

იგინიგე, შელაგია და ნატალია.

შელაგია (მართას ჩუმად). ხომ არ დამგვიანებია, შენ გენაცვალე?

მართა. არა, არა!.. დარისპან ქარსიძე... მათი ქალიშვილი... ღმერთო მომკალი, ფუი ჩემს მახსოვრობას!..

დარისპან. კაროჟნა, მართა ჩემო, კაროჟნა! .

მართა. დავბერდი მე უბედური... გულმავიწყი შევიქენი!.. კაროჟნა ჩემი... ჩემი ნათლიდედა პელაგია საბელაშვილისა... ჩემი ნათლული, მათი ქალიშვილი.

დარისპან. დიდათ სასიამოვნოა!.. დიდათ სასიამოვნოა!.. (ისევ დაჯდება).

მართა. ნატალია ჩემო... მოდი შენ გენაცვალე, შენთან ცოტა საქმე მაქვს! (გავლენ).

გამოსვლა მეოთხე

შელაგია, დარისპან და კაროჟნა.

დარისპან (მოკლე სიჩუმის შემდეგ). აქაური მცხოვრები ბრძანდებით!..

შელაგია. აქაური, ჩემო ბატონო!.. თითქმის მეზობელი ჩემი მართასი!.

დარისპან. კაი დაგემართოსთ!.. (მოკლე სიჩუმის შემდეგ) ერთობ მარჯვე ქალია ეს ჩემი ნათესავი ქალი, ჩვენი მართა!..

შელაგია. ნუღა ბძანებთ!.. მაგით გვიდგია თელათ ამ კუთხეს სული!.. მაგაა ჩვენი შემხედვარე, ჩვენი შემბრალე-

ბელი, დამრიგებელი, რჩევის მომცემი და მწყალობელი!.. უმაგისოთ რა გვეშველებოდა, ჩემო ბატონო?!

დარისპან. ჰმ, საკვირველია!.. სადაც კი ფეხი ჩადგეს ჩვენი გვარის ქალებმა—ყველგან სასახელოთ უჭირავთ საქმე!.. დიდი ღვთის წყალობაა, თქვენ ნუ მომიკვდებით, ასეთი ამბავი... ასეთი სიკეთე გვაროვნობით რომ დაჩემდება!.. სახელს უკეთებს გასათხოვრებსაც!..

შელაგია. კაი ოჯახი კაი შვილს გაზდის, ჩემო ბატონო, რაღა ლაპარაკი უნდა!..

დარისპან. ჭეშმარიტი ბრძანებაა!.. სწორედ ასეა!.. უკაცრავად, ვერ გევიგონე კარგათ თქვენი სახელი...

შელაგია. პელაგია, ბატონო ჩემო!..

დარისპან. ჭეშარიტი ბრძანებაა, ბატონო პელაგია!.. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ კაი ოჯახები გვაქვს გვარში!.. თუ ყველას არა... ზოგიერთებს მაინც!.. ჩემს თავზედ მოგახსენებთ—რომ მობძანდეთ ჩემს ოჯახში, თამამათ შემიძლია ვსთქვა, რომ ვერასფერს დამიწუნებთ!.. თქვენ არ მომიკვდეთ!.. ერთობ გაწყობილი ოჯახი მაქვს!..

შელაგია. ღმერთმა მოგცეთ, ჩემო ბატონო!

დარისპან. შვილებიც ისეთები დამეზარდნენ, რომ თამამად შეძიძლია ვსთქვა, ვისიც ოჯახში შევლენ—ოჯახს გაანათლებენ, ისეთი ქალიშვილები მყავს, ბატონო პელაგია!.. მამა ვარ და ვერ ვარჩევ, რომელი რომელს სჯობია!.. რა არ იციან?! ერთი თვალი რომ რამეს მოჰკრან, მეტი არ უნდათ!.. ამას წინად სადღაც ენახათ... კარხმალს რომ ახლა უშვებენ... რას ურევთ, ბოშო,—ამას წინად რომ მაყიდვინეთ... შაურის იყო?

კარბუნა. ბურია!..

დარისპან. დიახ! დიახ, ბურია!.. ისე აპრიალებენ კახმალიანი თუ რამე შეხვდათ, რომ რომელი ქალაქის პაჭკა მოახერხებს!..

ბელაგია. დიდი ღვთის წყალობაა, ჩემო ბატონო!..

დარისპან. ისე არიან გადამკვდარი საქნარზედ, რომ გარეშე მოსამსახურე არც ბიჭი და არც გოგო ახლოს არ გეიკარეს... სახლში არ შემომაყვანიეს .. თავის ხელით უნდათ აკეთონ ყველაფერი!.. ღვთის წყალობაა ქალიშვილი ოჯახში!.. თქვენ რამდენი გყავთ, ბატონო ბელაგია, ქალიშვილი?

ბელაგია. სამი, ბატონო! თქვენ?

დარისპან. მე... ამიანათ ოთხი!.. დიახ ოთხი!.. მარა გათხოვება მეძნელება.

ბელაგია. ჭირს, ბატონო... ერთობ ჭირს!..

დარისპან. არა... მენანება მოშორება!.. კაი ოჯახში ნამყოფი კარგათ შენახული... თუ ისევ ხეირიან ოჯახში არ ჩააგდე, ცოდვაა... ამიტომ უფრო არ ვეჩქარი მაგათ დათხოვებას... თვარა მთხოვნელები ბევრი დამიდიან!..

ბელაგია. ვისაც შეუძლია ქალიშვილის შენახვა, რა შეაწუხებს...

დარისპან. ვწუხვარ კი არა... ჰმ, ჩემისთანა მოლხენილი კაცი არ მეგულება!.. არაფერი არ მაწუხებს!.. მივდი-მოვდივარ ამ ჩემს ნათესავებში, კეთილებში, ნაცნობებში... ყველგან კარი ღიათ მხვდება, ყველგან მიუხარიათ ჩემი ნახვა...

ბელაგია. ღმერთმა კეთილათ გარონიოთ, ჩემო ბატონო!.. (ამბიხვნეშავს). ღმერთმა სიკეთე გმატოსთ... მოგახსენებენ, ბედნიერი ადამიანის დანახვით გაჭირვებულს გული გეეხსნებაო!..

გამოსვლა მეხუთე

იგინიგე, მართა და ნატალია.

მართა. მოდი, მამიდა!.. რიგიანათ ხმა გამეცი!..

დარისპან. მიდი, ბოშო!.. (ხმა დაბდა) მართა ჩემო, გზაში ცოტა გეევილახე... წინ კიდევ გვარიანი გზა მაქვს გასარები... ერთი თუ თავი არ წავდევი, მოვკვდები კაცი!.. თავი მიმადებინე სადმე ცოტა ხნით, შენ გენაცვალე... ავდგები მერე და გავუდგები ჩემს გზას, მეშინია არ დამაგვიანდეს იქ მისვლა... ეგებ მეშველოს რამე!..

მართა. კი, შენი ჭირიმე!.. წამობძანდი! (მიუძღვება ოთახში).

დარისპან. ბოშო, წამო შენც ლაფჩინს გამხდი (გაგდენ).

გამოსვლა მეეძვსე

შელაგია, ნატალია და შემდეგ მართა.

ნატალია. ვინ არიან ესენი?! (ეტინება).

შელაგია. კაია, კაი!.. ყველას შენ უნდა გაცინო!.. გოულანძღე ნათლია შენს ნათესავი—აამებ ძალიან!.. უი, თქვენს ჩვეულებას!..

ნატალია. დამამუნჯე ახლა!.. ხმას ნუ ამომაღებინებ, ჰო!

შელაგია. გაჩუმდი, გეუბნები!.. რჩება აქ, შენ გენაცვალე?

მართა. წეიძინებს... ადგება და წავა თავისთვის!..

შელაგია. ვაი თუ ის ყმაწვილი მაგის წასვლამდის მოვიდეს!..

მართა. მერე რა? (ნატალია ვიოოამდა ეურს არ უგდებს, ფანჯარაში იეურება).

შელაგია. ოთხი ქალიშვილი ყოლია!.. თუ ყმაწვილი მოეწონა, ეგებ ქე შეაძლიოს ქალიშვილი... გადიყოლიებს... შეძლებული ყოფილა!..

მართა. ვინ? დარისპანი? საიდან გეიგე მაგ, პელაგია... ვინ გითხრა, თუ გიყვარდე?

პელაგია. თავათ, შენ გენაცვალე!.. თავი გადმოიმიშალა თელათ თავის ოჯახის ამბავი!..

მართა. შეძლებული ვარო!.. უი მაგ უბედური, ხომ არ შეუძლია გარეშესთან არ მორთოს თავის ტრაბახობა!.. შენთან მაინც რაღა ატრაბახებდა?! რა ჩვეულება სჭირს მაგ უბედურს!..

პელაგია. მე კი გადამრია, ისეთები მომიყვა!.. (იტინის) გაქცევა ვიფიქრე, შენ ნუ მომიკვდები... თუ ყმაწვილი მოეწონა-თქვა!.. მაგასთან მე ვიღა დამიწყებს ლაპარაკსთქვა!..

მართა. თუ გინდა მართლა მდიდარი ყოფილიყო, მერე ამისთანა გვრიტუნიას გავაქცევდი მის ქალიშვილთან, ღმერთო მომკალი?! (ნატალიას) კარგი ხარ, შვილო... ყოველისფრით კარგი ხარ, მარა ერთი რამ მაინც უნდა გითხრა... დრო მოვიდა, შვილო, ისეთი, რომ ყველა სწუხს, ყველას ნამეტანი გასაჭირი ადგია... ყმაწვილები ისე შეშინდნენ, რომ ოჯახის მოკიდებას ერიდებიან, ქალიშვილებს ხელს აღარ ჰკიდებენ!.. ამისთანაში, შვილო, ჩხრეკა-ძიება და რჩევა თუ აზარალებს ქალიშვილ ქალს, თვარა სიკეთეს არ დაიყრის!.. თუ კი ვინმე გამოჩნდეს ღვთისნიერი, ცოლად წაყვანა მოგინდომოს, ნულარც კი კითხულობ რამეს... ორივე ხელებით ჩეებლაუჭე,—არსად წაგივიდეს!.. მადლობაც უთხარი, რომ სხვას შენი თავი არჩია!.. თვარა ეგ შენი სილამაზე გაგიქრება, ხანიც გადაგივა და მერე აღარც კი შემოგხედავს ვინმე—ჩაბერდები ქალიშვილობაში, შვილო!.. ისეთი დრო მოვიდა, რომ ქალიშვილის გათხოვება ყველასათვის ნამეტანი გაჭირდა, შვილო!.. თუ კი კაცი გამოჩნდა, რომ შენი ჭმევა, სმევა, ჩაცმა-დახურვა მოინდომა იკისროს—ნურც კი კითხულობ ბევრს მისას!..

პელაგია. ყური უგდე, ყური უგდე, შვილო!.. ოქროთ უნდა გილირდეს თითო ამისთანა დარიგების სიტყვა!.. ამ შენი ნათლია ბატონის მაინც შეისმინეთ რამე!.. ჩემი სიტყვა ახლოსაც ხომ არ გეიკარეთ!.. რა გიყოთ მე უბედურმა!.. სამი მყავხართ... სამივე გასათხოვრები!.. სხვისი მაინც გაიგეთ, თუ ჩემი არ გესმით!..

ნატალია. მესმის, ბატონო, მესმის!.. ყრუ ხომ არა ვარ, დედა...

პელაგია. შებზიალდი, შებზიალდი შენებურათ! ნათლია შენსაც ნუ დაერიდები!

მართა. კაია, პელაგია, კაია! ესმის, აბა არ ესმის!.

პელაგია. სიცოცხლე მაქვს მაგათგან გამწარებული, ჩემო შემწყალებელო!..

მართა. დაწყნარდი... დამშვიდდი!.. ეგებ ამ სალამოს ღმერთმა გაგვახაროს!..

პელაგია. ვინ მოესწრება მაგას, შენს სულს ვენაცვალე!.. გული მაქვს გატეხილი. კი ალარაფერი მჯერა!..

მართა. მხნეთ იყავ, პელაგია!.. აბა, შვილო, რავარც გითხარი... ყორიფელი თავ-თავის დროზედ, შენებურად, კოხტად შემოიტანე ყველაფერი...

ნატალია კი ბატონო!..

მართა. შემოგხედოს რა ჩიტუნია გვყავხარ!.. ეგებ ისეთი თვალი გადაგავლოს, რომ თავათ შემოიხვეწოს შენი თავის მიცემას!.. შენისთანა ლამაზი და კოხტა ქალიშვილი ხან-და-ხან ერთი თვალის დახამხამებაში გააგიჟებს ხოლმე ზოგიერთს ყმაწვილებს!.. თვალია ყოველისფერი!.. იმიტომ უნდა ეცადო სხვანაირათ დაანახო შენი თავი, ქალიშვილმა ქალმა!..

პელაგია (რომელიც ხშირათ ფანჯარაში იმზირებოდა). მოდის, მართა ჩემო!.. მოდის!.. ნატალია!.. შვილო!.. (მივარდება კბის გასასწორებლად) თმა-თმა გეისწორე!..

მართა (გადიხედავს). კი, ის არის!.. აბა, შევეგებოთ, ნატალია ჩემო (მიდის).

პელაგია (აფუსფუსებული) მართა ჩემო... შენი ჭირი შემეყაროს... ერთი თვალი გადაავლე... ურიგოდ არაფერი ჰქონდეს (ნატალიას წყრომით გადმოხედავს)!..

ნატალია. თავი დამანებე, ბატონო!..

მართა. არაფერი არ უნდა, პელაგია!.. გვაცალე, ბატონო!.. (გაჩუმდნენ).

პელაგია. ღმერთო შემეწიე!.. ღმერთო შემიბრალე!.. ღმერთო მოხედე ჩემს გაჭირვებულ ქრისტიანობას!.. (იხედება გარეთ). ღმერთო აღირსე ბედი ჩემს ნატალიას!.. ღმერთო ბედნიერი და კეთილი თვალით შეახედვინე ჩემი შვილისათვის (ისწორებს კაბას და თავსაფარს).

გამოსვლა მეშვიდე

მართა, პელაგია, ნატალია, ოსიკო და ანისიმე.

მართა. მობძანდით, თქვენი ჭირიმეთ.. მობძანდით!..

ანისიმე. აქა მშვიდობა!.. ოჰ, ბატონ პელაგიას ვახლავართ!..

მართა (აცნობს). ჩემი ნათლიდედა გახლავსთ, პელაგია საბელაშვილისა... დაბძანდით, ჩემო ბატონო!.. ღმერთო ჩემო, რავა შეუმჩნეველად ვბერდებით!.. გუშინ ბალანა მახსოვს... ახლა რას ვხედავ?!. დაწვერულვაშიანებული ვაჟკაცი და რა ვაჟკაცი კაცი! შენ გენაცვალე!..

ანისიმე. იხვებივით სწრაფად იზრდებიან, ბატონო მართა, ახლანდელი ყმაწვილები!..

მართა (იცინის). მაინც, მაინც!.. რა ბედნიერი ქალია ჩემი ივლიტა. ხომ კარგათაა, შენ გენაცვალე?

ოსიკო. გმადლობთ, კარგათ გახლავსთ!..

ანისიმე. დიდი მეოჯახე ქალია!.. დიდი მეოჯახე!..

მართა. არ ვიცი!.. აი ბეჩა, რა მეგობრობა გვქონდა ჩვენს დროზედ!.. უერთმანეთოთ სულს არ დავბერავდით!.. ბედნიერი ქალია!..

ონისიმე. კიდევ უფრო ბედნიერი იქნებოდა, რომ მისი უფროსი ვაჟის შვილი დეენახა... ერთობ სწუხს, რომ რძალი სუსტი ქალი გამოადგა შვილოსნობაში...

მართა. მის ადგილზედ სულაც არ ვიჯავრებ მაგაზედ!.. ერთს არა ყავს—მეორეს გყოლება!.. სხვის ხელში ხომ არ გადავა მამული!.. აგერ, ჩემს ოსიკოს არ შეეძინება?!.. მზითვიან ქალს მზითვევით თავს აღარ მოატყუებინებს... მზითევი, თუ კაცი ძართალს იტყვის, ქალის ნაკლებულობის შესავსებია, ღმერთმანი!.. ოსიკო ჩემი სხვებსავით ვაჭრობას არ იკადრებს... შეხვდება სადმე ერთ ლამაზ, კოხტა ქალიშვილს და თავათაც გულს გეიხარებს და დედასაც გაახარებს მისი შერთვით!. ასე არა, ოსიკო ჩემო? (ოსიკო იცინის).

შელაგია (თავისთვის). შენ დაგენაცვლე მაგ მოქარგულ ენაში!..

მართა. რასაკვირველია.., რასაკვირველია!..

ონისიმე. მზითევი მაინც არაა დასაკარგავი ყმაწვილებისაგან, ბატონო მართა!..

შელაგია (თავისთვის). გაგიხმა ენა!..

ონისიმე. ჩემს რძალს რომ მზითევი არ მოჰყოლოდა, სწორედ არ შემოვუშვებდი შვილს სახლში... ყმაწვილმა თავი უნდა დეიფასოს!..

მართა. ჩვენ ძველებურად ვირჯებით, ბატონო ონისიმე!.. ახლანდელი ყმაწვილები მოწონებას უყურებენ მარტო... მოწონებით იციან საქმის გათავება... არა, ოსიკო ჩემო? ი შენი კაი დედა ნუ მოგიკვდება!

ოსიკო (დიმილით). კი ბატონო!..

ონისიმე. მამა გიცხონდება!..

მართა. რასაკვირველია!.. ჭკვიანი, დინჯი, გაგებული ახლანდელი ყმაწვილი კაცი მზითვის გულისათვის არ დაჰკარგავს კარგს, ლამაზს, კაი ხასიათის და საოჯახოთ გამოსადეგ ქალს!.. არა, ბატონო ონისიმე!.. ტყუილს ვამბობ, ოსიკო ჩემო, შენ გენაცვალე?

ონისიმე. კი, ბატონო მართა...

მართა. გვაცალეთ, ბატონო!.. (ოსიკო იცინის, შემოდის კაროჟნა). დარისპან ქარსიძის ქალიშვილი გახლავთ! (კაროჟნა ხელს ჩამოართმევს და დაჯდება თავისთვის). მართალს ვამბობ, თუ ვტყუი, ოსიკო ჩემო?

ოსიკო. მართალია!..

მართა. აბა, რა!..

ონისიმე. თქვენ ნუ მომიკვდებით, თქვენმა შვილმა რომ უმზითო მოგაყენოსთ კარზედ...

მართა. შემობძანდი-თქვა, ვეტყვი და პირველ ადგილზედ დავსხამ, თუ კი იმისთანა ქალი დამანახვა, რომ თვალსაც იამა და გულსაც... ისე მე ვიცოცხლო, ასე ვქნა!.. კი, კი ბატონო ონისიმე!.. მარა მარტო ეს მუსაიფი ხომ არ გვეყოფა, ეს ღმერთმაც იცის და კაცმაც!.. (სიცილით გავა, მას მიჰყვება ნატალია, მერე ჩქარაგია. ამათ შემდეგ კაროჟნაც შებრუნდება ოთახში, სადაც მამა მისი წევს).

გამოსვლა მეორე

ოსიკო და ონისიმე

ონისიმე. (ან მოკლე სიჩუმის შემდეგ). ეს ჩვენი მასპინძელი რაღაც კრიმანჭულებით გველაპარაკება!.. მგონი, იმ თავის ნათლულის თავი ღნდა, რომ მოგაწონოს... უკან რომ გეიყოლა—მიფრინია-მოფრინია!..

ოსიკო. აქვს, რამე?

ონისიმე. იმ აბზეკილი ცხვირისა, წვრილი ტანისა, შეღებილი წარბებისა და მარდი ფეხების,—რასაც ხედავ—მეტი არაფერი, ბიძიკო!..

გამოსვლა მეცხრე

იგივეგე, დარისპანი, შემდეგ კარიჯანა.

დარისპან. აზნაური დარისპან ქარსიძე!..

ონისიმე. ველარ გიცანით, ბატონო დარისპან!.. ჩემი ბიძაშვილი ოსიკო ხარებაძე!..

დარისპან. ოჰ, ღმერთო მომკალი!.. მაპატიეთ, ბატონო ონისიმე!.. ხშირად ამ ბოლო დროს გზაში ვარ ხოლმე გაკრული... ერთობ ვილახები და იმის გამო... ეს ბავშვიც-კი გამელახა ნამეტანი!.. რას იზამ, ბატონო ონისიმე—ოჯახის პატრონი კაცი ვერ დაკარგავ ვერც ნათესავს, ვერც კეთილს, ვერც მოყვარეს... ამას კი დიდი მისვლა-მოსვლა სჭირდება!..

ონისიმე. მართალი ბრძანებაა!.. დიდი ხანია ალარ გვინახავს ერთმანეთი!..

დარისპან. კარგა ხანია, ბატონო ონისიმე!.. ოჯახს ვუნდები... დიდი სამძიმო საქმეა ოჯახი, პატონო ონისიმე... თელათ კაცს მოგინდომებს... ნამეტურ, როცა შენდა გუნებისად გაქვს მოწყობილი...

ონისიმე. მართალია... მართალია!..

დარისპან. როცა ოჯახში გეგულება რამე!.. უნდა მოგახსენოთ, წინათვე ურიგო ოჯახი არ გვქონია... მარა ჩემი მეცადინეობით,—თამამად შემიძლია მოგახსენო, სწორედ რომ კარგათ მოვაწყე ამ ბოლო დროს. გიამებათ, რომ შემობძანდეთ, ბატონო ონისიმე, თქვენ ნუ მომიკვდებით!.. პურით, ღვინით, სასმელ-საჭმელით!.. ერთობ შევმატე, ონისიმე ჩემო!.. ნამყოფ კაცსაც იამება... გადავყევი კი!..

ონისიმე. დიდი ამბავია კაი ოჯახი, ბატონო დარისპან!.. დიდი შელავათია!.. იმით მაქვს გული გახსნილი—ოჯახი რომ ხელში მეგულება!.. თქვენ ნუ მომიკვდებით, დარისპან, ჩემი თეთრი ღვინო რომ გამახსენდება—ერთი ხუთი საპანე მისხია,—გულს იმ წამსვე ყოველივე დარდი გადამეყრება!..

დარისპან. კმაყოფილათ რომ მიყურებენ, თქვენ ნუ მომიკვდებით, ისეთი პირები მსტუმრობენ, რომ ზოგიერთ თავადიშვილს არ იკადრებენ... ჩემს ოჯახში კი მოუხარიათ!.. (სიამოვნებით იცინის) დიდ პატივისცემაში ყავთ ამ უცხო და განათლებულ პირებს ჩემი ცოლშვილიც..,

ონისიმე. დიდი განძია კაი ოჯახი!.. დიდი განძია, დარისპან ჩემო!.. მარა დიდი სადავიდარაბოც,—კარი მუდამ ღია უნდა გქონდეს... სტუმრიანობასა და მისვლა-მოსვლას დიდი ამბავი სჭირდება!.. ვისაც არაფერი აქვს, უფრო თავისუფლათაა, თქვენ ნუ მომიკვდებით!.. ჩვენ ნამეტანიც გვემართება ხშირად!..

დარისპან. უნდა გავუძლოთ!.. ქალიშვილები რამდენი გყავთ, ონისიმე ჩემო?

ონისიმე. სამი!..

დარისპან. ისემც კაი დაგემართოსთ!..

ონისიმე. კაი არაა, მარა რა ვუყოთ!.. თავ-თავისი ყველას გადადებული აქვს... ვისაც ამოირჩევენ და მოიწონებენ, იმას გავატან, თუ არა და იყვნენ... ჩავაცმევ, დავხურავ; ფეხ-შიშველს არ გავარონიებ და...

დარისპან. დიდი ღვთის წყალობაა!.. სანამ კარგ ყმაწვილს არ შეხვდება, არც კარგი მშობელი და არც გონიერი გასათხოვარი, რასაკვირველია საქმეს არ გადასწყვეტს... იკოცხლეთ, მთხოვნელები ბევრი დამიდიოდეს... მარა, სანამ კარგს არ შევხედავ—რაზედ გავაგდო ჩემი მასიამოვნებელი ქალი ოჯახიდან?!.

ონისიმე. ნამდვილია... ნამდვილია!..

Городск

გამოსვლა მეათე.

ოგინიგე, მართა, ჰელგა, ნატალია.

(ნატალია აწყობს სტოლს).

მართა. ნურას უკაცრავათ, ჩემო ბატონებო!.. ჩემი მარტოხელობის ბრალია!.. (ოსიკოს) ასე აწვალებთ ახლანდელი ყმაწვილები მოხუცებულ დედებს დროზედ შემფარავის მოუყვანლობით!.. კაია, რომ კიდევ ამისთანა მარჯვე ნათლული მყავს!..

ოინისიმე. აგერ ძველი ნაცნობობა განვაახლეთ, ბატონო მართა, მე და ბატონმა დარისპანმა და საგულისხმიერო მუსაიფში გავებით!..

მართა. კაი დაგემართოსთ!.. მაგას რალა სჯობია!.. (ოსიკო ოინისიმესკენ გადადის).

დარისპან. კაროლინა, ბოშო, შენ რავა გაჩერებულხარ? დატრიალდი შენებურად!..

მართა. რაზედ მიწუხებ, დარისპან?

დარისპან. რა შეაწუხებს?!. მე შენ გეტყვი არ ემარჯვება მაგისთანები!..

მართა. იყავი, იყავი, მამიდა!.. მყავს მე ამისთვის აგერ ჩემი ნათლული!..

დარისპან. მუხლებს მაინც გეიმართავს... ზეზე არ ამდგარა რა ხანია!.. ჰო, მოდი, ბოშო!.. (კაროლინა ხან რას შემოიტანს, ხან ისე დაჭყვება ნატალიას. დარისპანი ხმა დაბლა მართას) მართა ჩემო, ეს ყმაწვილი ცოლსათხოვი უნდა იყვეს... ვატყობ, ისე გამოიყურება!..

მართა. არ ვიცოდე, შენ არ მომიკვდე!..

დარისპან. კი, ასე უნდა იყვეს!.. უნდა მომეხმარო, შენ გენაცვალე!..

მართა. რაში?

დარისპან. კაროლინა უნდა შევაძლიო!.. ბიძა მისს შემიძლია მივმართო—ერთობ პატივისმცემელია ჩემი,—სიხარულით კილამ გადაირია, რომ დამინახა—მარა შენი სიტყვა მირჩევნია, მართა ჩემო!.. ახლავე უნდა გადამიწყვიტოს!..

მართა. დარისპან, ასე რავა დავეტაკო... ჯერ ფეხიც არ შემოუდგამს სახლში!.. სამერმეისოთ გადავდვათ!..

დარისპან. სწორეთ არ შემიძლია!.. მერე სადღა ვსდიო მაგას—აგერ მყავს და ბარემაც ახლავე გავიგებ ყოლისფერს!..

მართა. დარისპან, რომ დამკლა არ შემიძლია ახლა მაგაზედ დავიწყო ლაპარაკი!..

დარისპან. უკაცრავად შეწუხებისათვის!.. (გაშორდება უკმაყოფილოდ) დასწყევლოს ღმერთმა, შენი სისხლხორციც ორგული გიხდება დღეს!..

ბელაგია (მართასთან მავ—ხმა დაბალ). რას გეხვეწებოდა, შენი ჭირი შემეყაროს?

მართა. სისულელე მაგისი!..

ბელაგია. შემეწიე... ღვთის გულისათვის შემეწიე... ღმერთი თავად შეგეწევა!..

მართა. ჰო. კაი, კაი!.. ბატონო ონისიმე, ოსიკო ჩემო... დარისპან!.. უკაცრავად ვარ ასე მცირედისათვის, მარა რაც გაგვეწყობოდეს!..

ონისიმე. გმადლობთ... ახლავე გიახლებით! (ისევ დარისპანს ელაპარაკება).

მართა. შენ მაინც მობძანდი, ოსიკო ჩემო!.. იმათ ისაიდუმლოან! (მიაწვდის სტაქან ჩაის) ეს სტაქანი უსათუოდ საგულდაგულოთ შენთვის დაუსხამს ამ ქალიშვილს!.. იმ წამსვე შევატყვე, რავარც შევხედე!.. უსათუოდ გემოსაც სხვანაირს ჩაატანდა!.. აბა ნახე, თუ ასე არაა!.. (მიაწვდის).

ოსიკო (იდიმება) გმადლობთ!..

მართა. კაროლინა, რავა ზიხარ მარტოთ, შენ გენაცვალე?!..

კაროჟნა. რა მიჭირს, ბატონო?.. (ადგება და გასდევს ნატალიას, რომელიც ხშირად მიდი-მოდის. შემდეგ ჰელაკიას მოისვამს გვერდით და მუსაიფში შეუფლას ტდილობს).

მართა. იმათ იმუსაიფონ იქ; ჩვენ არაფერი დაგვაკლდება — ეს ჩემი ნათლული, როგორც ეტყობა, თავს გვყვება! — არაფერი არ ეზოგება, რაც კი სახლში მონახა, აგერ გვიწყობს წინ!.. (ნატალიამ მურაბა დადგა) ეს მურაბა ამ ყმაწვილს? ნამეტანს უშვები, შენ გენაცვალე!.. ასე უცბად მოგაწონათ თავი ამ ბედნიერმა კაცმა?! (ნატალია გრეხვით გაშორდება) ცუდი ნათლული მყავს, ოსიკო ჩემო? ა? ხომ კოხტა გოგონაა, ის შენი კაი დედა ნუ მოგიკვდება, ა? ხომ კარგია?

ოსიკო (დიმიკით). კი ბატონო

მართა. ჰო, მცოდნია მე ყმაწვილ კაცების გემოვნების ამბავი, მცოდნია! (იცინის) ყველგან კი ვერ შეხვდები ამისთანას!.. შენც არ მომიკვდე!..

დარისპან. კაროჟნა, ბოშო!.. აქ მოართვი ჩაი, ბატონ ონისიმეს!.. (ნატალია გადახედავს ჰელაკიას და ნელა იცინის. კარჟნა წამოდგება, აიღებს სტოლიდან ჩაის და მიაქვს).

მართა. გაგვიდექით, გაგვიდექით განზედ, განა?!. (კარჟნას გაუკარდება ფიხჯანი და გაუტეხავს).

დარისპან (წამოვარდება). რა ეშმაკებმა გაგირბინეს მაგ ხელებში, შე უხეირო?! (კარჟნა ბოდიშს ნატეხებს და ნატალიაც ეხმარება).

მართა. არაფერია, არაფერი!.. რა ვუყოთ!..

დარისპან. ძალიან არ დამიმოწმა თავის სიმარჯვე!.. არა, გამოუბრუნებლად რავა გაგლახა მგზავრობამ, შე შერცხვენილო!..

მართა. რაზედ კლავ მაბოვშს, დარისპან, ერთი ჭიქის გულისათვის!..

დარისპან. არა... თავისდღეში რომ არასფერი გატეხია ხელში... რაღა ახლა აქ მოუვიდა მარცხი!.. თელათ ოჯახი მაგის კისერზედაა, მაგაა ჩემი ამშენებელი... თავის დღეში ოჯახისათვის არაფერში უზარალებია!..

ანისიმე. აქ მოპძანდი, დარისპან!.. სანჯავრებელი სხვაც ბევრი გვაქვს!.. ერთ ფინჯალს ამისთანა სუფრას რავა გადააყოლებს ადამიანი!.. (დარისპანი მიგა სტოლთან) დაბძანდით... დაბძანდით!..

მართა. მომითმინეთ, ახლავე ყველას გაგამხიარულებენ ეს ყმაწვილები... ესენი თუ ერთი არ ვათამაშე, რავა შემიძლია ისე!.. რას იტყვით ამაზედ, ბატონო ანისიმე?

ანისიმე (ითლის და იდუკმება). ძალიან შეეზავება ამ სუფრას, ღმერთმანი!..

მართა. შენ უნდა იცოდე, კაროჟნა ჩემო, ბუზიკა?

კარჟნა. კი ბატონო!..

დარისპან. რავა არ იცის!

მართა. აბა, ნატალია ჩემო, წამოდი ჩემთან!.. მომანახვინე, საცხა მაქვს შენახული!.. (გავლენ).

დარისპანი (ბელაგიას მიუახლოვდება). არა, ამ ჩემმა ქალბატონმა რომ თავი გამოიჩინა, ჰმ?!. თავის დღეში არაფერი გაუტეხია ხელში... უცნაური მარჯვეა... და.

ბელაგია. რა ვუყოთ, ჩემო ბატონო!.. შეხდომაა ..

დარისპან. ჰმ, რავა რა ვუყოთ? შე დალოცვილო, ვინც ამბავი არ იცის, სხვანაირად იფიქრებს!..

ანისიმე (ოსიკოს). ერთობ მოწადინებულია ქალიშვილი მოგათხოვოს!..

ოსიკო. აქვს რამე?

ანისიმე. გევიგებ!.. ძალიან კი იჩარჩება!..

გამოსვლა მეთერთმეტე

იგინიგე, მართა და ნატალია გარმონიკით.

მართა. აბა მამრდა, დაუკარი, შენ გენაცვალე!..

ბელაგია (მართას ხმა დაბლა). მოილაპარაკეს, მართა ჩემო!..

მართა. ნატალია, აბა შენებურათ ჩამოგვიქროლე!.. (ნატალია იგრიხება).

პელაგია. არ გესმის? (კროჟნა უკრავს გარმონიკას, ნატალი თამაშობს).

მართა (გვერდით მიადგება ოსიკოს). მარგალიტია, მარგალიტი!.. შენ არ მომიკვდე, მეორე ამისთანა ძვირად სადმე შეგხვდეს!.. სული ნუ წამიწყდება, რომელ ოჯახში შევა—სწორედ გაანათლებს იმ ოჯახს!.. სული ნუ წამიწყდება!.. (ნატალიამ გაათავა თამაში) ახლა ორივემ, ორივემ!..

ოსიკო. არ ვიცი თამაში, ბატონო მართა.

მართა. კაია, დედა ნუ მოგიკვდება!.. ორივემ, ორივემ!.. ერთი შემახედვინეთ, რავა დაშვენდებით ერთმანეთს? (იცინის).

ოსიკო. ღმერთმანი, კაი ხანია არ მითამაშნია!..

მართა. თავი დაუკარი, ყმაწვილო!.. არ შეიძლება, უსათუოდ უნდა ითამაშოთ ორივემ ერთათ!.. დაუკარი, შენ გენაცვალე!.. ნატალია, თხოვე, თხოვე!.. (ნატალია თავს უკრავს. თამაშობენ).

პელაგია. ისინი კიდევ ჩურჩულობენ, მართა ჩემო!..

მართა. პელაგია, მაცალე თუ გიყვარდე!.. ბრავო!.. ბრავო!.. ონისიმე ჩემო, ამათ შეხედეთ... რავა შვენით! (ოსიკო გაათავებს, იქით წავა, იწმენდს ოფლს)!..

ონისიმე. კაი მოგცეთ ღმერთმა... ორივე კარგები არიან, სწორედ!..

დარისპან (მიგა კროჟნასთან. ონისიმე მართასკენ მიიწევა და ელაპარაკება). აბა ახლა ბოშო, შენ, კროჟნა გამოდი!..

პელაგია. ჩემმა ნატალიამ რომ არ იცის ბუზიკა, ჩემო ბატონო!..

დარისპან. არაფერია!.. ბოშო ქე ხომ იცი... ქვეც დაუკარი და ქვეც ითამაშე...

მართა. ცარიელი ენაა მაგ საწყალი!.. ტრაბახობას გადაყოლილი!..

დარისპან. რას უყურებ, ბოშო? ჰე? (კროჟნა ააჭიჭყინებს გარმონიკას).

მართა. ნულარ სწუხდები, შენ გენაცვალე!.. ნულარ სწუხ-
დები!.. (ოსისამე და ოსიკო ბალკონზედ გავლენ).

დარისპან. ჩამოუაროს ამანაც!.. რა უჭირს, მართა ჩემო!..
ისიამოვნონ!..

მართა. ვილამ? ისინი, ე, ბალკონზედ გევიდნენ!.. (ჯერ ნა-
ტალია გავა, უკან კაროუნაც გაჰყვება. ჰელაგია გულმო-
სული განზედ დგას).

გამოსვლა მეთოთრმეტე

მართა, ჰელაგია და დარისპანი

მართა. გადამეტებული არაფერი არ ვარგა, დარისპან!..

დარისპან. მაკვირვებთ, მართა ჩემო!.. ჩემი სისხლ - ხორცი
ხარ... უნდა მეწეოდე... შენ-კი, პირში გეტყვი,
უკან მიყენებ შვილს!..

მართა. ახირებული თუ გინდათ, ეს არის!..

დარისპან. ბრმა კი არა ვარ, შენ გენაცვალე!.. კარგათ ვხე-
დავ ყველაფერს!..

მართა. გინდა მაწყენიო, სხვა არაფერი, დარისპან!..

დარისპან. რა ვქნა!.. რალაზედ მიმალავ — ცხადია, შენს სისხლ-
ხორც ივიწყებს და სხვისთვის ფიქრობ!.. პირში
გეუბნები რა. .

ჰელაგია (გაჯავრებით წინ წამოიჭრება). ძალიან უკაცრავად ბძან
დებით, ჩემო ბატონო!.. ჩემს შვილს გთხოვთ თავი
დაანებოთ!.. არავისაგან წარა-მარა სახსენებელი არ
გახლავსთ .. არა!..

დარისპან. არც უხსენებია ვისმეს!..

ჰელაგია. თქვენ თუ ხვდებით რასმეს, ჩვენც სულ გამოტვინე-
ბული და სმენა მოკლებული ტყვალა გგონივართ!..
თქვენ საქმეს ვერ ახერხებდეთ — ჩემი შვილი რა ხელ
წამოსაკრავია... რა შუაშია?!.

მართა. კარგია, ჰელაგია!.. არავინ გაგიგონოსთ, ღმერთო
მომკალი!... სირცხვილია!.

ბელაგია. არავინ ხელის შემშლელი არა გყავთ, ჩემო ბატონო!.. არავინ არ გეცილებათ მაგ ყმაწვილში...

დარისპან. სულაც არ ვწუხვარ მაგაზედ!.. დუ კი საქმე მოვინდომე, თქვენი შეცილებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვერასფერს დამაკლებთ!.. თქვენ არ მომიკვდეთ, თუ კი საქმე მოვინდომე!..

ბელაგია. მონდომებული ხართ და ეს არის!.. ვერ გხედავთ თუ!..

დარისპან. თუ გინდ ასეც იყოს—მერე რა?.. რა მერე?

მართა. სირცხვილში ნუ მაგდებთ, ღმერთო მომკალი! ეს რა ამბავია?!. ბელაგია, გაშორდი, თუ ღმერთი გწამს!..

ბელაგია. გავშორდები, ბატონო, გავშორდები!.. თავიან ფეხებიანათ მიირთვან მათგან მოწონებული ყმაწვილი... ოღონდ ჩემს შვილს თავი დაანებონ!.. ტყვილა უბრალოდ ნუ მიხსენიებენ!.. ნუ, ნუ მიხსენიებენ! (კვა კაჯავრებული).

დარისპან. გასაკვირველია, ღმერთმანი, ზოგიერთის საქმე!..

მართა. გასაკვირველია შენი საქციელი, დარისპან!.. ჩხუბითა და დავიდარაბით რა უნდა გეიტანო?

დარისპან. ბატონო, შემოგეხვეწე დახმარებას,—უარი მითხარი... მე ჩემით ვარიგებ საქმეს!.. რა იქნა ამისთანა?! შე დალოცვილო, ვცდი, ეგებ ჩემი შვილის ბედი იყკეს... რას ვშვრები ამისთანას, გზას რომ მიკრავთ ყოველ მხრიდან?!.

მართა. ვინ გიკრავს გზას, ყმაწვილო?

დარისპან. თქვენ!.. შენ და ე შენი ნათლი დედა!..

მართა. ჰმ, ახირებული თუ გინდათ ეს არის!..

დარისპან. შემოტანაზედ ხელი არასფერს მოაკიდებინეთ ბოვშს... თამაში არაა საჭირო... იმდროს რაღაც წა მოიძახეთ, რომ ჭურჭელი თავზედ გადაამსხვრევინეთ იმ უცხოებისათვის!.. მეტი ხელის შეშლა იქნება?! შენ გინდა მოაწონო შენი ნათლული... ბატონო,

შეხედოს ჩემს შვილსაც — რომლის ბედი გასჭრის, ის იქნება და ის... რა საწყენია ახლა ეს?

მართა. არავის არ წყენს... არავის... არა!.. ოღონდ ჩხუბს თავი დაანებე, თუ ღმერთი გწამს!..

დარისპან. მართალია შენს სახლში ვარ, მარა, უფროც რომ გეწყინოსთ, უკან ვერავინ ვერ დამახევინებს, მართა!.. შენც არ მომიკვდე!.. უფრო მეტნიც რომ დამესიოთ... გზა შემიკრათ...—ჩემი უნდა ვქნა! მე შენ გეტყვი, ყოველ ნაბიჯზედ გხვდებოდეს ყმაწვილი, ცოლის თხოვნას რომ ეპირებოდეს!..

მართა. ბატონო, რაც გინდა, ის ქენი, ოღონდ ჩხუბსა და დავიდარაბას ამაშორე.

დარისპან. ჰმ! იმ გამჭკნარ ნათლიდედას თუ აგრე სული უწუხს სამი ქალიშვილის სახლში ჯდომით... მე, შე დალოცვილო, ოთხი მყავს... ოთხი მყავს!.. ყოფილიყავი ჩემს ადგილას—გნახავდი რაც ამბავში იქნებოდი! კი!.. (გადის ბალკონზედ კაჯავრებული).

მართა. ჰმ!.. წინდაწინ ვიცოდი ამისთანა ამბავს დამაწევდა მაგ შეჩვენებული!.. ტყუილა კი არ დამეცეცხლა ეზოში რომ ფეხი შემოდგა?.. შენმა სიცოცხლემ, შენ მე გზა გადამიარო! (მიდის ბალკონის კარებთან) ოსიკო ჩემო, არ დაგგრილოს, შენ გენაცვალე, ნათამაშები ხარ!.. გაოფლიანებული ხარ!.. აქ შემოგძანდი, შენი ჭირიმე!.. არ გაცივდე!..

ოსიკო. არა ბატონო (შემოვა).

გამოცვლა მეცამეტე

მართა და ოსიკო.

მართა. აგერ დაბძანდი, შენ გენაცვალე!.. (დიმიდით და ეშმაკურათ) შენთან ერთი სიდუმლო მაქვს!.. კი ნუ იუცხოვებ ჩემს სიტყვას... დედაშვილობამ, ჩემი ივ-

ლიტეს სიყვარულობა მოლაპარაკებას — თავად ის მოგიყვება, თუ რა სიყვარულობა გვქონებია ერთმანეთში!.. მწარე გულით მონდომებული ვარ, მისი ჭირი შემეყაროს, რომელიმე უხეირომ მის კაი ოჯახში ფეხი არ შესდგას—ახლა ყველა აჩრის ყმაწვილებს ქალს—ადვილათაც შეაცდენენ კიდეც გამოუცდელ ყმაწვილს—ძვირფასი მისი სიცოცხლე და მისი კეთილი და საყვარელი გული არ დამეჩაგროს!.. დროა აწი შენთვისაც, დედა-შვილობამ ოჯახს მოეკიდო, ის შენი კაი დედის გულიც გაახარო შენი ბედის დანახვით!.. თქვენი ოჯახის სიკეთე რომ მსურს სულითა და გულით, იმიტომ გეთამამები და ასე პირდაპირ გეუბნები, თვარა სხვისთვის ენასაც არ გავანძრევ!.. არ მომიკვდეს შენი თავი!.. ე ჩემ ნათლულს რომ უყურებ, შეხედულობით ხომ არი და არი—უკეთესობა რაღა მოეთხოვება ქალიშვილ ქალს... თავათ ხედავ, შენ გენაცვალე, ამასთან რა ძვირფას ხასიათი, საოჯახო საქმის მცოდნე, მოხერხებული სიტყვა-პასუხი... გამოგაჩენს კაცთან!.. ოჯახს გაანათლებს, დედაშვილობამ, ოჯახს გაანათლებს!.. გარდამეტებული ერთგული ოჯახისა და ქმრისა—მეორე ძნელად თუ გამოვიდეს მაგისთანა!.. მზითევზედ თუ იტყვის კაცი — შენისთანა ყმაწვილი არც კი უნდა გამოეკიდოს მზითევს!.. დედაშვილობამ, ძვირფასი ცოლი გეყოლება ყოველნაირათ!.. ნუ დაჰკარგავ ამისთანა ძვირფასს ქალს!.. ენდვე ჩემს სინიდისს, სასარგებლო და საბედნიერო საქმეს გირჩევდე!..

ოსიკო მადლობას მოგახსენებთ... მარა...

მართა. რა მარა, შე კაცო!.. მერწმუნე შესადარს ვერსად ნახავ...

ოსიკო. დანიშნული მყავს, თვარა თქვენს რჩევას...

მართა. დანიშნული გყავს?! მომკალი და აქამდისინ არ გამახარე?!. გაგაბედნიეროს, შვილო, ისე რავარც შენ გუნებას ენატრებოდეს!.. ერთობ გამხარებია, შენ ნუ მომიკვდები!.. ერთობ გამხარებია!.. რატომ მიმალავდი მერე, შე კაი კაცო?..

ოსიკო. არა ბატონო!.. შემთხვევა არ მომეცა მეთქვა!

ბამოსვლა მეთოთხმეტე

იგინიგე, ონისიმე და დარისპანი.

ონისიმე. ბიძიკო, აღარ წევიდეთ აწი? გაგიტკბა, მგონი, აქ ყოფნა!..

მართა. თქვენ მაინც რატომ არ გამაგებინეთ, ბატონო ონისიმე, რომ ჩემს ოსიკოს დანიშნული ყოლია, ა?

დარისპან (გაოცებით). დანიშნული ყოლია?!.

ონისიმე. მეც ახლა გავიგე*თქვენ ნუ მომიკვდებით,—აგერ ამ თქვენს ბალკონზედ, რჩევას ვაძლევდი ერთ-ერთი ამ ჩვენს ქალიშვილებში ამოერჩია... უკვეთეს სადღა ნახავს,—საქმე გეეთავებინა და მაშინ გამომიცხადა თავისი ამბავი და, მართალი უნდა მოგახსენოთ, კილოზედ შევატყე, რომ შენანებულია, ამ ქალიშვილების დანახვის შემდეგ, რომ ცოტა აჩქარებულა მაგ ჩემი ნათესავი კაცი და საქმე სხვაგან გაუთავებია!..

მართა. სანანებლად ღმერთმა ნუ გაუხადოს!.. თვარა დროით სჯობია შეცდომის გასწორება!.. სანამ კიდევ მოეხერხება!..

დარისპან. რასაკვირველია, რასაკვირველია!...

ოსიკო. მშვიდობით ბძანდებოდეთ!..

მართა. დიდათ მესიამოვნებოდა, რომ არ აჩქარებულიყავით!..

ოსიკო. გმადლობთ!.. ხვალ ადრე უნდა გიახლოთ...

ონისიმე. დილით აპირობს გაბრუნებას, სწორედ!.. მშვიდობით ბძანდებოდეთ. (ბელაგია, ნატალია და კაროჟნა ამას წინად შემოვიდნენ; გამოეთხოვებიან, გაუვება მართა).

დარისპანი. წამო, ბოშო, შენ აქ!.. (კაროჟნა მიჭეჭვება იმ ოთახში, სადაც დარისპანს ეძინა).

გამოსვლა მეთხუთმეტე

ბელაგია. დანიშნული ყოლია მაგ ოხერს!..

ნატალია. რა იყო ახლა... რას გამორჩით, რომ მაიმუნივით მაჩანჩალეთ ვიღაც ოხრის წინ? რას გამორჩით?

ბელაგია. დეიწყე .. დეიწყე შენებურათ!.. მოგეცა მიზეზი!..

ნატალია. სიკვდილი სჯობია თქვენს ხელში ყოფნას, სიკვდილი!.. არც კი გესმით რას ჩადიხართ!.. დეინახავთ ვიღაც ოხერს თუ არა და...

ბელაგია. აბა რა ვქნა, შე დაწყევლილო, რა ვქნა, რა?— მასწავლე ერთი!.. ღმერთმანი, აღარ ვიცი, რა შავ წყალში გადავარდე!.. შე უკულმართო, თუ კაცს შენი თავი არ დაანახვე, შენი ღირსება არ აჩვენე — ისე რომელი სულელი მოგკიდებს ხელს? რომელი გადარეული გეცემა—ცოლათ წამომყევიო?!

ნატალია. გადარეულებიც და სულელებიც თქვენვე ხართ...

ბელაგია. გაგიხმა მაგ მწარე ენა, შვილო!.. მაგ მწარე ენა გაგიხმათ!.. რატომ გაუჩნდით თქვენ თქვენს დედას საწვალებლად, რატომ, რატომ?

ნატალია. არავინ არ გაწვალებთ... თქვენ იწვალებთ თავს... თქვენვე!.. თავი დაგვანებე, ათასჯერ მითქვამს...

ბელაგია. ათასნაირად ვეწვალები, თავს ვაკლავ—კაცმა ხელი არ მოგკიდათ... თავი რომ გაგანებოთ, ვიღა შემოგხედავთ, თქვე შავდღეზე გაჩენილებს, ვიღა—?!.— უნდა ჩაბერდეთ თქვენს ნაცარში, თქვე უბედურებო?!.

ნატალია. ჩავბერდებით—ჩავბერდებით!.. რა ვქნათ ახლა?

ბელაგია. უმადურებო, უმადორებო!.. ჩემი შრომის მაგიერია!.. ვაი დედი თქვენის ბრალი... ვაი დედი თქვე-

ნის ბრალი თქვენს ხელში!.. (გულდაწყვეტილი გადის, ნატალიაც უკან გაჰყვება, შემოსულ დარისპანს რომ დაინახავს).

გამოსვლა მეთექვსმეტე

დარისპან და კაროჟნა.

დარისპან. ხომ არაფერი დაგვიწყებია, ბოშო

კაროჟნა. ყაბალახი რა უყავი?

დარისპან (დეიხედავს) ჰმ! დაძებნე იქ ეგდება სადმე!.. ყაბალახი კი არა, რატომ ჩემი თავი არ მავიწყდება, რაც შენი გულისათვის მე უსიამოვნობა მხვდება!.. რა ვქნა, რა გაჭირდა ერთი ქალიშვილის გათხოვება? აბა დანარჩენები ჩამრჩენია ხელში და ეს არის!..

კაროჟნა (უაბალახს გამოიტანს და ბეჭებზედ მოახვევს). მიაგდებ ყოველთვის სადმე!..

დარისპან. შენ მიგაგდებდე სადმე, შვილო, რამე რიგათ და ამისთანა ყაბალახს თუ გინდა ათასს ჭირი მოუჭამია!

გამოსვლა მეჩვიდმეტე

იგინაგე და მართა.

მართა. მიემგზავრები, დარისპან?

დარისპან. გოვუდგები გზას, შენი ჭირიმე... რალას შევაჩერდე აწი... ნეტავი ადრეც გამედგა ფეხი... ერთი წამით შემოვიარე და უსიამოვნობის მეტი რა მოგაყენე?!. ჭურჭელი დაგიმტვრიე, კიღამ ჩხუბი აგიტეხე...

მართა. კაი, თუ გიყვარდე!.. რა იყო ამ გლახაკმა, წასვლისას რომ დაგვახალა დანიშნული მყავსო... დიდი ამბავი არ გამოგვიცხადა?! ჰმ!.. ორ სიტყვას ძლივს უყრის თავს და რავა მოაქვს თავი!.. დავასხი ლა-

ფი!.. დედამისის პატივისცემით, თვარა სულაც სახლში შემოსაშვები არ იყო!.. დედა მისივით იპრანჭება და იგრიხება! მაგისთანა ყმაწვილისათვის რავა ავწრიალდები!.. აჩქარებული კაცი ხარ, დარისპანი ნუ მომიკვდება!..

დარისპან. ჰმ!.. ნუ აჩქარდები, შენ გენაცვალე!.. ამას გარდა სახლში სამი ამხელა მიზის კიდევ!.. სამი ეგერ შენს ნათლი-დედას ყავს... სამი იმ დიდ ბატონ ონისიმეს... რომელ ოჯახს ნახავ, ასე არ იყოს!.. ნუ აჩქარდები, როცა ამდენ ქალიშვილებზედ ძლივს ერთ ორ ცოლის მთხოველ ყმაწვილს ხვდები მხოლოდ!.. ნუ აჩქარდები—ყველა ჩაგაბერდება ხელში!.. მოვკვდი, მართა ჩემო, მოვკვდი, ისეთი ცეცხლი მადგა ამათთაგან!.. ნამეტანი გავწვალდი!.. აღარა ვარ კაცი!.. თუ ხვალაც ვერაფერი გავარიგე იმ ჩემი ცოლის ნათესავისას—უნდა გავანებო თავი ყოველივ მაცადინობას. აღარ შემიძლია მეტი. გაგიძღვეს, შვილო, აწი დედაშენი... იარეთ ხან ფეხით, ხან ურმით, თუ კიდევ ვინმემ გათხოვათ—ცხენითაც... ეძიეთ აწი თქვენ სასიძო კაცი!.. მე აღარ შემიძლია მეტი... აწი დედაშენმაც გამოსცადოს, რაც მე ამ შენს პოწიალში გამოვცადე!..

კარაჟნა. ჩემი რა ბრალია, ბატონო.. ყოველთვის რომ ასე მომსდგები?

მართა. სუთ, შენ გენაცვალე! შენი რა ბრალია შვილო!..

დარისპან. აბა ვისი გულისთვის ვეწვალები ასე, ბოშო?

კარაჟნა. მე არა გთხოვთ გათხოვებას... ვიქნები ჩემთვის!..

დარისპან. იქნება მისთვის!.. ჰმ!.. შენახვა არ გინდა, ქალბატონო? ვერ შეგინახეთ ყველა, ბოშო, ვერა!.. მინდა პატრონს ჩაგაბარო... რომ ვერსად შევხვდი იმ სულწაწყმენდილს!.. მარა ვაი თუ ღმერთს არც კი გეეჩინოს თქვენი ბედი და ილბალი!.. ვაი თუ კენ-

ტებათ ყავხართ გაჩენილები?!. შვიდობით, შვიდობით, შენი ჭირიმე!.. გამოეთხოვე, ბოშო.

მართა (ჭკოტნის კარიჯანს). შვიდობით მამიდა!.. ნუ გეშინია. კი ეყოლება ღმერთს შენთვის შენი ბედი... კი ეყოლება!..

დარისპან. ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოს... ჰმ!.. ბატონ პელაგიას გამოუმშვიდობებლათ მივდივარ!..

მართა (უძახის კარებში). პელაგია!. დარისპანს გამოგემშვიდობოს უნდა!..

გამოსვლა მეთვრამეტე

იგინაგე, პელაგია და ნატალია.

დარისპან. ბატონო პელაგია, რალაც გეწყინათ ჩემგან!.. გეფიცებით არავითარი დანაშაულობა არ მიმიძღვის თქვენს წინაშე... ტყუილა იფიქრეთ, ვითომ იმ მუნჯ ბიჭზედ რამე განძრახვა მქონებიყოს!.. იმედია, ეხლა ალარ მიწყრებით!..

პელაგია. არა ბატონო... რატომ ნებულობთ!..

მართა. საწყენი რა შეხვდომია? ერთმანეთის ვერ გეიგეთ, სხვა არაფერი!..

დარისპან. რასაკვირველია!... იმისთანა ბიჭის გულისთვის რავა წეევიკიდებით ჩვენისთანა ქალიშვილების პატრონები!.. იმისთანების რა გვცოდნია, ა, არა, ბატონო პელაგია?!.

მართა. რასაკვირველია!.. დავასხი იმას თავსლაფი!..

დარისპან. ასე, ბატონო პელაგია,—იმედია, დეივიწყებთ ყოველივე უსიამოვნებას და როცა ჩემი მართა აგერ ამ მოკლე ხანში ჩემი ქალიშვილის ქორწილში მესტუმრება—თქვენც მცემთ პატივს და ოჯახს გამინათლებთ თქვენის წვევით!.. პატივისცემა ჩემს კისერზედ იყვეს,

ჩვენც მოვილხინოთ ერთი!.. ოღონდ ბედი გამოჩნ-
დეს ამ ქალბატონის!..

მართა. გამოჩნდება... გამოჩნდება, დარისპან!..

დარისპან. თუ მაგის იმედიც მოგვესპო, დავიღუპებით და ის
იქნება, შენ გენაცვალე... წმინდად დავიღუპებით!..
უკაცრავად, უკაცრავად!.. შეგაწუხეთ მეტის ლა-
პარაკით!.. შვიდობით ბძანდებოდეთ — შვიდობით
ბძანდებოდეთ!.. (კრებთან) ღმერთო კეთილად დაა-
ბოლოვე ჩვენი მგზავრობა.

(ფარდა)

დ. ჯ. ჯოდიაშვილი.

უსინათლო მემუსიკე

ვლად. კოროლენკოსი

(ეტიუდი)

თავი მეოთხე *)

I

ბნელით მოცული თავი უსინათლოსი ახალ-ახალის წარმოდგენებით თან-და-თან მდიდრდებოდა. გავარჯიშებულის სმენით თავისს გარშემო ბუნებას თან-და-თან უფრო ღრმადა და უკეთ იცნობდა. მისს გარშემო წინანდებურად ისევ გაუმსჭვალი ღრმა წყვდიადი იყო; მძიმედ დასწოლოდა სქელი ღრუბელივით ეს წყვდიადი ბავშვის ტვინსა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დაბადებიდგანვე დაყოლილს სიბნელესა და უბედურებას თითქოს უნდა შესჩვეოდა, ბავშვის ბუნება რაღაცა ალღოს ძალით ერთ-თავად მაინც იმასა სცდილობდა, რომ ეს ბნელეთის ფარდა როგორმე აეხადა, განთავისუფლებულიყო. ამ რიგად მუდმივი, გაუგებარი მისწრაფება უცნობ სინათლისადმი არც ერთს წამს ბავშვს მოსვენებას არ აძლევდა და მისს სახეს თან-და-თან ღრმადა და ღრმად ასომდა ბეჭედს ბუნდოვან ტანჯვისა და სურვილისას, რომ ყოველივე ეცნო და დაეძლია.

მაინც განიცდიდა ხოლმე ნამდვილს კმაყოფილებასა და ბავშვურს აღტაცებას, როცა-კი ნაცნობი შთაბეჭდილებანი ახალს რამ ძლიერს შეგრძნებას აგრძნობინებდნენ და მისთვის

*) იხ. „მოამბე“ № I 1904 წ.

უხილავ ქვეყნიერების ახალს მოვლენას აცნობდნენ. დიდებული და მძლავრი ბუნება მთლად როდი იყო უსინათლოსათვის კარ-დახშული, გაუგებარი. ერთხელ, მაგალითად, მდინარის ფრიალო ნაპირზედ რომ მიიყვანეს, განსაკუთრებულის გატაცებით დაუწყო ყურის გდება, ძირს წყალი როგორ მიშხუოდა და გულის ფანცქალით ეჭიდებოდა დედის კაბასა, ფეხთ ქვეშ რომ ქვები ეცლებოდა და ძირს მდინარეში გაჰქონდათ ტყაპანი. ამის შემდგომ სიღრმე მუდამ წყლის ჩუმ ბურტყუნათა ჰქონდა წარმოდგენილი, იქ, მდინარის ფრიალო ნაპირიდან რომ მოესმა,—ან კიდევ კენჭების შეშინებით ძირს ჩაცვივნადა.

შორის მანძილი მისს ყურს მიმწყდარ, ბუნდად მონადენ სიმღერადა ჰქონდა წარმოდგენილი; ხოლო როდესაც გაზაფხულზე ქუხილი ასტყდებოდა და მრისხანედ იწყებდა გრგვინვასა, ცის სივრცეში გაიბნეოდა, უსინათლო რაღაც კრძალულის შიშით დაუწყებდა ხოლმე ყურის გდებასა, გული გაუგანიერდებოდა და წარმოიდგენდა ხოლმე, რაოდენად დიადი და ფართე უნდა ყოფილიყო ცის ქვეშეთი.

ხმებითა სცნობდა ამ რიგად უმთავრესად, თუ მისს გარშემო ქვეყნიერება რას წარმოადგენდა. დანარჩენი შთაბეჭდილებანი მხოლოდ ავსებდნენ და ჰშველოდნენ სმენასა, ყველა მისნი წარმოდგენანი სმენისათვის გარკვეულის ფორმით იხატებოდნენ.

ხან-და-ხან, შუადღის გულზე, სიცხეში რომ ირგვლივ ყველა გაჩუმდებოდა, ხალხის ხმა და მოძრაობა მისწყდებოდა და ჰაერში ის საგანგებო დუმილი ჩამოვარდებოდა, რომელიც ადამიანს განუწყვეტელსა და ჩუმს, სიცოცხლის ძალის ნელს მოძრაობას აგრძნობინებს ხოლმე მხოლოდ, მაშინ უსინათლოს სახესაც საგანგებო გამომეტყველება აღებეჭდებოდა ხოლმე. გეგონებოდათ მაშინ, ამ დუმილის გავლენის ქვეშ სულის სიღრმიდგან რაღაცა მხოლოდ მისთვის გასაგონი ხმები მოესმის და ამ ხმებს დიდის ყურადღებით თვითონვე უგდებს ყურსაო. გეგონებოდათ, ეს არის გაურკვეველი რამ აზრი ჩაესახა და ეს აზრი ბუნდოვან მელოდიასავით გაისმა მისს გულშიო.

II

უკვე მეხუთე წელში გადადგა. ტანათ სუსტი და გამხდარი იყო, მაგრამ კარგად დადიოდა და მთელს სახლში თავისუფლად დარბოდა. უცნობს რომ ვისმე ენახა, როგორ გულდაჯერებული გამოვიდოდა ხოლმე ოთახებში და მიუხვ-მოუხვევდა, სადაც-კი ეს საჭირო იყო, ან როგორ ადვილად პოულობდა საგნებსა, იფიქრებდა უთუოდ, რომ მის წინ უსინათლო-კი არა, მხოლოდ უცნაურად ჩაფიქრებული, გაურკვეველად თვალებ-გაშტერებული ბავშვი იდგა. მაგრამ ეზოში-კი ძალიან უჭირდებოდა ხოლმე სიარული და მუდამ ჯოხს იშველიებდა. თუ შემთხვევით ჯოხი არ ექმნებოდა ხელში, მაშინ-კი ხოხვასა რჩებოდა და თან ყველა საგნებს სწრაფად იკვლევდა ხოლმე ხელითა.

III

ზაფხულის წყნარი საღამო იყო. ბიძია მაქსიმი ბაღში იჯდა. მამა, ჩვეულებისამებრ, სადღაც შორს მინდვრად დაგვიანებულიყო. ეზოში და ირგვლივ სიჩუმე იყო. სოფელი სთვლემდა; მოსამსახურეებისა და მუშების ხმაც მისწყდა. ნახევარ საათი იყო უკვე, რაც ბავშვი დაეწვინათ.

ბავშვი უკვე სთვლემავდა, მაგრამ ბოლოს დროს რაღაცა უცნაური მოგონება დასჩემდა ამ დუმილის დროსა. რასაკვირველია, ვერა ჰხედავდა ხოლმე უსინათლო, ლაჟვარდს ცას ბინდი როგორ გადაეკვროდა, ხის წვეროები როგორ ირხეოდნენ და ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზედ როგორა კრთოდნენ, ან ირგვლივ შენობები როგორ მოიღუშებოდნენ და ლურჯი ნისლი მთვარისა და ვარსკვლავების შუქისა როგორ მოეფინებოდა ხოლმე დედამიწასა. მაგრამ მაინც, ეს რამდენიმე დღე იყო, რაღაცა განსაკუთრებულის მომხიბლველ შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ იძინებდა, რის ანგარიშსაც თავისს თავს სრულიად ვეღარ აძლევდა ხოლმე მეორე დღესა.

როგორც-კი ღრმა ბურანში შეეიდოდა და წიფლების ფოთლის შრიალიც თითქოს მთლად მისწყდებოდა და ველარ არჩევდა ველარც სოფლის ძაღლების შორეულს ყეფას, ველარც ბულბულის სტვენას წყალ გაღმა და ბალახზე დაბმული კვიცის ჟღარუნების მელანხოლურს ჟღრიალს, როგორც-კი ცალკე ხმები მთლად მიილეოდნენ და გაჰქრებოდნენ, წარმოიდგენდა ხოლმე მაშინ უსინათლო, რომ ყველა ისინი, ერთ, მწყობრ და ჰარმონიულ ხმათ შეერთებულნი, ფანჯრიდგან შეეპარებოდნენ და თავს დასტრიალებდნენ; რაღაცა გაურკვეველს, მაგრამ სასიამოვნო, ტკბილს ოცნებებს ჩასჩურჩულებდნენ. დილით მერე მთლად მოთენთილ-მინაზებული იღვიძებდა ხოლმე და დაუწყებდა დედას კითხვასა:

— რა იყო ის გუშინ... საღამოზედა?.. რა იყო?..

ვერას გაუგებდა ხოლმე დედა და ფიქრობდა, უთუოდ ბავშვს სიზმრები აღელვებენო. თვითონვე ჩააწვენდა ხოლმე ლოგინში, გადასწერდა პირჯვარსა და გაჰშორდებოდა იმ დროს, როცა უკვე თვლემას იწყებდა; მაშასადამე, საგანგებოს ვერასფერს ჰნიშნავდა. მაგრამ ბავშვი მაინც ეკითხებოდა ხოლმე მეორე დღეს, ის რა იყო, რომ ისე სასიამოვნოდ მიღიტინებდა საღამოთიო.

— ისეთი კარგი იყო, დედი, ისეთი, რომ! რა იყო, ჰა?

ერთს საღამოს დიდ-ხანს აღარ მოსცილებია დედა შვილის ლოგინსა, რომ ეს უცნაური გამოცანა გამოეკვლია როგორმე. იჯდა შვილის გვერდით სკამზე და ჰქსოვდა; თან თავისს პეტრუსის თანაბარს სუნთქვას უგდებდა ყურსა. ეგონა დედას, ეგ არის მთლად ჩაეძინაო, რომ უცბად ბნელაში შვილის ხმა შემოესმა:

— დედი, აქა ხარ?

— ჰო, შვილო, აქა ვარ...

— წადი, დედა, გეთაყვა; შენი ეშინიან უთუოდ, რომ აქამდის არსად არის. აგერა, თითქმის ჩამეძინდა კიდეცა, მაგრამ ის-კი არსადა სჩანს...

განცვიფრებული დედა რაღაცა უცნაურის გრძნობით უგდებდა ყურს ნამძინარევი შვილის ჩურჩულით ჩივილსა... ისეთის რწმენითა ლაპარაკობდა ბავშვი სიზმარში ნაოცნებარზე, გეგონებოდათ ნამდვილად ნანახს გიამბობთო. მაინც წამოდგა დედა, დაჰკოცნა შვილი და ჩუმად გამოვიდა, რომ ბაღის მხრივ ღია ფანჯარასთან შეუმჩნეველად მისულიყო და თვალი ედევნებინა.

შემოვლა ვერ მოასწრო დედამ, რომ გამოცანა თავისს თავად გამოირკვა. უცბად საჯინიბოდამ ოდნავი სალამურის ხმა მოესმა, რომელიც სამხრეთ სალამოს მომხიბლველს შრიალს უერთდებოდა. მიჰხვდა მაშინათვე დედა, რომ ბავშვის საამური მოგონებათა მიზეზი უთუოდ ეს სალამურის ხმა უნდა ყოფილიყო, რომელიც თვლემის ფანტასტიურს ჟამს ასე უახლოვდებოდა, ენათესავებოდა.

შედგა თვითონ დედაცა, მალოროსიულს, გულის სიღრმიდგან გრძნობით ამოთქმულს სიმღერას ერთს წამას ყური მიუგდო და სრულიად დამშვიდებულმა ბაღის ბნელ ხეივნით ბიძია მაქსიმისაკენ გასწია.

„კარგათ უკრამს იოხიმე,—გაიფიქრა დედამ. საკვირველია სწორედ, ამ გარეგნობით მოუხეშავსა და ბრიყვს „ხალოპს“ (გლეხი, შინა-ყმა) ამოდენი ფაქიზი გრძნობა საიდგანა აქვს.

IV

მართლაც-და კარგად უკრავდა იოხიმე. ეშმაკურს სკრიპკასაც-კი არ შეუშინდებოდა ხოლმე და კვირაობით, როცა-კი დრო ჰქონდა, იმაზე კარგად დუქანში „კაზაჩკასა“ და მხიარულს პოლონურს „კრაკოვიაკას“ ვერავინ უკრავდა ხოლმე. როგორც-კი ტახტის კუთხეში მიჯდებოდა, მიიკრავდა მაგრად სკრიპკის ბოლოს გაპარსულს ნიკაპზე, ბატკნის ფოფოხსაც კისერზე მოიგდებდა კოხტათა და დაჰკრავდა ქამანჩას რბილს სიმებზე, დუქანში ყველა იმავ წამს ცეკვას დაუვლიდა ხოლმე.

ცალ-თვალა ბებერი ებრაელიც-კი, იოხიმეს რომ კონტრაბასზე ბანს ეუბნებოდა, ისაც-კი უზომოდ გახურდებოდა და გამოცოცხლდებოდა ხოლმე. მისი მოუხეშავი „საკრავიც“ გახურებული სცდილობდა ხოლმე იოხიმეს სკრიპკის სუბუქსა და საამურს ხმებს არ ჩამოჰრჩენოდა; თვითონ ბებერი იანკელა-კი, მხრების მაღლა-მაღლა თამაშით აქნევდა ხოლმე მოტიტვლებულს არახჩინიანს თავსა და ისევე ცმუკავდა და ხტოდა, როგორც იოხიმეს ცელქი და სიცოცხლით სავსე მელოდია. რაც შეეხება მირონცხებულს ხალხს, რომელსაც ძველთაგანვე ფეხები ისე აქვს მოწყობილი, რომ მხიარულ სიმღერის გაგონებაზე თვითონვე იწყებენ ბუქვნასა, ესენი ხომ, რა თქმა უნდა, არ ჩამორჩებოდნენ ხოლმე სხვებსა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც იოხიმემ მეზობელ ბატონის მოსამსახურე მარია გოგო შეიყვარა, მხიარული სკრიპკა სულ მთლად როგორღაც მოიძულა. ვერ შესძლო მართლაც მალხაზი გოგოს გულის მოხიბლვა სკრიპკამა და მარიამ მემუსიკე-ხახოლის ულვაშებიანს „დინგს“ პირტიტველა ნემეცი კამერდინერი ამჯობინა. მას შემდეგ დუქანში და სალამოებზე იოხიმეს სკრიპკის ხმა ალარავის გაუგონია. ჩამოჰკიდა საჯინობოში პალოზე სკრიპკა და ალარავითარს ყურადღებას არ აქცევდა, თუ სინესტისა და დაუდევრობისაგან მისს ძველად საყვარელს საკრავს ერთი მეორეზე სიმები აწყდებოდა. ისე მჭახედ და ჩივილით-კი აწყდებოდა სიმები, რომ ცხენებიც-კი თანაგრძნობითა და გაკვირვებით გადაჰხედავდნენ ხოლმე გამძვინვარებულს პატრონსა.

სკრიპკის მაგივრად იოხიმემ ერთის გზად გამვლელ კარპატელ მთიულისაგან ხის სალამური იყიდა. იოხიმეს აზრით, მისს მწარე ბედსა და უარყოფილი გულის ბოლმას სალამურის წყნარი და ტკბილი, გულის სიღრმიდგან ამოთქმული ხმები უფრო შეჰფეროდა, ვიდრე სკრიპკა. მაგრამ მოატყუა მთიულის სალამურმა. ერთი ათჯერ მაინცა სცადა სხვა-და-სხვა რიგად თვლების აყოლება; ხან მოსჭრა და წყალში დაასველა, მერე მზეზე გააშრო, ხან ბაწრით ჩარდახში ჩამოჰკიდა, რომ ქარს თავისუფლად ექროლა, მაგრამ არ იქნა, არა ეშველა-რა:

მთიულის სალამური ხახოლის გულს არ უგონებდა. უსტვენდა იქ, სადაც მღერა უნდოდა და ჟღრიალებდა იქ, სადაც ნელი თრთოლა, კანკალი უნდოდა; ერთი სიტყვით, დამკვრელის გულის თქმას არ ემორჩილებოდა. გაწყრა ბოლოს იოხიმე მაწანწალა მთიულებზედ, რომ არც ერთმა მათგანმა კაი სალამურის გამოჭრა არ იცოდა და გარდასწყვიტა თვითონ გაეკეთებინა ახალი. მთელი რამდენიმე დღე დალვრემილი დადიოდა მინდვრად და ჭაობებში, ჰსინჯავდა ყველა ტირიფსა და სათითაოდ უთვალიერებდა ტოტებსა; ზოგიერთს კიდეცა სჭრიდა, მაგრამ სულ არ მოსწონდა; რაც უნდოდა, ვერ პოულობდა. წარბებ-მოღუშული და გაცხარებული ეძებდა. ბოლოს, როგორც იყო, ერთს ადგილს ზარმაცად მზლოზნავ მდინარის ნაპირს მიადგა. დუმფარების თეთრს თავ-თავს წყალი ოდნავად არხევდა; სქლად დაბურულ ტირიფებს ქარი სულ მთლად არა ჰხვდებოდა და ჩაფიქრებულნი ჩუმად დაჰყურებდნენ წყლის ბნელსა და მდორე სიღრმესა. გადასწია იოხიმემ ბუჩქებსა, გადაკიდა წყლის პირად, ერთს წამს გაჩუმებული იდგა და უცბად დარწმუნდა, რომ, რასაც ეძებდა, უთუოდ აქ უნდა ენახა. ღრმად შეკრული ნაოჭები შუბლიდან უცბად გაუქრა. ამოიღო საცვეთ ქვეშიდან თასმაზე დაბმული დასაკეცი დანა, ტირიფის საიდუმლო მოჩურჩულე ბუჩქებს ყურადღებით თვალი მიმოავლო და ჩამოჭმულ ფლატეს პირად მდგომს ერთს წვრილს, პირდაპირს ღეროს გაბედვით მიუახლოვდა. ვგონებ, საცდელად, თითი შემოჰკრა, სიამოვნებით გადაჰხედა, რო ჰაერში სუბუქად შეირხა, მისს ფოთლების შრიალს ყური მიუგდო და თავი დაიქნია.

— Ото-жъ воно самесенькее, — წაიბურტყუნა იოხიმემ კმაყოფილადა და წინანდელი მოჭრილი წკეპლები ყველა წყალში გადაყარა.

სანაქებო სალამური გამოუვიდა. გამოაშრო ტირიფი, გახურებულის მავთულით გული გამოსწვა, ამოსწვა ექვსი რგვალი თვალი, მეშვიდე სიგანეზე ამოუჭრა და ერთი მხარე ხის რიკით დაუცო, რომელსაც მხოლოდ პაწია ნაჩვრეტი დაუტო-

ვა. მთელი კვირა მერე წვრილ ბაწარზე ეკიდა და მზეზე ხმებოდა, ქარი შეჰზუზუნებდა. მერე გულდადებით, ლამაზად გაფხიკა დანითა და შუშითა და ხამი მაუდის ნაჭრით მაგრა გაწმინდა. ზედაპირი რგვალი ჰქონდა, შუადამ მოკიდებული სწორედ და თანაბრად გამოკვერცხილი კუთხეები, რომელზედაც მოკაკულის გახურებულის რკინით სხვა-და-სხვა ეშმაკური სახეები ამოსწვა. რამდენჯერმე სწრაფად აათამაშა თვლები, აღელვებულმა თავი კმაყოფილებით გაიქნია, შეჰყვირა და ფრთხილად შეინახა ლოგინ გვერდით. არ უნდოდა პირველად დღისით, არეულობაში, ეცადა თავისი საკრავი სამაგიეროდ, დალამდა თუ არა, საჯინიბოდან ნაზი, ღრმად ჩამაფიქრებელი, ჭრელი და მთრთოლვარე სალამურის ხმა მოისმა. თავისის სალამურით იოხიმე მთლად კმაყოფილი იყო. გეგონებოდათ, თვითონ მისის არსების ნაწილს შეადგენსო; მისი ხმა თვითონ იოხიმეს მხურვალედ აღგზნებულ გულიდან ამონახეთქს ნაზს ხმას წაგავდა; მისის გრძნობისა და მწუხარების ნამდვილი გამომხატველი იყო და გარინდებით ყურ-მიგდებულ საღამოს ჰაერში საამოდ ისმოდა.

V

იოხიმეს ეხლა მხოლოდ თავისი სალამური უყვარდა გატაცებითა და თავისს პირველს თვეს მასთანა დღესასწაულობდა. დღისით თავისს მოვალეობას პირნათლად ასრულებდა: ცხენებს წყალს ასმევდა, აბამდა და თავისი ქალბატონი ან მაქსიმი მიჰყავდა სადმე; ხან-და-ხან-კი რომ მეზობელ სოფლისაკენ გაუხვევდა, სადაც სასტიკი მარია სცხოვრობდა, გულს ნაღვლი დაუწყებდა ხოლმე ღრღნასა. მაგრამ შემოღამდებოდა თუ არა, მაშინვე მთელს ქვეყანას ივიწყებდა და შავ თვალ-წარბა გოგოს სახესაც-კი რაღაც ბურუსი გადაეკვროდა ხოლმე. მისი სახე მაშინ თავისს მწველს გარკვეულობასა ჰკარგავდა და მხოლოდ-ღა მკრთალად, ბუნდად წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ იმდენად, რომ საუცხოვო სალამურის დანამღერებს დამაფიქრებელი, ნაღვლიანი ხასიათი ჰქონოდა.

იმ ღამესაც ისრევე აღტაცებული ამღერებდა და აკანკალებდა თავისს სალამურს საჯინიბოში მწოლარე იოხიმე. სრულიად დაავიწყდა დამკვრელს არა მარტო სასტიკი ლამაზი, თვითონ საკუთარი არსებობაც-კი, რომ უცბად თოფ-ნაკრავივით შეხტა და ლოგინიდამ ფეხზე წამოვარდა. მაღალს, მგრძნობარე ფარდებში რო ავიდა, იგრძნო უცბად, რომ ვილამაც პაწია ხელი შეახო და სახეზე თითები სწრაფად და სუბუქად აუტარა; მერე ხელებს შეეხო და საჩქაროდ სალამურს დაუწყო სინჯვა. ამასთან გვერდით ვილასიც მღელვარე, სწრაფი, სუსტი სუნთქვა შემოესმა.

— Цуръ тобі, пекъ тобі,—წაილაპარაკა იოხიმემ ჩვეულებრივი შეჩვენება და ჩაეკითხა:—Чортове, чи боже?—უნდოდა შეეტყო, მართლა ხომ ავი სული არსაიდან ამიჩნდაო.

მაგრამ ღია კარებიდგან შემონაშუქებმა მთვარემ დაანახვა, რომ მოტყუვდა. კოიკასთან (ტახტთან) ბატონის უსინათლო შვილი იდგა და თავისს პაწია ხელებით ეპოტინებოდა.

ერთი საათის შემდეგ რომ დედამ მძინარე პეტრუსის დახედვა მოინდომა, ბავშვი ლოგინში აღარ დაჰხვდა. თავდაპირველად ცოტა არ იყოს შეშინდა, მაგრამ დედობრივმა ალღომ მალე წასძახა, დაკარგული სად უნდა მოეძებნა. შეჰრცხვა საშინლად იოხიმესა, რომ დაისვენა და შეჰხედა უცბად, მისი „მოწყალე ქალბატონი“ საჯინიბოს კარებში იდგა. ეტყობოდა უკვე რამდენიმე წამი ასე მდგარიყო, სალამურისათვის ყური ეგდო და თან თავისს ბავშვისათვის ეყურებინა, რომელიც ტახტზე იჯდა ახლა იოხიმეს ტყავში გახვეული და შეწყვეტილს სიმღერას ხარბად ყურს უგდებდა ისევა.

❧

ამის შემდეგ ბავშვი ყოველ საღამოს იოხიმეს სტუმარი იყო საჯინიბოში. მაგრამ დღისით აზრადაც არ მოუვიდოდა ხოლმე იოხიმესათვის რისამე დაკვრა ეთხოვა, თითქოს დღის ფაცა-ფუცსა და მოძრაობაში ბავშვის წარმოდგენიც ამ წყნარს

მელოდიებს ადგილი არც-კი ჰქონდათ. მაგრამ შებინდდებოდა თუ არა, პეტრუსის მაშინვე რაღაც მოუთმენარობა და კანკალი აიტანდა ხოლმე. საღამოს ჩაი და ვახშამი იმისი მაჩვენებელი იყვნენ, რომ სასურველი წამი ახლოვდებოდა და დედაც ვერ უკრძალავდა ხოლმე საყვარელს შვილს მთელი ორი საათი ძილამდე საჯინიბოში მჯდარიყო და სალამურისათვის ყური ეგდო, თუმცა მოწონებით როგორღაც ინსტინქტიურად სრულიად არ მოსწონდა ასეთი მუსიკალური სეანსები. ეს დრო ბავშვისათვის ახლა ყველაზე ბედნიერი დრო იყო და დედაც იჭვიანობდა მუდამ, რო ჰხედავდა, ბავშვი მეორე დღეს საც წარსული ღამის შთაბეჭდილებათა გავლენის ქვეშ იყო ხოლმე და მისს ალერსს წინანდებურად აღარ ეტკბოდა; მოეხვეოდა ხოლმე დედასა და თან-კი წინა ღამინდელს იოხიმეს დაკვრას იგონებდა დაფიქრებული.

ახლა ღა მოაგონდა დედას, რომ რამდენისამე წლის წინად, ქ-ნ რადეცკის პანსიონში რო სწავლობდა კიევში, სხვა „სასიამოვნო ხელოვნებათა“ შორის მუსიკასაც ასწავლიდნენ. მართალია, თავისს თავად ეს მოკონება არც იმდენად ტკბილი და საამური იყო, რადგან უნებურად მასწავლებელსაც აგონებდა, საშინლად გამხდარს, პროზაიკულსა და ბრაზიანს ნემეც ქალს კლაპსსა, რომელიც შესანიშნავის ხელოვნებით უმტვრევდა ხოლმე თითებს თავისს მოწაფეებსა, რომ საჭირო და შესაბამი მოქნილობა შეეთვისებინათ; მაგრამ მასთან უხშობდა ყოველგვარს გრძნობას პოეტურ მუსიკალობისას. მარტო ეს შიშიც საკმარისი იყო, რომ მოწაფეებს პანნა კლაპსი შესძულებოდათ, თორემ მისს პედაგოგურ საშუალებათ ხომ სულ არავითარი მნიშვნელობა არ ექმნებოდათ. ამიტომაც, გამოვიდა თუ არა პანსიონიდანა და გათხოვდა თუ არა, ანნა მიხაილოვნას თავისი მუსიკალური ვარჯიშობა აღარც-კი გაჰხსენებია. ახლა-კი, მესალამურე იოხიმეს რომ ყურს უგდებდა ხოლმე, ატყობდა, რომ იჭვიანობის შურთან ერთად მისს სულში რაღაცა ცოცხალ მელოდიის გრძნობა იღვიძებდა. ხოლო ნემეც ქალის საზარი სახე თან-და-თან იჩრდილებოდა, ნელ-ნელა ავიწყდებოდა. შე-

დეგად ამას ის მოჰყვა, რომ პანა პოპელსკაიამ სთხოვა ქმარს, ქალაქიდან პიანინო გამოეწერათ.

— როგორც გესურვოს, ჩემო მტრედო,—მიუგო სამაგალითო მეუღლემ.— თუმცა, ვგონებ, სამაგისოდ მუსიკა არა გყვარებია...

იმავე დღეს ქალაქში წერილი გაგზავნეს, მაგრამ ვიდრე იყიდიდნენ და ქალაქიდან მოიტანდნენ, მთელი ორი-სამი კვირა გავიდოდა.

საჯინიბოდან-კი ყოველ საღამოს მელოდიური კილოები ისმოდა და ბავშვიც იმავ წამს იქით გაჰკრავდა ხოლმე, დედას აღარც-კი ეკითხებოდა.

საგანგებო სუნი საჯინიბოსი და თივისა ხამი თასმების მწვავე სუნს უერთდებოდა. ცხენები წყნარად ახრამუნებდნენ და ახურიდგან ამოღებულს თივის ხვევას აშრიალებდნენ; შეიქაქანებდა თუ ჯრა მესალამურე და დაისვენებდა, მაშინვე ბალიდანაც მწვანე წიფლების ჩურჩული გაისმოდა ხოლმე. იჯდა ხოლმე მოხიბლული პეტრუსი და ყურს უგდებდა.

არასოდეს სიმღერას არ გააწყვეტინებდა და მხოლოდ, როცა თვითონ იოხიმე დაისვენებდა და ორიოდ-სამი წამი გაივლიდა, მაშინ-ღა შეეცვლებოდა ხოლმე ჩუმი მოხიბლვა რაღაცა ვნებით აღსავსე სიხარბეთ. წაეტანებოდა სალამურსა, ხელის ცახცახით აიღებდა და ტუჩებთან მიიტანდა. მაგრამ რაკი სუნთქვა ეკვროდა, პირველად როგორღაც კანკალითა და დაბლა ამოაღებინებდა ხოლმე ხმასა. მერე-კი ნელ-ნელა შეეჩვია და შეეთვისა ამ უბრალო საკრავსა. დაუწყებდა ხოლმე იოხიმე თვლებზე თითებსა და შეეჩვია ასე ხმის აყოლებასა, თუმცა პაწია თათი ბავშვისა თვლებს ძლივს აწვდენდა თითებსა. მასთან თვითოეულს ხმას ბავშვის წარმოდგენაში თავისი საკუთარი სახე და განკერძოებული ხასიათი ჰქონდა; იცოდა, მაგალითად, რომელს თვალში რომელი ხმა იყო დაბინავებული და საიდან რა გამოვიდოდა; ამიტომაც, როგორც-კი იოხიმე ნელ-ნელა ააყოლებდა თითებსა და უბრალო რასმე დაუკრავდა, მაშინვე ბავშვის თითებიც ათამაშდებოდნენ ხოლმე.

და ამ დროს გარკვევით ჰქონდა ხოლმე წარმოდგენილი, რომელი ხმა რომელ ადგილიდან ამოდიოდა.

VII

გავიდა ბოლოს სრული სამი კვირა და ქალაქიდან პიანინო ამოიტანეს. პეტია ამ დროს ეზოში იდგა და დაკვირვებით უგდებდა ყურსა, მუშები როგორ ფაცა-ფუცში იყვნენ და ემზადებოდნენ მოტანილი „მუსიკა“ ოთახში შეეტანათ. ეტყობოდა ძალიან მძიმე უნდა ყოფილიყო, რომ, რო ასწიეს, ურემმა მთლად ჭაჭაჭუჭი დაიწყო და კაცები კიდევ ძალზე ხვნეშოდნენ, ღრმადა სუნთქავდნენ. აგერა დაიძრნენ და წყნარად და მძიმედ წაიღეს, თან თვითოეულ ფეხის გადადგმაზე ზევით რაღაცას გუგუნი და წკრიალი გაჰქონდა. სასტუმრო ოთახში რომ იატაკზე დაუშვეს, ერთი კიდევ დაიგუგუნა ყრუთ, თითქოს გაჯავრებულია და ემუქრება ვისმეო.

ყოველივე ეს ბავშვს რაღაცა შიშს აგრძნობინებდა და ახალი, უსულო, მაგრამ მასთან მრისხანე სტუმარი როგორღაც აღარ იზიდავდა. მერე ბაღში წავიდა და აღარ გაუგია, როგორ დადგეს ფეხებზე, როგორ აწყობდა ქალაქიდგან მოსული კაცი მავთულის სიმებსა და უშინჯავდა კლავიშებსა. როცა მთლად მორჩნენ გაწყობასა, მაშინ-ღა უბრძანა დედამ— პეტიასათვის დაეძახათ.

ვენიდგან გამოწერილი საუკეთესო ოსტატის საკრავი რომ დაიგულა, ახლა-კი ადრევე დარწმუნებული იყო ანნა მიხაილოვნა, რომ უბრალო სოფლურს სალამურზე უთუოდ გაიმარჯვებდა. დარწმუნებული იყო იგი, რომ მისი პეტია საჯინიბოსა და მესალამურეს სრულიად დაივიწყებდა ახლა და ყოველგვარს სიხარულსა და სიამოვნებას დედისაგან იგემებდა. მომცინარე თვალებით გადაჰხედა მაქსიმთან ერთად მოკრძალებით შემოსულს ბავშვსა და იოხიმეს, რომელმაც ნება გამოითხოვა, უცხო ქვეყნიდან მოტანილ მუსიკისათვის ყური დაეგდო და კარებში იდგა დარცხვენით თავ-ჩაკიდული. დასხდნენ

თუ არა ბიძია მაქსიმი და პეტია ტახტზე და ანნა მიხაილოვნა-მაც პიანინოს კლავიშებს დაჰკრა ხელი.

უკრავდა იგი პიესას, რომელიც პანი რადეცკის პანსიონ-ში ყოფნის დროს ქალბატონის კლაპსის ხელმძღვანელობით სავსებით შეესწავლა. მართალია, არც ისრე მყვირალა იყო პიესა, მაგრამ საკმაოდ დიდს თითების მოქნილობას-კი მოი-თხოვდა. საჯარო გამოცდის დროს ანნა მიხაილოვნასა და მა-სწავლებელსაც განსაკუთრებით, ამ პიესის გამო დიდი ქება შეა-სხეს. მართალია, გადაჭრით ვერავინ იტყოდა, მაგრამ პევრი-კი მაშინვე მიჰხვდა, რომ ბ-ნი პოპელსკი სწორედ იმ ჟამად მო-ჰხიბლა პანნა იაცენკომ თავისის დაკვრით. ახლა-კი სულ სხვა შეგნებითა და ანგარიშით სცდილობდა ხელ-ახლად გამარჯვე-ბასა: უნდოდა ახალგაზრდა დედას ხახოლის სალამურით გა-ტაცებულის შვილის პაწია გული მიეზიდნა და დაეტყვევებინა როგორმე.

მაგრამ არ გაუმართლდა მოლოდინი: ვენიდგან გამოწე-რილმა საკრავმა უკრაინელს უბრალო სალამურს ვერა სძლია. მართალია, ვენურს პიანინოს დიდი ძალა, ძვირფასი ხე, საუ-ცხოვო სიმები, მშვენიერი ნამუშავრობა ვენელის ოსტატისა და ვრცელი, მდიდარი რეგისტრი ჰქონდა; მაგრამ უკრაინის უბრალო სალამურსაც თავისი მოსარჩლეები აღმოუჩნდნენ, რა-კი შინ, თავისს სამშობლო ბუნების ახლო იყო:

ვიდრე იოხიმე მოსჭრიდა და გახურებულის რკინით გულს ამოსწვავდა, აქ ქანაობდა, ბავშვისათვის კარგად ნაცნობ მდი-ნარის პირადა, უალერსებდა და ათბობდა უკრაინის მზე და იგივე უკრაინის ქარი უბერავდა, ვიდრე უკრაინელი მესტვირე თვალს დაჰკრავდა. ძნელი იყო ამიტომ უცხოეთიდგან მოსულ საკრავისათვის ადგილობრივ უბრალო სტვირთან შეჭიდება, რადგან მოევლინა ბავშვს იმ დროს, როცა ჩუმადა სთვლემავ-და და საიდუმლოებით მოცულს ღამეში მთვლემარე წიფლების შრიალი ისმოდა, როცა მთლად უკრაინის მშობლიური ბუნე-ბა გარს ერტყა.

და პანა პოპელსკაიაც ვერ შეედრებოდა იოხიმესა. მართალია, მისი წვრილი თითები უფრო სწრაფი და მოქნილები იყვნენ,—მელოდია, რომელსაც უკრავდა, რთული და მდიდარი და შრომაც დიდი ჰქონდა ქ-ნს კლაპსს გაწეული, ვიდრე თავისს მოწაფეს ძნელ საკრავზე დაკვრას ასწავლიდა. მაგრამ იოხიმესაც საკუთარი მუსიკალური გრძნობა ჰქონდა და მასთან უყვარდა კიდეც, ნაღვლობდა კიდეც და სიყვარულისა თუ მწუხარების დროს, ორსავე შემთხვევაში, მშობელს ბუნებას მიჰმართავდა ხოლმე. ასწავლიდნენ მას მარტივს სიმღერებს იგივ ბუნება, მისი ტყეები, ჩუმი ჩურჩული მინდვრის ბალახისა, ხმაურობა ტყისა და ჩამაფიქრებელი, ძველთა-ძველი მშობლიური სიმღერა, რომელსაც აკვანშივე ისმენდა ხოლმე ბავშვობისასა.

დიახ, გაუჭირდა ვენურს საკრავსა და უბრალო ხახოლის სტვირს ვერ აჯობა. არ გასულა სულ ერთი წამი, რომ ბიძია მაქსიმმა უცბად ყავარჯენი მკაცრად დააბრაგუნა იატაკზე. ანნა მიხაილოვნამ რომ შემოიხედა, მთლად გადაფითრებულ პეტრიკის სახეზე იგივე გამომეტყველება ამოიკითხა, რაც გაზაფხულის სამახსოვრო პირველ გასეირნების დღეს აღებეჭდა ბავშვს, ბალახზე რო იწვა.

თანაგრძნობით გადაჰხედა იოხიმემ ბავშვსა, მერე ნემეცურს მუსიკას გადაავლო საყვედურითა და ათვალწუნებით თვალი და სასტუმრო ოთახიდგან მძიმედ გავიდა გარეთ თავისის მოუხეშავ წაღების ფრატუნით.

VIII

ბევრი ცრემლი დაალვრევინა და დიდად შეარცხვინა ამ დამარცხებამ საბრალო დედა. მას, „მოწყალე ქალბატონს“ პოპელსკაიას, ერთს დროს რომ რჩეული „საზოგადოება“ ტაშის კვრით ეგებებოდა, უნდა სასტიკად ეგრძნო დამარცხება, და მერე ისაც ვისგან?—უბრალო მეჯინიბე იოხიმესა და იმის სტვირისაგან! როგორც-კი გაიხსენებდა, როგორის ათვალწუნე-

ბით გადაჰხედა იოხიმემ კონცერტს შემდეგ საკრავსა, მაშინვე სახე რისხვით აევსებოდა და „საზიზღარი ხალოპი“ გულწრფელად შესძულდებოდა ხოლმე.

მჯინც, ყოველ ღამე, როგორც-კი მისი ბიჭიკო საჯინიბოსაკენ გაიქცეოდა, გამოაღებდა ხოლმე მაშინვე ფანჯარასა, დაეყრდნობოდა და ხარბად უგდებდა ყურსა. პირველად როგორღაც ათვალწუნებით და გაჯავრებული უგდებდა ყურსა, თანა სცდილობდა ამ უბრალო „სულელურს ჭყვირილში“ მხოლოდ საყაცილო რამ გამოეძებნა ხოლმე, მერე-კი ნელ-ნელა, სრულიად გაუგებრად, სულელურმა ჭყვირილმა მისი ყურადღება უნებურად მიიზიდა და ხარბად დაუწყო ამ ხმებში დამაფიქრებელს, ნაღვლიანს კილოს ძებნა. მერე-ღა დაფიქრდა და დაუწყო თავისს თავს კითხვა, რათ არიან ეს ხმები ესე მიმზიდველნი და მომხიბლველნიო, და, ჰა, ლურჯმა საღამოებმა, გაურკვეველმა საღამოს ჩრდილებმა და შესანიშნავმა გარმონიამ სიმღერისა და ბუნებისამ გაურკვიეს ეს კითხვა.

„დიახ, რაღაცა თავისებური, ჭეშმარიტი გრძნობა და მომხიბლველი პოეზია აქ, რომელსაც ნოტებით ვერ შეისწავლიო“...—ფიქრობდა თავისთვის ძლეული და დამორჩილებული დედა.

და მართლაც ჭეშმარიტად ასე იყო. საიდუმლოს ამ პოეზიისას განსაცვიფრებელი კავშირი ჰქონდა, როგორც დიდის ხნის წარსულთან, ისე ადამიანის გულისათვის მარადის მეტყველ და ცოცხალ ბუნებასთან, რომელიც ერთად-ერთი მოწმეა ყოველისავე წარსულისა. და ეს გარმონია, ეს ცოცხალი გრძნობა ბუნებისა ამ მოუხეშავს ფრატუნა წაღებიანსა და ხელებ კორძიანს გლეხს გულით დაჰქონდა.

და იგრძნო ანნა მიხაილოვნამ, რომ ამაყმა „პანნამ“ მეჯინიბე-გლეხის წინ მორჩილებით ქედი მოიხარა. ავიწყდებოდა ყოველივე: ტლანქი და ბედასლი ჩაცმულობაცა და კუპრის სუნიც; სამაგიეროდ სალამურის ჩუმს დამღერაზე აგონდებოდა კეთილი სახე დამკვრელისა, მშვიდი გამომეტყველება ნაცრისფერ თვალებისა და გრძელ ულვაშებ ქვეშ გამოპარებული

მოკრძალებითი, დამცინველი ღიმილი. დრო და დრო რისხვის ალმური მაინც დაჰკრავდა ხოლმე ახალგაზრდა დედის სახესა, რადგან ჰგრძნობდა, რომ შვილის ყურადღების მისაზიდად ატეხილს ბრძოლაში იგი ამ უბრალო „გლეხს“ გვერდით ამოუდგა და ძლეული იქმნა.

ხეები-კი ისევ დაბალის ხმითა ჩურჩულებდნენ ბაღში და ლურჯს ცაზედ ღამის მნათობთ ცეცხლებრ კაშკაში გაჰქონდათ, ქვეყანას ბნელი ლურჯ ზოლად ეფინებოდა. და აი, ამ დროს იოხიმეს სალამურისაგან ახალგაზრდა დედას გულში რაღაცა მდუღარე ნაღველი ეწვეთებოდა. ასე ნელ-ნელა სწავლობდა და იცნობდა საიდუმლოს წმინდა და უბრალო პოეზიისას ანნა მიხაილოვნა.

IX

დიახ, გლეხს იოხიმეს ნამდვილი, ცოცხალი გრძნობა აქვს! ქალბატონს-კი? ნუ-თუ არც ერთი ცვარი ამ გრძნობისა არ მოეძებნება? მაშ, რათ უხურს ისე მკერდი, გული რად უშფოთავს, ცრემლები თვალებს რისთვის ულბობენ? ნუ-თუ ეს არ არის მხურვალე გრძნობა სიყვარულისა მის უბედურ, უსინათლო ბავშვისადმი, რომელიც იოხიმესთან გაურბის და რომლისთვისაც ნამდვილი სიტკბოება ვერ მიუნიჭებია?

აგონდებოდა ის ტკივილის გრძნობა, რომელიც მის დაკვრაზე ბავშვს აღებეჭდა სახეზე და ცხარე ცრემლი სდიოდა, ყელში მომდგარს ქვითინს ძლივს-ღა იმაგრებდა.

საბრალო დედა! შვილის უსინათლობა მასაც სამუდამო, განუკურნებელ სენათ გადაექცა. ეტყობოდა, რომ ავად იყო, იმითიც, რომ უზომოდ ნაზად ებყრობოდა შვილსა და იმითიც, რომ ბავშვის ყოველგვარს ტკივილსა და ტანჯვას თვითონაც უთუოდ გულითა ჰგრძნობდა. ამიტომაც იყო, რომ თუ ეს მეტოქეობა მესტვირე გლეხისა სხვას მხოლოდ გააბრაზებდა, მას უზომოდ მწველად სტანჯავდა.

ასე მიდიოდა დრო და შეღავათს-კი არაფრით არა ჰგრძნობ-და, თუმცა არც უსარგებლო იყო მისთვის ეს დრო: შეიგნო ნელ-ნელა სიტკბოება იმ მელოდიისა და პოეზიისა, რომლითაც იგი მესტვირე გლეხის დაკვრამ მოჰხიბლა. და კვალად იმედი მიეცა. რამდენჯერმე კიდევაც იგრძნო უცბად ძალა თავისის თავისა და პიანინოს თავი აჰხადა, რომ მეტოქე სტვირის ნელი ხმა კლავიშების მძლავრ ამოძახილით დაეჩრდილა. მაგრამ გრძნობა გაუბედველობისა და რაღაცა დამარცხვენელის შიშისა ნებას არ აძლევდა ხოლმე, მუდამ აფერხებდა. მოაგონდებოდა მაშინვე ტანჯვის გამომეტყველი სახე ბავშვისა და ათვალწუნებით გადახედვა გლეხისა და სიბნელეში ლოყები სირცხვილით ენთებოდა, ხელი მხოლოდ ცახცახითა და შიშით-ღა გადისრიალებდა ხოლმე კლავიშებზედ ჰაერში.

მიუხედავად ამისა, შინაგანი შეგნება საკუთარის ძალ-ღონისა დღითი-დღე თან და თან ეზრდებოდა და მოხერხებულს დროს, როგორც-კი ბავშვი შორს ხეივანში იწყებდა თამაშობას ან სასეირნოდ წავიდოდა ხოლმე, მაშინვე პიანინოს მიუჯდებოდა. მართალია, პირველის ცდით თვითონვე ვერასფერი კმაყოფილი დარჩა: ხელები როგორღაც გულის ნადებს არ ემორჩილებოდნენ და საკრავის ხმები კიდევ მის სულიერს განწყობილებას ეწინააღმდეგებოდნენ. მაგრამ ნელ-ნელაობით ეს განწყობილება თან-და-თან უფრო მეტის სისრულითა და სიადვილით ისმოდა მისს ხმებში. გლეხის გაკვეთილებმა უქმად არ ჩაუარეს, რადგან მშობლის მხურვალე სიყვარულმა და შეგნებამ იმისამ, თუ რა უფრო მეტად იზიდავდა და ჰხიბლავდა ბავშვის გულს, სულ ადვილადა და ჩქარა შეასწავლეს და შეათვისეს იგი. წინანდებურად ყურთგამჭედსა და ბრძნულს „პიესებს“-კი აღარ უკრავდა ახლა; უკრავდა წყნარად, უკრაინის ნაღვლიანს კილოზედ დამაღონებელს „ფიქრებს“ და ბნელ ოთახებში ატირებდა, აწკრიალებდა, დედას გულს ულბობდა ეს სიმღერები.

ბოლოს, როგორც იყო, საკმაო სითამამე შეიძინა, რომ პირდაპირაც შეჰბრძოლებოდა და ჰა, სალამოობით, ბატონის

სახლსა და იოხიმეს საჯინიბოს შორის უცნაური ცილაობა იმართებოდა ხოლმე. ჩალით დახურულ, ჩაბნელებულ საჯინიბოდგან წყნარად ისმოდა ხოლმე სალამურის ხმა და მას ბატონის სახლის ღია ფანჯრებიდან წინ ეგებებოდა მოღიღინე მძლავრი და სრული აკორდები ფორტეპიანოსი.

არც ბავშვი და არც იოხიმე პირველად ამ „ეშმაკურს“ მუსიკას ყურადღებას არ აქცევდნენ, რაკი ადრევე დარწმუნებულნი იყვნენ, მათს გულს ვერ მოისყიდიდა. ბავშვი, პირიქით წარბებს მოიღუშავდა და მოუთმენელად დაუწყებდა ხოლმე იოხიმეს წაქეზებასა, როგორც კი სალამურს გააჩუმებდა.

— დაუკარ ეი, რალა, დაუკარ!

მაგრამ არ გასულა სულ სამი დღე, რომ იოხიმემ როგორღაც თან-და-თან უხშირა სალამურის გაჩუმებასა. გააგდებდა იოხიმე ხელიდან სალამურსა და გატაცებით უგდებდა ხოლმე ყურსა და ამ დროს ბავშვიც ყურს უგდებდა და ავიწყდებოდა, რომ მეგობარი ჩვეულებისამებრ წაექეზებინა. ბოლოს-კი ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა იოხიმემ:

— Ото-жъ якъ гарно... Бачъ, яка́ воно штука...

და ისევე ისე ჩაფიქრებულმა და ყურის გდებით გართულმა დაავლო ბავშვს ხელი და ბაღის გზით სასტუმროს ღია ფანჯრისაკენ გასწია.

ეგონა იოხიმეს „მოწყალე პანნა“ თავისს საკუთარ სიამოვნებისათვის უკრავდა და არავითარს ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ, არა, გაჩუმდა თუ არა მეტოქე სალამური, გამარჯვებულს ანნა მიხაილოვნას იმავ წამს გული სიხარულით აევსო.

ჩანელდა მასთან იოხიმესადმი აღძრული რისხვისა გრძნობაც. ბედნიერი იყო ახლა და ჰგრძნობდა, რომ მიზეზი ამ ბედნიერებისა იოხიმეევე იყო: იმან ასწავლა, როგორ დაებრუნებინა უკვნვე ბავშვი და თუ რომ შეეძლო მრავალი ახალი შთაბეჭდილება და გრძნობა ჩაენერგნა ახლა ბავშვისათვის, დედაც და შვილიც, ორივენი ისევ ამ მესტვირე გლეხის მადლობლები უნდა ყოფილიყვნენ.

X

გატყდა ყინული. მეორე დღეს ბავშვმა მოკრძალე ცნობის-მოყვარეობით შესდგა ფეხი სასტუმრო ოთახში, რომელშიაც მას შემდეგ ფეხი აღარ დაედგა, რაც ქალაქის მყვირალა და მრისხანე სტუმარი დასახლდა იქა. გუშინდელმა დაკვრამ მოისყიდა ბავშვის სმენა და წინანდელი დამოკიდებულება სრულიად შეუცვალა. წინანდებურის მოკრძალებითვე მიუახლოვდა პიანინოსა და შორი-ახლოს დადგა, ყური დაუგდო. სასტუმრო ოთახში არავინ იყო. დედა თავისის სამუშაოთი მეორე ოთახში იჯდა საკარძელზედ და სულ-განაბული უყურებდა, თვითოეულს ბავშვის მოძრაობასა და სახის გამომეტყველებას სიყვარულით თვალს ადევნებდა.

ბავშვმა შორიდანვე ხელი გაუწოდა და საკრავის გალიპულს ზედაპირს შეახო, მაგრამ მაშინვე მოკრძალებით უკან დაიწია. ერთი ორჯერ კიდევ გაიმეორა ესა, უფრო ახლო მივიდა და საკრავს დაწვრილებით სინჯვა დაუწყო; თან მიწამდე იხრებოდა, რომ ფეხებისათვის ხელი შეეხო, თავისუფალს ნაპირებს გარს უვლიდა. ბოლოს ხელი სიპს კლავიშებსაც შეახო.

ნელი ხმა სიმისა თრთოლით შეთამაშდა ჰაერში. დიდხანს ეგდებდა ბავშვი ყურს დედისათვის უკვე შეწყვეტილს თრთოლას სიმისას. მერე ახლა მეორე კლავიშს შეახო ხელი. ბოლოს ხელი მთელს კლავიატურას გააყოლა და სულ მაღალი რეგისტრის ხმა გამოაღებინა. თვითოეულს ხმას საკმარისს ხანს აცდიდა და ასე ერთი მეორესა აცვლიდნენ ხმები, გაჰქონდათ ზრიალი და ბოლოს ჰაერში სწყდებოდნენ. და ყურადღებასთან ერთად ბავშვის სახეს იმავ დროს სიამოვნებაც აღებეჭდებოდა ხოლმე. ეტყობოდა, რომ ბავშვი თვითოეულს ცალკე ხმას სიყვარულით ყურს ადევნებდა და ელემენტარულს, უბრალო შემადგენელს ნაწილებს მომავალ მელოდიისას შესანიშნავის ფხიზელის ყურადღებით ეპყრობოდა, რაც უთუოდ არტისტის ნიჭს ამხელდა.

მაგრამ ეტყობოდა ამასთანავე, რომ თვითოეულს ცალკე ხმას კიდევ სხვა რაღაც ვანსაკუთრებულს თვისებებს აწერდა: როგორც-კი კლავიში მხიარულსა და მაღალს ხმას გამოიღებდა, ბავშვი მაშინვე თავს ცოცხლად მაღლა აიღებდა ხოლმე, თითქოს წკრიალა და მაღლა-მაღლა მსრბოლი ხმა გააცილაო; ხოლო თუ ოდნავ გასაგონს, სქელსა და ბოხს ხმას გამოიღებდა, მაშინ ყურს მთლად ძირს დაჰხრიდა, თითქოს ეს მძიმე ხმა უთუოდ დაბლა უნდა გაიბნას გრგვინვით დედამიწაზე და საღმე შორეულს კუთხეებში შესწყდესო.

XI

ასეთს მუსიკალურს ცდას ბიძია მაქსიმი, როგორც იყო, ითმენდა. იქნება უცნაურიც იყო, მაგრამ ბავშვის მიერ გამოჩენილი მიდრეკილება ორგვარს გრძნობას უღვიძებდა ძველს მეომარსა. ერთი მხრივ იმას, რომ ძლიერი მისწრაფება მუსიკისადმი უეჭველად ბავშვის მუსიკალურ ნიჭიერების მაჩვენებელი იყო და, მაშასადამე, ამითი მისს მომავალსაც ცოტად თუ ბევრად უთუოდ არკვევდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ შეგნებას ძველის ჯარის-კაცისას რაღაცა გაურკვეველი გრძნობა სასოწარკვეთილებისა აჰკვიატებოდა.

— რასაკვირველია, მუსიკასაც დიდი ძალა აქვს და ბრბოს გულის მონადირება ადვილად შეუძლიან,— ფიქრობდა ხოლმე მაქსიმი. უსინათლოს გარს შემოკრბება მრავალი კოხტად გამოწყობილი ქალი და კაცი და ისიც სხვა-და-სხვა გვარის „ვალსებითა“ და „ნოქტურნებით“ გაართობს... (მართალი რომ ვსთქვათ, ამ „ვალსებისა“ და „ნოქტურნების“ მეტი მუსიკიდან ბიძიჯ მაქსიმმა არც თუ რა იცოდა) ყურისმგდებელთ თვალზე ცრემლს მოჰგვრის. ეჰე, დალახვრა ეშმაკი, ბარემ ასე არ მინდოდა, მაგრამ რას ვიზამ, აბა! უსინათლოა პატარა და დეე, მაშ, ისევ ის გამოვიდეს, რის ნიჭიცა აქვს. თუმცა სიმღერა სჯობიან სხვებსა, მგონი? მარტო განაზებულს სმენას

როდი ატკბობს იგი. იძლევა სურათებსა და გულში ვაჟკაცობასა და თავში აზროვნებას გვიღვიძებსო.

— შენ ეი, იოხიმე,—შეუძახა ერთს სალამოს მაქსიმმა იოხიმეს და ბავშვს თან შეჰყვა საჯინიბოში.—ერთხელაც არის მაინც გააგდე ხელიდან ე რაღაცა სტვირია. ქუჩის ბიჭებისა და მწყემსებისათვის მინდვრად იქნება კარგი იყოს, მაგრამ შენ ხომ მაგოდენა ვაჟკაცი ხარ: თუმცა ი სულელმა მარიამ მთლად დაგალაჩრა. ფუ! შენ მაგივრად მე მრცხვენიან სწორედა! გო, გომ ზურგი შეგაქცია და შენ-კი ლამის არის მთლად დადნე. გალიაში ჩამწყვდეულ მწყერისავით მთელი დღე უსტვენ!

უგდებდა ყურს იოხიმე გულმოსულ ბატონის გრძელს მხილებასა და საყვედურსა და ბნელაში ჩუმ-ჩუმად იცინოდა, რომ უმიზეზოდ ურისხდებოდნენ. პატარა ბიჭებთანა და მწყემსებთან შედარება-კი ცოტა არ იყოს ეწყინა კიდეც.

— ნუ იტყვით, ბატონო, მაგასა,—მიუგო იოხიმემ.—ასეთი სალამური მთელს უკრაინაში არც ერთს მეცხვარესაც-კი არ ექმნება, არამც თუ მწყემს-ბიჭსა... ისინი თუ სტვირებია მართლა,—ეს... აბა, ყური დაუგდეთ.

ყველა თვლებს თითები დაადო და სალამურს მხოლოდ ორი დაბალი ხმა გამოაღებინა ბოხად, თან მათის სისრულითა სტკბებოდა. მაქსიმმა გვერდზე გააფურთხა.

— ფუ, მაპატიე ღმერთო! მთლად გასულელებულა! მა შენს სალამურს რას ვაქნევ, ნეტა? სალამური და დედაკაცი, თუნდ შენი მარიც იქ იყოს, სულ ორივ ერთნი არიან. არა სჯობიან, გვიმღერო რამე, „მამა-პაპური“ რამ კარგი სიმღერა გეცოდინება.

ჩამომავლობით მალოროსი, მაქსიმ იაცენკო გლეხებსა და მსახურ ბიჭებს მუდამ უბრალოდ ექცეოდა. მართალია, ხშირად უყვიროდა და ლანძღავდა ხოლმე კიდეცა, მაგრამ როგორღაც არ სწყინდათ და ამიტომ თვითონაც თავისუფლადა და პატივით ებყრობოდნენ.

— მერე, რაო?—უპასუხა იოხიმემ ბატონსა.—ერთს დროს მე სხვებზე ცუდად არა ვმღეროდი. თუმცა იქნება ჩვენი გლე-

ხური სიმღერა პანე, არ მოგეწონოთ კიდეც!—გადაჰკრა ცოტათი ბატონსა.

— მიჰქარავ, ბრიყვო!—უპასუხა მაქსიმმა.—კარგი სიმღერა სალამურს არ შეედრება, თუ რიგიანად იმღერეს. აბა, პეტრუს, ყური დაუგდოთ სიმღერასა. მაგრამ, ვინ იცის, გაიგებ კი, პატარავ?.

— გლეხურს სიმღერას?—ჩაეკითხა ბავში.—„გლეხურათ“ კარგა მესმის.

მაქსიმმა ამოიოხრა.

— ეჰ პაწიავ! გლეხური-კი არა... მძლავრისა და თავისუფალ ხალხის სიმღერებია ეს სიმღერები. პაპაშენები, დედით, დნეპრისა და დუნაის მინდვრებსა და შავს ზღვაზე მუდამ ამათ მღეროდნენ. ჰო, ვიცი, შენც გაიგებ ოდესმე მათს აზრსა, მაგრამ ახლა-კი სხვისა მეშინიან.

მართლაც და მაქსიმს იმისი ეშინოდა, რომ ბავშვი სასიმღერო ეპოსის ნათელს სურათებს თავისის უსინათლობით ვერ გაიგებდა და, მაშასადამე, გულიც სავსებით ვერ იგრძნობდა ყოველისფერსა. ეშინოდა, რომ ბავშვის ბნელით მოცული თავი სახალხო პოეზიის სურათებრივს ენას ვერ შეითვისებდა. და ის-კი სრულიად დაავიწყდა, რომ ძველი მესტვირეები და უკრაინის მელექსე-მეფანდურეები უმეტეს ნაწილად უსინათლოები იყვნენ ხოლმე. და მართლაც, მძიმე ხვედრი, უსინათლობა-მახინჯობა, ხშირად ააღებინებდა ხოლმე მათ ფანდურსა და სტვირს და მოწყალებას ათხოვნინებდა. მაგრამ იმათგან ყველანი ხელობით გლახები და დაბადებით უსინათლოები როდი იყვნენ. უსინათლობა, მართალია, ხილულს ქვეყანას შავ ფარდათ აეფარება ხოლმე, რომელიც ტვინს აბნელებს და მუშაობას უძნელებს, მაგრამ მემკვიდრეობით შენაძენ წარმოდგენათა და შთაბეჭდილებათაგან, რომლებსაც უსინათლო სხვა გზითა და საშუალებით რთვისებს, ტვინი თავისთვის საკუთარ ქვეყნიერებასა ჰქმნის, ნაღვლიანს, მოწყენილს, ბინდით მოცულსა, რომელიც თავისებურსა და ბუნდოვანს პოეზიას მოკლებული სულაც არ არის.

XII

მაქსიმი და ბავშვი თივაზე დასხდნენ, იოხიმე კიდევ თავისს ტახტზე წამოწვა (მისს არტისტიულს სულიერს განწყობილებას ეს პოზა უფრო შეეფერებოდა) და მცირე ფიქრის შემდეგ სიმღერა დაიწყო. შემთხვევით იყო, თუ ფხიზელი ალღოს წყალობა იყო, სასიმღერო მართლაც საუცხოვო რამ იყო. იოხიმე ისტორიულს სურათს შეეხო:

Ой тамъ на горі, тай женці жнуть...
(ოი, იქ გორაზე მომკალნი მკიან)

ყველას უთუოდ კარგად ეხსომება, ვისაც კი ეს მშვენიერი ხალხური სიმღერა გაუგონია კარგის მომღერალისაგან, როგორ უცნაური მაღალი, გაჭიმული კილოა, თითქოს ცოტად ისტორიულის მოგონებით დანაღვლიანებულიც. მასთან სიმღერა დიდს ისტორიულს მოვლენასა, სისხლის ღვრასა და ვაჟკაცობას არ შეეხება; არც ყაზახის საყვარელთან გამომშვიდობებაა აქა, არც თავდასხმა და დუნაიზე ან ლურჯს ზღვაზე ნავებით მოგზაურობა. იგია მხოლოდ წამის სურათი, მალოროსის ხსოვნაში ბუნდოვან ოცნებასავით უცბად აღდგენილი ნაწყვეტი ისტორიულ წარსულისა. ჩვეულებრივსა და უბრალო დღეში უცბად თვალ წინ წარმოუდგა ბუნდოვანი, მკრთალი სურათი, იმ განსაკუთრებულის ჩუმი ნაღველით შეზავებული, რომელსაც სამშობლო ქვეყნის დაკარგვა გვაგრძნობინებს ხოლმე. მაგრამ სავსებით დაკარგვა-კი არა! სამშობლო ამბავს მოგვითხრობენ ჯერ კიდევ მთელი შემაღლებული საფლავები, სადაც ყაზახთა ძვლები განისვენებენ და საიდგანაც ღამ-ღამობით ცეცხლები მოსჩანს, მძიმე კვნესა მოისმის ხოლმე. მასვე გვაგონებს ხალხის თქმულობა და სიმღერა მისი:

Ой тамъ на горі, тай женці жнуть,
А по-підъ горою, по-підъ зеленою

Козаки идуть,
Козаки идуть!..

(ოი, იქ გორაზე მომკალნი მკიან,
გორის ძირას-კი, მწვანე გორისა
ყაზახები მოდიან,
ყაზახები მოდიან!..)

მწვანე გორაზე მომკალნი ყანასა მკიან. გორის ძირას-კი, დაბლა ყაზახთა ჯარი მოდის.

გატაცებით მიუგდო მაქსიმ იაცენკომ ამ ნაღვლიანს კილოს ყური და მისს ოცნებას შესანიშნავის გარკვეულობით წარმოუდგა სიმღერის შინაარსით გამოწვეული და მასთანვე შეთანხმებული სურათი, ვითომ მინდვრად, გორაზე, ჩუმად ეწოდებიან მომკალნი ყანასა და ძირს კიდევ ასრევე ჩუმად ყაზახთა წყებები მიდიან და სალამოს ბინდში მინდვრის ჩრდილებს უერთდებიან.

По переду Дорошенко
Веде свое військо, військо запорожське,
Хорошенько.

(წინ მოუძღვის დოროშენკო,
მოჰყავს თვისი ჯარი, ჯარი ზაპოროჟისა,
კარგი).

და წარსულთა დროთა სიმღერის გაჭიანურებული ხმა ნელად ირხევა და წკრიალით ჰსწყდება ჰაერში, რომ მერმე ისევ დაიწკრიალოს და ბინდ-ბუნდიდამ ისევ ახალ-ახალი სანახაობა გამოიწვიოს.

XIII

ბავშვი მოღრუბლული და ნაღვლიანი უგდებდა ყურსა. მომღერალი რომ გორას უმღერდა, რომელზედაც მომკალნი

მკიდნენ, ოცნებას პეტრუსია მაშინვე ნაცნობს ფრიალო ნაპირზე გადაჰყაკდა. იცნო იგი იმიტომ, რომ ძირს წყალი მისჩქეფდა ქვებზედ. იცის აგრეთვე, მომკალნი რაც არის: ნამგლის წკრიალი და მოსხეპილ თავ-თავის შრიალი ნათლად მოესმის.

მერე როდესაც სიმღერა იმაზე გადადიოდა, გორის ძირას რალა ამბავი იყო, უსინათლო ოცნებას მაღლიდან ახლა ძირს, მინდვრად, ჩამოჰყვანდა...

ნამგლის წკრიალი შესწყდა, მაგრამ იცის ბავშვმა, რომ მომკალნი იქვე, გორაზე, არიან, იქ დარჩნენ; მაგრამ აღარა ისმის-რა-კი, იმიტომ, რომ ისრევე მაღლა არიან, როგორც ფიქვები, რომელთა შრიალიც ფრიალო ნაპირის დაბლა მყოფს ზევიდან მოესმოდა. დაბლა-კი, მდინარის პირად, ხშირი, თანაბარი ცხენის ფეხის ხმა ისმის... ბევრნი არიან, რაღაცა გაურკვეველი გუგუნია იქ, გორის ძირას, სიბნელეში. ეს „ყაზახები მოდიან“.

იცის აგრეთვე, ყაზახი რასა ჰნიშნავს. ბებერს „ხვედკას“, რომელიც დროგამოშვებით შეუვლისთ ხოლმე, ყველა „ძველს ყაზახს“ ეძახის. ბევრჯელ დაუსვამს პეტრუსი მუხლებზედ და აკანკალებულის ხელით თმები უსწორებია. ხოლო როდესაც ჩვეულებისამებრ სახეზე ხელს უსვამდა ხოლმე, თავისის მგრძნობიარე თითებით ნათლად არჩევდა პეტრუსი, რა ღრმა ხაოჭები ჰქონდა ხოლმე შეკრული,—დიდი ძირს ჩამოშვებული ულვაშები, ჩაცვივნული ლოყები და ლოყებზე კიდევ მოხუცობის ცრემლები. იქ, გორის ძირასაც, ამ სიმღერის ხმაზედ ისეთივე ყაზახები ჰყვანდა ბავშვს წარმოდგენილი. სხედან ცხენებზედ ისეთივე ულვაშიანი, წელში მოხრილი ბებრები, როგორიც „ხვედკოა“. მიდიან ჩუმად, რაღაცა უსახო აჩრდილებივით ამ სიბნელეში და „ხვედკოსავით“ ისინიც რაღაცაზე სტირიან; იქნება იმიტომაც, რომ გორაზედაცა და მინდვრადაც იოხიმეს სიმღერის გრძელი, ნაღვლიანი კენესა და „არაჩვეულებრივ ყაზახობის“ სიმღერა ისმის, რომელშიაც ნათქვამია, თავისი ახალ-

გაზდა ცოლი ყაზახმა ლაშქრობის „ჩიბუხსა“ და ბრძოლის გაჭირვებაზე როგორ გასცვალა.

საკმარისი იყო ერთი-კი შეეხედნა მაქსიმს ბავშვისათვისა და მაშინვე მიჰხვდა, რომ, მიუხედავად უსინათლობისა, ბავშვის მგრძნობიარე ბუნება სიმღერის პოეტურს სურათებს სულ ადვილად ითვისებდა.

ან-ანა.

(შემდეგი იქნება)

გლეხი კაცი

(რომანი *)

გიდჰელმ ფონ-პოლენტასა

წიგნი მეოთხე

I

ერთ მშვენიერ დღეს ბიუტნერს სასამართლოდან რაღაც ქაღალდი მოუტანეს. თურმე კაშელ ერნსტს ეჩივლა—ათას შვიდასი მარკა მართებს ჩემი და არ იძლევაო. ეხლა ეს ათას შვიდასი მარკაც უნდა გადაეხადა, ამ თანხის სარგებელიც და სამართლის ხარჯიც.

ეს ამბავი მეხსავიო დაატყდა მოხუცს და წელი მოსწყვიტა. მიუხედავათ იმისა, რომ სასამართლოსი არაესმოდა-რა, მაინც პირველ წუთსვე მიხვდა, რომ საქმე სახიფათო იყო და შეიძლებოდა მეტად ცუდათ გათავებულიყო. ეხლა ცხადზედ უცხადესი იყო, რომ კაშელერნსტს ნათესავის დალუპვა განეზრახა და ეს უწყება ის იარაღი იყო, რომლითაც ბიუტნერს ბოლოს მოღებას უპირებდა ვაჭარი. ჯერ აღმასრულებელი ფურცელი, მერე მამულის საჯაროთ გასყიდვა, —აი რას უპირებდა მიკიტანი.

ბიუტნერს ერთხელ და ორჯერ არ ენახა მამულების საჯაროთ გასყიდვა. ის ბევრ გლეხს იცნობდა იმისთანას, რომელნიც პირველად შეძლებულათ სცხოვრობდნენ, მაგრამ ბოლოს, უსახლ-კაროთ დარჩომილნი, იძულებულნი იყვნენ მათ-

*) იხ. «ჰოიმბუ» №1, 1904 წლისა.

ხოვრის ჯოხით და ტოპრაქით საწოწიალოთ წასულიყვნენ სოფლიდან. საჯაროთ გასყიდვა! მარტო ფიქრიც კი ამაზედ სისხლს უშრობდა ძარღვებში და თავს რეტს ახვევდა. აქ კი ყველაფერი გათავდება! თუ ეწვია რომელიმე გლეხს ეს უბედურება, ის ცოცხლების სიიდან წინდაწინვე უნდა ამოშლილიყო: იმას ძალით გააძავებდნენ მამაპაპეულ მამულიდან, ძირიან ფესვიანათ ამოაგდებდნენ მიწიდან და უვარგის ბალახსავით ქუჩაში გადასტყორცნიდნენ.

გუსტავი ერთად ერთი წევრი იყო ოჯახისა, რომელსაც გლეხმა გული გაუსხნა და ახალი უბედურება არ დაუმალა. გუსტავი მალე მიხვდა, რომ ოჯახს უბედურება მოელოდა და გადასწყვიტა უსათუოთ რაიმე ღონე ეღონა და კაშელის მუქარა როგორმე თავიდან აეცდინა. პირველი აზრი, რომელიც გუსტავს მოუიდა, ეს თითონ კაშელის გადმობირების აზრი აყო. იქნება როგორმე მოვახერხო და ცოტაოდენი დრო კიდევ მოვაცდევინო. ამის იმედი იმიტომ უფრო ჰქონდა, რომ აღმასრულებელი ფურცლით, თითონ კაშელსაც კარგათ უნდა სცოდნოდა, კაშელი ბევრ ვერაფერს აიღებდა და თუ საჯაროთ გაისყიდებოდა მამული, მაშინ ხომ სულ ერთიანათ დაჰკარგავდა თავის ფულსა. ზმითი დროს მოვიგებ და სანამ, იქნება საიდანმე რამე გვეშველოსო, ჰფიქრობდა გუსტავი.

მოუტანეს თუ არა მოხუცს უწყება, გუსტავი იმ დღესვე სამიკიტნოში წავიდა. ადვილი არ იყო გუსტავისთვის იქ წასვლა, რადგან ცხადათ იცოდა, მუდარა და თავის დამცირება დასჭირდებოდა; გარდა ამისა, გუსტავს კაშელის ოჯახი ჭირივითაც ეჯავრებოდა. კაშელი ხომ ბავშვობიდანვე ეზიზღებოდა, მაგრამ იმისი ქალი ოტილია რომ გაიხსენა, მაშინ ხომ გულ-მუცელი მთლათ აერია. არც ბიძაშვილ რიხარდთან იყო გუსტავი კარგ განწყობილებაში, მით უმეტეს იმის შემდეგ, რაც ერთხელ ცემით კინალამ წელი მოსწყვიტა. რიხარდს ერთხელ ცოცხალი ქათამი ნერგზედ მიება და ხის დამბაჩიდან ტყვიებს ესროდა, გუსტავი ზედ წააწყდა და, რასაკვირველია, არც აპა-

ტია ასეთი გულქვაობა. ეს სასჯელი რიხარდს, რაღა ლაპარაკი უნდა, არც დღესა ჰქონდა დავიწყებული.

საზოგადო დარბაზში გუსტავს მარტო ოტილია დახვდა, მაგრამ სხვა რამეზედ რომ არ დაეწყო ლაპარაკი, პირდაპირ კაშელი იკითხა. რიხარდი და მამა სარდაფში ლუდსა რწყავენო, ხითხითით მიუგო დარცხვენილმა გოგომ და მერე სთხოვა სუფთა ოთახში გასულიყო, ეს ოთახი საზოგადო დარბაზის გვერდით იყო და თავის მოწყობილებით მხოლოდ იმითი განსხვავდებოდა დარბაზისაგან, რომ კედლებზედ ხელმწიფისა და დედოფლის ცუდი სურათები ეკიდა.

გუსტავი იძულებული იყო აქ დამჯდარიყო. ოტილია ყოველ ღონესა ხმარობდა, რომ გუსტავისთვის როგორმე ესიამოვნებინა: სკამი თითონ, თავის ხელით მიუდგა მაგიდასთან და მაგიდაც ტილოთი გადაუწმინდა, ამავე დროს მრავალ მნიშვნელოვნად უყურებდა თავის ბიძაშვილს. მართალია ქალაქში გააზიზებული და განებივრებული იქნებით, მაგრამ აქ სოფელში ისიც უნდა იკმაროთ, რაცა გვაქვსო,—არა ჩვეულებრივის სუსტი ხმით ელაპარაკებოდა ოტილია. გალბენაუში მოსაწყენი ცხოვრებაა და მიკვირს, რატომ ხშირით არ დაიარებით ჩვენსაო? არც ერთ საცეკვაო საღამოზედ არა გხედავთ სამიკიტნოში. უსათუოდ აქაური ქალები სათქვენოთ არ მიგაჩნიათ და არ მოგწონთ იმათთან ყოფნაო.

გუსტავი პასუხებს უგულოთ აძლევდა. ის ცხადათ ჰგრძნობდა, რომ ოტილიას ეჭვის მაგვარი გრძნობა ალაპარაკებდა. ჩამომხმარი და გაგრძელებული ტანით, ყიყვით და მოღრეცილი პირით, რომელშიაც ამ ცოტა ხანში ერთი კბილი დაჰკლებოდა, ოტილია სასიამოვნო მობაასეს არ წარმოადგენდა, რასაკვირველია. მაგრამ რა უსუფთაო და ბინძური რამ იყო? ყოველ ცისმარე დღეს ასე როგორ დარბოდა? დაგლეჯილ-დაფლეთილ წინდებში, თმა გაწეწილი და გულ-გადაღეღილი! მდიდარი გასათხოვარი ქალი კია! აქ ნება-უნებურათ ოტილიას ბინძურობა პაულინას სისუფთავეს და სიფაქიზეს შეადარა გუსტავმა.

უცბათ ოტილია ოთახიდან გავარდა. გუსტავს ეგონა, მამის დასაძახებლათ თუ წავიდაო, მაგრამ დიდი ხნის ლოდინი დასჭირდა. ბოლოს, ოტილია ისევ შემოვიდა ოთახში. ლანგარზედ დაწყობილი საუზმე და ბოთლებით ღვინო და ლუდი შემოუტანა და ალერსიანი ღიმილით მაგიდაზედ დაუდგა.

გუსტავს არ ესიამოვნა ოტილიას საქციელი. მართალია გუსტავს ჭამა-სმა ძალიან უყვარდა და ამ ბოლოს დროს თავიანთსა ხახევარზედ მშიერიც იყო ხოლმე, მაგრამ მაინც არ მოსწონდა ოტოლიას მასპინძლობა. მარტო ოტოლიას შეხედულობა წაართმევდა კაცს მადასა.

ოტილია თითქოს ვერც კი ჰგრძნობდა, რომ გუსტავის გულში ზიზღის მეტს ვერაფერს იწვევდა. იმან ერთი ჭიქა ლუდით აუმსო და მეორეში რაღაც წითელი ღვინო ჩაასხა, ისე რომ, რაც უნდოდა და რაც უფრო ძალიან მოსწონდა, იმას მიირთმევდა ძვირფასი სტუმარი, მერე თითონაც ჩამოჯდა გუსტავის პირდაპირ სკამზედ და წრფელის გულით და სიამოვნებით შეჰყურებდა, გუსტავი საუზმეს როგორ შეექცეოდა.

ჭამის დროს გუსტავმა შენიშნა, რომ ოტილიას კაბის გამოცვლაც მოესწრო. შენიშნა და ნება-უნებურათ გაიღიმა, რადგან ის დრო, რაც ტანთსაცმელის გამოცვლას მოანდომა, დაკარგულად უნდა ჩათვლილიყო. წითელ-ყვითელი ფერით შეზავებულ კაბას სრულიად ვერ დაემშვენებინა გაყვითლებული და ჩამომხმარი ოტილია. მაძპინძელი ყოველ ღონეს ხმაროობდა, რომ ბიძაშვილს კარგათ ეჭამა და ესვა. ყოველ ლუკმის შემდეგ ჭიქაში ღვინოს უმატებდა, ისე რომ ჭიქაში ღვინო გამოულეველი იდგა.

თავის მადისა და სიმშილის წყალობით გუსტავმა პირველი ზიზღი მალე დაივიწყა. მერე გაიფიქრა: რატომ არ უნდა ვისარგებლო ამის სიტუტუციათაო? ამ აზრით გუსტავმა ლუდსა, არაყსა და ლორს ხელი გაუსვა.

როცა იმოდენათ გაძღა, რომ ერთ ლუკმასაც ვეღარ გადაყლაპავდა, ხონჩა გვერდზედ გასწია და კედელზედ გადა-

ესვენა. ამ დროს ოტილია წამოხტა, სიგარები მოურბეინა და ერთს თითონ წაუკიდა ცეცხლი.

გუსტავმა სთხოვა, თუ შეიძლება, მამას დაუძახეო. მაგრამ ქალმა მიუგო, რა გვეჩქარება, იმის დაძახებას კიდევ მოვასწროთო.

ღმერთო, რამდენი რამე აქვთ სათქმელი? რამდენი ხანია ერთმანეთი არ უნახავთ? ამ სიტყვებით ოტილიამ ადგილი იცვალა და გუსტავს გვერდით ამოუჯდა. მაგრამ გუსტავმა იფიქრა, ეს კი მეტის მეტი იქნებაო და დაბეჯითებით რამდენჯერმე გაუშეორა, მამას დამიძახეო. ბოლოს, როგორც იყო, ოტილიამ შეისმინა ბიძაშვილის თხოვნა და მამის დასაძახებლათ წავიდა.

მიკიტანი, როგორც ყოველთვის, ქოშებით, გაწოწოლავებული ქუდით და ფართუკში გახვეული ხელებით გამობრძანდა, უკან შვილი მოსდევდა, რომელიც ყოველ მიხვრა მოხვრაში და ნაბიჯში სავსებით ჰბაძავდა მამას. ორთავე კაშელი ჩვეულებრივი ხითხითით და კბილების ღრჯენით მიესალმნენ სტუმარს.

— ოტილია! მეც დავლევდი ერთ ჭიქა არაყს!—დაუყვირა მიკიტანმა თავის ქალს.—ლუდსა ვრწყავდით და ხახები დაგვიშრა. მართალს არ ვამბობ, რიხარდ?

შვილი სულელური თავხედობით, ვითომ და დარცხვენით, ცერად შეჰყურებდა ბიძაშვილს.

მარტო იმისთვის, რომ რამე ეთქვა და ჩამოვარდნილი სიჩუმე დაერღვია, გუსტავის დაეკითხა—რიხარდს ჯარის კაცად მალე გაიყვანენო. ამ სიტყვებზედ მამასაც და შვილსაც სახე გაუბწყინდათ და მოხუცმა კმაყოფილების ღიმილით მიუგო:

— ჩემი შვილი გაანთავისუფლეს. დიახ, ჩემი შვილი თავისუფალია!

გუსტავმა ძალიან გაიკვირვა ეს ამბავი, რადგან კარგათ იცოდა, რომ რიხარდი ჯანსაღი იყო და დასაწუნი არაფერი ჰქონდა.

— მაშ! ამ ბოლოს დრომდის ჩვენც არა ვიცოდით რა. შტაბის ექიმმა კი გამოაცხადა: მარცხენა ფეხზედ ძარღვები აქვს დაჭიმულიო. დიაღ, დიაღ, პირდაპირ ასე სთქვა—ძარღვები დაჭიმული აქვსო. მართალს არ ვამბობ, რიხარდ? ამის შემდეგ, რასაკვირველია, ჩემი რიხარდი შინ გამოუშვეს. რაღა ლაპარაკი უნდა, მე წინააღმდეგი არაფერი მქონდა და, მგონი, არც რიხარდია უმადური! არა, რიხარდ?

ლაპარაკის დროს მოხუცი მთლათ ცახცახებდა სიცილით, ის მზათ იყო ძარღვების დაჭიმვისთვის შვილი გენიოსად დაესახა. გუსტავს ძალიან უნდოდა ეთქვა, რომ მაგისთანა რეტიანს სამხედრო დისციპლინა ძალიან მოუხდებოდაო, მაგრამ თავი დაიჭირა და არაფერი უთხრა. ეხლა ბიძის გაჯავრებისა ძალიან ეშინოდა—სათხოვნელად მოვიდა და ამისთანა ლაპარაკს როგორ-ღა გაუბედავდა?

გუსტავმა ძლივს საჭირ-ბოროტო კითხვაზედაც ჩამოაგდო ლაპარაკი. მაგრამ შეატყო თუ არა კაშელმა, რომ ლაპარაკი ფულის ანგარიშს უნდა შეხებოდა, იმ წუთსვე ოტილია ოთახიდან გაისტუმრა. რიხარდი დარჩა და, როგორც ეტყობოდა, არც აპირებდა წასვლას. ეს უკანასკნელი გარემოება ბევრ ვერაფრათ ეჭაშნიკა გუსტავს, მაგრამ რას იზამდა?

გუსტავი მაგიდის ერთ წვერს მისჯდომოდა და იმის პირდაპირ მამა და შვილი ისხდნენ. მამისა და შვილის მსგავსება ეხლა როგორღაც არ მოსწონდა გუსტავს. მათ უაზრო ღიმილში გაიძვერობა და თავხედობა ცხადათ გამოსჭვიოდნენ.

გუსტავმა ლაპარაკი დაიწყო და სიტყვას არავინ აწყვეტინებდა. ღიმილითა და თვალების ხშირი ხამხამით მამა და შვილი გულისყურით ისმენდნენ გუსტავის გულ ახდილ ლაპარაკს. ეხლა ხომ ვეღარ დამალავდა რა საშინელ განსაცდელში იყო იმათი მამულის საქმე? გუსტავმა პირდაპირ გამოუცხადა, რომ, თუ თქვენსას არ დაიშლით და მაინცა და მაინც ძალას დაგვატანთ, მამა ჩემი უსათუოდ გაკოტრდებაო. ამიტომ გუსტავი სთხოვდა ცოტა კიდე მოეცადა კაშელს, მით უმეტეს რომ სარგებელს სრულად მიიღებს, ამის თავდებათ თითონ დაუდგება. მერე, ცოტა

სულს რომ მოითქვამენ, ვალის გადახდასაც შეუდგებიან. თუ კაშელი არ შევა იმათ მდგომარეობაში და თავისას არ დაიშლის, მამული უსათუოდ გაეყიდებათ და მაშინ ხომ იმათი გირაოს ქაღალდიც დაიღუპება.

გუსტავს წინდაწინვე ჰქონდა ყველაფერი მოფიქრებული, მაგრამ, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე ამგვარ შემთხვევაში, ის არა სთქვა რის თქმასაც აპირებდა და იმ სიტყვებს და წინადადებებს არა ხმარობდა, რომლებიც წინა დღითვე ჰქონდა დამზადებული. მამა-შვილის სიჩუმემ სულ ერთიანათ გადარია გუსტავი და მთელი გეგმა დაურღვია. ის აღფრთოვანებით ლაპარაკს აპირებდა და უნდოდა გრძნობით სავსე სიტყვებით ნათესაური დამოკიდებულება მოეგონებინა კაშელისათვის.

ნუ თუ ბიუტნერიანთ მამაპაპეული მამული საჯაროთ უნდა გაისყიდოს? ნუ თუ მოხუცებულს, მუდმივი მუშაობით წელში მოხრილს და დასუსტებულ გლეხს ქუჩაში გააგდებენ და თოვლსავით გათეთრებულ მოხუცს მათხოვრობას დააწყებინებენ? კაშელი ამისთანა ცოდოს კისერზედ როგორ დაიდებს? ის სხვასაც კი არ მისცემს ამის ნებას! გვარეულობის პატივისცემით ამისთანა სირცხვილს არ შეაჭმევს მოხუც ბიუტნერს. ბიუტნერიანთ ქალის შერთვით კაშელი იმათ საგვარეულოს დაუნათესავდა და იმ მიცვალებულის პატივისცემით და სიყვარულით მაინც ნუ დაღუპავს იმის მამას!—თითქმის ამ სიტყვებით აპირებდა გუსტავი ლაპარაკს.

მაგრამ შეხედა თუ არა იმათ ვირთაგვურ, ეშმაკობითა და გესლით სავსე, სახეს ეს აღფრთოვანება სრულიად დაეკარგა. ერთი სიტყვა მაინც რომ ეთქვა გრძნობით, ატყობდა, მასხარათ ასაგდები გახდებოდა. გუსტავმა სრულიად დაჰკარგა საკუთარი თავის რწმენა და თავის ნალაპარაკევი თითონვე ეზიზღებოდა. ეს რაღას უნდა ნიშნავდეს, რომ ორთავენი ხმაამოუღებლივ თავს უქანთურებენ ერთმანერთს და თვალს უშვრებიან? რასაც ერთი სჩადიოდა, მეორეც იმას იმეორებდა, თითქოს მათ შორის რაღაც იდუმილი კავშირია და ერთმანეთსაც რომ არ უყურონ, მაინც აშკარათ წაიკითხავენ ერთი მეორის აზრსა და

ფიქრებსაო. მაშ დასცინიან რაღა?!. როგორცა სჩანს, თავისი ნალაპარაკევით იმათი, მტრობითა და გესლით გატენილი, გული გაუხარებია!

ამის შემდეგ გუსტავი პირდაპირ დაეკითხა კაშელს—შენი საჩივრით რას გინდა მიაღწიოო? იქნება ჩვენი გაკოტრება იმიტომ გინდა, რომ ჩვენი მამული შენ შეისყიდოო?

კაშელერნსტმა ჩვეულებრივ ეს კითხვაც სიცილში გააატარა და არავითარი პასუხი არ მისცა გუსტავს. მაგრამ ამ შემთხვევაში გუსტავი თავისას აღარ იშლიდა. იმას უეჭველათ უნდოდა გაეგო რა აზრით ხელმძღვანელობდა კაშელი, რომ თავის ნათესავს სასასართლოში უჩიოდა. უსათუოდ რაღაც მიზეზი უნდა ჰქონდეს კაშელს, თორემ განა კაშელმა ცხადათ არ იცის, რომ ამ ჟამათ ბიუტნერიანი იმის ვალს ვერ გადიხდიან?

ამ კითხვაზედ კაშელი თითონ დაეკითხა! „განა ნება არა მქონდა ეგრე მოვქცეულიყავიო?“ კაშელერნსტიც აღარ ლაპარაკობდა ჩვეულებრივ გულგრილათ. მიკიტანმა, მგონი, დღეს პირველათ მოიხსნა პატიოსანი და მართალი კაცის ნიღაბი.

ამასობაში სამთავენი ფეხზედ წამოდგნენ. გუსტავსა და კაშელებს მაგიდა ჰყოფდათ.

გუსტავმა ერთხელ კიდევ გაუმეორა კითხვა—შესწყიტავთ სასამართლოში საჩივარს, თუ არაო?

—სწორეთ! მეც მაგას არა ვფიქრობდი?!—შესძახა გესლიანათ კაშელმა და შვილმა საზიზღრათ ჩაიცინა.

გუსტავმა დაინახა, რომ თავს ველარ დაიჭერდა. და გულზედ მოწოლილი ბრაზი როგორმე უნდა გადმოენთხია—მამაშვილისთვის შეურაცხება მიეყენებინა და ამითი გული მოეოხა.

ამ მდგომარეობაში, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სკამის ზურგს ხელი მოუჭირა. ეხლა მათი სიძულვილის დაფარვა რაღა საჭირო იყო.

ფერწასულმა და გულზედ ბოღმა-მოწოლილმა გუსტავმა ძლივს წარმოსთქვა:

—მაშ ეგრეა რაღა? ამის იმედი კი მქონდა! ეხლა მესმის, რაშიც ყოფილა საქმე! გარრასსოვიცი და თქვენ ამხანა-

გები ყოფილხართ! კარგი ნათესავები ბრძანებულხართ, რა გიშავთ! დღეის იქით მე თქვენსა ფეხის შემომდგმელი აღარა ვარ!.. ფუ! თქვე დაწყევლილო უსინიდისოებო!.. გრცხვენოდეთ მაინც.

ყველა ეს უცბათ მიახალა მამა-შვილსა და საშინლათ აღელვებულმა კარებისაკენ გასწია, გზაში ხან მაგიდას, ხან სკამს აწყდებოდა.

მიკიტანი უკან გამოუდგა, მერე კარებში შეჩერდა და უკანიდან მიაძახა გუსტავს:

— დაიცა, ყმაწვილო! ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი. თუ ჩემი გულჩვილობის იმედი გქონდათ, შეეცდარხართ, ჩემო კარგო! მამა შენი ყოველთვის რეგვენი და ვირსავით გამოთაყვანებული იყო. ეზოში თავის თავზედ გამოთაყვანებული საქონელი არც კი მოეძებნება. მაგისთანა რეგვენს რა მამული უნდა. მამული რომ სულაც გაგეყიდოთ და საგლახავოთ საქმე გაგიხდეთ, მე არა შენაღვლება რა. სულაც რომ გასწყდეთ, მე რა მეკითხება?..

მაგრამ გუსტავს კაი მანძილი ჰქონდა გავლილი და კაშელის ლანძღვა-გინება აღარ გაუგონია.

*
* *

რაკი მიკიტანთან ვერა გააწყო-რა, გუსტაუმა გადასწყვიტა კარლ ლებერეხტ ბიუტნერისთვის მიემართნა. მართალია, ცოტა გზა არ უნდა გაევლო, იმასთან რომ მისულიყო, მაგრამ ამ ხარჯისა არ უნდა შეშინებოდა, რადგან ბიძის იმედი ძალიან ჰქონდა. ლებერეხტი შეძლებული კაცი იყო და გუსტავს იმედი ჰქონდა, იმას მაინც დავაჯერებ, რომ ღვიძლ ძმას შემწეობა აღმოუჩინოს და გაჭირვებიდან როგორმე დაისხნასო.

გუსტავს ჯერ სამსახურისთვის თავი არ დაენებებინა, რომ ლაჟვარდი მაუდის ტანისამოსი შეიკერა. პაულინამ დააჯერა, ეს ტანისამოსი ძალიან გიხდებაო. ამის გარდა ერთი წყვილი, თითქმის სულ ახალი, ჩექმები და ახალივე ქუდიცა ჰქონდა. ამიტომ თავისუფლათ შეეძლო ბიძისკენ გამგზავრებულიყო.

იმას არ უნდოდა ქალაქში მცხოვრებ ნათესავებს გლახათ სჩვენებოდა. დაე დარწმუნდნენ, რომ სოფელში დარჩომილი ნათესავები სამარცხვინონი არ არიანო, ჰფიქრობდა გულში გუსტავი.

ერთ მშვენიერ დღეს გზასაც გაუდგა და ნათესავებს არც კი შეატყობინა, რომ იმათკენ გამგზავრებას აპირებდა: ეშინოდა წერილითვე უარი არ შემომითვალონო. გუსტავმა ჩინებულათ იცოდა, რომ ქალაქის ნათესავები არც გუსტავს და არც მთლათ იმათ ოჯახს კარგად არ უყურებდნენ. ეს განწყობილება გაზაფხულზედ უცბათ ფულის მოთხოვნით ნათლად დაამტკიცეს ნათესავებმა.

მოხუცი ბიუტნერი იქ წასვლას ფულისა და დროს დაკარგვათ სთვლიდა, რადგანაც კარლ ლებერეხტის იმედი სრულიად არა ჰქონდა. მთელ საგვარეულოში ხნით ამ ძმაზედ ახლო არა ვინ იდგა ტრაუგოტტთან, ბავშვობაში თითქმის ყოველ წუთს ათრევდნენ ერთმანეთს თმითა. კარლ ლებერეხტი ფხიზელი და ცოცხალი ბავშვი იყო და მზათ იყო ყოველ წუთს რამე ახალი სიცელქე და სიგიჟე გამოეგონა. უმფროსი ძმა ლებერეხტს „სად მომგლიჯესა და ყაჩაღს“ ეძახდა და გუსტავს ურჩევდა ამ განძრახისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ მოხუცის ლაპარაკს გუსტავი ყურადღებას არ აქცევდა და მაინც თავისი სიტყვის გაყვანა უნდოდა. სიყმაწვილეში როგორიც უნდა ყოფილიყო ლებერეხტი, ვაჟკაცობაში მაინც კაი უნარი გამოიჩინა და რა განწყობილებაშიაც უნდა ყოფილიყო, მაინც მამის ღვიძლი ძმა იყო. იქნება ნათესავური გრძნობა ჯერ სრულიად არ ჩაჰქრობია და, კარგათ რომ სთხოვოს, კვლავ გაუღვიოს გულში?

გუსტავმა ბიძაშვილის წერილიდან იცოდა რომ ბიძა „სავაჭრო“ მოედანზედ ვაჭრობდა და ამიტომ, ჩავიდა თუ არა ქალაქში იქითკენ გასწია. დიდი ძებნა არ მოუნდა, რადგან ოქროს ასოებით დაწერილ თავის გვარს შორიდანვე მოჰკრა თვალი.

კედელზედ წარწერილ თავის გვარს რომ შეხედა გუსტავმა, გული რაღაც ამპარტავნულ გრძნობით და სიხარულით აევსო. სანამ დუქანში შევიდოდა, გუსტავი კაი ხანს იდგა ქუ-

ჩაზედ და ნანახი სურათით სტკბებოდა, გული კი, თითქოს რიღაცის ეშინიანო, საშინლად უცახცახებდა. ამისთანა მშვენიერ სავაჭრო სახლს გუსტავი ვერც კი წარმოიდგენდა.

ბიუტნერის სავაჭრო კუთხის სახლში იყო მოთავსებული, რომელსაც ორი დიდი ფანჯარა „სავაჭრო“ მოედნისკენ და რამდენიმე წვრილმალი შესახვევ ქუჩისკენ ჰქონდა მიქცეული. ყოველი ფანჯარა სხვა და სხვა საქონლით იყო გატენილი: ფერად შუშებში ჩაი და ყავა, ათასნაირი საპნები, კოხტა კოლოფებში ჩაწყობილი სანუკვარები, კოხტად შეკრული სანთლები, ხილეულობა, თამბაქო და სხვა და სხვა საჭმელები. ერთ ფანჯარაში ჩინელი იჯდა და თავს აქანდურებდა. ერთ განცხადებაზედ, რომელშიც ახლათ ჩამოტანილ ჩაის აქებდნენ, ზურგზედ ტომრებ აკიდებული აქლემი იყო დახატული, რომელიც არაბს მოჰყავდა.

გუსტავი გაჩერებულიყო ფანჯრების წინ და, გაკვირვებულს გონება ვეღარ მოეკრიფა. თუმცა სალდათობის დროს რამდენიმე წელიწადი დიდ ქალაქში გაატარა, მაინც სოფლური ხეპრეობა ცოტათი კიდევ შერჩენოდა. ყველაფერი, რაც უწინ არ ენახა ან არ ესმოდა, თან აკვირვებდა და თან რიღაცის შიშს უნერგავდა გულში.

ეს ფაქიზათ მოართული ფანჯრები და ათასნაირი, მისთვის უცნობი, საქონელი არწმუნებდა გუსტავს, რომ ბიძა მართლაკაი შეძლების პატრონი უნდა ყოფილიყო. როგორ დაიჯეროს, რომ ამოდენა ქონების პატრონი გალზენში დაბადებულა, სხვა გლეხებსავით ამასაც პატივი და სხვა უსუფთაობა უზიდნია და მინდორში ნახირი უძოებია, მერე კი ვეღარ გაუძლია, ვეღარ აუტანია ამ გვარი ცხოვრება და გაქცეულა. იქნება მამის უსამართლობასაც გაექცა, რომელიც უფროსი ვაჟის გულისთვის მას ავიწროებდა და სჩაგრავდა? ამ გარეოებაში გადიხვეწა უცხო მხარეს, ვინ იცის, რამდენი გაჭირვება გამოიარა, რა თანამდებობა არ შეასრულა და ბოლოს ამ დღესაც მიაღწია. სხვათა შორის, მებაყლის ნოქრათაც ყოფილიყო, მერე ბატონის

ქალზედ დაიწერა ჯვარი და ამით სიმდიდრის საფუძველი დაიდო.

ქალაქში კიდევ უშველის კაცი თავის თავს და რამეს გააწყობს!

ამ ფიქრით გუსტავმა მიიხედ-მოიხედა და შენიშნა, რომ ირგვლივ სიცოცხლე სდუღდა და გამოდიოდა, ყველა ფაციფუცში იყო, ყველა სადღაც მიეჩქარებოდა და რაღაცას მიესწრაფოდა—ყველა ამის მაყურებელ გუსტავს გულმა როგორღაც ქენჯნა დაუწყო და საოცრათ შემოჰკვნესა. აგერ საქონლითა და სიმდიდრით სავსე დუქნები, კოხტად და ფაქიზად შეკეთებულ-შელამაზებული სახლები. ქალაქთან შედარებით თავისი სამშობლო სოფელი გალბენაუ უდაბნოთ ეჩვენა გუსტავს! აქ კი იგრძნო, რომ თითქოს რაღაც ღირსება ჩამოერთვა, თავის საკუთარ თვალში დაეცა და, მიუხედავათ ახალი ტანთსაცმელისა, საკუთარი თავის რწმენა დაჰკარგა. ნათესავები უეჭელათ გაუროკნავ და გაუთლელ გლეხათ ჩასთვლიან, ვერც ეს ტანთსაცმელი უშველის. ორჯერ სამჯერ რომ აუარ-ჩამოუარა დუქანს, ბოლოს, როგორც იყო, გაბედა და შიგ შესვლა გადასწყვიტა.

დახლს რამდენიმე ახალგაზდა კაცი მოსდგომოდა. ერთი გამხდარი, მაღალი ტანის, კაცი იყო და ცხვირზედ სათვალეები ეწყო. ის მიუბრუნდა გუსტავს და მოსვლის მიზეზი ჰკითხა. გუსტავმა თავისი გვარი დაასახელა და გამოუცხადა, რომ ბიძის ნახვა მინდაო. ახალგაზდა კაცმა სათვალეებ ზეიდან გადახედა უცნობს და უთხრა—სამწუხაროთ, მამა ჩემი ამ ჟამათ აქ არ არისო.

აგერ თურმე როგორი ბიძაშვილი ჰყოლია. გუსტავმა ცნობისმოყვარეობით აათვალ-ჩაათვალიერა თავისი სეხნია.

მის წინ ჩამომხდარი, ცოტათი წელში მოღუნული და მაღალიტანის კაცი იდგა. ამის მაცქერალი ძნელათ წარმოიდგენდა, თუ მისი მამა-პაპა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სოფელში სცხოვრობდა და მთელი თავისი სიცოცხლე გუთანზე გაუტარებიაო, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ გუსტავის ბიძაშვი-

ლი მასწავლებელს უფრო ჰგავდა, ნათესავური მსგავსება მაინც არ დაეკარგა და ბიუტნერიანთი კიდევ რაღაცა შერჩენოდა. თავის ქალა, დიდრონი ხელფეხი და თმა გალბენაუელ ბიუტნერებისა ჰქონდა.

ორთავე ბიძაშვილი დარცხვენილნი იდგნენ და ხმას არც ერთი არ იღებდა. ორთავენი მშვენივრათ ჰგრძნობდნენ, რომ მიუხედავათ ნათესაურ დამოკიდებულებისა, მაინც უცხონი იყვნენ ერთი მეორისთვის. ეროიც და მეორეც როგორღაც ურწმუნოთ ათვალიერებდნენ ერთი მეორეს და არც ერთმა არ იცოდა, რა ეთქვა და ლაპარაკი რითი დაეწყო.

გლეხის შვილ გუსტავს გულში ეზიზღებოდა ეს ფერწასული ახალგაზდა კაცი, რომელიც მთელი დღე იძულებული იყო დახლთან მდგარიყო და მარტო მუშტრის სიამოვნებაზედ ეფიქრნა. მაგრამ ამ ზიზღს, ცოტა არ იყოს, შურიც უერთდებოდა, ის შური, რომელსაც გლეხი ყოველთვისა ჰგრძნობს ხალმე მოქალაქისადმი. მოქალაქე გუსტავი კი გულში დასცინოდა სოფლიდამ ჩამოსულ ნათესავს და იმის თავისებურ მიხვრა-მოხვრას მასხარათ იგდებდა.

დუქანში რამდენიმე მუშტარი შემოვიდა. იმათ გასტუმრების შემდეგ ბიძაშვილი მიუბრუნდა გუსტავს და თავიანთა წასვლა ურჩია—„მოხუცი“ უსათუოთ შინ იქნებაო. გზის საჩვენებლათ დუქნის პატარა ბიჭი გაატანა. გუსტავი გაჰყვა ბიჭსა და მალე ბიძასაც ეახლა.

ბიძასთან ბევრით უფრო კარგათა ჰგრძნობდა გუსტავი თავსა, ვიდრე ბიძაშვილთან. ეს კაცი ნამდვილი ნათესავი იყო მისი და ორთავეს ერთი სისხლი უჩქეფდათ ძარღვებში. მაღალი ტანის გლეხი, უწვერო წითელი სახით და ხშირი ჭალარა თმით გალბენაუს მემამულეს ასლი იყო. კარლ ლებერხტ ბიუტნერს თავზედ მოქარგული ქუდი რომ არა ხურებოდა, ფეხებზედ ლბილი ფეხთსაცმელი და ტანზედ ქალაქური კოხტათ შეკერილი ტანთსაცმელი არა სცმოდა, ყველა გალბენაუელ გლეხათ იცნობდა. თვალის ჩაკვრაში და თავისებურ ღიმილში გლეხური ეშმაკობა იფარებოდა. ლაპარაკშიც კი რაღაც შერ-

ჩენოდა გლეხური. ძმისწული წრფელის ალერსით მიიღო მოხუცმა.

ლებერეხტმა ბიძაშვილი გვერდზედ მოისვა, ღვინო მისთავაზა და სთხოვა ჯერ თავიანთ ოჯახზედ და მერე გალბენაუელ სხვა გლეხებზედაც ეამბნა რამე, რომლებიც მოხუცს ჯერ კიდევ არ დავიწყებოდა. რასაკვირველია, მოხუცის ნაცნობებს გუსტავი ბევრს სრულიად არც კი იცნობდა, რადგან არა თუ არ ენახა, არც კი გაეგონა იმათზედ რამე. ბევრი იმათგანი დახოცილიყო, ბევრი სრულიად წასულიყო გალბენაუდან და სამუდამოთ გადაკარგულიყო.

ბიძა ისეთი გულითა და სიამოვნებით ეკითხებოდა ყველა ამას, რომ გუსტავს გამბედაობა მოემატა. ბიძას ჯერ კიდევ ჰყვარებია თავისი სამშობლო კუთხე, ამის ეჭვი გუსტავს აღარა ჰქონდა. როცა ჯერი ბიუტნერიანთ მამულზედ მიდგა და ბიძა დაეკითხა, თქვენი საქმე როგორღა მიდისო, გუსტაუმა ისარგებლა შემთხვევით და თავიანთი გასაჭირი დაწვრილებით აუხსნა.

კარლ ლებერეხტი, როგორც შეეტყო, გაჰკვირდა. რამდენჯერმე თავი გააქნია და შუბლიც კი შეიკრა.

— რას ლაპარაკობ!? ეგ კარგი საქმე ვერ მოგსვლიათ!— ასე უპასუხა ბიძამ გუსტავს. ტრაუგოტტი რომ გაჭირვებაში უნდა ყოფილიყო, ეს კარგათ იცოდა ლებერეხტმა, მაგრამ თუ ასე გაფუჭებული ექნებოდა საქმე, ამას კი ვერასგზით ვერ წარმოიდგენდა!... აქ ღრმათ ამოიოხრა და მწარეთ დაღონდა.

ამგვარ თანაგრძნობით დაიმედებული გუსტავი, ბოლოს, როგორც იყო, მიუბრუნდა ბიძას და სთხოვა ამ გაჭირვებიდან როგორმე გამოეყვანა ნათესავები. იქნება ბიძამ როგორმე მოახერხოს და ის ათას შვიდასი მარკა, რომელიც მამას კაშელერნესტისა ჰმართებს, ამან გადიხადოს და მიკიტნის გირაოს ქაღალდი თავის სახელზედ გადიტანოს.

კარლ ლებერეხტმა შუბლი შეიკრა, წარბები მაღლა აიწია და ლოყებ გაბერილი ერთ წერტილს ჩააჩერდა. ამ დროს ლებერეხტი საშინლათ წააგავდა თავის ძმას, ტრაუგოტტს— იმანაც ასე იცოდა, როცა ძნელი საკითხი ჰქონდა ხოლმე გადა-

საწყვეტი. მერე მარჯვეთ ჩაჯდა სავარძელში და თუმცა ძმის საქმე საშინლათ გაფუჭებულად აღიარა, მაინც გუსტავის მთელი გეგმა ხელმეორეთ მოისმინა.

გუსტავი გრძნობით და ჭკვიანურათ ლაპარაკობდა. იმან ყველაფერი უამბო და რაც კი გულზედ მოწოლილი ჰქონდა, ყველაფერი გადმოანთხია. ბიძასთან როგორღაც კარგადა ჰგრნობდა გუსტავი თავსა; კაშელერსტთან ლაპარაკის დროს კი ენა ებმოდა და სათქმელ სიტყვას ველარ ჰპოულობდა. ის ემუდარებოდა, ეხვეწებოდა, რომ ბიძა დახმარებოდა და გასაჭირიდან გამოეყვანა ნათესავები; ლაპარაკობდა და თითონვე უკვირდა, ასეთი სარწმუნო სიტყვები საიდამ მაგონდება და ასე დაბეჯიდებით ლაპარაკს როგორ ვახერხებო.

მოხუცმა ყური მოიფხანა და უთხრა—ეხლა ცუდი დროა, ფული სულ საქმეში მაქვს მოთავსებულიო,—მაგრამ უარი მაინც არ უთხრა ძმისწულს. ლებერეხტი თან და თან უფრო ლბებოდა და, როგორც ეტყობოდა, საქმე იჩარხებოდა.

გუსტავს გულში უხაროდა, რადგან საქმე გარიგებულათ და გაჩარხულათ ეგულებოდა კიდეც. იმან გადასწყვიტა შემთხვევით ესარგებლნა და სარგებლისა და საქმის გასაკეთებელი ხარჯიც იმისთვის ეკისრებინა.

მოხუცმა არც უარი უთხრა და არც თანხმობა გამოუცხადა. როგორც ეტყობოდა, ეს საქმე ძალიან აწუხებდა მოხუცს—ის გაცხარებული დადიოდა ოთახში, ხელებს ისრისავდა, მალიმალ თავს იფხანდა და ბოლოს ნება-უნებურათ ძველებურათ გლეხურათაც დაიწყო ლაპარაკი, რაც იმის მღელვარებას ცხადათ მოწმობდა.

— არა, აგრე უცბათ როგორ შეიძლება?! თქვენ, სოფლელებს, გგონიათ ჩვენ ფული ბზესავით გვეყაროს. თქვენი საქმე რომ ცუდათ წავა, ჩვენ პირველნი ვიღუპებით ხოლმე, მაშინ ჩვენც უფულონი ვსხედვართ. მეც ეგრე ვარ, მე სულითა და გულით მინდა ტრაუგოტტს დავეხმარო, მაგრამ განა ჩემ ხელთ არის? განა შემიძლიან ის ჩავიდინო, რაც მე მინდა და რასაც

ვესწრაფვი? მართალია ჩვენი ფირმა თავის საქმეებს კი გაუ-ძღვება, მაგრამ...

ამ სიტყვებზედ მოხუცი შესდგა და ძმისწულს დაეკითხა— ჩვენი დუქანი ნანახი გაქვს თუ არაო. გუსტავმა უთხრა პირ-ველათ იქ მიველი და, სწორე გითხრათ, ძალიანაც გამაკვირვა იქაურობამაო. მოხუცს ეს ძალიან გაეხარდა და სიამოვნებისა-გან მთლათ გაბრწყინდა.

— ახლა ჩვენი საწყობი ნახე!—შესძახა მოხუცმა.—აბა ის გაგიკვირდება, აი! გუსტავი გაჩვენებს საწყობსაც. რალა ლაპა-რაკი უნდა, გალბენაუში მაგისთანა საწყობები არ გექნებათ.

კარლ ლებერეხტს თავისი გამარჯვება ჯერ ვერ მოენელე-ბინა—იმის სიხარული ხამის სიხარული იყო, რასაკვირველია. ღარიბ ნათესავებთან თავის შეძლებითა და უზრუნველი ცხოვრე-ბით თავი მოჰქონდა. ის დიდის სიამონებითა და ამპარტავნობით უამბობდა ძმისწულს წელიწადში რა თანხას ატრიალებდა, რამდენი მოსამსახურე ჰყავდა დაქირავებული, რა ჯამაგირს ურიგებდა-და მოვაჭრეებში რა ნაცნობები და მეგობრები ჰყავდა.მერე ისიც უამბო, რომ ჯერ პატარიდან დავიწყე და პირველათ წამლათ რომ მდომებოდა გროში არ მომეძებნებოდა ჯიბეშიო. მოხუცს წარსული სიღარიბითაც თავი მოჰონდა და თავს უხვათ იქებდა. თუ ასეთ მდგომარეობას მიაღწია მარტო თავის გამჭრიახობის და სმქმიანობის მადლიერი უნდა იყოს, მეტი არაფრისა. იმას უნდოდა აეხსნა ძმისწულისთვის სოფელში დარჩომილი ძმა და სხვა ნათესავები რად გაღარიბდნენ და რამ გააღატაკათო. მოხუცი წელში გაიმართა, მიუახლოვდა გუსტავს და ხელები მხრებზედ შეაწყო,

— აი,.მიყურე. თქვენი გლეხები წელზედ ფეხს იდგამთ— დღეს და ღამეს მუშაობაში ატარებთ, არც დღე გაგაჩნიათ, არც ღამე, არც დილა იცით, არც საღამო, თითქის არც ერთ სურვილს არ ისრულებთ, ყველაფერში თქვენ თავს უარს ეუ-ბნებით, მამაშენსავით, ყოველ გროშს ზედ დასტირით და მაინც არა გამოდის-რა! რაც უნდა ჰქნათ, გლეხები ვერაფერს მიაღ-წევთ; ცხოვრებაში თქვენ არასოდეს არ დაწინაურდებით და,

პირიქით, დაქვეითება კი მალე შეგიძლიანთ. მე გეტყვი ყველა ეს რისაგან ხდება. იმისგან, რომ თქვენ თვლა არ იცით, თვლა... ნამდვილი გლეხი ის არის, ვინც თვლა არ იცის. და ვინც თვლა არ იცის, იმას ფულისა არა ესმის რა და, რასაკვირველია, ვაჭრობისათვის არც ვარგა. ეხლა ისეთი დროა, რომ თვლა და ანგარიში ყველამ უნდა იცოდეს—ეს პირობა უმთავრესია. აი, შენ მე შემომხედე! მეც დავრბოდი გალბენაუს სკოლაში და მეც იმას ვსწავლობდი, რასაც მამა შენი სწავლობდა. გამოგიტყდები და გეტყვი, ყმაწვილობაში დიდი ანცი ვიყავ, მაგრამ თვლა კი ვიცოდი, თვლა ყოველთვის კარგი ვიცოდი, ყოველთვის! აი სწორედ ამ თვისებამ მიშველა და ამან გამომიყვანა კაცად. აბა ეხლა შემომხედე, მე ვინა ვარ და თქვენ რა ხართ.—თქვენგნით არაფერი გამოვა ხეირიანი. რადა? იმიტომ, რომ რიგიანი თვლა არ იცით!..

გუსტავს ამგვარი სჯა-ბაასი სრულიად არ ეჭაშნიკებოდა, მაგრამ პასუხს მაინც ვერა ჰკადრებდა. იმას ხომ ერთი მიზანი ჰქონდა, რომ როგორმე დაეყოლებინა ბიძა და ამისთვის მისი გაჯავრება და მოთმინებიდან გამოყვანა ხელს არ მისცემდა. გუსტავმა კვლავ თავისი დაიწყო და სათხოვარი კვლავ გაუახლა.

ბიძამ მხარზედ ხელი დაჰკრა და ალერსიანათ გაუღიმა. ვნახავ, რა შემიძლიან და რა არის საჭირო. მე ისეთი კაცი არა ვარ, რომ ჩემი ნათესავები განსაცდელში დავტოვოო,—უთხრა მოხუცმა, მაგრამ გადაჭრით დახმარებას კი მაინც არ დაჰპირდა. როცა გუსტავი ჩააცივდა, მოხუცმა მოუგო, გადაჭრით ვერაფერს გეტყვი, რადგან არ ვიცი, სხვებიც დამეთანხმებიან თუ არაო.

მეზობელ ოთახში ქალების ლაპარაკი ისმოდა. როგორც ეტყობოდა, ერთ ახალგაზდა და ხნიერ ქალს უნდა ჰქონოდათ ლაპარაკი. ბოლოს კარები გაიღო და მოხუცი დედაკაცი შემოვიდა; გუსტავი მიხვდა, რომ ეს დედაკაცი ლებერეხტის მეუღლე უნდა ყოფილიყო.

ცოლი რამდენიმე წლით უფროსი იყო ქმარზედ. ჭაღარა თავზედ თეთრი თავსახურავი ჩამეოფხატა და სოსანი ლენტებით

შეეკრა. ახლათ შემოსული თხუნელისებურ წვრილი თვალებით უცხო კაცს ცნობის მოყვარეობით დააკვირდა და გაიგო თუ არა, რომ ეს უცნობი კაცი გულბენაუდამ ჩამოსული ბიუტნერიაო, დალმეჭილ სახეზედ უცბათ თავისი ღირსების შეურაცხება გამოესახა. იმას საზოგადოთ ძალიან ეზიზღებოდა ეს „გლეხუჭეები“. ამიტომ არც კი გომოელაპარაკა ქმრის ნათესავს, მხოლოდ ქმარი განზედ გაიყვანა და აჩქარებით რაღასაც ეჩურჩულებოდა. რას ლაპარაკობდა დედაბერი, გუსტავმა არ იცოდა, რადგან უკბილობისა გამო მოხუცი საძაგლათ ჩაფჩაფებდა. თუმცა ლაპარაკის საგანს ვერ მიუხვდა გუსტავი, ის კი ცხადათ გაიგო, რომ იმის აქ ყოფნა დედაკაცს არ მოსწონდა, ბიძა რიღაცის ბოდიშს იხდიდა და რაღაცაში თავს იმართლებდა. ასე უცბათ სად დაეკარგა მოხუცს ამპარტავნობა და საკუთარი თავის რწმენა? ცოლთან ლაპარაკის დროს ლებერეხტი როგორაც შეკრთა, დაბეჩავდა და სიტყვის თქმას ველარ ახერხებდა.

— აგერ თურმე ქარი საიდან უბერავს!—გაიფიქრა გულში გუსტავმა.—როგორცა სჩანს, ბიძა თავის უფალი და სახლის ბატონი არა ბრძანებულა!

აქ კი შიშმა აიტანა, რომ მთელი გეგმა ჩამეფუშება და ვერაფერს ვერ გავარიგებო.

ცოტა ხნის შემდეგ ოჯახის სხვა წევრებიც მოვიდნენ— ბიძაშვილი გუსტავი, დუქანში რომ ნახა და მისი და. დანარჩენი შვილები სახლში აღარ ცხოვრობდნენ—ვაჟებს ცოლები შეერთოთ, ქალები გათხოვილიყნენ და ყველას თავისი ოჯახი გაეჩინა და თავისი კერა გაეჩაღებინა. გუსტავის და სულ უნცროსი შვილი იყო ლებერეხტისა და ოც-და-ერთის თუ ოც-და-ორის წლის ქალი იქნებოდა. ქალაქელი ნათესავი სხვა ფრივ ლამაზი ქალი იქნებოდა, რომ დედის წვრილი თვალები არ გამოჰყოლოდა. ქალმაც დედასავით ოდნავ დაუქნია გუსტავს თავი. ვიწრო წელით, ფაქიზი ხელებით და კოხტათ დავარცხნილი თმით ბიძაშილი ნამდილი ქალაქური ქალი იყო.

გუსტავმა ნება-უნებურათ ლებერეხტის ქალი თავის დებს შეადარა... და როგორღაც არა სჯეროდა, რომ ესეცა და თავისი დებიც ღვიძლი ძმებისანი იყვნენ.

გუსტავმა უცბათ თავის წრეში ვერ იგრძნო თავი. ამათთან საერთო მარტო გვარი თუ ჰქონდა, თორემ სხვა აღარაფერი. სახლის მოწყობილებაც როგორღაც უცხოთ ეჩვენებოდა: გაბრჭყვიალებული მაგიდები, ხავერდის ბალიშები მძიმე ლოდსავით აწვებოდნენ გუსტავს გულზედ. ყოველ ნაბიჯზედ სუფრები და ხალიჩები ეფინა, თითქოს უბრალო ხისა ამ სახლში ისევე რცხვენიანთ, როგორც სხვაგან უსინდისობისა და ურცხობისაო. ერთ კუნჭულში როიალიც კი იდგა და პატარა მაგიდაზედ კოხტათ დაკაზმული წიგნები ელაგა. საკვირველია, როგორ უნდა სცოვრობდეს ის ხალხი, ვინც ამდენ უსარგებლო საგნებით ივსებს სახლსა?!.—ჰფიქროდა გუსტავი. ამ სახლში კაცი თავისუფლათ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამდა. სულ იმის შიში უნდა ჰქონოდა, რომ ან რამე არ გავაფუჭო, ან არ გავტეხოო. გალბენაუში კი სულ სხვანაირათ ჰქონდათ სახლი მოწყობილი—იქ ყოველი საგანი რამესთვის საჭირო იყო. ხალხიც, ღვთის წინაშე, იქაური სჯობდა. გუსტავს კი ასე ეგონა და! მართალია ისინი ამათსავით ზრდილნი არ არიან, მაგრამ სანაცვლოთ გულახდილნი და უფრო ადვილათ გასაგებნი იყვნენ, ვიდრე ეს ამპარტავანი ნათესავები, რომელთაც სიტყვის დახარჯვაც კი საშინლათ ეზარებოდათ.

ბოლოს ყველანი სასადილო ოთახში გავიდნენ, სადაც გუსტავი ბიძის გვერდით დასვეს. ამ გარემოებამ გუსტავი გაახარა, რადგან ბიძა ხშირათ ალერსიანათ გამოელაპარაკებოდა ხოლმე. ბიცოლა ისევ მტრულად უყურებდა. ბიძაშვილები კი ისეთ გაცხარებულ ლაპარაკში იყვნენ, რომ კაცს ეგონებოდა რამდენიმე წლის უნახავები თუ არიანო. იმათ ლაპარაკსა თუ ხმაში რაღაც ბოროტი სიხარული და ამპარტავნული გრძნობა ისმოდა. ეტყობოდათ, ძალიან უხაროდათ, რომ ეს ხეპრე გლეხი თუმცა ყურს უგდებდა, იმათ ლაპარაკიდან ერთი სიტყვაც კი არ ესმოდა.

გუსტავმა გაიფიქრა: იმის მაგიერ, რომ ასე ხშირათ სცვალონ თეფშები, ის არ ემჯობინებოდა, რომ რამე მაძღრისი მოეტანათო? სადილის დროს თეთრ ხელთათმანიანი და სუფთა წინ-

საფარ აფარებული, ახალგაზდა გოგო ემსახურებოდათ. ყოველი საჭმელი იმას მიჰქონდა და ვისთანაც მივიდოდა, ყველას „მიირთ-ვითო," ეუბნებოდა. გუსტავმა გაიფიქრა—ეს სიტყვა სრულიად უაზრო და სულელ ურიაო. კაზარმებში თუ თავის სახლში სულ სხვა რამეს იყო გუსტავი დაჩვეული: როგორც უნდოდა, ისე დაჯდებოდა, ერთ მათლაფაზედ სჭამდა რაც ექნებოდა და როცა გაძღებოდა, მაშინ ადგებოდა. აქ კი სკამზედ გამოჯგიმული უნდა იჯდე, ყოველი განძრევისა გეშინოდეს, ელოდო როდის მოგიტანენ კერძსა და როცა მოგართმევენ, პატარ-პატარა ლუკმებით უნდა გაიძღო კუჭი. ბიძის ქალი როგორღაც უსიამოვნოთ მოიღუშა, როცა გუსტავმა ერთი ნაჭერი პური კიდევ მოითხოვა და დაუმატა — ცოტა დიდი ნაჭერი მომეცით, თორემ ძალიან წვრილათ დაგიჭრიათო.

სადილს შემდეგ, ყავის სმა რომ დაიწყეს, ამათი სასიძოც მოვიდა. ეს მორთულ-მოკაზმული და მოპრანჭული ყმაწვილი საცოლოსთან შედარებით მთელი მტკავლით იყო დაბალი. ლებერეხტის ქალი კი, როგორც ყველა ბიუტნერი, მაღალი ტანისა იყო. ეს ახალგაზდა, ლიპიანი ყმაწვილი განცვიფრებული გაჩერდა, მოჰკრა თუ არა უცხო კაცს თვალი. მაგრამ საცოლეს მოელაპარაკა და მალე დამშვიდდა, ალბათ, დამამშვიდებელი პასუხი თუ მიიღო.

მერე, ვაჟებს რომ საქმეებზედ ლაპარაკი შესძლებოდათ, ქალები მეორე ოთახში გავიდნენ. წასვლის წინ ლებერეხტს ცოლმა რაღაც წასჩურჩულა. ალბათ, თუ არიგებდა, როგორ უნდა მოქცეულიყო და თავი როგორ დაეჭირა.

გუსტავი ძლივს ბიძა-ბიძაშვილთან და იმათ სასიძოსთან დარჩა. ყველანი გაჩუმებული ისხდნენ და თითქოს იმას ელოდნენ, რომ გუსტავს დაეწყო ლაპარაკი. მაგრამ გავიდნენ თუ არა ქალები და გუსტავი ვაჟებთან დარჩა, იმ წუთსვე მიხვდა, რომ დილანდებურათ თავისუფლათ და გასაგებათ ველარ ილაპარაკებდა. დაიწყო თუ არა ლაპარაკი, ბიძაშვილმა და იმათმა სასიძომ როგორღაც მრავლ მნიშვნეულად გადახედეს ერთმანეთს, ამან ხომ სულ ერთიანათ გადარია გუსტავი.

გუსტავის შემდეგ ლებერეხტის შვილმა ილაპარაკა: ბიძაშვილი ტყუილათ თავს ნულარ შეიწუხებს, რადგან იმის წინადადებას აქ ვერავინ დაეთანხმება. ამისთანა საქმეში ფულის დახარჯვა მეტის-მეტი „სასულელე“ იქნებოდა. ლებერეხტის შვილი ისეთ სიტყვებს ხმაროობდა, რომ გლეხის შვილს არა ესმოდა-რა. ამ საქმეში დახარჯული ფული „ffona perdu“ იქნებოდა,—და სულ რაღაც „non valeurs“-ზედ და ტყუილ გირაოს ქაღალდებზედ ლაპარაკობდა. „ცოცხალი კაპიტალი მკდარ საქმეში არ უნდა დაიხარჯოსო“—დიდის რიხით გამოაცხადა ბოლოს.

დაგრგვალებული სასიძო თანხმობის ნიშნათ თავს იქნევდა და კარლ ლებერეხტი, როგორც ეტყობოდა, შვილის ჭკვიანური ლაპარაკით სტკბებოდა. მამას შვილის ლაპარაკით თავი მოჰქონდა და ნასწავლი შვილით ამაყობდა. გუსტავი კომერციულ სასწავლებელში სწავლობდა და მხედველობაც იქ დაჰკარგა, მაგრამ, სანაცლოთ, ასეთი ლაპარაკიც ხომ იქ ისწავალა.

სჯა-ბაასის შედეგი კი ის იყო, რომ გუსტავს უარი უთხრეს:

—ჩვენ არ შეგვიძლიან ამოდენი ფული დაკარგულ და უიმედო საქმეში ჩავყაროთო,—შვილის შემდეგ მამამაც გაიმეორა.

გუსტავმა ვერაფერი მოარიგა და შინ გულჩათუთქული დაბრუნდა. გამოთხოვების დროს, ბნელ დერეფანში, ბიძამ რაღაც ჩასჩარა გუსტავს ხელში, მაგრამ ისე კი, რომ არავის დაენახა. პირველად თითონაც ვერ გაიგო გუსტავმა გამოთხოვებისას ბიძამ რა მიუძღვნა, მაგრამ კარგათ რომ გასინჯა, გამოჩნდა, რომ ერთი ყუთი გავანის საუკეთესო სიგარები მიეცა.

* * *

ეხლა კი გადასწყვიტა გუსტავმა, რომ მამულის შერჩენა შეუძლებელია და კარებზედ მომდგარ უბედურებას ველარაფრით ველარ ავიცდენთო. ის ისევ შინ დაბრუნდა და თუმცა ძველებურად ისევ შველოდა მამას, გულში კი გადასწყვიტა, თავისი ბედი როგორმე ოჯახის სხვა წევრების ბედისაგან გაეცალკევებინა და თავის თავისთვის რამე ეფიქრნა. ეხლა

ერთი ხელიც ხომ აღარ არის! ჰყავს ისეთი ვინმეც, რომელ-ნიც მშობლებზედაც და და-ძმაზედაც უფრო ახლო სდგანან მასთან. აი სწორედ ისინი ჰყავს მას საფიქრებელი—პაულინა და იმისი ბიჭუნა გუსტავს როგორც თავის მრჩენელს და მა-ცხოვრებელს ისე შესცქეროდნენ. მალე გუსტავმა მღვდელსაც და სოფლის მმართველობასაც გამოუცხადა, გაზაფხულზედ პაულინაზე ჯვარი მინდა დავიწეროო.

მაგრამ ჯვარს რომ გადიწერენ, ხომ სადმე უნდა იცხო-ვრონ და მამის სახლში რომ ვერ შემოიყვანდა პაულინასა და შვილს, ეს ცხადზედ უცხადესი იყო. ოჯახის მომავალ მარჩე-ნელს რამე გამორკვეული საქმე და შემოსავალი უნდა ჰქო-ნოდა. ახალგაზრდა კაცს პასუხის გების და მოვალეობის გრძნობა თანდათან ეზრდებოდა და უფრო-და-უფრო აწუხებდა. ეს გრძნობა საკუთარი თავის რწმენას უკარგავდა და გამბე-დაობას აკლებდა. გუსტავმა მთელი მიდამოები მიიარ-მოიარა, მიდგა-მოდგა, ხან ვის ეკითხებოდა, ხან ვის წაუგდებდა ყურს, გაზეთებსაც კი ადევნებდა თვალსა, იმ იმედით, რომ რამე თა-ვის შესაფერ ადგილს იშოვნიდა. გუსტავს რამე სამსახურში უნდოდა შესვლა, მაგრამ რა სამსახურში შევიდოდა—ჯერ თი-თონაც არა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ათასი შეუძლებელი და შეუსრულებელი გეგმები უმძი-მებდნენ თავსა; ერთი ხელობა უცხო ქვეყანაში გადასახლე-ბასაც კი აპირებდა.

პაულინა მშვიდათ ისმენდა გუსტავის გეგმებს და არაფერს ეუბნებოდა. ის იმოდენათ კეთილი და მოყვარული იყო, რომ ყოველთვის მოახერხებდა ხოლმე გუსტავის გამხიარულებას. პაულინა სრულიადაც არ იყო შეშინებული და გუსტავსავით ცხოვრების წინ არა ჰკრთოდა.

იმ დღის შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ გუსტავი იმის საკუთრებათ გადიქცევოდა, პაულინა სულით და გულით და-მშვიდდა. როგორც ნამდვილი ქალი, პაულინა იმისთანა დრო-საც კი, როცა მდგომარეობა გამოურკვეველი ჰქონდათ და არ იცოდნენ რა მოელოდათ მომავალში, ამისთანა დროსაც კი

არ ივიწყებდა რაც საჭირო იყო და გაქანებული მზითევს იმზადებდა. სადა და როგორ იცხოვრებს, ეს პაულინამ არ იცოდა და, იმის აზრით, არც თუ საჭირო იყო ამის ცოდნა. ერთი რამ იყო რასაც კმაროობდა პაულინა და თავის ხანგრძლივი სიყვარულის და ერთგულების ჯილდოთ ჰხატავდა. ეს ჯილდო, ეს უსაზღვრო ბედნიერება ის იყო, რომ გუსტავი და ის ცოლ-ქმარნი შეიქმნებიან და სამუდამოთ ერთმანეთს დაეკუთვნებიან. ქალი მადლიერი იყო გუსტავისა და იმის ერთგული და ხანგრძლივი სიყვარულისა. თუ ხანდახან უწინდებურათ ალერსიანათ არ ეჭცევოდა, ან ცუდ გუნებაზე შეხვდებოდა, პაულინა ამას არცა ნაღვლობდა და არც ყურადღებას აქცევდა, რადგან ეს დროებითი ცვლილება გუსტავის წრფელი სიყვარულის ეჭვს ვეღარ უბადავდა. პაულინას უწინდებურათ აღფრთოვანებულის და იჭვიანი სიყვარულით აღარ უყვარდა; ეხლანდელი სიყვარული მშვიდი და კმაყოფილი ქალის გრძნობა იყო, რომელსაც ერთათ-ერთი უნდოდა და კიდეც მიისწრაფოდა მისკენ, ეს ერთათ-ერთი მიზანი ის იყო, რომ თავის ბიჭუნის მამა შეერჩინა და სამუდამოდ თავის საკუთრებათ გაეხადნა. პაულინას არც თავმოყვარეობა აკლდა: იმას არ უნდოდა, რომ გუსტავს ცარიელ-ტარიელი წაჰყოლოდა. თუმცა დიდ მზითევს ვერ მიიტანდა, მაგრამ მაინც, ანდაზისა არ იყოს, სულ არარაობას ცალი უღელი ხარი სჯობიაო, რაც უნდა მოეტანა, გუსტავისთვის ისიც კარგი იქნებოდა. ამ უკანასკნელ დროს ძალიან ხშირათ ნახავდა ადამიანი პაულინას მაკრატელით, ადლით თუ ძაფით ხელში; იმისი პატარა ოთახი ხომ სულ მუდამ მიტკლებითა და ჩითეულობით იყო სავსე.

გუსტავმა როგორღაც ყური მოჰკრა, რომ მებატონეს მეეტლე დაუთხოვნია და ეხლა ეს ადგილი თავისუფალი არისო. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ გუსტავი იმ საათშივე მებატონის სახლისკენ გაემგზავრა, მაგრამ ეს ხმა ტყუილი გამოდგა. ძველი მეეტლე თითონ არც კი ჰფიქრობდა ამ ადგილის დატოვებას, რადგან კარგი ჯამაგირი ჰქონდა, და არც მებატონე ითხოვდა. გუსტავმა თუმცა ვერა გაარიგა რა, მებატონეს მოურავი, შროფფი, მაინც გაიცნო.

გუსტავს უწინაც ბევრჯერ გაეგონა ამ კაცის გვარი. მოხუცი ბიუტნერი ახსენებდა თუ არა ამ მოურავის გვარს, სახე სიბრაზითა და მძულვარებით წამოუჭარხლდებოდა და ჯიუტათ სულ

ერთსა და იმავეს გაიძახოდა ხოლმე: „კაპიტანი წვრილ ხალხს როგორც კურდღლებს, ისე სდევნის, რასაკვირველია, იმისთვის რომ იმისმა ბატონმა უფრო ადვილათ გაანადგუროს ისინიო.“ მეორეს მხრივ გუსტავს ბევრი კარგი რამეცა ჰქონდა კაპიტანზედ გაგონილი. ბევრნი ლაპარაკობდნენ, მოურავი ძალიან კარგი კაცია და მუშებსა თუ გლეხებს ძალიან ხშირათ ესარჩლებაო. მუშების საცხოვრებელი სახლები თითქმის ყველანი შროფფის დროს იყვნენ აშენებული, უწინ კი ზამთარ-ზაფხულ რაღაც უვარგის ფიცრულებში სცხოვრებდნენ. მარტო ამისთვის იყო კაპიტანი საქები.

— თქვენ, მგონი, მოხუცი ბიუტნერის შვილი ხართ? — დაეკითხა კაპიტანი.

— დიაღ, ბატონო.

— განა მამა თქვენის მამულში სათქვენო საქმე ვერ მოიპოვება, რომ სხვაგან ეძებთ ადგილსა?

გუსტავმა გულახდილათ ვერ უპასუხა. სხვა და სხვა გარემოების წყალობით იძულებული ვარ სხვაგან ვეძებო ადგილიო. გუსტავს რცხვენოდა თავიანთ სიღარიბისა და ვერ გამოტეხილიყო, რომ არამც თუ შვილი, მალე მამაც ველარ იპოვნიდა თავის მამულში საქმესა.

— აი, თქვენგან უფრო ნამდვილ ამბავს გაიგებს ადამიანი. აბა, მითხარით თქვენი მამულის საქმე როგორ მიდის?

გუსტავმა მიუგო — მამიჩემის საქმე მეტათ ცუდათ მიდის და თუ ვინმე არ დაეხმარა, მალე სულ მთლათ დაიღუპებაო.

— აი, მეც სწორედ მაგას ვეუბნებოდი მამათქვენს ამ ნახევარი წლის წინათ, მაგრამ გამგონი სად იყო? — შესძახა კაპიტანმა.

კაპიტანი და გუსტავი უკანა ეზოში ლაპარაკობდნენ. ამ ლაპარაკის დროს კაპიტანი რამდენსამე ახალ მუშას გაუსწორდა და მერე გუსტავი თავისთან შეიწვია.

ქვით მოფენილ ბილიკით მოურავი და გუსტავი საჯინიბოებს გასცდნენ. ეზო ოთხ კუთხედი, მაგრამ გაგრძელებული იყო. ერთ მხარეს საქონელის შესანახი შენობები იყო ამართული და მეორე მხარეს — საღორე და ფარეხები. შუაში აგურით ამოშენებული ორმო იყო პატივის შესანახი და იქვე იმის გვერდით საქონლისთვის წყალი ჰქონდათ დაგუბებული. ცხენების კვიცებისთვის ერთი კუთხე შემოფარგლული იყო. ეს უზარმა-

ზარი ეზო კოხტა შენობით თავდებოდა, სადაც გრაფის კანტორა იყო მოთავსებული. მოურავიც აქ, ამ სახლში, სცხოვრობდა. მუშებისათვის აშენებულ სახლების წინ დატოვებული ადგილი დასახლებულთა შრომის მოყვარეობით ჩინებულ პატარ პატარა ბაღებათ იყო გადაქცეული. აქედან თითქმის სრულიად არ მოსჩანდა გრაფის კოშკი. ის ხშირ ფოთოლა ხეებით იყო შემოზღუდული და განცალკევებული იდგა, თითქოს არც კი უნდა, რომ შორიდან მაინც მოსჩანდეს შრომის ბუდეო.

კაპიტანი შროფფი ამ სახლის პირველ სართულში სცხოვრობდა და ორ ოთახში იყო მოთავსებული. მოწყობილება სულ უბრალო ჰქონდა: ტყავ გადაკრული ავეჯი, რამდენიმე ლერწმის სკამი, წიგნებით სავსე თახჩა და საწერი მაგიდა. საითაც გაიხედავდით, ყველგან ჩიბუხები, თუთუნი და წუმწუმები ეწყო. ესეც რომ არა ყოფილიყო, ჰაერზედაც შეატყობდა ადამიანი, რომ ამ სახლში თუთუნის გატაცებით მწეველი უნდა მდგარიყო. კედლებზედ სამხედრო და სანადირო ნივთები ეკიდა. საწერ მაგიდის თავით, ოთახის ერთათ ერთი დამამშვენებელი საგანი, სურათი ეკიდა. სურათზედ ფერად-ფერადი საღებავებით სოფლის მაჰული იყო დახატული, სადაც კოხტა შენობა მყუდროთ მიკუნტულიყო ჩინებულ ხეივნის ფოთლებში. შემოფარგლულ პატარა მოედანზედ მჯდარი ვაჟკაცი კაპიტანი შროფფი იყო და იმის გვერდით მჯდომ ლია ფერის კაბაში გამოწყობილი ქალი ალბათ კაპიტნის ცოლი და სამი ქერა ბავშვის დედა თუ იქნებოდა. ეს სურათი სწორედ ამ ადგილას იყო დაკიდული და არა სხვაგან იმ მიზეზით, რომ კაპიტანი სადაც უნდა მჯდარიყო და რაც უნდა ეკეთებინა, აიხედავდა თუ არა, პირველად ამ სურათს მოჰკრავდა თვალს. კაპიტანი რამდენიმე წლის ქვრივი იყო და სურათზედ დახატული სამი, ეხლა დავაჟკაცებული, ვაჟი მამასავით იძულებულნი იყვნენ სხვის თვალებში ეცქირნათ და სხვის ჭერ ქვეშ ეცხოვრნათ.

შროფფმა გუსტავი დასაჯდომათ მიიწვია. მერე თამბაქოთი გაჭუკნილი ჩიბუხი მოიტანა, ცეცხლი მოუკიდა და გაუმაძღრად წევა დაუწყო. მერე სავარძელში გადაწვა, ფეხი ფეხზედ შემოიდო და დაიწყო:

— აბა მომიყევით ეხლა, ბიუტნერ! მამა თქვენი დაბერებულა და ყაყანის მეტს არაფერს აკეთებს. იმას სიკეთეს უშვ-

რებიან და ის კი იკბინება. მე მგონია, თქვენ უფრო გონიერი იქნებით იმასთან შედარებით, არა?

— ვეცდები, ბ. კაპიტანო!

გუსტავის გული შროფფმა უცბათ დაიტყვევა, ამიტომ მოურიდებლათ ყველაფერი დაწვრილებით უამბო. გუსტავმა მამულის გაყოფიდან დაიწყო, უამბო მამულის დავალიანება, მოხუცი ბიუტნერი გარემოებებს როგორ შეებრძოლა, ბოლოს როგორ გაჭირდა ცხოვრება, ხარჯი როგორ მოემატათ და ბოლოს მოვალეებმა როგორ დაუგეს გამოუცდელ და გაუნათლებელ გლეხს ქსელები.

კაპიტანი შროფფი წვერზედ ხელს ისვამდა, მოუთმენლად ბორგავდა სავარძელში, პირიდან ბოლს უშვებდა და მძიმეთ ოხრავდა; როგორც ეტყობოდა, გუსტავის ლაპარაკს კაპიტანი გულისყურით ისმენდა.

ბოლოს ჩიბუხი გვერდზედ მოსტყორცნა და წყევლა კრულვით ოთახში ჩქარი ნაბიჯით დაიწყო სიარული.

— მე ვიცოდი, ვიცოდი, რომ ეგრე მოხდებოდა!.. დასწყევლოს ღმერთმა!.. გლეხი, მგონი, არასოდეს არ დაუჯერებს პატიოსან კაცს და ვინც ატყუილებს, იმას კი შიგ ხელში ჩაუვარდება. გარრასსოვიცისთანა კაცს ენდობა, რასაკვირველია! მამა თქვენი სრულიად შეშლილა ჭკუაზედ, რადგან თითონ თავის ფეხით მისულა და ეშმაკს ჩავარდნია ხელში. განა მამა თქვენმა არ იცოდა, რომ იმ ურიას მთელი სოფელი ვერსბახი ეკუთვნის? მთელი ეს სოფელი ნახევარ, მეათე ფასათ იყიდა და მერე დაანაწილა! ეხლა ის საძაგელი წურბელა გალბენაუშიც გაჩნდა, მელა საქათმეში შეუშვეს, ჰა?.. ერთი წელიწადიც არ გავა და გარრასსოვიცი მთელ სოფელს მეხარკეთ გაიხდის! ახლა რალა უნდა ვქნათ, რა?

ამ სიტყვებით კაპიტანი გუსტავის წინ გაჩნდა და თვალებში ჩააჩერდა, ბიუტნერმა პასუხის ნაცვლათ მხრები შეიშმუშნა.

— ჰხედავთ, გლეხების უბედურებაში თქვენ, გლეხებივე ხართ დამნაშავე! ვერც ვერაფერი გიშველით! ცხვრებისავით თქვენ თითონ სცვივდებით ცეცხლში. მამა თქვენს თმა გასთეთრებია, რა არ გამოუცდია და რა არ გამოუვლია თავის ცხოვრებაში და მაინც კიდევ ურიასთან მიდის და თამასუქებზე ხელს უწერს. ეს ხომ სიგიჟეა. ყველგან ერთი და იგივე, ერთი

და იგივე... დიდსაც და პატარასაც ერთი დღე მოელით; სხვის უბედურებით ჭკუას რომ არავინ სწავლობს... ეს არის უბედურება და. ყველამ თავის თავზე უნდა გამოსცადოს უბედურება, რომ ცოტა ჭკუაზედ მოვიდეს. როცა საქმე გაფუჭდება, მერე ტირილსა და ოხვრას მოჰყვებიან ხოლმე, ყველა თავის თავს ამტყუნებს, მაგრამ რა გამოვიდა, შველა აღარსაიდან არ არის!

ამ სიტყვებს რომ ამბობდა კაპიტანი, საწერ მაგიდასთან იდგა და კედელზედ დაკიდულ სურათს დაშტერებით უყურებდა. სახეზე მწარე ნაღველი და დარდი გამოეხატა. მერე უცებ ხელი გაიქნია, თითქოს მძიმე ფიქრებს ერეკებაო, და ისევ ბოლთა დასცხო ოთახში.

— ახლა, ახლა რაღას აპირებს ბიუტნერი?

— თუ ბ. კაპიტანი რჩევას არ მოგვცემს...

— მამა თქვენს მაშინვე რომ მოეკრიბა ჭკუა და ჩემი სიტყვა ეაშინვე დაეჯერებინა, კიდევ უშველიდი რამეს, მაშინ ასე ძლიერ არ იყო იმის საქმე დახლარაული. ეხლა კი, როცა იმ ურიას თავის ტომარაში ჩაუჩქმალავს, ეხლა გვიანლაა!.. გრაფი სიცილით მოკვდება, თქვენი მამულის გამოსყიდვა რომ ურჩიო. მერე ის უბედური მამული ეხლა იმდენი არც კი ღირს, რაც ვალი აწევს ზედა. ისევ საჯაროთ გასყიდვას თუ მოუცდით, ეს კი უეჭველათ უნდა მოხდეს. თუ გადავსწყვიტეთ იმის შეძენა, მაშინ შეგვიძლიან მივიდეთ და ვაჭრობაში მონაწილეობა მივიღოთ. მამა თქვენმა კი ამ ამბებს უნდა უყუროს. ჩვენ მარტო ტყე გვინდოდა, მეტი კი არაფერი, ეს მე მაშინვე ვუთხარი. მთელი მამული კი რა საჭიროა ჩვენთვის? აგერ თურმე როგორ ყოფილა საქმე, თქვენ თითონ ჰხედავთ, ბიუტნერ, რომ თქვენ საქმეს ველარა ეშველება-რა.

— მე ყური მოვკარი, გარრასსოვიცი აგურხანის აგებას აპირებს ბიუტნერიანთ მამულშიო, —ჩაურთო სიტყვა გუსტავმა. გარრასსოვიცს უთქვამს, სააგურხანოთ ამაზე კარგ ადგილს ძნელათ თუ იშოვნის სადმე კაციო.

გუსტავმა ეს სიტყვები გულუბრყვილოთა სთქვა, სრულიად უაზროთ, მაგრამ კაპიტანი კი ამ სიტყვების გაგონებაზედ გაჰკვირდა.

— როგორ, აგურხანასაო?—შესძახა გრაფმა.—მერე თიხა გაქვთ განა მამულში?

— როგორ არ არის, ბატონო, თიხა? მეზობლები რამდენს ჩასჩიჩინებდნენ მამაჩემს: სულელი ხარ, რომ აგურს არა სწვამ შენ მამულშიო.

— გარრასსოვიცმა კი, რასაკვირველია, იმ საათშივე აიღო ალღო!— შეჰყვირა კაპიტანმა და, როგორც შეეტყო, ძალიან გაცხარდა: ახლა, რასაკვირველია, ზედ ცხვირის წინ წამოგვიპიმავს აგურხანას, სწორედ ეს-ღა გვაკლდა ამოდენა მშვენიერებასთან!

გუსტავს ეხლა რომ მოაგონდა, დიდი ხანი არ იყო, რაც მებატონეს მამულში ააშენეს აგურხანა და მიხვდა ამ ამბავმა ასე ძლიერ რად გააცხარა კაპიტანი და რასაკვირველია, იმასაც მიხვდა, რომ ეს გარემოება შეიძლებოდა როგორმე გამოეყენებინა. აქ კი ცხადათ დაინახა, რომ გაჭირვებიდან თავის დახწევა კიდევ თურმე შესაძლებელი ყოფილიყო.

ეხლა გრაფის მოურავს გუნება გამოეცვალა. იმან ისეთის ძალითა ჰკრა სკამს წიხლი, რომ სკამი ოთახის კუნჭულში მივარდა.

— ჰმ!... ჩვენც თურმე ჩაუგდივართ ხელში. ის საძაგელი გაიძვერა განა უსარგებლოთ რამეს დასტოვებს? ახლა აგურის ფასს დასწევს, მუშებს გადიბირებს და მუშტარსაც ხელიდან გამოგვაცლის,— სულ მთლათ გახრწნის აქაურობას. აგურხანა ჯერ დასაწყისია— ამას კიდევ სხვა რამეები მოჰყვება, სახამებლის ან საღებავის ქარხანა! მერე მთელი სოფელი სამრეწველო ადგილათ გადაიქცევა. მაშინ ხომ ჩვენი მამულებიც სულ მთლად დაჰკარგავენ ფასსა! მაშინ მეურნეობას სულ უნდა დავანებოთ თავი. აგერ გეიგელსდორფი რად გადაიქცა? ყოველ ნაბიჯზედ ქარხნები ამართულან, წყალი წაჰბილწეს და ერთი კაცი აღარ მიდის მინდორში სამუშაოთ, ყველა ქარხნებისაკენ მიიწევს. აქაც სწორედ ასე მოხდება. მე მელანდებიან კიდეც ის დაწყევლილი ქარხნები. ყველგან ბოლი და ჭვარტლი. „თუ ეს მოხდა, შეგვიძლიან გრაფს მამულის დაკარგვა მივულოცოთ.

გუსტავი ხმაჩაკმენდილი ყურს უგდებდა და გულში უხაროდა, რომ საქმე ასე მოტრიალდა. ამაზე უკეთესს რაღას ინატრებდა? თუ გრაფი და ვაჭარი ერთმანეთს შეეცილებიან ბიუტნერიანთ მამულის გამო, ეს სარგებლობის მეტს არაფერს მოუტანს იმის მამას.

კაპიტანი კვლავ მიუახლოვდა გუსტავს და ალერსიანათ ხელი მხარზე დაადო.

— აბა მითხარით, ბიუტნერ—თქვენ უნტერ-აფიცრად ყოფილხართ და გონიერ კაი კაცად მეჩვენებით—ნუ თუ მართლა თქვენი მამული იმ საძაგელ ურიას ჩაუვარდება ხელში და მამა თქვენი იძულებული შეიქნება მამულს თავი დაანებოს?

გუსტავმა მიუგო, მამაზედ რომ იყოს დამოკიდებული, ის, რასაკვირველია, მაგას არ იზამდაო. ახალგაზდა ბიუტნერი მშვენივრათ მიუხვდა მოურავის გულის თქმას. რასაკვირველია, ეს კაცი ისეთი წრფელი გულისა და უანგარო არ იყო, როგორც სცდილობდა, რომ სხვებს სჩვენებოდა. იმ ცოტა ხანში მოხუცმა ბიუტნერმა მართალი სთქვა იმაზედ: „დიდ ხალხს გლეხები ისრევე უყვართ, როგორც კატას თაგვიო“.

— ამ საქმის ეგრე დატოვება ყოვლად შეუძლებელია!— შესძახა კაპიტანმა.—თქვენი საგვარეულო, მგონი, დიდი ხანია რაც მაგ მამულს მფლობელობს? კაი დღე დაგვადგება, თუ თქვენსავით ძველებურ ოჯახებს ძირის თხრა დაუწყეს. გარრასსოვიციისათვის საკმარისია ფეხი ჩადგას სადმე, რომ ბოლოს ყველაფერი თითონ ჩაიგდოს ხელში. აგურხანის ამბავი მე ძალიან მეწყინა, სწორეთ გითხრათ.

გუსტავმა გადასწყვიტა, ეს ვაჟბატონი სიტყვაზედ რომ დავიჭირო, ურიგო არ იქნებაო და გამოუცხადა—რამდენიმე ათასი მარკა სულ გვისხნიდა ამ უბედურებიდანაო და მთლად აუსხნა თავისი გეგმა. დაბოლოს სთხოვა: კაშელის გირაოს ქაღალდი თქვენზედ რომ გადაგეტანათ, ჩვენც გვიშველიდით და თქვენ თავსაცაო.

— მე, ჩემო კარგო?—შესძახა კაპიტანმა.—მეც თქვენსავით ღატაკი ვარ და იქნება მეტიც, რადგან ერთ დროს კაი ცხოვრება მქონდა... მაგრამ დავანებოთ ამას თავი!.. ყველას თავისი ნაღველი და დარდი აქვს. არა, ჩემგან ნურაფერს ნუ ელით, ჩემო კარგო! მე გრაფის წარმომადგენელი ვარ აქა, მეტი კი არაფერი!

გუსტავმა უთხრა, იქნება ამ თხოვნით თვით გრაფს მიჰმართოთო, კაპიტანმა შუბლი შეიკრა და წვერზედ ხელი წაისვა.

— გრაფი!.. გრაფი ეხლა ბერლინშია და უფრო დიდის

სიხარულით თითონ აიღებს ფულს, არამც თუ სხვას მისცეს. არც ჩვენა გვაქვს გადასაყრელი ფული... იმისთანა ცნობილ პირს, როგორიც ჩვენი გრაფია, ყოველ წელიწადს უფრო მეტსა და მეტ ხარჯს აწერენ, შემოსავალი კი პატარავდება. სინიდის ქვეშ გეტყვით, მე არ შემიძლიან ამ საქმეში ჩარევა ვურჩიო გრაფსა.

მერე ისევ სავარძელში გადაწვა და კვლავ ფიქრებმა გაიტაცეს.

— მამა თქვენს ძალიან ენანება მამული?—დაეკითხა ცოტა ხნის შემდეგ კაპიტანი.

მე მგონია, საცოდავი მოხუცი ამ დანაკლისს თან გადაჰყვებაო, მიუგო გუსტავმა პასუხათ.

— მესმის, მესმის!—სთქვა კაპიტანმა და ფეხზედ წამოხტა.

— აი რას გეტყვით, ბიუტნერ!—დაიწყო კვლავ კაპიტანმა.—მე მოვარიგებ მაგ საქმეს. გრაფს წერილს მივწერ. დაპირებით ვერაფერს დაგპირდებით, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ გრაფი ყოველ თხოვნას მისრულებს ხოლმე. ცოტა მოვალეობას არ ვიდებ კისერზედ, მაგრამ მაინც მოვარიგებ ამ საქმეს... თუ თქვენთვის არა, ჩემთვის მაინც...

გუსტავი გამოეთხოვა და სახლისკენ დამშვიდებული წავიდა.

იგ. ბოლუმორდვინოვი.

(შემდეგი იქნება)

თამარ მეფე

და

მისნი ისტორიკოსნი

I. სამეფოს მლიერება და მიჯნები. არასდროს საქართველო ისე ამაღლებული და გაძლიერებული არ ყოფილა, როგორც თამარ მეფის ჟამს. „ისპაანს დავსდევ ბეგარა, სტამბოლს ხარჯი ავიღეო“, ეთქმოდა მხოლოდ თამარ მეფეს.

მართალია, თამარი სტამბოლამდის ვერ მისწვდა, გარნა კეისარს, როგორც მოწმობენ თვით ბერძნული წყაროები და აგრეთვე ქართლის ცხოვრებაც, ჩამოართო ტრაპეზუნტი და მისი მიდამოები პონტოს ზღვის პირად და აქ დასო თავისი ხელადი კაცი, რომელიც ტრაპეზუნტს გაიმპერატორდა. რომ თამარს ეხარკა სპარსეთი, ამას, ზეპირგადმოცემასა და ქართლის ცხოვრებას გარდა, მოწმობს შავთელიც თავის „აბდულმესიანში“.*) იგი ამბობს (შავთ., ტ. 35): „ხარ კეისარი, ხარკე, ის არი სიმდიდრით ლაღი, ჯიმშედს (სპარსეთს) მფლობელი“. დავით აღმაშენებელს არა თუ სპარსეთი არ დაეხარკა, რახსაც არ გასცილებოდა, სპარსნი სპარსეთს თამარივით არ შეემუსრა.

---

*) პროფ. მარი თავის შრომაში—Тексты и разысканія по Армяно-Грузинской филологіи, IV (Спб, 1902),—ამტკიცებს, რომ იოანე შავთელი იყო თანამედროვე დავით აღმაშენებლისა და მისი პოემა შეხმაა დავით აღმაშენებლისა და არა თამარ მეფისა. კარგი იქმნება, რომ ბ. მარმა ანგარიში გაუწიოს ჩვენის ავტორის მოსაზრებათაც და გაარჩიოს ეს მოსაზრებანი. რედ.

თამარი არა თუ სპარსეთის მძლეველი იყო, არამედ შუამდინარემდის და დამასკომდის ზარს სცემდა. ძლიერმა სალადინ სულთანმა (1171 — 1193 წ.) იერუსალიმიდგან გაიტაცა მაცხოვრის ხატი. თამარმა, იბნ შედდანის მოწმობით, ამ ხატში შეაძლია სულთანს 200,000 დინარი და სთხოვა დაებრუნებინა ქართველებისათვის მათი სავანეები, იერუსალიმისა. დამასკოს სულთანთან ზავი დასდო და ამის შემდეგ, თანამედროვე კირაკოსის თქმით, უღვთო სულთნები მოწყალედ ეპყრობოდნენ მათს ქვეშევრდომებს, განსაკუთვრებით კი ქართველებს, რომელნიც იქაურს ქალაქებში ბაჟ-გადაუხდელად შედიოდნენ; მეტადრე დიდად პატივსცემდნენ ქართველებს იერუსალიმში. თამარის მეოხებითო, დასძენს იგივე მწერალი, მშვიდობა და მეგობრობა დამყარდა საქართველოსა და სულთანთა სამთავროებ შორის.

დამასკო ძველის არამის მომიჯნავე ქალაქია. და შავთელი სრულიად მართალია, როდესაც ამბობს:

ქველად ჭერით ა (რს),
რისხვით ჭერით-ა (რს
ელი ამ ოსით
ეს რომ არამით.

რომი ანუ რუმი ეწოდებოდა იკონიის სასულთნოს. ბარონ ტორნაუს ისტორიულ ატლასით (ტაბულა VIII) 1202—1291 წლებში საქართველოს მომიჯნავე სახელმწიფოები იყო: ა) ტრაპიზუნტის იმპერია (ზღვის პირიდან ნოპიდგან გონიამდის), ბ) რუმი (იკონიის სასულთნო ხმელთაშუა ზღვითგან ჭოროხის სათავემდის), გ) სალადინის სამეფო (ეგვიპტიდგან ევფრატ-ტიგროსის შუაწელამდე), დ) ბაღდადის სახალიფო (შუამდინარეში), ე) ქურთისტანი (ბაღდადის სახალიფოდგან ვანის ტბამდე), ვ) სასულთნო ხლატისა ანუ ხელატისა (ტიგროს-ევფრატისა და არეზის სათავეებში ყარსამდე), ზ) ადრიბეჟანი (მომიჯნავედ ქურთისტანისა, ხელატისა და საქართველოსი მტკვრის შე-

სართავამდე და Ъ) ერაყი (ადრიბეჟანის აღმოსავლეთ-სამხრეთით). თვით საქართველოს იმავე ავქსონის ჩვენებით უჭერია მეტად დიდი სივრცე კავკასიონის მთებიდგან ჭოროხამდე და არეზის სამხრეთის მიჯნამდე. ამავე მიჯნებს თითქმის შეუცვლელად აღნიშნავს ქართლის ცხოვრებაც (გვ. 283), როდესაც ამბობს, თამარმა იპყრაო „ზღვით პონტოსით ზღვადმდე გურგანისა (გურგანის ზღვად იწოდებოდა კასპიის ზღვის სამხრეთი ნაწილი) და სპერითგან (ჭოროხითგან) დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერნი და ამერნი, ხაზარეთამდი და სკვითთადმი“.

აი, სადამდის გასწვდა ძლიერება თამარ მეფისა, აი, სად და სად ფრიალებდა ქართველთ დროშა თამარ წმინდის მპყრობელობის ჟამს, იმ თამარისა, რომელიც ყოველს საქმეს იქმოდაო, ვითარ „მოჰბერვიდა სული“ (წმიდა).

თამარი დიდი ხელმწიფე იყო. სიგელ-გუჯრებში იგი „ღვთისა სწორად“ იხსენიების, მატიანე მას სთვლის „სიმაღლე შეუსწორებლად“, შავთელით იგია „ციერთ უმაღლე“ და მას „მთა ვერად სწორავს არარატისა“, „თამარიანით“ იგია „სიმაღლით ცებრი“, თვითონ თავისთავს სთვლის „მეფედ აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელად“.

ეს ცოტაა კიდევ. არასდროს არ ყოფილა, რომ ქართველი ლაშქარი შებმოდეს თვით ხალიფას ჯარს, შეემუსროს მისი ძალა, მის ქვეშევრდომ მაჰმადიანთაგან ხარკი აეღოს. „ხალიფამან წარმოავლინა მოციქული და დიდნი მრავალფერნი სამეფონი ძღვენნი წარმოგზავნნა და დიდითა სიმდაბლითა შემოეხვეწა თამარს, რათა აღიღოს ხარკი და დააცადოს რბევა“ (ქ. ცხ., გვ. 318).

„აღმისრულებიეს თხოვა შენიო,—უპასუხა თამარმა ხალიფას,—რომელთაცა ინებონ მშვიდობა თავთა თვისთა, მოიღონ ხარკი წინაშე ჩემსა და მათდა მიმინიჭებიეს მეცა ცხოვრება ვედრებისათვის შენისა“ (იქვე).

ამასვე ლაღადებენ

ა) შავთელი (ტ. 16).

ა ხალიფასი
ახალი ფასი
მრავლად მოერთმის
თავთა მონებად.

ბ) „თამარიანი“ (ტ. 73)

ურჩთა კლვად მკოდი,
სულტანთა მგოდი,
ხალიფას სვისა
ჯვარითა მშლელი.

გ) ქართლის ცხოვრება (გვ. 310)

ხალიფას დროშას
და თანავე მანიაკსა
შევრთე ცრუ სჯულთა მოძღვრისა
ღაზოდ მძღვანი,
რომელი დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა, მოსრნა-რა
სულტნითა ათაბაგი.

ყველა ამ უნახაობით განცვიფრებულნი მგოსნები და მემატიანე მიჰმართვენ თამარს:

ა) შავთელი (ტ. 3):

ძე ადამისი
მსგავსად ამისი
ვისცა ეხილვონ,
მამცნონ, სად არი?
ღმერთმან სამოთხიფ
მოგვცა სა(ა)მოთ ხით

ეთერ ბრწყინვალე
მზეებრ სადარი;
აღმოსავლეთით
და დასავლეთით
სამხრით ჩრდილომდის
ჰპოონ, სად არი
ზესკნელს ქვესკნელით
და გარესკნელით
უკანასკნელით
უფსკრულ სადარი?

და კიდევ (ტ. 95).

ქრისტეს სასძლოსა*)
ვინმცა ასძლოსა,
—განმწმენდით ქმნულსა,
გაბრწყინვებულსა—
თვით მას ედემსა,
ნათლად მიმდემსა,
პირველვე შენთვის
სახლად გებულსა,
სასუფეველსა
ყოვლად ცხოველსა,

*) ჩვენ არ ვიცით არც ერთი თხზულება, რომ ქ რ ი ს ტ ე ს ს ა ს ძ ლ ო დ არ იწოდებოდეს ქალი და ქ რ ი ს ტ ე ს მ ხ ე დ რ ა დ ვაჟი (მამაკაცი). თვით შავთელი თამარს იხსენიებს ქრისტეს ს ა ს ძ ლ ო დ, ხოლო დავით სოსლანს ქრისტეს მ ხ ე დ რ ა დ: „ქრისტეს მ ხ ე დ ა რ ს ა, მხნე, ახოვანსა და სხ. (ტ. 76). მეფე-ქალიც შეიძლება იწოდებოდეს მხედრად, ხოლო მეფე-მამაკაცი მუდამ იწოდება მ ხ ე დ რ ა დ და არა ს ა ს ძ ლ ო დ. ამას გარდა, თვით შავთელი პირდაპირ აცხადებს, რომ იგი აქებ-ადიდებს თამარ მეფეს და არა დავით აღმაშენებელს: (ტ. 2) თამარს ვაქებდეთ მფედ ცხებულსა; (ტ. 11) თამარ მეფესა... (ტ. 53) სიბრძნისა ზღვასა თამარ პირმშოსა. იგივე იხსენიებს ომებს, რომელიც გადაიხადა თამარმა, იხსენიებს ოსს დავითს და სხ. „აბდულ-მსეიანი“ არის „ქრისტეს შემდეგის“ (თამარ მეფის) ისტორია და მისი ქება.

საფუფუნებლად
თქვენთვის დასხმულსა!

ბ) „თამარიანი“ (ტ. 109, 112)

შენსა სადარსა
შენსასა დარსა
ვერა ვჭრეტ ცხადად
და ხსოვნებარად...
რა სთქვას ანელმან
დღეს მუსურმანთა
მოსანთებარე?
აგარის ერთა
სალმობიერთა
სხვამცა ვინ იყოს
სრვად შემძლებარე?

გ) ქართ. ცხოვრება (გვ. 277, 283):

დაიპყრნეს კიდენი ქვეყნისანი
და მეფობდეს იგი ზღვითი ზღვამდე
და მდინარითგან კიდემდე სოფლისათ.
არა სადა ვის უხილავს,
თვინიერ ამისსა, ესე ვითარსა
უვნებელობასა და ურიცხველობასა
შინა უვნებლად და მშვიდობით
დაპყრობა საზღვართა მამაპაპურთა.

II თამარ მეფის მეხოტბენი. იოანე შავთელი ჩვენ მიგვაჩნია ჩახრუხაძედ („შავთელი“ მას დაერქმეოდა შავს მთაზედ მოღვაწეობის გამო), ხოლო „თამარიანის“ შემთხვზელი, ჩვენის აზრით, არის იგივე „ვეფხისტყაოსნის“ ავქსონი, შოთა რუსთაველი (მესხი). რაზედ ვამყარებთ ჩვენს აზრს?

„თამარიანის“ ავქსონი შენიშნავს, თამარი ექო ჩახრუხაძესო (მოხევეს). ამგვარი სასაქებო თამარისა „თამარიანის“ წი-

ნად, შავთელს გარდა, არავის დაუწერია, ანუ, უკედ ვთქვათ, არა სჩანს მაინც, რომ ვისმე დაეწეროს, და ჩვენამდე მოღწევით ხომ „აბდულმესიანსა“ და „თამარიანს“ შორის დაწერილს თხზულებას არ მოუღწევია. მაშასადამე, თუ ვისმე ექო თამარი მანამდე, ექო მხოლოდ შავთელს, რომელიც შოთას თქმით და ქართლის ცხოვრების მოწმობით სანაქებო ლექსების დამწერად ითვლებოდა. და, მართლაც, შავთელმა პირველმა შემოიღო ჩვენში „ჩახრუხაულით“ ლექსაობა და თუ ეს შავთელი არ იყო თვით ჩახრუხაძე, რატომ მის შემოღებულს ლექსთწყობას არ დაარქვეს „შავთელური“ ანუ მაგვარი სახელი და მისი ნაოფლარ-ნამესვეური რად ჩასთვალეს სხვისად, მის მომდევნო ავქსონისად, ამ შემთხვევაში „ჩახრუხაძისად“?

ვიმეორებთ, ჩვენით, შავთელი ჩახრუხაძეა,*) „თამარიანის“ დამწერი კი — შოთა რუსთაველი. თუ ჩახრუხაძე შავთელი არ ყოფილიყო ან-და მისი დაწერილი ყოფილიყო „თამარიაანი“, „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოს შოთა ამასაც მოიხსენებდა სხვა მწერლებთან ერთად.

„ამირან დარეჯანისძე“
მოსეს უქია ხონელსა,
„აბდულმესია“ — შავთელსა,
ლექსი მას უქეს რომელსა,
„დილარგეთ“ — სარგის თმოგველსა,
მას ენა დაუშრომელსა,
„ტარიელ“ — მისსა რუსთველსა,
მისთვის ცრემლ შეუშრომელსა.

---

*) ჩახრუხი მგალობელს ფრინველს ეწოდება. შეიძლება, შავთელის გვარი არც კი ყოფილიყო ჩახრუხაძე და ესრეთი წოდება მიეჩემა მას ნართაულად, როგორც მგალობელს, მგოსანს. იმედია, ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მთიულეთ-ხეველი თანამშრომელნი მოიკითხავენ, დღემდის ხომ არ შენახულა გვარი ჩახრუხაძე.

თუ ჩახრუხაძე შავთელი არ ყოფილიყო ან-და ჩახრუხაძე „თამარიანის“ ავტორი ყოფილიყო, რუსთაველი მოახერხებდა, რომ ამ სიაში იგიც ჩაერთო.

ასრეთს აზრს ჩვენ კარგა ხანია დავადექით და ჩვენს წიგნში „Царица Тамара“ თინათინის გამეფება თამარის გამეფებად ჩავთვალეთ.

„თამარიანის“ დამწერი, ჩვენით, შოთა რუსთაველი, ამბობს: მოხევეს ჩახრუხაძეს (=ი. შავთელს) ექო თამარი და მე, რომელმაც უკვე ხოტბით გავლექსე იმავე მეფის გაგლილი მეფობა, ახლა უნდა ვაქო მისი სიმეტე თინათინი, მაგრამ არა ის თინათინი, რომელიც „არაბეთს“ იყო სულადიანი, არამედ ეს თინათინი, თამარ მეფე, როდესაც იგი იყო:

ჯერეთ ყმაწვილი,
წმინდათ ნაწილი,
სამოთხის ვარდი,
პირად მზიანი.

„ჯერეთ ყმაწვილი“ თამარ მეფე არავის შეუქია შოთა რუსთაველს გარდა: მისი „ვეფხისტყაოსანი“ იწყება ჯერეთ ყმაწვილის „თინათინის“ მეფედ კურთხევით და თავდება მის დაქორწინებით. მეფობა ამ თინათინისა (თამარისა) მას გალექსილი აქვს „თამარიანში“ და მასშივე წარმოუდგენია მოკლე გეგმა „ვეფხისტყაოსნისა.“

III გამეფება თამარ მეფისა. თამარი იყო ასული გიორგი III-ისა და ბურდუხანისა. ეს ბურდუხანი ოსეთის მეფის ხუდადანის ქალი იყო. ბურდუხანი ცოლად მოჰგვარა გიორგის მისმა მამამ აღმაშენებლის ძემ დიმიტრიმ (1125—1155). „მისებრი სძალი არა ეხილვა ქართლის თემსაო, შენიშნავს მემატიანე; შვენებით მზეთა მზე იყოო, მის ქებად ესეც საკმარისიაო, რომ შეიქმნა „დედად შვილისა ნათელ შემოსილისა, თვით ვახტანგ გორგასლის ადგილის აღმავსებელისა აღმოსავლეთისა, და დასავლეთის მპყრობელის თამარ მეფისა“. სიბრძნით, სიტურფით,

გონიერებით და შვენიერებით ბურდუხანი განთქმული იყო. მამა თამარისა გიორგი აგრეთვე ფრიად ახოვანი, ბრძენი კაცი იყო. თავის სიკვდილის ხუთის წლის წინად გიორგიმ მეფედ აკურთხა (1179 წელს) თაუისი ასული თამარი; მის დასალოცად და დასაგვირგვინებლად მან აირჩია ქართლის სოფელი ნაჭარმაგევი (აწინდელი კარალეთი), საცა იყო მეფეთა საზაფხულო სასახლე. აქ შეჰყარა კათალიკოზი, ეპისკოპოსები, ამერ-იმერნი, შვიდთავე სამეფოს ერი, ლაშქარი, აკურთხა და თავზე გვირგვინი დაადგა, დალოცეს და თაყვანისცეს მეფე თამარს.

IV მსგავსებანი თამარისა და თინათინის გამეფებისა.

ა) მშობელი მამა.

თამარისა.	თინათინისა
გიორგი მეფე იყო სვიანი (ქ. ცხ. 275), სვე-სრული (274), სვე-გამდიდრებული (269), სვე-დოვლათიანი (264), ამაღლებული (274, 275), უხვი (265), მორჭმული (274. 268, 264), მოწყალე (264), განგებიანი (268), უებრო (268), ბრძენი (265), უკადრი (265), მხნე (266), ლაშქარ-მრავალი, სხვილ ბარკალ ყმიანი, უძლეველი, გაზეებული, ახოვანი, გულმაღნიტოვანი, მკლავ-აქილევეული, მძლეთა მძლე, უზესთაესი, დიდი (266—268).	იყო „არაბეთს“ როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი, მადალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლავ მოუბარი წყალიანი.

ბ. შვილი.

გიორგი მეფეს სხვა ძე არ ესვა, მარტო ოდენ ასული მისი სახელი თამარ.	სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული... მისი სახელი თინათინ.

ბ) მიზეზი გამეფებისა.

თამარი შემთხვევით გამეფდა. კანონიერი მემკვიდრე იყო მისი ბიძაშვილი დიმიტრი დავითისძე. ეს დიმიტრი ჩჩვილი ყრმა იყო, რომ მამა მოუკვდა (1155 წელს). საქართველოს გამგედ შეიქმნა დიმიტრის ბიძა გიორგი. 1177 წელს დიმიტრი უკვე მოწიფული ჭაბუკი იყო, 21 წლისა დაბადებიდგან. ბიძას შეუთვალა, აწ სამეფო დამითმეო. გიორგიმ ტახტის დათმობა არ ისურვა. დიმიტრი აღზრდილი იყო ორბელიანთა კარზე. ეს ორბელიანები იმთავითვე ბაგრატიონების მესისხლე მტრები იყვნენ და ხშირად ღალატობდნენ მეფეებსა და სამეფოს. ამის გამო თუ სხვა მიზეზით ამ ორბელიანების მომხრე დიმიტრის გამეფება სასარგელოდ არ სცნო თამარის მშობელმა. ასტყდა ბრძოლა ძმისწულსა და ბიძას შორის. დიმიტრი დამარცხდა (1177 წელს) და გიორგიმ ტახტი დაულოცა თამარს (1179 წელს). ამას ცხად-ჰყოფენ მაშინდელი მწერლები.

ა. შავთელი (ტ. 98). ქრისტეს სასძლო, „ნესტორად მძლეობ, არა თუ ლეობ, დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდულად: აწე რისხვითა აწ ერი სხვითა გზით წარუვლინოს უკუნ-საქცევლად!“

„ისაკებრ პირმშობ კურთხევით, ნიშობ მელქისედეკებრ ლოცვით“ (ტ. 27).

დავით აღმაშენებელს არავითარი მიზეზი არ ჰქონდა, რომ **პირმშობა** ეშოვნა **ისაკებრ კურთხევით**, ვინაითგან იგი შობითვე პირმშო მემკვიდრე იყო თავის მამის გიორგი მეორისა.

ბ. „თამარიანი“ (ტ. 19): „საულს მეფობა ართო, მეფობა დავითს მიჰმადლა“.

გ. „ქართლ. ცხოვრება“ (გვ. 274): გიორგი მეფემ შეჰყარა ნაზირ-ვეზირნი და მათთან გამორჩევითა და განზრახვითა და **უფროსდა** **განგებითა** ზენისა დალოცა და მეფედ აკურთხა თამარი.

დ. „ვეფხის ტყაოსანი“: როსტევან მეფემ იწვია დიდებულნი და მათთან გამორჩევითა და განზრახვით მეფედ დასო-

თავისი ასული თინათინ. ამ დრომდისო, ამბობს როსტევან მეფე, ანუ

ამისად ქმნამდის დამწველი
ცეცხლი არ დამევსებოდა-ო.

და ეს „დამწველი ცეცხლი არ დაევსებოდა“ იმიტომ, რომ თამარის მეტოქედ ჰხედავდა დიმიტრის, რომელსაც ის იყო ბოლო მოუღო, რომ საკუთარი შვილი გაამეფა. თუ არა ეს გარემოება, ე. ი. დიმიტრის მეტოქეობა, მაშ რა ცეცხლი დასწვავდა ძლიერს როსტევან მეფეს? რად დაიწოდა ცეცხლით, ადგებოდა და უდრტვინველად, „ცეცხლით დაუწველად“ გაახელმწიფებდა ერთად-ერთს თავისს ასულს, მერე იმისთანას, რომელმაც „იცოდა მეფობა“.

V. მეფედ კურთხევის მოწყობილობა:

თამარისა	„თინათინისა“
მოვიდნენ ნაზირ-ვეზირნი,	მოვიდნენ დიდებულნი,
დიდებულნი, კათოლიკოზი,	მოხელენი, ლაშქარი მთელის
ეპისკოპოსპნი, ლაშქარი, ერი,	„არაბეთიდგან“. დასდგეს ტახტი
დიდნი და წვრილნი. ძვირ-	ძვირფასი. და ამ ტახტზე და-
ფასს ტახტზე, თავის მარჯვე-	საჯდენად
ნით, მეფემ დაისვა თამარი,	თინათინ მიჰყავს მამასა
შემოსილი ბისონითა და ზე-	პირითა მით ნათელითა;
ზით, თავსა დაადგა გვირგვი-	დასვა და თავსა გვირგვინი
ნი ოფაზისა, ალმკული იაკი-	დაადგა თავის ხელითა,
ნთითა და სამარაგდოით. ერ-	მისცა სკიპტრა და შემოსა
ნი ლიტანიობდეს მის წინაშე.	მეფეთა სამოსელითა.
მეფე გიორგიმ შეჰფიცა ერთ-	ქალი მზებრ უჭვრეტს ყოველთა
გულობა და ერთსულობა,	ცნობითა ზე-მხედველითა.
აკურთხა კურთხევითა აბრა-	უკუ-სდგეს და თაყვანისცეს
მიანითა და შეჰვედრა ღმერთ-	მეფემა და მისთა სპათა.
სა თამარი, მზეთა მზე, ნა-	დალოცეს და მეფედ დასვეს,
თელი და ბრწყინვალება,	ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
გვირგვინი და მანიაკი ყოველ-	ბუკსა ჰკრეს და წინწილანი

თა მეფეთა და ხელმწიფეთა,
მგალობელთა აღიმაღლეს ხმა
გვირგვინოსნობისა და მძლედ
მფლობელობისა, ჰკრეს სპი-
ლენძ-ჭურთა, ბუკთა, ქოსთა
და წინწილათა, თაყვანისცეს,
დალოცეს და ადიდეს სპათა.
დაატკბობდეს ტკბილთა ხმათა.
მეფე სმასა და მღერასა
იქმს, მეტად მოილხინებდა,
თინათინ მზესა სწუნობდა,
მაგრამ მზე თინათინებდა.

VI. **ქრის მოწვევა დედოფლისათვის.** ყველა მაშინდელი მწერლები შეეხებიან თამარისთვის ქრის მოწვევისა თუ გამორჩევის ამბავსაც.

ა) **შავთელი** (ტ. 5, 6): **დავით სოსლანი მოწვეულ იქმნა** თანახმად ღვთის აღთქმისა: „შენს ნაშობს, დავით, დავსვამ ტახტზეო“.

დავით სოსლანი ბაგრატიონი იყო, ხოლო ბაგრატიონნი ურიათა მეფის დავითის შთამომავალნი „იყვნენ“ და ამიტომ იწოდებოდნენ იესიან-დავითიან-სოლომონიან პანკრატოვანად და თავიანთ ღერბზე აღნიშნავდნენ დავითის ქნარს, შურდულს, უფლის კვართს, სასწორს, ორს ლომზე დაყრდნობილს გვირგვინს და ღერბის გარეშემო აწერდნენ „დავითნის“ შემდეგს სიტყვებს (131, მ. 11): „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა, და არა შეურაცხყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“. ამასვე იმეორებს **დავით სოსლანის** შესახებ შავთელი:

დავითისადა, დავითისადა
ეფუცა უფალს სიტყვა მტკიცედა:
„ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი,
დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა“.
ესე (დავით სოსლანი) მისითა,
ესე (ამგვარად) მისითა
კურთხევით უფლებს
ძალთა შემწედა.*)

*) ზეციერ ძალთ შემწედ. „თამარიანში“ (83): „მესიას შემწედ“.

ბ) თამარიანა (ტ. 100): „ურჩთა მოგვიდებს ცითა ნაწოდებს: დავითს უწოდა მეფეთა ძებად.“ შავთელიც კვლავ იმეორებს (ტ. 79): „ძეგლად სჯულისად მართლმსაჯულისად, დავით, გიწოდა თვისად მკვიდრობა“.

ბ) ქართ. ცხოვრება (გვ. 291): იტყვის დავით: „თავად უფალმან აღმიღო და მცხო ზეთითა ცხებულისა მისისათა“. ამის ძალით და „განგებითა და ნებითა ღვთისათა“ გაჰეფდა დავით სოსლანი.

დავით სოსლანიო, ამბობს ქართ. ცხოვრება (გვ. 291), იყო მოყმე ძეთაგან ეფრემისა, რომელ არიან ოვსნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა. ეს დავითი აღზრდა თამარის მამიდამ, რუსუდანმა. ეს თამარის მამიდა ოვსეთს გათხოვილიყო და მის გამო დავით სოსლანი ნათესავად მოხვდებოდა რუსუდანსა და თამარს. იგი იყო ფრიად შვენიერი, ნაკვთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, პირად ტურფა, ტანად ზომიერი, კეთილად ზრდილი და წვრთილი, მხნე და ძლიერი, რაინდობითა და მშვილდისნობით უსწორო შემმართებელი, ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ სრული, არც შინანი და არც გარეშეთნი არ იყვნენ მისებრ მშვილდოსანნი, ცხენოსანნი, მკვირცხლნი, მოასპარეზენი, მწიგნობარნი, არსად გამოჩენილ იყო მისებრი მოყმე. თვით თამარი მას იხსენიებს (ქ. ცხ., 310). ეფრემას შეებრ მოაისრად და „თამარიანშიაც“ ვკითხულობთ (ტ. 8 და 34):

„ისვრის ისარსა,
ვიტყვი, ის არსა
ეფრემის ძირთა
აღმორჩებულად“ (აღმოცენებულად).

„ვინ ეფრემს, თვისობს
სიმხნითა ისობს,
მბრძოლთა სისხლითა
ხმელთა მღებარე.“

დ) ვეფხის-ტყაოსანი. შოთა ვეფხის-ტყაოსნის თავში (ტ. 3) ჰკითხულობს: „ვის შვენის ლომსა ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა მეფისა მზის-თამარისა, ღაწვ ბალახზ, თმა გიშერისა?“ და ბოლოში (ტ. 1569) ამბობს: ავთანდილს

გამოეგებნეს „არაბნი“;
სამეფო დააშვენა მან:
ნახა მზე მისი, მირიდა
მისთა სურვილთა წყენამან,
მისთანა ტახტზედ დავესჯდა,
ალხინა მჭვრეტთა ლხენამან,
განახელმწიფა გვირგვანი
ზეცით მოსრულმან ზენამან.

მაშასადამე, ავთანდილსაც, ვითარცა დავით სოსლანს, გვირგვინი რგებია ზენაარობით, ღვთისა განგებით. ნამდვილა დაც ასრე იყო. ავთანდილს, ვითარცა დავით სოსლანსაც, უყვარდა მეფის ასული და, ვიდრე მასზე ჯვარს დაიწერდა, დავით სოსლანივით მრავალი ჭირ-ვარამი გამოსცადა. მაგრამ განვაგრძოთ.

ყველა არსებული წყაროები ვეფხისტყნაოსნითურთ თამარს **მზედ** უწოდებენ და შოთა კი პირდაპირ ამბობს, თუ რისთვის და ვისთვის ილექსა. იგი სწერს (ტ. 1578):

ქართველთა ღვთისა დავითის,
ვის მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავნი გავლექსე.

ქართველების ღვთისად კუთვნილ ანუ ღვთის მიერ რჩეულ დავითის (სოსლანის) ამბავი გავლექსეო, იმ დავითის, რომელსაც მზე (თამარ მეფე) მსახურებს სარებლად, ე. ი. საასპარეზოდ, სამოქმედოდ, სანავარდოდ. ქართლის ცხოვრებითაც ასრეა. დავით მეფეო, ამბობს მემატიანე (გვ. 297), მოქმედებდა და „ლაშქრობდა ბრძანებითა და გამორჩევითა თამარ სვე-ალექსანდრიანითა“

შემდეგ შოთა განაგრძობს:

მე მათად საკამათებლად,—
ვინ არის აღმოსავლეთით
დასავლეთს ზართა მარებლად*),
ორგულთა მათთა დამწველად,
ერთგულთა დამამაგრებლად,—
დავითის ქნარი ვითა ვთქვნე
სიჩალხე, სიხაფეთანი!

დავით წინასწარმეტყველის ქნარი ვერ შესწვდებაო იმათ კამათობას (მოქმედება, მეფობას), რომელნიც აღმოსავლეთით დასავლეთს ზარს სცემდნენო, ორგულთ (მტრებს) სწვავდნენო, და ერთგულთ მხარს უჭერდნენ, ამაგრებდნებო.

ამასვე ამბობენ თამარ-დავითის შესახებ სხვა წყაროებიც.

შაგთელი: „თამარ მეფე ერთგულთ ხსნილ ჰყოფს „(ტ. 11), „ორგულთ ერნი ცუდჰყვის სახმილმან“ (12), „აგარის ერთა ცეცხლთა მომდებლად (16), ერთგულთა სიმტკიცის კვერთხი მისაყრდნობელი (63), „ორგულთა მოსწყლავ, ერთგულთ ექმნები ფარად და ზურგად „(61).

თამარიანი (ტ. 76); „ერთგულთა უკლი, ურჩთა კვლად ზინდანს შემაყენალი“

VII. **ვეფხისტყაოსნის დაბოლოება.** ვეფხის ტყაოსანი თავდება თინათინისა და ავთანდილის, ტარიელისა და ნესტანდარეჯანის დაქორწინებით. რად სწყვეტს აქ სიტყვას შოთა და რად არ ლექსავს თავის გმირების „რებასაც“, ძეფობას? იმიტომ რომ უკვე გალექსა თამარ-დავითის მეფობა თავისს „თამარიანში“ და გვიჩვენა, ვითარ შეაყენა თამარმა ზინდანს ორგულნი, ვითარ გაუმაგრა ზურგი ერთგულთ, ვითარ დააბნელა შუქი მზისა თავის ცისკრობით და ვითარ განაბრწყინა სოფელი. შოთა გვეუბნება წინასიტყვაობაში;

---

*) ზართა მარებლად: ზმად—თამარ.

თამარს ვაქებდეთ მეფესა
სისხლისა ცრემლ-დათხეული!

ე. ი. იმ თამარს, რომელიც ქართველობამ უკვე დაიტირა, რომელიც (თამარიანი, ტ. 114, 110, 112) გაეყარა სოფელს, ზეცად წარვიდა და ურომლისოდ აღარავინ სჩანს „აგარის ერთა სრვად შემძლებარე“. ოღონდაც სათანადო იყო სისხლის ცრემლ დათხევით ექოთ განსვენებული თამარ მეფე, უებროდ განმადიდებელი და განმაბრწყინებელი შემკულის საქართველოისა

თამარის ისტორიას მემატიანე ასრე აბოლოებს (გვ. 338): „აქა დავხში სიტყვისა წყობა მომავალთათვის.. უმჯობესად შესატყვის შესაძლებელად სახის მეტყველებასა უაღრესისა სიტყვის პოვნით. და ამისთვის ჩვენ დუმილით პატივცემით დავიდუმოთ“.

შავთელიც დუმილით ათავებს თავის აბდულმესიანს (ტ 108).

მარტო შოთამ არ დაიდუმა: „თამარიანში“ გალექსა ის, რასაც მოგვითხრობს თამარ მეფის შესახებ მემატიანე ანუ რაც თვითონ ენახა და მერე აუსრულა წადილი მემატიანეს, „უაღრესი სიტყვები იპოვნა“ და „სიტყვის წყობა“ „მარგალიტ წყობილად“ აქცია.

VIII დაქორწინება თამარისა და „თინათინის“.

როგორც თინათინისა, ისე თამარის დაქორწინების ამბავი რალაც საიდუმლოებით მოცულია.

თამარი 23 წლისა იყო, როდესაც მამამ მეფედ გამოაცხადა (1179 წელს). ამის შემდეგ მისმა მშობელმა კიდევ ხუთი წელიწადი იცოცხლა. იბადება კითხვა: რატომ ამ ბრძენმა მეფემ,—რომელსაც ამდროს თინათინის მამასავით ეთქმოდა: „მე გარდავსრულვარ, სიბერე მჭირს, დღეს არა, ხვალე მოვკვდები“,—არ იზრუნა თავისს სიცოცხლეშივე „დაებინავებინა“ თამარი, ერთად ერთი მემკვიდრე თვისი და უკვე მის მი-

ერვე გახელმწიფებული? ნუ თუ იგი ვერ ხედავდა, რომ მისი ასული გასათხოვრად მოწიფულიყო და მისს სიტურფეს გაეხელებინა, გაეჭრა მრავალნი და ზოგნიც დაეპნიდა და გაერეტებინა? როგორ არ მოისაზრა, რომ საჭირო იყო თავისს ხელმწიფე ქალისთვის ამ მრავალ მოყმეთაგან აეჩინა ერთი საქმროდ და მოეწვია წინამძღოლად და სარდლად ლაშქრისა? რად სტოვებდა იგი ქალს უნუგეშოდ, უპატრონოდ და ჯარს უწინამძღვროდ?

მამის სიკვდილის წელიწადს (1184) თამარი 28 წლის ქალი იყო. მის ხელმძღვანელად და მეორე მშობლად შეიქმნა რუსუდანი. ამ დროს აიშალნენ საცა ვინ იყო გამოჩენილი სანეფოები, შინაურები თუ გარმიანელები. ყველა ესენი ისე შეეპყრო თამარის თვალთშეუდგამს სილამაზეს და ამასთანავე საქართველოში გამეფების სურვილს, რომ რეტდასხმულებს აღარც ნათესაობა აგონდებოდათ, აღარც სირცხვილი აწუხებდათ, ოღონდ სცდილობდნენ თავისი გულითადი წადილი სისრულეში მოეყვანათ. იმედით მოდიოდნენ სანეფოები და მიჯნურები შირვან დარუბანდიდგან, ოსეთიდგან, სპარს არზრუმიდგან და კოსტანტინეპლიდგან. ზოგი ამათგან თამარის სურვილით კიდეც დაბნდა და მოკვდა, ზოგმა, მაგალ., მუტაფრადინმა, დიდის ათაბაგ-სულთნის შვილმა, მეფობისა და თამარის მეუღლეობის მაგიერ საქართველოში ჰპოვა ხარჭისაგან ნაშობი ქალი, მასზე ჯვარი დასწერეს და წარვიდა.

სანეფოები გაშმაგებულ იყვნენ. თამარი კი კლდესავით იდგა. „თამარიანის“ ავტორი მიჰმართავს თამარს:

ვერვინ გიხილა:
ნახვად გიხილა
ანუ გიჰვრეტდეს
გარეტებულად.
ატევრებ თმითა,
სულისა დგმითა
ანატრებ, გნახოს,

ვინ განაძ ლევად.
შენთა მოყმეთა
რა ქნან? მოძმეთა
დედა და მამა
აღარ ასმოდის:
მუნ დაიხოცნეს,
სადა ეოცნეს
ქვეყნის სახელი
არ ასმიოდის.

სჩანს, თამარს ჰყვანდა თავისი საგულო, აეჩინა თავისთვის პატრონი და ქვეყნისთვის მეფე, მაგრამ ამას ვერ ხედავდნენ ანუ, უკედ ვსთქვათ, ამის დანახვა არ უნდოდათ მაშინდელ თავკაცებს და მიუხედავად თვისის ხელმწიფის სულის კვეთებისა, მისთვის საქმროს იწკევდნენ ყივჩაღეთიდგან, მერე საბერძნეთიდგან და სხ. გარნა ყველა ესრეთი საქმროები ჩალადაც არ გამოჩნდებოდა მის წინაშე, რომელსაც გული გულისთვის აღეთქვა, ვარდს ვარდისთვის ინახავდა.

ამას ნათელს ჰფენს „თამარიანი“: შენ, თამარო, დილარგეთი ააშფოთეო (ტ. 5), რამინს უშენოდ სტკივისო, ოსანოს რეტი დაესხაო, სალას სალმობა ლხინად მიუჩანს, თუ შენი პატრონი შეიქმნაო, შატბიერი დაშვრა შენის მოლოდინითო, რუსიც კი ვინმე ქმრად გიჯდა, მაგრამ რა დარჩა მის ძვალთაგანო, ერანს მფლობელიც ნატრად გახადეო; ვიცი, შენ თავს ინახავ ლომთა თავადისთვის, ავადად თქმულისთვისო!

„თამარიანში“ დავით სოსლანი ავ'ადად მოხსენებულია და აგრეთვე ავთანდილიც ვეფხის ტყაოსანში.

თამარიანი (ტ. 44)

ლომთა თავადად,
თქმული ავადად,
სხვაცა ვინმე სჩანს,
ხართ ნამარხევად.

ვეფხის ტყაოსანი (1222):

ესე ამბავი ავთანდილ
პირმზემან, მაგრ ავადამან,
რა მოისმინა, იამა,
სხვა არა გააცხადა მან.

ავად, ოსური სიტყვაადა ნიშნავს სახლიკაცს, ზოგის გა-შოთქმით ავად, მეგვარტომეს. ასრეთი იყო დავით სოსლანი, ოსი, რომლის მამა და დედა ვინ იყვნენ, არავინ იცოდა და ზოგნი მას უწოდებდნენ ბაგრატიონად, დიმიტრი ბაგრატის ძის ჩამო-მავლად, ზოგნი ეფრემის ძედ, ებრაელ იოსების ეფრემის თე-სლისაგან ნაშობად. შეიძლება „ავადი“ ოსური კი არა, იყოს ქართული ავადი (ინგ. ავადმყოფი). დავით სოსლანს, ალბად, იმიტომ იწუნებდნენ ზოგიერთნი, რომ, ვითომ, იგი ყოფი-ლიყოს ავადი.

„თამარიანის“ ავტორი ამბობს (ტ. 42, 43): „დასტირ კაენის, ეს ვით კაენის ძმის მკვლელობისა დანაბრალევად; სა-ლას სალმობად უჩნსვე და ლმობად სხვათათვის ხელქმნა ლხინ უნახევად“. ამას იმეორებს შოთაც ვეფხის-ტყაოსანში (ტ. 1316):

მისნი ვერ გასძლნეს პატიჟნი
ვერ კაენ, ვერცა სალამან.

აქ სალად იგულისხმება გმირი როსტომიანისა, ხოლო კაენად რუსი, თამარის ქმრად ყოფილი. ქართლის ცხოვრება ამბობს (გვ. 300): „სვე-უბედური რუსი, ამის სამოთხისაგან ექსორია ქმნილი, კაენისაებრ მკვლელი არა ძმისა, არაშედ თავისა თვისისა, ვერცა-ღა ნაიდსა ღირს იქმნა ყოფად.“ „და-ბადებაში“ ვკითხულობთ (თ. დ., მ. ივ): „გამოვიდა კაენ პირი-საგან ღვთისა და დაემკვიდრა ქვეყანასა ნაიდს წინაშე ედემისა.“ ეს რუსი კაენი კი, ექსორია ქმნილი, ვერ დადგა ვერც ყივჩა-ღეთს, ვერც კოსტანტინეპოლს და ვერც სხვაგან და უბრა-ლოდ თავი დაიღუპაო.

ყველა ამას დიდი ბრძოლა უნდა დაებადა ჯერ ისევ გიორგი მეფის დროსვე და ეს ბრძოლა უნდა დანელებულიყო. მხოლოდ 3—4 წლის დასასრულს რუსის მოწვევიდგან დავით სოსლანის დაქორწინებამდე 1193 წელს, როდესაც თამარი უკვე 37 წლის დედაკაცი იყო.

თუ თამარს წინ არ ეღობებოდა ძლიერის თავადების უკმეხობა, ხომ ამდენს ტანჯვასაც არ გამოივლიდა, ლომთა თავადს წინათვე მოიწვევდა და ჯვარს გადაიწერდა მასზე. სჩანს, ლომთა თავადს, „ავადად თქმულს“ (თამარიანი, ტ. 44), ბევრი მეტოქეები ჰყოლია რომ საჭირო შექმნილა მისთვის თავი თვისი დაეცვა, „დაემარხა“ თამარ მეფეს. ამას ცხადად აჩენს ტარიელის სიტყვები, თინათინს რომ უთხრა ქორწილის დღეს (1524).

შემიყრიხართ...,
აღარა გწვავს ცეცხლთა დება.
ქმარი შენი ძმაა ჩემი,
მწადს აგრეთვე თქვენი დება,
ორგულთა და შემცილეთა
შენთა მე ვქნა გაფლიდება!

ამ დრომდის კი „თინათინმა“ და „ავთანდილმა“ ბევრი ტანჯვა და მწუხარება გამოიარეს. ქალმა სამის წლის ვადით გაგზავნა ავთანდილი ტარიელის მოსაძებნელად და აღმოჩნდა, რომ სამი წელიწადი არ კმაროდა გულის წადილის მისაღწევად. ტარიელი თვით შეიქმნა საშემწეოდ და ვიდრე ნესტანს მოუძებნიდნენ და შერთავდნენ, მისგან შველა და მწეობა არ გაჭოდნებოდა.

რომ მართლაც ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყვანდათ თამარსა და დავით სოსლანს, ამას ცხად ჰყოფენ ცნობები ქართლის ცხოვრებისა, „თამარიანისა“ და სხ. ამ მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად საჭირო შეიქმნა მოკავშირეთა შეძენა.

IX მოკავშირეთა შეძენა.

რუსი რომ ძალად შერთეს თამარს (1190 წელს), დიდი უბედურება დაატყდა თავს ოსთა ორს ბატონიშვილს. იგინი

საქართველოში მოსულიყვნენ იმ განზრახვით, რომ ეგების ერთი ჩვენთაგან ღირს გაგვხადოს თამარმა თავის მეუღლეობისაო. იმედი რომ გაუცრუვდათ და ტახტზე რუსი დაბინავდა, იგინი ოსეთისკენ გაეშურნენ, მაგრამ ერთმა მათგან ველარ მიაწია სამშობლომდე და მწუხარებისაგან ნიქოზს გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს; მეორე კი, რაღა თქმა უნდა, დავით სოსლანი, წავიდა, მაგრამ სად?

ზევით შევნიშნეთ, „თამარიანში“ შოთას შეუტანია გეგმა ვეფხის ტყაოსნისაო. ამ გეგმით სატრფო ქალი (თამარ მეფე) ავალებს საგულოს (დავით სოსლანს) წავიდეს შორად, გაიჭრეს ველად, მოიაროს მაღრიბი, ხაზარეთი, ჩინნი და ხანნი.

არვისად სწორად წავიდის შორად,
ინდოეთს იყვის მისი საზღვარი:
ამოვლნის ინდნი, ხანნი და ჩინნი,
არარად უჩნდის მას მათი ზარი;
ატალას*) მოჰყვის, ქვეყანა მოსცვის,
არვისი ჰქონდის შესაუარი;
ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც ჩაჰყვის,
ზღვის პირით ჰქროდის ტაროსით ქარი;
ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის
ფერად ფერადი მრავალი გვარი,
ჰყვანდის მოყმები, მონა, მხევლები,
თვალმარგალიტი, სუნნელ ამბარი;
წავიდის ხმელსა, ოთხთა ველსა,
მუნ, სადა მეფედ ზის კეისარი,
მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი,
სრულად ეგვიპტე, არაბთა მხარი,
ამანს მივიდის, თავი იდიდის,
რა ჰხამდის, მუნცა ჰქმნის იგ ნაქნარი,
მოიქცის გარე, მოიებნის მთვარე,
შიშ ჰაერ-პირი მნათობი დარი (ჯან),

*) ატალა=იტილი=ვოლგა.

მოჰყვანდის ქალი, საჩემო სძალი,
მორცხვი, მორიდი, ბრძნად მოუბარი,
მოვლნის სჯარსეთი; სხვა ქმნის ასეთი:
სულტანი ნახის ცათა მცთუნარი,
იგავნი უთხრნის, მეფენი უქნის,
მათდავე სწორად მათი ლაშქარი.

ამას გარდა

მობადდადენი ბარდავს მოვიდის,
მახარებელი ჩვენთანა რბოდის,
ათიათასი მართ გაკვეთილი
ბიბი მოჰყვანდის, მოეზაოდის...
ქაბასა მფლობი დიდი ემირი
მას შიგან მთხრებლსა თვისად ისობდის;
მოჰმადის ხმობად მიზგითსა შესვლად
თაყვანისცემად მას შინა გცადის.

ყველა ამას ავალებს ქალი სატრფოს და ჰპირდება:

ვიცი გეწყალი: დამთქავს მე წყალი
ნოეს ნაკადი მოქცევი ღვარი;
რალა კვლავ მოჰკვდე, თუ არა მოჰკვდე,
ვამაგალითო მე ოდენ ვარი.

ყველა ეს ჩვენ მიგვაჩნია მოკლე გეგმად ვეფხისტყაოსნის იმ ნაწილისა, რომელიც შეიცავს ავთანდილისა და თინათინის გამიჯნურების ამბავს.

აქაც, როგორც „თამარიანში“, სატრფო ქალი (თინათინი) ავალებს საგულოს (ავთანდილს) წავიდეს შორად, მონახოს ტარიელი, და ჰპირდება, შენთვის დავიცავ ჩემს თავსაო.

სამსა სძებნე წელიწადსა
იგი შენი საძებარი;
ჰპოვო, მოდი გამარჯვებით,
მხიარული, მოუბარი,

ვერა ჰპოებ, დავიჯერებ,
იყო თურმე უჩინარი;
კოკობი და დაუფრჭკვნელი
ვარდი დაგხვდე დაუმჭკნარი.

„თამარიანში“ ვადა არ არის აღნიშნული, გარნა დავით სოსლანმაც სწორედ სამს წელიწადში მოახერხა რუსის დამხობა. ამას გარდა, თუმცა თინათინი არ ავალებს ავთანდილს მოკავშირეების ძებნას, გარნა ეს იგულისხმება თავის თავადაც.

ავთანდილი რომ მიდიოდა თავის მოძმის მეგობრისა და მოკავშირეს სანახავად და მიიმღეროდა, მისი სიმღერა და სიმართლე ყველას ესმოდა. და მის

მოვიდიან შესამკობლად
ქვეყნით ყოველნი სულიერნი:
ტყით—ნადირნი, წყალში—თევზნი,
ზღვით—ნიანგნი, ცათ—მფრინველნი,
ინდოთ, არაბთ, საბერძნეთით
მაშრიყნი და მაღრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი
და მისრეთით ეგვიპტელნი (ვეფხ. ტყ. ტ. 948)

ყველა ეს ინდნი, არაბნი, ბერძენნი, რუსნი და სხ. იგივე ერნია, რომელთა მოვლა დააავალა თამარმა დავით სოსლანსაც („თამარიანი“, ტ. 56—63). ეს მრავალ მნიშვლენოვანი ტაეპი (948) ვეფხის ტყაოსანის დასურათებით გამომცემლებს გამოუტოვებიათ. რა მიზეზით, ჩვენ არ ვიცით. მე 947 ტაეპში ვკითხულობთ:

რა ეს მოდის მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან
წყლით ქვანიცა გამოსხდიან;
ისმენდიან, გაჰკვირდიან,
რა ატირდის, ატირდიან;

იმღერს ლექსთა საბრალოთა,
ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.*)

თუ მხეცთა და ქვათ ესმოდათ მღერა ავთანდილისა, არ ვიცი, როგორ ვერ შეისმენდნენ მისს კვნესას და წუხილს ინდონი, არაბნი და სხვა მეტყველნი! პირიქით, მეტად საყურადღებოა და საგულისხმო, რომ ავთანდილის მსმენელთა შორის მოფრანგენიც არიან. რუსთაველის ნურადინ მეფე თუ ნურედინია, მცირე აზიის სულტანი, მაშინ მოფრანგენი იქნებიან აქაურივე ჯვაროსანთა სამთავროს ფრანგნი**). ნურედინი ძლიერი სულთანი იყო და მისი სასულთნო ტიგროსის მდინარემდის უწვდებოდა. 1144 წელს მან აიღო ედესა.

„თამარიანსა“ და „ვეფხის-ტყაოსანში“ საერთო კიდევ ის არის, რომ გაჭრილი, შორად წასული მოყმე ათვალიერებს მრავალს ქალაქებს და სამეფოებს, ზღვის პირს, ხან ვაჭრულად ეჩვენება ხალხს, სძებნის ქალს, მნათობს **დარეს**, თამარ-თინათინის **სძალს** (ტარიელს **ძმობა** აღეთქვა ავთანდილისთვის) და სხ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „თამარიანის“ **დარი** ჩვენ **დარეჯანად** მიგვაჩნია, ვინაითგან ნამდვილი ფორმა სახელის დარეჯანისა არის დარია (იხ. სვინაქსარი XI საუკ. № 222).

ჩვენ გვგონია, ავთანდილი ტარიელის საძებრად წავიდა თინათინის ნებითო. მაგრამ ვეჭობთ, რომ ეს ესრე ყოფილიყო. ავთანდილი, ვით დავით სოსლანიც, იძულებული იყო შორეულს და საზიფათო გზას გასდგომოდა. ეს სჩანს მისის „მიგზითას“ ლოცვით. ამ ლოცვაში იგი ამბობს (ტ. 791):

---

*) შეადარე (შავთელი, ტ. 11):

ტომნი და ერნი, ყრმანი და მღდელნი
ადიდებდიან შვებით და ხლდომით;
არიან მხეცნი, მთანი და ბორცვნი,
მაღნარნი, ველნი მისთვის შევრდომით.

) მოფრანგენი და ყველა ზემოჩამოთვლილნი ერნი თამარის ქებათა იტყოდიან (ქ. ცხ., 336), და ავთანდილსაც, რაღა თქმა უნდა, **მოჰკითხავდნენ, თუ რა სწადდა, რა სტკიოდა, რისთვის მგზავრობდა.

მე სოფელმან მოამაშორვა
უკეთესსა ჩემსა მზესა;
(ღმერთო), ნუ აღმოფხვრი სიყვარულსა.
მისგან ჩემთვის დანათესსა!

ცხადია, სოფელს განუშორებია „მზისაგან“ ავთანდილი და არა თვით „მზეს“ (თინათინს). ამას გარდა, თვით მიგზითა გეოგრაფიული სახელი არ უნდა იყოს, არამედ გადამწერთაგან გადამახინჯებული მიზგითა, რომელიც ნიშნავს მეჩითს. მიზგითს ლოცვა ავთანდილისაგან საჭირო იქნებოდა იმისთვის, რათა დაენახვებინა მაჰმადიანთათვის, რომელთა შორის მოუხდებოდა მგზავრობა, რომ იგი პატივისმცემელია მაჰმადის სარწმუნოებისა. უამისოდ მას ძნელად შეუსმენდნენ სულთნები. „თამარიანში“ ეს ცხადად გამოთქმულია. ქალი (თამარი) ეუბნება სატრფოს (დავით სოსლანს):

ქაბასა მფლობი დიდი ემირი
მას შიგან მთხრებლსა თვისად ისობდის,
მაჰმადის ხმობად მიზგითსა შესლვად
თაყვანისცემად მას შინა გცადის.

X. გამგზავრება ავთანდილისა

„თამარიანით“ ქალის მოტრფიალე (დავით სოსლანი) ჯერ მივიდა თავის სამშობლოს (ხაზარეთს), მერე ნახა ხანნი, ჩინნი, წავიდა კოსტანტინეპოლისკენ, ნახა არაბთა დიდი ემირი და მიაწია ინდოეთამდე.

„ვეფხის-ტყაოსნით“ ვიდრე ავდანდილი ინდოეთამდე მივიდოდა და ტარიელის ამბავს გაიგებდა,

ყოველი პირი ქვეყნისა
მოვლო, სრულად მოიარა,
ასრე რომე ცასა ქვეშე
არ დაურჩა, არ იარა,
მაგრა იგი მის ამბისა

მსმენელსაცა ვერ მიმხვდარა;
ამაშიგან წელიწადი სამი
სამს თვედ მიიყარა.

33 ის თთვის თავზე მან გაძალასწყვიტა დაბრუნება. ამ დროს იგი იდგა მალალის მთის ზურგზე და წინ გადაშლილი ჰქონდა შვიდი დღის სავალი ვრცელი მინდორი. ამ მინდორს რომ ჩავიდა, შეხვდნენ სამნი ძმანი-მთავარნი, რომელთაც უთხრეს, ხატაელნი ვართო და

დია გვაქვს ციხე ქალაქი
ხატაეთს არე მარეთა.

ამათ შეხვედროდათ ტარიელი და ამათვე დაანახვეს ავთანდილს ცხენით მიმავალი გმირი. ავთანდილმა ტარიელი იპოვნა ქვაბებში და მან უამბო შემდეგი.

ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოველი კაცი ხართ მცნობელი. ექვსი სამეფო ეჭირა ფარსადანს და მეშვიდე მამა ჩემს სარიდანს. ფარსადანს შვილი არა ჰყვანდა და მე მზრდიდა, მაგრამ შემდეგში მიეცა ნესტან დარეჯანი. მამა მომიკვდა და მე გავმთავრდი და შევიქენ ინდოეთის ამირსპასალარი. დარეჯანი გაიზარდა, შევიყვარე, შემიყვარა, ერთგულება და ცოლქმრობა აღუთქვით ერთმანეთს. ხატაეთის მეფე რამაზ გაგვიორგულდა, ფარსადანმა გამგზავნა. დავამარცხე, დავიპყარ და ტყვედ მოვიყვანე. ფარსადანმა აპატია, დახარკა, დააბრუნა. ყველანი მე მაქებდნენ გმირობისთვის. ერთს დღეს სასახლეში მიმიხმეს. ფარსადანმა და დედოფალმა მითხრეს: ქალი უნდა გავათხოვოთ. დედოფალმა სთქვა: „ხვარაზმ-შა მეფეა მორჭმით მჯდომელი: მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდეს რომელი!?“ მეფემაც გაიმეორა: „ხვარაზმ-შა ხელმწიფე ხვარაზმელია, თუ მოგვცემს შვილსა საჩვენოდ, მისებრივ არ რომელია!“ კაცი გაგზავნეს და აცნობეს ხვარაზმშას. გაჰხარებოდა და შემოეთვალა: მაგისებრს ქალს ვეძებდითო. ხელახლა შეუთვალეს: შვილი საჩქაროდ გამოისტუმრეო. ჩემი დაშლა

ალარას არგებდა. წინდაწინვე გადაეწყვიტათ საქმე. დარეჯანმა მიმიხმო, გამიწყრა, შენც ჯდომილხარ სავაზიროდ ხვარაზმ-შას შვილის მოყვანა რომ გადასწყვიტესო. დავარწმუნე, არაო. მირჩია, ხვარაზმ-შას შვილი რომ მოვა, მოჰკალ და მამა ჩემს

ჰკადრე თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ
ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკვიდრი მამული,
არ მივცემ არცა დრამასა,
არ დამეხსნები, გაგიხდი
ქალაქსა ვითა ტრამასა.“

მეც ასრე ვქენ და განრისხებულს ფარსადანს შევუთვალე: ინდოეთის მეფედ დღეს შენა ხარ, დანარჩენნი სულ ამოწყდნენ, მემკვიდრედ ვშთები ღა მე მარტო, სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახდომია;

ღმერთმან არ მოგცა ყმა-შვილი,
გიზის ერთაი ქალია.
ხვარაზმ-შა დაჰსვა ხელმწიფედ,
დამრჩების რა ნაცვალია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს,
მერტყას მე ჩემი ხმალია?!

მეფე უფრო გაცეცხლდა და წაეკიდა თავის დას დავარს. ეს დავარი ქაჯეთს იყო გათხოვილი და დაქვრივების შემდეგ მამისეულს სახლშივე დაბრუნებულიყო. მეფე უჯავრდებოდა დას, ჩემის ქალისთვის ზრდილობა და კეთილობა კი არ გისწავლებია, ბოზ-კუროობაო. დავარმა ჯერ სცემა ნესტანს, დაალება და მერე ორს ქაჯს მისცა, ნავში ჩასვეს და გადაიკარგნენ. შევიტყე ეს ამბავი, მთელის რაზმით (160 კაცით) კვალს გამოვედეკნე, ვიარე მთელი წელიწადი, მაგრამ ვერას გავხდი, მისი მნახავიც არსად შემხვედრია. მხლებელნი ამომიწყდნენ. ზღვის პირას გამოველ მარტო ასმათით და ორის მონით. ზღვისპირს დავდიოდი, შემხვდა მეფე ნურადინ-ფრიდონი და

თავის ქალაქ მულლაზანზარს წამიყვანა. მას წასჩხუბებოდნენ მამის ძმა და ბიძაშვილნი. მეტად აღელვებულიყო, რადგან დაეჭრათ და დიდის ლაშქრით თავს დასხმოდნენ. რომ მოჯობინდა, ვუშველე, მისი მტრები დავამარცხეთ, მარტო მე რვაოდენ ნავით შემომიტიეს, მაგრამ ნავები წყალში დავანთქი. ნურადინს იამა. ერთს დღეს სანადიროდ წავედით და ზღვის პირის ერთს წაწურვილს გორაზე რომ ავედით, "ნურედინმა მითხრა: ორმა შავმა კაცმა აქ ნავით ერთი შვენიერი ქალი მოიყვანაო, მაგრამ ვერ შევიპყარით, ისევ მალე გაჰქრნენო. ვცან, ის ქალი ნესტანი იყო. ვეძებეთ მე და ნურადინმა, გარნა ამაოდ. ფრიდონ-ნურადინს გამოვეთხოვე, მოველ ამ ქვაბებში და აქ ვიმყოფები მას აქეთ მარტო ჩემ ერთგულ ასმათთან ერთად.—

ამის გამგონე ავთანდილი ეფიცებოდა, შენი მშველელი მე ვარო. ოღონდ ეხლა წავალ და ორს თვეზედ ისევ აქ მოვალო. ტარიელმა უთხრა: „უცხოს უცხო ეგრე როგორ შემიყვარდი?“ ძმად გაიფიცნენ, აღუთქვეს ერთმანეთს შველა, ავთანდილი გადაეხვია ტარიელს, შეჯდა ცხენზე და გამოჰქუსლა, თინათინი ნახა, ისევ უკანვე დაბრუნდა, ტარიელი ქვაბებშივე დასტოვა და თვითონ წავიდა დარეჯანის საძებრად.

„თამარიანში“ პირველს დაბრუნებაზე არა არის-რა ნათქვამი; დაბრუნების მაგიერ სატრფოს მოსდის წიგნი და ატყობინებს, კიდევ სხვა ქვეყნებიც უნდა მოვიაროო. მან ნახა ხაზარეთით ხანნი, ჩინნი, მობაღდადენი ბარდავს (განჯას), დიდი ემირი, მივიდა ინდოეთს, ამოვლო კიდევ ხანნი და ჩინნი, მოჰყვა ვოლგას (ატალას), დაჰყვა ხაზარეთს, ჩაჰყვა რუსეთს და ქალს (სატრფოს) მოსწერა წიგნი: „კვლავ განვვლი ზღვანიო.“ შემდეგ

„თამარიანით“

წავიდა ირონთა ველს, სად მეფედ ზის კეისარი. მოვლო ქალაქნი, ზღვის

„ვეფხის-ტყაოსნით“

ავთანდილმა 70 დღე ზღვის პირს იარა, მივიდა თურქთა საზღვარზე, ფრიდონ—ნურადინის სამეფოს შე-

ალაგნი, ეგვიპტე, არაბთა მხარე, მივიდა ამანს (იამანეთს), თავი იდიდა. დაბრუნდა, მოძებნა მთვარე შიშ ჰაერპირი მნათობი დარი. (ტ. 62).

„მოჰყვანდის ქალი, საჩემო სძალი, მორცხვი, მორიდი, ბრძნად მოუბარი“ (ტ. 63).

ვიდა, ნურადინს გამოჰკითხა, სად ენახა მენავეების მოყვანილი ქალი, გაუდგა გზას, შემოხვდნენ მობაღდადელი ვაჭარნი, ეგვიპტით მომავალი ქარავანი (ტ. 1010, 1012), მათთან ზღვა გადაიარა, მივიდა გულანშაროს, ფატმანისგან გაიგო დარეჯანის ამბავი, მისი დატყვევება ქაჯებისაგან, უკანვე დაბრუნდა, ტარიელი და ფრიდონ წაიყვანა, ქაჯეთის ციხე აიღო, დარეჯანი გამოიხსნა, ტარიელს შერთო, და ყველანი წამოიყვანა არაბეთს. (ნესტან დარეჯანი სძლად ხვდებოდა ძმად გაფიცულს ავთანდილს).

XI დაბრუნება „არაბეთს“.

ტარიელისა და დარეჯანის ქორწილი რომ გადაიხადეს ფრიდონისას, ავთანდილსა და ტარიელს შორის გაიმართა ამგვარი საუბარი.

ტარიელი. ძმაო, რა გადიხდის შენგან ჩემსა ჭირნახულსა? შენ ჩემთვის თავი დასდევ, შემეწიე. აწ მე მაქვს ნაცვლად მისისა მოხმარებისა წადება. თუ ვერა ვიქმ საწადელსა შენსა, შენთვის განზრახულსა, არ შეგრთავ თინათინს, არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულსა. აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რით მოგეხმარები? ვარჩევ, წავიდეთ „არაბეთს“, გავმართოთ ხლმითა სოფლარები, თუ შენ შენს ცოლს არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარები.

ავთანდილი. ჩემი მზე ტახტსა ზედან ზის მორჭმული ღვთისა ნებითა. მას ზედან შველა რად მინდა? რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრულნი ზღვანი, უმისჟამისოდ ცუდია ჩემგან მიდამო რბენანი. მიჯობს მოლოდნა საქმისა მის განგები-

სა ზენასა*). მსურს, ინდოეთს გნახო მორჭმული, საჯდომთა ზედან მჯდომარე. მებრძოლნი თქვენნი მოგესრნეს, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე. რა გაგისრულდნენ ესენი, მაშინღა მივალ „არაბეთს“.

ტარიელი. მაგას არ ვიქ, ამას არ უნდა მისანი. მე შენისა გამზრდელისა უნახავად არ დავდგები. ხვალე წასვლა არ დავშალო.

ავთანდილი. კმა, რაცა შევცოდე როსტენსა წლეულად. კვლავ ნუ მიქ ერთგულობისა გამტეხელად, რასაცა ჰლამი, არ მოგცემს მას ღვთისა სამართალი. გამზრდელსა ჩემსა ვით ვკადრო მე საქმე სამუხთალია. მე მისთვის ხელი ვით გავძრა, ვინ ჩემთვის ფერნამკრთალია. ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედან ხმალია? ეგე საქმე მე და ჩემსა საყვარელსა შეგვამდურვებს. ვა თუ გაწყრეს, გაგულისდეს!?

ითათბირეს და გადასწყვიტეს, სამნივე გმირნი (ტარიელ, ფრიდონ და ავთანდილ) წავიდნენ „არაბეთს“ ვითარცა მეგობარნი და მთხოვნელნი ქალისა.

არაგთ მეფე როსტან გამოეგება მათ, ტარიელის წინ შორს უკუ-დგა, მას თაყვანისცა, ქვემიწამდის დაუვარდა და მოწიწებით მოახსენა: „ხელმწიფეო,

ვით ეგების, რაცა გწადდეს,
რომე კაცი არ მოგთმინდეს?!
ანუ მშურდეს, ქალი ჩემი
საკვდავად და ტყვედცა გინდეს!
გებრძანამცა სახლით თქვენით...
მე სიძესა ავთანდილის
უკეთესსა ვპოვებ ვერა...
თუ შეგერთო ერთი მზნა,
თქვენთვის არცა მაშინ მშურდა!
ვინმცა გკადრა შეცილება,

*) ქ. ცხ. (ვ3. 291): დავით სოსლანის მეფედ არჩევისთვის „პოვეს ღონე გ ა ნ გ ე ბ ი თ ა და ნ ე ბ ი თ ა ღვთისათა“.

უშმაგოდცა ვით მოგმდურდა!
თუ ავთანდილ არ მიყვარდა,
აგრე მისთვის რად მომსურდა!
დია, ღმერთო, წინაშე ვარ,
ესე ჩემგან დადასტურდა.

თუ ჩემი ქალი შენის მონისთვის შესართავად გეთხოვნა, მაშინაც არ დავიშურებდი მასო და არ მოგიმდურებდიო ვინდ „სახლით თქვენით გებრძანამცაო“. არაბთა ხელმწიფემ, 80,000 მხედრის პატრონმა (ტაუპები 1543,1553), რად დაიმდაბლა თავი წინაშე სამთა გმირთა გოლიათთა? ცხადია, ავთანდილის „გაჭრამ“ და მრავალთა ქვეყანათ მოვლამ საქმე სხვანაირად დაატრიალა, გოლიათების დანახვამ სამალავები მოაძებნინა ავთანდილის მეტოქეებს და ტარიელმაც, როგორც უკვე ზევით შევნიშნეთ, დაამშვიდა ქალი (თინათინი) მამაცურის სიტყვით: „ორგულთა და შემცილეთა შენთა მე ვქმნა გაფლიდება“.

ვინ უნდა ყოფილიყვნენ გასაფლიდებელი კაცები?

თამარისა და დავით სოსლანის დაქორწინების მოწინააღმდეგე დასის მეთაურად უნდა ყოფილიყო აბულასანი, ის აბულასანი, რომელმაც ქართველ დიდებულებს ურჩია, თამარისთვის ქმრად მოეწვიათ რუსი.

ეს აბულასანი იყო ფრიად შეძლებული კაცი, იგი ამირობდა ქართლსა და ტფილისს. ლურჯ-მონასტრის წარწერა მას უწოდებს შვიდთა მთეულთა პატრონად და რუსთავის (ყარაჰიას) ამირთ-ამირად.

ამის რჩევით ტფილისიდგან კაცი გაგზავნეს ყიფჩაღს და მოიყვანეს რუსი. თამარს ძლიერ გაუკვირდა, როცა მოახსენეს, რისთვისაც მოეყვანათ. ტანადობისა და სილამაზისთვის მოგწონთ ეგ რუსიო, შეუთვალა თავადებს თამარმა, გარნა არ იცით მაგისი სულიერი მხარე, მაგისი ზნე-ჩვეულება, ჯერ შეისწავლეთ ეგ კაცი და მერე მაგის სიძეობაზე ილაპარაკეთო.

თამარი რომ კაცში სულიერს სიშვენიერეს ეძებდა, მისი ნაზირ-ვეზირნი ძლიერის აბულასანის მოთავეობით საკმაოდ

სთვლიდნენ, რომ რუსი ტანადი და შნოიანი იყო, და ძალმომრეობით ქორწინების გაჩაღება ჰსურდათ. „ესეოდენსა მძიმესა საქმესა მსუბუქად შეეხებოდნენო“, ამბობს მემატიანე, „სპილოსებრ არ განიხილავდნენ მისაყრდნობელსაო“. და ამ სპილოსებრ კაცებმა თავისი გაიტანეს: თამარს შერთეს „ვიღაც სკვითი“.

აბულასანი დავით აღმაშენებლის დროს გადმოსახლებული ყივჩაღელი უნდა ყოფილიყო ანუ ყივჩაღელის გაქრისტიანებული შვილი, იქნება აღმაშენებლის სიმამრის ათრაქა შარაგანიძის შვილის-შვილიც იყო ანუ ნათესავი. თვისის ბატონობის უმეტესად გასამტკიცებლად იგი საჭიროდ დაინახავდა თამარისთვის ქმრად დაესო ყივჩაღეთის სამეფო კარზედ აღზრდილი რუსი.

რა პირით-ღა უნდა სჩვენებოდა აბულასანი თამარს, როდესაც ეს რუსი არც ქმრად ვამოდგა, არც ხელმწიფედ და არც ჩვეულებრივ კაცად? ედგომილებოდა-ღა მას საქართველოში, როდესაც დიდის გაჭირების შემდეგ თამარ მეფემ აისრულა წადილი, გააგდო რუსი და ჯვარი დაიწერა საყვარელს კაცზედ, დავით სოსლანზედ?

არ ედგომილებოდა. აკი აღარც არის მისი ხსენება დავითის გამეფების დროიდგან. ალბად, იგი ან დაახრჩეს, ან მოჰკლეს დავით სოსლანის ბრძანებით.

აბულასანი რომ გაჰქრა, მისი ადგილი დაიჭირა მისმა შვილ გუზანმა. ეს იყო მმართველი კლარჯეთ შავშეთისა. მამის შემდეგ გაგდებულის რუსის ხელმძღვანელად ეს გუზანი შეიქმნა. ამან მოაწყო დიდი შეთქმულობა თამარის წინააღმდეგ. მიიბირა არზრუმის თათრობა, კოსტანტინეპოლიდგან მოიყვანა რუსი და საქართველოს მეფედ გამოაცხადა. მას მიემხრნენ იმერნი, აფხაზნი, სვანნი, სამცხის სპასალარი ბოცო, ორბეთისა და კაენის პატრონი ორბელიანი და სხ. იმავე დროს თითქმის მთელი ქართლი გუზანისავე მომხრე მთიულებმა დაიჭირეს. ძვირად დაუჯდათ ესრეთი კადნიერება და გაბედულობა, მეტადრე გუზანს. მოწინააღმდეგენი დავითმა დაამარცხა, გუზანის ცოლშვილი ხელთ იგდო და ტფილისს წამოასხა, თვით გუზანი შეიპყრა და რადგან იცოდა, თამარი მოწყალე იყო

და ყველას აპატიებდა დანაშაულს, მისს ბრძანებას აღარ მოუცადა და მესისხლე გუზანს თვალები დასწვა (ქ. ცხ., 324). ასრე ამოიყარა ჯავრი მისთვის საზიზღარ აბულასანის ნატამალზედ. თვით სვე-უბედური რუსი, რომელსაც მემატიანე სთვლის „მეფედ რუსთა, უფროს-ღა აფხაზთა“ (გვ. 286), თამარმა კვლავ განდევნა.

რუსი მეორედ დაბრუნდა. მივიდა **სპარსთა ათაბაგისას**, აიღო მისგან ქვეყნის სამყოფი, შეიყარა ლაშქარი განჯისა და არანის და ქიზიყს შემოესია. ქიზიყელებმა შემუსრეს მისი ძალა და იგი ორის მონით სადღაც გადიკარგა.

ფრიად საყურადღებოა, რომ თამარ-დავითის მოწინააღმდეგე რუსს შველოდა სპარსთა ათაბაგი. ეს გარემოება აგრეთვე ერთი უაღრესი საბუთია გასარკვევად კითხვისა.—მართლა ჩვეულებრივი რომანია „ვეფხისტყაოსანი“, თუ ისტორიული თხზულება.

მ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი

შესაძლებელია პატრიოტი იყოს კაცი და იმავე დროს კაცობრიობაც უყვარდეს? თუ მართალია, რომ სამშობლოს სიყვარული ვერ მოთავსდება კაცობრიობის სიყვარულთან?

ამ კითხვით მიმართა ფრანგულმა Revue-მ მსწავლულთ, მწერალთ, პოლიტიკურ მოღვაწეთ, და ერთი და იგივე პასუხი მიიღო თითქმის ყველასაგან: კაცობრიობის სიყვარული იგივე გრძნობაა, რაც სამშობლოს სიყვარული, ოღონდ უფრო განვითარებული.

ვინც სამშობლოს ემსახურება, კაცობრიობას ემსახურება, რადგან მთელი კაცობრიობა სარგებლობს რომელიმე ერის მეცნიერულ, ხელოვნურ და ეკონომიურ წარმატებით. ერის ცხოვრება და წარმატება დამოკიდებულია სხვა ერთა წარმატებაზედ და, ვისაც თავისი თანამემამულენი უყვარს, სხვა ერის შვილნიც ეყვარება. თუ კი სამშობლო არ ეყვარება ადამიანს, ესე იგი თავისი მახლობელი ქვეყანა და ხალხი, ველარც კაცობრიობას შეიყვარებს, ესე იგი დაშორებულს ქვეყანას და ხალხსაო.

ზოგნი უფრო შორს მიდიან (ელიზე რეკლიუ, მირბო) და ამტკიცებენ, ყველა ერნი ძმანი არიან და ამიტომ ჩვენ არც სამძღვრები გვწამს, არც ადგილობრივი ეროვნული პატრიოტიზმი. ჩვენი სამშობლო—მთელი ქვეყანაა და ჩვენ კაცობრიობის შვილად მიგვაჩნია თავი. ადამიანი ყველგან ერთნაირად არის გაჭირვებული და დაჩაგრული და მეცნიერება ყველგან ერთსა და იმავე საგანს ემსახურება: იგი ცდილობს აღა-

დგინოს, შეაერთოს ერებად გაყოფილი კაცობრიობა და ამ ქვეყნად სიმართლის და ერთობის დასაფუძნებლად ბრძოლა შეაძლებინოს.

ეგ იდეალი არისო, ამბობენ ფრანსუა კოპპე და ჰუსსონ-ვილი: ადამიანს ჯერ კიდევ ბევრი რამ მოსდევს მხეცური და ამიტომ დღეს კაცობრიობის სიყვარული სამშობლოს ღალატად მიგვაჩნია; ერი, რომელიც ეროვნულს პატრიოტიზმს დაივიწყებს, სხვა ერთა შესაჭმელ ლუკმად გახდება. ეგ იდეალი შემდეგში იქნება კიდეც განხორციელდეს, მაგრამ ჩვენს დროში კი ვისაც ცხოვრება უნდა, ეგოისტურად უნდა ემსახუროს თავის სამშობლოს.

მოკლედ მოვიყვანთ ევროპიელ გამოჩენილ მეცნიერთა და მწერალთა აზრს პატრიოტიზმის და კოსმოპოლიტიზმის შესახებ და ვეცდებით ყოველ მხრივ დავანახვოთ მკითხველს ეს საყურადღებო საკითხი

ალფრედ ფულიე. საზოგადოებრივ წინსვლას მიზნად განვითარება უნდა ჰქონდეს საზოგადოების ყოველი წევრისა. განვითარება გონებრივი, ზნეობრივი და ეკონომიური შეუძლებელია, თუ საზოგადოებას არა აქვს გარემოებათა შესაფერი დაწესებულებანი კეთილად წარმართავენ მხოლოდ იმათ, ვინც შეერთებულნი არიან ისტორიული წარსულით, ზნე-ჩვეულებით, ენით, ტრადიციით, თავისებურ კულტურით—მოკლედ რომ ვთქვათ, ერს და არა მთელს კაცობრიობას. ჯერ ისევ კანტმა შეადგინა გეგმა „ერთა შორის დაურღვეველის მშვიდობიანობისა“. ამ მშვიდობიანობის დასამყარებლად უნდა ვებრძოლოთ ომს, და არა სამშობლოს სიყვარულს. აკი თითონ კანტმავე გააფრთხილა სხვა და სხვა ერი და ურჩია: ევროპის შეერთებულ შტატებად დამყარებამდე ხმალ-ხანჯალი არ მოიხსნათ, თორემ თქვენი ხსენებაც ალარ იქნება, ის ნეტარი დრო რომ დადგებაო.

აზუდე—მეცნიერთა, საზოგადოებას ბიოლოგიურად სინჯავს და დაასკვნის,—კაცობრიობის სიყვარული სამშობლოსას ერთვის და ჰფარავს, თუმცა არ აუქმებს. თავის აზრის დასამ-

ტკიცებლად ამერიკელ შტატების პრეზიდენტის სიტყვები მოჰ-ყავს, რუზველტისა, რომელსაც გაგიჟებით უყვარს თავის სამ-შობლო და იმავე დროს ხელშეუხებელ წმინდად მიაჩნია სხვა-თა სამშობლოც. აი რას ამბობდა რუზველტი ამ რვა წლის წინად: „რეფორმატორები ამტკიცებენ შორეულ მომავალში, პატრიოტიზმი, როგორადაც ერთ-ცოლიანობა, უსაფუძვლო და უსარგებლო შეიქნებაო. იქნება მომავალში აგრეც მოხდეს, მაგრამ დღეს კი, ვისაც სხვა ქვეყნები ისევე უყვარს, როგორც საკუ-თარი სამშობლო, მავნებელი წევრია საზოგადოებისა, სწორედ ისე, როგორც მავნებელია კაცი, რომელსაც ისევე უყვარს სხვათა ცოლები, როგორც თავისი საკუთარი“. სამშობლოს სიყვარული ისეთივე სათნოებაა, როგორც ოჯახის სიყვარული, თავმოყვარეობა, პატიოსნება და ვაჟკაცობა; მაგრამ სამშობ ლოს სიყვარული სხვა ერთა სიძულვილი არ არის: ნაყოფიე-რად თავის ერს მაშინ ემსახურება ადამიანი, როდესაც სხვა ერთა პატივისცემას განუვითარებს. სიმართლე ერთია და რო-გორც კაცთა შორის სუფევს, ისე ერთა შორის უნდა სუ-ფევდეს. ჯერ თავისი სოფელი უყვარს კაცს, მერმე თავისი მაზრა, თავისი ერი, მახლობელნი ერნი და ბოლოს მთელი კაცობრიობა. მაშასადამე კაცობრიობის სიყვარული უარყოფა კი არ ყოფილა სამშობლოს სიყვარულისა, არამედ განწმენდი-ლი, განვითარებული პატრიოტიზმი.

ანატოლ ფერუა ბოლიე: კაცობრიობის სიყვარულს სრუ-ლიადაც არ ეწინააღმდეგება სამშობლოისა. ჩემი სამშობლო მიყვარს, მაგრამ ამით კაცობრიობას კი არას ვავნებ. სამშობ-ლოს სიყვარული თანდაყოლილი ინსტინქტიური გრძნობაა, დროთა სვლით და განათლებით განსპეტაკებული. შეგნებული პატრიოტი არ ისურვებს სხვათა ზარალს, რადგან სხვა ერთა უფლებანი ისევე სწამს, როგორც თავისი ერისა. თუ კი დაფი-ქრება იცის კაცმა, ყველგან აღიარებს, რომ ყველა ერის შვილ-სა აქვს უფლება და ვალდებულება თავის სამშობლოს ემსახუ-როს. ერნი, როგორადაც კერძო პირნი ერთს მოძღვრებას უნდა მსახურებდნენ: იმისთანას ნურას უზამ სხვას, რაც არ გინდა,

რომ შენ გიყონ. ამ მოძღვრებამ უნდა ჩამოაგდოს ერთა შორის მშვიდობიანი დამოკიდებულებანი. მომავალში სხვა და სხვა ერები აღარ იქნება და ერთად-ერთი—კაცობრიობაღა იქნებაო, ამობენ. განვითარებად და პროგრესსად კი არა, უკან დახევად მიმაჩნია მე ეგ უტოპია, რადგან ეროვნულ განსხვავებათა მოსპობა კაცობრიობის დამახინჯება და გაღატაკება იქნება. საქმე ის კი არ არის, ცალ-ცალკე ერნი აღარ არსებობდნენ და ერთს გაერთნაირებულს კაცობრიობაში შედუღდნენ; საქმე ის არის, დავუახლოვოთ ერთმანერთს სხვა-და-სხვა ერი, არ დავუკარგოდ თავისი, ხშირად ბრწყინვალე, წარსული და ძმობით შეკავშირებულ ფედერაციად გარდავქმნათ მთელი ქვეყანა.

ძანაო: რა კი სახლობის სიყვარული არას უშლის სამშობლოს სიყვარულს, სამშობლოს სიყვარული როგორღა დაუშლის სიყვარულს სხვა ერებისას, როდესაც ამ ერთა შორის დამოკიდებულებაც არსებობს რამე? უწინ, როდესაც მიმოსვლა მეტის-მეტად ძნელი იყო, კიდევ შეიძლებოდა განცალკევებულ ერს სხვა ერისა შიში ჰქონოდა და მტრობა; დღეს კი ყველაფერსა ვცვლით ერთმანერთში სხვა-და-სხვა ერნი, ყველაფერი საზიაროდ გავიხადეთ—საქონელი, მეცნიერება, ხელოვნება, თვით ენაც კი—და ძნელი წარმოსადგენია, რომ შეგნებულმა პატრიოტმა ძმად არ მიიღოს უცხო ერის შვილი.

მეზიერი (ლოტარინგელია და გულ დამწვარი): ერის სიმაგრე და თავისუფლება პატრიოტიზმზედ არის დამოკიდებული. თუ კაცს თავის სამშობლოსი ცხოველი სიყვარული არა აქვს, ვერც მამაპაპათა მემკვიდრეობას შეინარჩუნებს, და ვერც თითონ შეიძენს რასმე. სამშობლოს სიყვარული პირვანდელი და უწმინდესი გრძნობაა და სრულიადაც არ ეწინააღმდეგება კაცობრიობის სიყვარულს; სამშობლოს სიყვარული სრულიადაც არ მოასწავებს სხვის მტრობას. მამულისშვილობა ის არის, არ უღალატოს კაცმა თავის სამშობლოს დიდებას და არავის შეალახვინოს იგი. სასურველია, რასაკვირველია, რომ ერთა შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდეს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ჩემმა სამშობლომ არა დაკარგოს-რა.

შარდ რიშე. ათინელისათვის სამშობლოს სიყვარული ათინის სიყვარული იყოს, რომაელისთვის — რომისა. გავიდა დრო და გაიზარდა, გაფართოვდა სამშობლო და მასთან მისი სიყვარულიც. ამასთან შეუძლებელი შეიქნა ხალხთა უერთმანეთოდ ცხოვრება, გამრავლდა და გაადვილდა ერთაშორის დამოკიდებულებანი და ამან დაჰბადა ის გრძნობა, რომელიც შემდეგში კაცობრიობის სიყვარულად იქცა. გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი, იტალიელი, რუსი, პოლონელი, ესპანელი ისე ვართ ერთმანერთზედ დამოკიდებულნი, რომ ყველანი ჩვენს ძმად და მოყვასად მიგვაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მრავალია განსხვავება — სარწმუნოებრივი, ისტორიული, გონებრივი და სხ. ყველანი ძმად მიგვაჩნია, მაგრამ მათ შორის ზოგი უფრო დაახლოვებული გვყავს, თუმცა ამით დანარჩენებსაც არაფერს ვავნებთ. როგორ არა ვთქვა: პარიზელი ვარ, პარიზში დაბადებული და აღზრდილი და პარიზელებთან უფრო მეტი მაქვს საზიარო, ვიდრე სხვა ფრანგებთან. ამავე დროს ფრანგი ვარ, ფრანგთა რაოდენიმე თაობის შვილი, და ფრანგებთან უფრო მეტი მაქვს საზოგადო, ვიდრე გერმანელთან ან ესპანიელთან. პატრიოტი ვარ, მაგრამ კაცობრიობაკი არა მძულს; პირიქით, რადგან ჩემი სამშობლოს ყოველი წინსვლა და სიკეთე სხივსა ჰფენს სხვა ერებსაც, როგორადაც სხვა ერთა სიკეთე სასარგებლოა ჩემი ერისთვისაც. რაიქნებოდა ერის ცხოვრება, თავის თავზედ რომ ყოფილიყო მარტო მინდობილი და სხვისა არა მიელო რა? აღარც შექსპირი ეყოლებოდა საფრანგეთს, აღარც ბეტჰოვენი, აღარც მიქელ-ანჯელო, აღარც ნიუტონი... და უცხოელთ არ ეყოლებოდათ ვოლტერი, ლავუაზიე, პასტერი... დაქუცმაცებული იქნებოდა კაცობრიობა, გონებრივად დაბეჩავებული. ბრძოლით და იარაღით ერთა შორის ატეხილ უთანხმოებათა გარდაწყვეტა ნაშთია კაცობრიობის უწინდელ-ბარბაროსულ ყოფისა; მიწუკად დარჩენილა ეს ნაშთი. მართალია, რჩება და მალე სულაც გაქრება მუწუკი, მაგრამ მორჩენის წინ ისე იბერება და ავზნიანდება, თითქო გვემუქრის — გავქრები, მაგრამ ჩემს სახსოვარს კი მაინც დაგიტოვებთო!

სამშობლოს სამსახური კაცობრიობის სამსახურია, რადგან ერთაგან შესდგება კაცობრიობაც. სამშობლოს სიყვარული და სამსახური—პატრიოტიზმი—აღზრდილი და აღფრთოვანებული უნდა იყოს მოზარდ თაობაში. სამშობლოს სიყვარული იგივეა, რაც დედის სიყვარული და მთლად წამხდარი უნდა იყოს კაცი, რომ სთქვას—მე დედაჩემი არ მიყვარსო. ოღონდ იმას კი არ გვასწავლის სამშობლოს სიყვარული, სხვისას ამშობლო აიკელით, დასწვით და გაანადგურეთო; ცეცხლითა და მახვილით მიდით სხვა ერის მამულზედ; ერთა შორის დადგენილი ხელშეკრულებანი დაარღვიეთ, ისტორიაში სიყალბე შეიტანეთ და სხვის საკუთრებას დაეპატრონეთო! მონტესკიემ სთქვა: სამშობლოსთვის ტყუილს არ ვიტყვი და თავს კი გავწირამო! წმინდაა სამშობლოს სიყვარული, მაგრამ წმინდა მაშინ არის, როდესაც სიმართლეზედ არის დამყარებული, ძმობაზედ და ერთობაზედ.

გაბრიელ ტარდი: ნოვიკოვი ამბობს, ერი ეროვნულ ცხოვრებას მაშინ იწყებს, როდესაც საკუთარი მწერლობა ახლავსო. გაძლიერება საფრანგეთის მწერლობისა მე-XVII საუკუნეს ეკუთვნის და იმავე დროიდგან იწყება შეერთება ფრანგულ პროვინციებისა. საფრანგეთის ეროვნული სიმაგრე—საკუთარი მწერლობა არის. ყველა ძლიერს ერს საკუთარი მწერლობა აქვს, რომელში თავისებურად გამოსთქვამს ფილოსოფიას ცხოვრების უდიდეს კითხვებისას. ერის ყოველ ნაწარმოებით სხვა ერებიც ისარგებლებენ, მაგრამ არტისტს, მწერალს და ფილოსოფოსს, ღირსეულად მარტო თავისი აღმზრდელი ერი შეიგნებს, იმ ნეტარ დღემდე, როდესაც კაცობრიობა ძმურად, მშვიდობიანობის შეურყევლად შესძლებს ცხოვრებას, ყველა ერი ვერ მიაღწევს, რადგან დღევანდელი ერნი ისევ იმ აზრისანი არიან, რომ ერის გაძლიერება სხვა ერთა დასუსტებით და დაღუპვით შეიძლებაო და უპირველეს ყოვლისა შეიარაღებას და სამხედრო გამაგრებას ცდილობენ. ბევრი ერი ვერ მიაღწევს იმ დღეს, რადგან მანამდე სხვა ერთა მიერ შთაინთქება; მათთან ერთად შემცირდება ენათა რიცხვიც და, შეიძლება, იმდროს, საერთაშორისო ენად რომელსამე ერთს ენას მისცეს კაცობრიო-

ბამ უპირატესობა — ესპერანტოს და ვოლაპიუკს კი არა, რომელისამე ერის ენას. კაცობრიობისაგან საერთაშორისო ენად მიღებულთან ერთად სხვა-და-სხვა ენებიც დარჩება, რადგან შეუძლებელია ისე შედუღდნენ ერთმანერთში ევროპიელნი ერნი, რომ ერთს ერს და ენას-ღა წარმოადგენდნენ.

გაბრიელ მოანო: სამშობლოს სიყვარული ისეთივე ბუნებრივი გრძნობაა, როგორიც არის თავისთავის და ოჯახის სიყვარული. სამშობლოს სიყვარული სათნოებაა, როდესაც მოყვასად მიაჩნია ყოველი ერი, და ბიწიერებაა, თუ სამართალს გზა აუქცია და გაზვიადებულ, უწმინდურ ეგოიზმად გადაიქცა. როგორც თავისთავის სიყვარული წმინდა მარტო მაშინ არის, როდესაც თავის გონებრივს და ზნეობრივს სისრულეს ცდილობს კაცი, აგრეთვე პატრიოტიზმი — წმინდა მარტო მაშინ არის, როდესაც თავის ერს ღირსეულს ალაგს უმზადებენ კაცობრიობაში მამულის-შვილნი.

ელიზე რეკლიუ: ჯერ ჯონგაა ხალხი და ძალიანაც ატყუებენ: აი შენი სამშობლოო, დაუძახებენ, და ციხე სიმაგრეებით შემოზღუდულს მხარეს აჩვენებენ! შინ იყავ, გარეთ არ გაიხედო, თორემ იქ ბუა არის და შეგჭამსო! ხალხსაც სჯერა ბატონის სიტყვა, ვერ წარმოუდგენია, რომ იქ იმისავით ტანჯული და დამონებული ხალხია და არა მტერი: და რადგან მტრის მოგერება ჯერ-ჯეროობით, ხალხის აზრით, მარტო ბატონს შეუძლიან, ემორჩილება, მუშაობს და თავის ნამუშევარით ბატონს ახარებს. ბატონსაც ხომ მეტი არა ნებავს რა! მაგრამ გაიცნობენ ერთმანერთს ერნი, დარწმუნდებიან, რომ სამტრო არაფერი აქვთ და მაშინ უყურეთ: აღარც სამძღვრები იქნება, აღარც ციხე-სიმაგრეები და ბატონები! ყველანი ძმანი ვიქნებით, თანასწორნი და თავისუფალნი.

ჟიულ კლარეტი: კაცს თავის შვილები უყვარს, მაგრამ სხვისას კი არას ავნებს; სამშობლო უყვარს, მაგრამ სხვისას კი არა ღუპავს. პატრიოტს თავისი ქვეყანა და ერი უყვარს, რადგან შესისხლხორცებულია მასთან, მაგრამ ამ სიყვარულიდგან სრულიადაც ან გამომდინარეობს სხვის სიძულვილი.

კაცობრიობა უნდა გვიყვარდეს, მაგრამ განა მას უნდა ვანაცვალოთ ჩვენი სამშობლო?!. ჩვენი სამშობლო ნაწილია კაცობრიობისა და ამ ნაწილის სიყვარული და სამსახური განა კაცობრიობის სიყვარული და სამსახური არ არის? ერთა შორის ძმობა და ერთობა მწამს, ყოველი პატიოსანი კაცი ძმად მიმაჩნია, ჩემი ქვეყნის შვილი იყოს, თუ ცხრა მთას იქით მდებარისა, ოღონდ... მანამ ყმაწვილი ვიყავ, ყველას ვენდობოდი, ყველას; და ეხლა კი, როდესაც ჭკუა მასწავლეს, ცოტა უნდობლობა მომერია: ჩვენ ხომ ძმანი ვართო, შემომეპარება, და სასიკვდილოდ კი გამწირავს.

ფრანსუა კოპპე: მეც მწამდა ერთაშორებრივი ძმობა და მშვიდობიანობა; მწამდა და ვემსახურებოდი კიდეც. მაგრამ გერმანელთა შემოსევამ დამიმტკიცა—შორეული იდეალი სხვაა და დღევანდელი გასაჭირი სხვაო. ერთხელ გავბრიყვდი და ძალიანაც მანანეს; გიჟი არ ვიქნები მეორედაც გავბრიყვდე? მე ჩემი სამშობლო მირჩევნია სხვის სამშობლოს, თუმცა ავი არავისთვისა მსურს, სწორედ ისე, როგორც ბავშვს თავისი დედა უჩევნია ყველა სხვის დედას.

ანატოლ ფრანს: საქვეყნო ძმობა და მშვიდობიანობა ძველის ძველი მოძღვრება არის, რომაელ ფილოსოფოსთაგან განმარტებული. ეს მოძღვრება შემდეგშიც არასდროს არ მიყუჩებულა და ფენელონი გარდაწყვეტით ამობდა. ჩემს თავს ცოლშვილი მირჩევნია, ცოლშვილს—სამშობლო და სამშობლოს კაცობრიობაო. ცოტა არ არის, შეიგნეს ევროპიელმა ხალხებმა ეს აზრი, მაგრამ ძალიან სუსტად. ხალხი ჯერ საკმარისად მომზადებული არ არის, რომ ცხოვრება თავისებურად მოაწყოს, და ხალხის მმართველთათვის კი სასარგებლოა ერთა შორის შუღლის ჩამოგდება და ბრძოლის ატეხა.

პოლ და ჟიქლოტ მარგერიტ: პატრიოტობაც არის და პატრიოტობაც! ჩვენსას არა სძულს უცხო ერთა შვილი, პირიქით, კაცობრიობას ნეტარი დროება მაშინ დაუდგება, როდესაც ერთა შორის თანხმობა და მშვიდობიანობა დამყარდება, მანამდე კი ფრანგნი ვართ, საფრანგეთის შვილნი ვართ სული-

თაც და ხორციოთაც. ვეცადნეთ, ავამაღლოთ და განვადიდოთ ჩვენი სამშობლო, რომ ღირსეული ალაგი დაიჭიროს მომავალ ევროპიელ ერთა შეერთებულ შტატებში.

დენი კოშენ: ამბობენ ეროვნულმა სამშობლომ თავისი დღენი მოჭამა და ჩვენს დროში სამშობლო მთელს ქვეყანას და კაცობრიობას ნიშნავსო. ამას მაშინ ვიწამებ, როდესაც ერთ ერთს პლანეტთან მიმოსვლას და მაშასადამე ქიშპობასაც დავიწყობთ: საცა წინააღმდეგობა არ არის, საცა ქიშპობა არ არის, იქ ადამიანი ვერ იცხოვრებს. მდორე ზღვის წყალივით ერთგვარი კი არ არის კაცთა საზოგადოება; რამდენიც ადამიანია საზოგადოებაში, იმდენი განსხვავებული ძალია გონებისა, ზნეობისა და პირად ინტერესებისა; უერთმანერთოდ ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლიან, მართალია; მაგრამ ისიც მართალია, რომ ერთმანერთის დაუცხრომელ ქიშპობაში ვატარებთ ჩვენს ცხოვრებას და ჩვენ თავად, შეუდარებლივ, არაფერი ვართ: ულარიბოდ მდიდარი არ იქნებოდა, უზარმაცოდ—ბეჯითი, ურეგვნოდ—ჭკვიანი და უმახინჯოდ—ლამაზი. ნუ თუ ისე გააერთნაირებს ყველა ადამიანს კაცობრიობა, რომ მათ შორის ალარავითარი პიროვნული განსხვავება ალარ იქნეს? ღმერთმა დაგვიფაროს! ქიშპობა ადამიანის ბუნებრივი თვისებაა, მისი წინმწევი და განმავითარებელია; შეიძლება კაცმა სიცოცხლე შესწიროს კაცობრიობას, მაგრამ თავის პირადობის გაუქმებას კი არ იზამს. ხალხთა შორის ამართული სამძღვრები შეგიძლიანთ აშალოთ; მაგრამ როგორ აშლით იმ განუვალს სამძღვარს, რომელსაც სდებს ადამიანი თავისა და მოძმეთა შუა? პირვანდელი ადამიანი ეგოისტი იყო, მაგრამ რამდენადაც მეტად იზრდებოდა შეგნება საზოგადოებრივი ცხოვრებისა, იმდენად მცირდებოდა ეგოიზმი; ბუნებამ ოჯახი შეჰქმნა; საჭიროების და ვრძნობის დახმარებით ეს ნასახი საზოგადოებისა სოფლად იქცა, მაზრად, ქალაქად, ერად. უნდა უყვარდეს ადამიანს, რომ სიყვარულით მადლიერმა სხვას შეალიოს თავის ძალ-ღონე,—სახელდობრ თავის ოჯახს, სოფელს, ქალაქს, სამშობლოს. მეტის-მეტად ნუ გასჭიმავთ სიმს მის სიყვარულისას, თორემ გაწყ-

დება და ისე დამოკლდება, რომ თავის თავის მეტს აღარავის გასწვდება: თუ კი კაცს ოჯახი აღარ ეყოლება და სამშობლო აღარ ექნება, ეგოიზმით აღჭურვილი პირადობა-ღა დარჩება. შეუძლებელს მოგახსენებთ, მაგრამ წარმოიდგინეთ ერთს წამს, რომ ამოდენმა ერებმა დაივიწყეს საკუთარი ისტორია და ტრადიციები, უარჰყვეს ყოველი ეროვნული თვისება, აჯობეს ბუნებრივს და ჰაეროვნულს გარემოებებს და გაერთნაირებულ კაცობრიობაში გაქრნენ. რამ უნდა გაიტაცოს სამუშაოდ კაცი? მომავალი იმას აღარ ექნება, ოჯახი არ ეყოლება და სამშობლო, რაღა ექნება საზრუნავი, ერთად ერთის თავის თავის გარდა?

ოჯახი და სამშობლო უწმინდესი ქმნილებაა ჩვენი გულის და გონებისა, უწმინდესი, რადგან ოჯახის და სამშობლოს სიყვარულმა უნდა გვიხსნას ბუნებრივ ეგოიზმისაგან, ოჯახიც და სამშობლოც, საკუთარს ჩვენს მსგავსად შექმნილნი, ქიშპობით არის ძლიერი და როგორც ჩვენ—ერთმანეთში, ისე ერს სხვა ერებთან ქიშპობა ამხნევებს.

დროთა სვლას ვერავინ შეაყენებს, მაგრამ ერის წინსვლას კი ძალიან ადვილად. ეროვნული განვითარება მამულიშვილთა თავისუფალ ქიშპობაზედ არის დამოკიდებული და ერთნაირი ერი, ერთნაირი ყმაწვილკაცობა—მარტო მტარვალთათვის არის საანატრი, ან იმ პოლიტიკოსთათვის, რომელთაც მეცხვარეობა შეუძლიანთ და სხვა არაფერი.

სისულელე არ იქნება, იარაღი შევიხსნა, როდესაც ჩემი მეზობლები თავითფეხამდე იარაღში სხედან? სისულელე არ იქნება, უარვყო ჩემი სამშობლო, როდესაც სხვებისთვის სამშობლოს სიყვარული და სამსახური უუწმინდეს გრძნობას და ვალდებულებას შეადგენს? ვუმტყუვნო, ვუღალატო ჩემს სამშობლოს, რომ სხვათა ლუკმად გავხადო?...

პოლ დურულედი. შეიძლება, ძმანიც იყვნენ ხალხნი, მაგრამ ღვიძლი ჩემი ძმა—ფრანგია.

ვიცი, უნდა გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი; მაგრამ უახლოესი ჩემი მოყვასი ფრანგია.

ჯერ საფრანგეთის სიკეთეს, დიდებას და სიმშვიდეს მოვახმარებ ჩემს სუსტ ძალ-ღონეს; და თუ გადამრჩა რამე, დეე კაცობრიობისა იყოს.

ბოლ დეშანელი. შეიძლება, კაცობრიობის სიყვარულით კაცმა სამშობლოს უმტყუვნოს? არა და არა! კაცობრიობის განათლება, ძმობა, ერთობა — საფრანგეთზედ არის დამოკიდებული.

დანტონი. სამშობლოს სიყვარული არ ეწინააღმდეგება კაცობრიობისას და კაცობრიობის სიყვარულით ჭეშმარიტად გატაცებული მარტო ის არის, ვინც ჭეშმარიტი პატრიოტია. ალტრუიზმი ნელ-ნელა იზრდება: საფუძვლად ოჯახის სიყვარული უდევს, რომელიც სოფლის და მერმე მაზრის, ერის კაცობრიობის სიყვარულად ხდება.

კაცობრიობის სიყვარული ოჯახის და ერის უარყოფით დამტკიცდებაო,—დიდი შეცდომაა: განა ვისაც ოჯახი უყვარს, უარჰყოფს თავის-თავს? და ვისაც სამშობლო უყვარს, უარჰყოფს ოჯახის სიყვარულს?

ნურვინ იტყვის, თანასწორად მიყვარს ყველანიო, რადგან ამის მთქმელს სრულიადაც არავინ უყვარს, თავის-თავის მეტი. და მარტო თავის-თავის სიყვარული კი უარყოფაა საზოგადოებისა და აქედგან პირდაპირი შარა გზა ბარბაროსობისა და ველურობისაკენ.

ფურნიერი. იმისთანა მძლავრი იყო უწინდელს დროში პატრიოტული გრძნობა, რომ ყველა ხალხს საკუთარი, საერო ღმერთი სწამდა. გავიდა ხანი, სარწმუნოებამ ელფერი იცვალა, მრავალ ღმერთთა მაგივრად ერთი ღვთაება დამყარდა და დღეს აღარ არის ღმერთი ინგლისელებისა, ფრანგებისა, არამედ ერთად ერთი ღმერთი ყველა განათლებულ ხალხებისა. მაშასადამე ერთი ბურჯი სამშობლოსი, უმთავრესი და უწმინდესი—სარწმუნოება —უკვე გამქრალა.

სხვა ბურჯები კი უკვე გაქრნენ: ზნეობრივი და მეცნიერული ჭეშმარიტებანი მაშინვე კაცობრიობის კუთვნილებად ხდე-

ბი; და ხელოვნებას სამშობლო არა აქვს, როგორადაც ვაჭრობას და მრეწველობას.

მაშ რაღა დარჩა სამშობლოს? ენა?.. მაშ გააუქმეთ თავისუფალი, მაგრამ ფრანგულად მოლაპარაკე ბელგია; გაჰყავით და გერმანიას, საფრანგეთს და იტალიას შეუერთეთ შვეიცარია; ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისს შეუმატეთ, ან ინგლისი შტატებს. შთამომავლობა? რა შთამომავლობისანი არიან იტალიელები ან ფრანგები, რომელთ ქვეყანა ოცჯერ მაინც იქმნა უცხოთაგან გათელილი? რა შთამომავლობისანი არიან შეერთებული შტატების იანკები, სადაც შერეულია სისხლი იქ ჩასახლებულ გერმანელთა, იტალიელთა, ჰუნგრელთა, რუსთა? დღევანდელს დღეს განათლებული კაცის პატრიოტობა იმაშია მდგომარეობს, რომ ცდილობს სხვა ხალხს არ შეალახვინოს ის პოლიტიკური და ისტორიული კრებული, რომელსაც თითონ ეკუთვნის; მეზობლებმა რომ იარაღი აიხსნან და დარწმუნდეს ჩვენი პატრიოტი—მათი შიში აღარა მაქვსო—გეოგრაფიული მნიშვნელობაც კი დაეკარგება პატრიოტიზმს და ერთად ერთი მნიშვნელობა-ღა შერჩება: ადამიანი პატრიოტი იქნება იქ კი არა, სადაც დაიბადა, არამედ იქ, სადაც თავისი შესაფერი წრე ჰპოვა და ბინა დაიდვა.

სამშობლოს სიყვარულს იმ დრომდე ექნება მნიშვნელობა, ვიდრე ერთის ქვეყნის შვილთ შიში ექნებათ-სხვა ქვეყნის შვილებმა არ დაგვიმონავონ და სამშობლოდგან არ გაგვხიზნონო. რამდენადაც გაიზრდება ყველა ერში საზოგადოებრივი თავისუფლება და გახშირდება ერთა შორის მიმოსვლა, იმდენად შემცირდება ეს შიში და როგორც კერძო პირნი თავისავე ხალხში, ისე ერნი ქვეყანაში, მონობისაგან თავისუფლებისაკენ მიიწევენ, ძალმომრეობისაგან—სიმართლისკენ, მარტოობისაგან—საზოგადოებისკენ.

ნაციონალიზმს, ბ აპერიმლიზმს, რომელიც დღეს ყველა ერსა სჭირს, ჩინელებსაც კი (ეგრედ წოდებული მოკრივენი), ერი ერის დაუდგრომელი მტერი ჰგონია და ამიტომ სძულს დემოკრატია, ერთაშორის მშვიდობიანობა და სათნოება; ამ კონსერვა-

ტორებისთვის ადამიანი ავი და ბიწიერი ქმნილებაა, რომლის განვითარება იმაში გამოიხატება, რომ უფრო ბიწიერი, ავი და მოყვასთათვის მავნებელი ხდება.

საჭიროა თვალთა ხილვა ჰქონდეს კაცს, რომ ჭეშმარიტებას მიაგნოს: დემოკრატიული თავისუფლება, ერთაშორებრივი ძმობა და საზოგადოებრივი თანასწორობა უპირველეს ყოვლისა ის ერთ ელირსებათ, რომელთაც სხვა ერნი მტრად კი არა, ძმად მიაჩნდათ და დამოკიდულება ჰქონდათ ერთმანერთში. სიმართლეზედ დამყარებული მშვიდობიანობა რომ გაიმარჯვებს, თვით პატრიოტული გრძნობაც განიწმინდება, რადგან საჭირო აღარ იქნება მტყუვანს სამშობლოს ემსახუროს კაცი (ომში მგ.) მართალის მეზობლის წინააღმდეგ. სამშობლო უბრალო კრებული იქნება ერთი ენით და წარსულით შეერთებულ ადამიანთა, როგორც რაიმე სინდიკატი სოვდაგართა კრებულს ნიშნავს, ან ეკლესია—სარწმუნოებრივს საზოგადოებას.

ადამიანთა ერთმანერთში დამოკიდულებანი-საზოგადოებრივი გრძნობა და ბრძოლაა, ოღონდ წარსულში ბრძოლა სჭარბობდა, დღეს კი საზოგადოებრივი მიდრეკილება ბრძოლაც რჩება, მაგრამ შეერთებული კაცობრიობა ბრძოლით ბუნებას მიმართავს, რომელიც გუშინ ბატონი იყო ჩვენი, დღეს მტერია და ხვალ მსახურად იქცევა.

ურბენ გოიე: კაცობრიობაო?! მოიგონეთ ტრანსვაალი, კუბა, ჩინეთის ომი, ინგლისელთა ბანაკნი, სადაც სიმშილით იხოცებოდნენ ქალები და ბალღები, შეერთებულ ევროპიელ ჯარების სამარცხვინო საქციელი შორეულ აღმოსავლეთში, ბელგრადის ტრაგედია, საფრანგეთის ქვეშევრდომ არაბების წამება, სისხლით მორწყული ბელგიის კონგო .. მრავალი კიდევ სხვა და მაშინ ბრძანეთ რამ შეერთებულ კაცობრიობაზედ!

ასე ურცხვი თავის დღეში არ ყოფილა უსამართლობა და ძალმომრეობა! მაგრამ დავუბრუნდეთ კითხვას... სამშობლოს სიყვარული შეიცვლება, გაფართოვება, მაგრამ კი არ გაქრება.

თუ პატრიოტობა—ყველა უცხოელის სიძულვილია, ერთა-შორის მშვიდობიანობა უსაფუძვლო ოცნებად ხდება; მაგრამ თუ პატრიოტიზმი ის ტკბილი გრძნობაა, რომელმაც შემაყვარა ჩემთან ახლო მყოფნი, მათი ჭირი ჭირად გამიხადა, ლხინი—ლხინად ⁄ ⁄ ⁄

გარემოება, თუ რეგრესიული: თემი მხოლოდ ბრძოლის შემდეგ უერთდებოდა სხვა თემს, მაზრა—სხვა მაზრას და ერი—სხვა ერს. მაშასადამე სამშობლო პროგრესსიული ძალის შედეგია და რეგრესსიულს ძალას კი წარმოადგენს: სხვა ერთან ფედერაციულ განწყობილებას გაურბის, გაფართოვებას სხვა ერთა დამარცხებით ცდილობს.

პატრიოტიზმს რომ ეს მავნე მხარე ჩამოვაცალოთ, ფრიად სასარგებლო ცნებად ხდება: იგი აერთებს საზოგადოებრივი კავშირით იმ პირთ, რომელთაც საზიარო აქვთ და ერთმანერთში შეთანხმება შეუძლიანთ. და როგორც წარსულში სასარგებლო იყო ინდივიდთა ერებად შედგენა, ისე დღეს სასარგებლო იქნება ერების შეერთება და გაერთიანებული კაცობრიობის შედგენა.

განათლებულ ხალხთა შორის დღეს კიდევ არის წინააღმდეგობა იდეალის და ინტერესებისა, რადგან გაცალკევებულნი არიან სხვა და სხვა ერები; ფედერაციად რომ იქმნენ შეერთებულნი, საფუძველი აღარ ექნება ქიშპობას: საფრანგეთი და გერმანია რომ ერთსა და იმავე ფედერაციას ეკუთვნოდნენ, ალზას-ლოტარინგიის საქმე თავისთავად გადაწყდებოდა, რადგან აღარც საფრანგეთისა იქნებოდა ეს სადავო მაზრები, აღარც გერმანიისა, არამედ ალზასელების და ლოტარინგელებისა, და თუ გნებავთ ევროპიელ ერთა ფედერაციისა.

მერმე, როდესაც შეერთდება კაცობრიობა, განა გაქრება ეროვნული პატრიოტიზმი? არა მგონია.

როგორადაც მთელს საფრანგეთში ყველაზედ მეტად ჩვენი მაზრის შვილნი გვიყვარს, რადგან იმათთან უფრო მეტი გვაქვს საზოგადო, ისე ფედერაციად შეერთებულ კაცობრიობაში ყველაზედ მეტად ფრანგი გვეყვარება, მერმე ერთობ ევროპიელი, თუმცა ჩვენს სიყვარულს და ძმობას სხვასაც არავის დავაკლებთ.

ჯონ დებოკ: ჭეშმარიტი პატრიოტიზმი არის უწმინდესი და უდიადესი გრძნობა. კაცს უნდა უყვარდეს თავისი ოჯახი, თავისი მეზობლები, თავის ქვეყანა.

საუბედუროდ, მეტად გავრცელებულია შეცდომა—ვისაც თავისი სამშობლო უყვარს, სხვისი უნდა სძულდესო.

ადვილი დასამტკიცებელია, რომ ერთი ერის წარმარტება ყოველთვის სასიკეთოა სხვა ერებისთვისაც; თუნდა საფრანგეთი და ინგლისი ავიღოთ მაგალითად. თუ საფრანგეთს კარგი რთველი ჰქონდა, ჩვენც კარგი და იაფი ღვინო გვექნება. და თუ რკინის შემუშავებაში ინგლისმა გააუმჯობესა რამე და რკინა გააიაფა, საფრანგეთიც უფრო იაფად შეიძენს რკინის გზებისთვის და სხვა შენობებისთვის საჭირო მასალას.

იგივე ითქმის გონებრივ და ხელოვნურ განვითარებაზედ: ინგლისი მოლიერით და ვოლტერით სტკბება, საფრანგეთი—შექსპირით. მეცნიერებამ ხომ სულაც არ იცის, სამშობლო რა არის; მართალია, გვიამება, როდესაც ახალ რაიმე გამოგონებით ჩვენმა თანამემამულემ ისახელა თავი. მაგრამ არა ნაკლებ გვიხარიან, როდესაც გამოგონება სხვა ერის შვილს ეკუთვნის და წრფელი გულით ვულოცავთ კაცობრიობას ახალს შენაძენს.

ენრიკო ფერრი: უცოლშვილო კაცი ძალიან პატიოსანიც რომ იყოს, განხორციელებული ეგოიზმია, რადგან ოჯახისთვისაც კი შეშურებია თავისი გული.

ოჯახის პატრონი, რომელიც თავის ოჯახს იქეთ არასა ხედავს, დიდად პატივცემულიც რომ იყოს საზოგადოებაში, ეგოისტია, უცოლშვილოზედ გაცილებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ეგოისტია, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების ბრძოლისთვის და საჭიროებათათვის დაუბშია თავისი გული.

კაცმა თავის თავის გარდა და თავის ოჯახის გარდა სხვაც უნდა შეიყვაროს—თავისი სოფელი, თავისი მაზრა, თავისი ერი. და შეიძლება ესეც არ იკმაროს, სამშობლოს სამძღვრებს იქით გადაიტანოს თავისი სიყვარული და თავის ერთან ერთად უცხო ერთაც ემსახუროს.

უცოლშვილო კაცს, როგორადაც ოჯახის პატრონ ეგოისტს, კაცობრიობისა კი არა, სამშობლოს სიყვარულისაც არა სწამს-რა. სამშობლოს და კაცობრიობის სიყვარულით გატაცებულნი კი ყოველთვის სამაგალითო ბურჯნი არიან თავიანთ ოჯახისა, და როგორც სამშობლოს სიყვარული არ უარჰყოფს ოჯახის სიყვარულს და სამსახურს, ისე კაცობრიობის სიყვარული არ უარჰყოფს საკუთარი ერის და მშობლიურ ქვეყნის სიყვარულს.

ანჯელო დე გუბერნატის. სამშობლოს პირველი ნასახი საკუთარი ქოხი არის და ამ ქოხში საკუთარი ოჯახი. თუ კაცს სახლი არა აქვს, არც სამშობლო აქვს და ძალუნებურად სხვაგან ირჩევს ძირის მოკიდებას. როგორც ხე, ისე უნდა ჩავეჭიდოთ მშობლიურ მხარის მიწას და ღრმად გავიდგათ შიგ ფესვები, თუ გვინდა, რომ ღრისეულნი ვიყვნეთ ერთა შორის და სხვებთან ერთად ჩვენც გვახსენებდნენ.

ჯერ ოჯახი, მერმე ქალაქი, მერმე სამშობლო, და ბოლობ კაცობრიობა

მითოლოგია მოვიგონოთ: რამდენი ხანი ეწვალა ჰერკულესი, მაგრამ ვერა დააკლოტრა ანტეს, რადგან ხერხი არ იცოდა: ვიდრე მიწაზედ ედგა ანტეს ფეხი, იმას ვერავინ აჯობებდა. რაკი გაუგო საიდუმლო ჰერკულესმა, ასწია, მიწას მოაშორა და ისე გასრისა.

სამშობლოს მოშორებულნი, ჩვენც ველარსად ვიხეირებთ, ვიდრე სხვაგან არ გავიდგამთ მძლავრად და მჭიდროდ ფესვებს. მაგრამ განა ადვილია სხვა სამშობლოს პოვნა, უცხო გარემოებათა შეჩვევა და დამორჩილება!

მომავალში გაერთიანდება კაცობრიობა და ეროვნული სამშობლო აღარ იქნებაო. რატომ არა? ადამიანის და კაცობრიობის ბედნიერებისათვის განა საჭიროა ამოფხვრა პიროვნულ ენერგიისა, ინდივიდურ თავისებურობისა? მოვსპოთ ადამიანთა გამაცელკევებული მიზეზები, გავაადვილოთ

მათ შორის დამოკიდებულება, მოვფინოთ ყველგან განათლება, შევიძინოთ და შევაძენინოთ კაცობრიობის გონებრივ სალაროს ნაწარმოებნი, გვარის მოსაკეთებლად შევირთოთ სხვა ერთა ქალები, მეგობრულად დავხვდეთ სტუმარს, სადაურიც უნდა იყოს, განვავითაროთ და განვადიდოთ ჩვენი ეროვნება და, გადაგვარებას კი არა, იმას ვეცადნეთ, რომ ჩვენადვე დავრჩეთ. მეტის მეტად მრავალ გვარია ბუნება და რად გვინდა, რომ უდიდებულესი ქმნილება ბუნებისა—კაცი—ერთგვარი იყოს? ფრანგთა და იტალიელთ შორის ერთობის და თანხმობის დამყარება გნებავთ? განა თუ იტალიელი ფრანგად არ იქცა, ან ფრანგი იტალიელად, ერთობა ვერ დამყარდება? ან რითი ემჯობინება გაერთნაირებული კაცობრიობა დღევანდელს ერებს? სადღა ნახავთ პარიზელი ქალის ღიმილს და ბაასს, იტალიელის ენებით სავსე სიმღერას, ესპანიელის მოხდენილს თამაშს? თუ კაცს სამშობლო დაუკარგეთ, ბარემ მზე დაუბნელეთ და სიცოცხლე მოუსპეთ. ვისაც სამშობლო არა სწამს, არც სიყვარული იცის, არც ცხოვრების მიზანი და არც სათნოება, რადგან ვისმე ან რასმე უნდა ემსახურებოდეს ჩვენი სათნოება. ვინც ოჯახის და სამშობლოს სიყვარულს მოკლებულია, ვერც კაცობრიობის სიყვარულს შეესძლებს, რადგან გული მისი დახშულია სიყვარულისთვის.

ფრანსუა კოშუტი. განათლება ამყარებს ერთა შორის უფრო და უფრო მჭიდრო დამოკიდებულებას, და ომი კი ასუსტებს და არღვევს... კაცობრიობის ნეტარებისთვის უმთავრესად საჭირო ერთა შორის-მშვიდობიანობის დამყარება არის.

პატრიოტიზმი საჭირო გრძნობაა კაცობრიობის განვითარებისთვის. როგორც ინდივიდს აპატიოსნებს და ამაღლებს ოჯახის სიყვარული, ისე ერს—კაცობრიობისა; ოღონდ ადამიანის გული იმდენად ფართო არ არის, რომ მთელი ქვეყანა უყვარდეს. ეგ მარტო ქრისტემ შესძლო და... აკი გააღმერთა ადამიანმა! პატრიოტიზმი რომ არ იყოს, სამეფონი დაიშლე-

ბოდნენ, ადგილობრივი ინტერესები წამოჰყოფდნენ თავს და დაუმთავრებელი ბრძოლა ასტყდებოდა თემსა და თემს შორის.

გავა დრო, განათლება თავისას იზამს, მძლავრის უფლებას წინ აღუდგება შეერთებულ სუსტთა სიმართლე და აღარ იქნება აღარც ერთა-შორის შური და სიძულვილი, აღარც ბრძოლა და სისხლის ღვრა, აღარც გამარჯვება და ცარცვა-რბევა... მანამდე კი ყველა ერმა მედგრად დაიცვას ეროვნული თავისი პიროვნება, რადგან კაცობრიობას ის ემსახურება, ვინც თავის სამშობლოს და ერს იმდენად განაძლიერებს, რომ იმასაც წილს დაუდებს კაცობრიობის წინსვლის ტვირთის ზიდვაში.

ნოგიკოვი. როგორც ადამიანთა არსებობა არას ავნებს ადამიანს, პირიქით, უადამიანოდ შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის ცხოვრება, ისევე სასარგებლოა სხვა და სხვა ერთა და სამშობლოთა არსებობა. ერთაშორის შური და უთანხმოება ჩვენი შეცდომაა, თორემ ერთი და იგივე მისწრაფებით სულდგმულობს ყველა ერი—დამყარდეს უაღრესი უშიშრობა, ესე იგი სრული სამართლიანობა მთელს ქვეყანაზედ: სამართლიანობა—სხვათა უფლებათა აღიარებაა და, მაშასადამე, საქიშპოც აღარაფერი დარჩებათ ერებს.

დეეთ, ყველა ერმა განაგრძოს საკუთარი თავისი ევოლიუცია და ეცადოს, რაც შეიძლება ბრწყინვალე და დიდებული ალაგი დაიჭიროს ერთა შორის, ოღონდ წმინდად კი მიაჩნდეს სხვა ერთა უფლებანი.

ვერგა. მარტო სასარგებლო კი არა, საჭიროც არის პატრიოტიზმი, იმიტომ რომ ერნი კაცთაგან შესდგებიან და არა ფილოსოფოსთაგან. განა უკვე დადგა ის დღე, როდესაც ქვეყანაზედ სრული სამართლიანობა დამყარდება, სხვათა უფლების ღირსეული პატივისცემა გამეფდება და ერთა შორის უთანხმოების უსისხლოდ დამთავრება შესაძლებელი გახდება? ჯერ

არა და შორსაც ვართ!.. მანამდე კი, ამ საოცნებო დღემდე, სასარგებლოდ მრწამს და მაშასადამე სავალდებულოდაც, რომ ყველა მამულისშვილი უპირველეს ყოვლისა თავის სამშობლოს ემსახურებოდეს და ხანჯალიც გალესილი ერტყას.

მაქს ნორდაუ. პატრიოტიზმი—სიყვარულია მამულისა, რომელიც ჩვენთა წინაპართა სისხლით არის მორწყული; პატრიოტიზმი სიყვარულია წარსული ცხოვრებისა, ბრწყინვალე ისტორიისა, ენისა, მწერლობისა... ერთი სიტყვით ჩვენ შემქმნელ მატერიალურ და ზნეობრივ პირობათა; პატრიოტიზმი თან დაყოლილი და დაუფასებელი საუნჯეა ყველა ადამიანისა.

ავადმყოფი უნდა იყოს კაცი, რომ უარჰყოფდეს ამ გრძნობას. მაგრამ ეგ არ კმარა: პატრიოტიზმი—ადამიანთა შორის თანხმობის დამამყარებელი ძალაა. მთელის კაცობრიობის სიყვარული იმისთანა დიდებული გრძნობაა, იმისთანა წმინდა და მძიმე ტვირთი, რომ მის ზიდვა ჯერ-ჯერობით მარტო ამირანს და ქრისტეს შეაძლებინა ადამიანმა. ეროვნული პატრიოტიზმისთვის კი სრულიად მზად არის დღევანდელი ჩვენი საზოგადოება და ამიტომ ამყარებს იგი თანხმობას მცირე სამძღვრებში და ხშირად ჰბადავს დიდებულ გმირებს.

პატრიოტიზმის უარყოფა და მის მაგივრად კაცობრიობის ლოცვა და დიდება უსაფუძვლოა, რადგან სიტყვა კაცობრიობა კაცობრიობისათვის ჯერ-ჯერობით ცარიელი სიტყვაა.

ნუ ენდობით იმ ვაჟბატონებს, რომელნიც—კაცობრიობას ვემსახურებითო,—ზურგს აქცევენ თავის აღმზრდელს და მაშასადამე საუკეთესოდ ცნობილს ნაწილს კაცობრიობისას. ფსიხიატრია ამტკიცებს, თუ კაცმა თავისი ქონება საკუთარს ცოლ-შვილს გამოსწირა და სხვას უანდერძა, თუნდა

საზოგადო საქმესაც, შეშლილიაო და ანდერძით ცდილობს ჯავრი ამოიყაროს თავის მემკვიდრეებზედ, რომელნიც თავისმა სიგიჟემვე შეაძულა და მტრად დაუსახაო.

ივ. მაჭავარიანი.

ცხოვრება და ღვაწლი

თ. დი გრიგოლ ორბელიანისა

I

გრიგოლის მამა, ზურაბი, იგივე დიმიტრი, წარსულის საუკუნის კაცი იყო, მეფე ერეკლეს სასახლეში ნამყოფი და ცოტა ნამსახურიც. კახიბატონს, ეტყობა, ძლიერ მოსწონდა და უყვარდა ზურაბ, რადგანაც მან მიათხოვა იმას თავისი ქალის ელენეს ასული ხორეშან, დედა პოეტისა. შემდეგ, როდესაც მეფე ერეკლე გადაიცვალა და საქართველოს სხვა პოლიტიკური წეს-წყობა დაუდგა, ზურაბ ორბელიანი, როგორც მოწინავე თავადიშვილი, ჯერ სამხედრო სამსახურში განწესდა და ციციანოვთან ერთად იყო ერეკვნის აღების მონაწილე, მერე მთავრობამ დანიშნა იგი თბილისის ბაჟის ზედამხედველად*) და „ზასედატლათ“ უზენაესს სასამართლოში, რომელიც განაგებდა საბჭო საქმეებს საქართველოში. აქ მსახურების დროზე ამბობენ: როდესაც სასამართლოში საქმის გარჩევა გათავდებოდა და სეკრეტარი—ფიდო ენიკოლოპოვი— წაუკითხავდა ზურაბს სასამართლოს ოქმს, ეს უკანასკნელი, რუსულის ნაკლებად მცოდნე, ეტყოდა სეკრეტარს:

— ფიდო, რაღა ბევრს კითხულობ, თუ „ესლი“ სწერია, ხელს მოვაწერ, თუ არა და არა**).

---

*) პლ. იოსელიანი. ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა გვ. 327.

**) გენერალის ა. საგინოვისაგან გაგონილი.

„ესლი“ ნიშნავდა: если не встрѣтится законныхъ препятствій-ს. ხუმრობით იყო, თუ გულის-სიმარტივით, ზასედატელს ეგონა, რომ ამ „ესლით“ ყოველს პასუხის გებას თავიდან აიცდენდა.*)

ცოტა ქვემოთ, როდესაც პოეტის სიყმაწვილეზე დავიწყებთ ლაპარაკს, დავინახავთ რა ღვთისნიერი ადამიანი იყო ზურაბ ორბელიანი, რა კარგად იცოდა იმან სამღვთო წერილი და გარეშე წიგნები. ეხლა კი მის პიროვნებაზე თუნდ ამ ორის უბრალო ჩვენგან გაგონილის ამბით დააკმაყოფილეთ თქვენი ცნობის მოყვარეობა.

იმის დროს მთავარ-მართებელს ერმოლოვს არა ჰქონდა თურმე კარგი განწყობილება ზურაბთან. ზურაბიც თითონ არ ძალავდა თავის უკმაყოფილებას და, როგორც ამბობენ, არა ერთ-გზის იტყოდა საზოგადოებაში ერმოლოვის ძვირს. ეს რომ ერმოლოვმა შეიტყო, მიუგზავნა ზურაბს თ. გრიგოლ მუხრან-ბატონი: რას მერჩი, რათ მაგინებო.

— აბა, როდის ვაგინებდი მაგ... და აქ ერთმა მაგარმა სიტყვამ გაიელვა ჰაერში, იმ ანდაზის არ იყოს, ურია ღმერთს ნუ ფიცავო და არა ღმერთმანიო**).

მეორე ამბავი, რომელიც გამიგონია ზურაბის შესახებ, იმის დროის მოდას შეეხება. მოდა იყო, ჩაის სმას რომ გაათავებდნენ, თუ არ უნდოდათ მეტის დალევა, სტაქანი პირ-ქვე უნდა დაემხოთ. ერთხელ, როდესაც ზურაბი ნარდს თამაშობდა, გართულმა, უნებლიეთ სტაქანი გადმოაბრუნა და ბიჭმაც მეტი ჩაი არ მოუტანა. თამაში რომ გათავდა, ბიჭსა ჰკითხა: ჩაი რატომ არ მომიტანეო.

— ბატონო, თქვენ აკი სტაქანი პირ-იქვე დაამხვეთ.

---

*) შექსპირი სწერს ერთს კომედიაში: „слово е с л и—единственній умиротворитель; въ е с л и большая сила“. (Какъ Вамъ будетъ угодно. მოქმედება V, სცენა IV).

**) ივანე მუხრან-ბატონისგან გაგონილი.

— ბიჭო და, რა ულელი ხარი იმის გადაბრუნებას უნდოდა, რით ვერ მოერიეო, უპასუხა სიცილით ჩაის მწყურვალე თავადმა *).

დედა პოეტისა, ხორეშან, როგორცა ვთქვით, მეფე ერეკლეს ქალის ელენეს ასული იყო. ეს ელენე ჯერ იყო გათხოვილი დიდ სოლომონ მეფის ძმაზე არჩილზე,**) მერე, როცა დაქვრივდა და სულიერ ავათმყოფობას მიეცა, მეფე ერეკლემ გაათხოვა იგი ზაქარია ანდრონიკაშვილზე, ქიზიყის მოურავზე***). დიდი, მოსული ვაჟკაცი თურმე იყო ეს ანდრონიკაშვილი, რომელსაც მეტ-სახელად „მგელს“ ეძახდნენ. ამან 600 კაცი მოაშველა ქალაქს, როდესაც აღა-მაჰმად-ხანი შემოვიდა საქართველოში. ელენი ბატონიშვილს ამისგან 1784 წ. ეყოლა ქალი, ხორეშან, და თვით გარდაიცვალა. მეფე ერეკლემ მაშინ თავისი შვილის არამში მოაყვანინა, გაზარდა და როდესაც ის შეიქმნა ცამეტის წლისა, შერთო ცოლად ზურაბ ორბელიანს****).

რომ იტყვიან, შესანიშნავი კაცი შესანიშნავი დედის შვილი არისო, სწორედ გრიგოლ ორბელიანზე და მისი მშობელზედ გამართლდა. განსვენებული პოეტი ცრემლით და კრძალვით მოიგონებდა ხოლმე კეთილსა, ნაზსა, ღვთის მოშიშსა და ჭკვიანს დედას, რომელმაც გზა სიკეთისა ასწავლა მას და სული აღუვსო მარად-ჟამ გამოულეველის სიყვარულითა და სათნოებით. მისი პატივისცემა ძვირფასის მშობლისადმი აღემატებოდა ჩვეულებრივს შვილობრივს სიყვარულსა. იკი წმიდა არსება იყო მისთვის, რომელსაც თაყვანსა სცემდა, როგორც შვილი და როგორც კაცი.

მარტო გრიგოლის გამოზდით არ იყო შესამჩნევი დედა პოეტისა. გრიგოლს გარდა, მას ჰყავდა სამი სხვა შვილი:

---

*) ო. ივანე შუხრან-ბატონისაგან გაგონილი.

**) მეფის გიორგის ცხოვრება ბ. იოსელიანის 13. გვერდი.

***) კნორინგის მოხსენება.

****) ქეთევან ორბელიანისგან გაგონილი.

ილია, ზაქარია და ეფემია, სამივე თავის-თავად შესანიშნავნი და სახელოვანნი პირნი. პირველ ორთა სახელს კაცი ხშირად შეხვდება კავკასიის სამხედრო ისტორიაში. თავიანთის ცხოვრებითა და სიკვდილით მათ ორთავ დაამტკიცეს თავ-განწირული ვაჟ-კაცობა და ერთგულება მამულისა. ეფემიამ კი დაუვიწყარ-ჰყო თავისი სახელი იმით, რომ შეიქნა დედა ჩვენის სასიქადულო პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა. იშვიათს ქართველს ქალს გაუზდია ამდენი წარჩინებული ქართველები. ნეტარ-იყვნენ ძუძუნი, რომელთა სწოვდინ ესეოდენნი სახელოვანი შვილნი!

II

ნამდვილად არავინ იცის რა დროს დაიბად გრიგოლ ორბელიანი. სრულს მისს ნამსახურებითს სიაში ის არის დანიშნული დაბადებულად 1800-ში. მისთა თანამედროვეთაგან კი რამდენიმე ამბობენ, რომ ის არის დაბადებული 1804 ს. ამ წელს პოეტის მამა ზურაბ სხვათა სამასთა საქართველოს თავადთა შორის ციციანოვის ჯარში იყო, რომელმაც ერევანი აიღო. ექსპედიციის დროს, ერთხელ, ზურაბ ორბელიანი, თავისი ძმით ასლანით და იოანე სარდლით ჩაუვარდა ხელში ფათალიშახს, რომელმაც დაატყვევა იგი. ეს რომ შეეტყო მის ცოლს ხორეშანს, პოეტზედ ორსულად მყოფს, აღთქმა დაედო ღვთის წინაშე, თუ ზურაბს ცოცხალს დააბრუნებ, ჩემს შვილს ბერად მივცემო. ზურაბ უვნებლად დაბრუნებულა, ხორეშანს ვაჟი ჰყოლია და აღთქმა... მაინც აღსრულებულა, რადგანაც პოეტი უცოლოდ მოკვდაო, გვიამბო ქეთევან ორბელიანმა. ამ ორ აზრში ისევ იმას უნდა მიეცეს უპირატესობა, რომელიც ნამსახურებითს სიაში არის ნაჩვენები. პოეტი პირველად 1816 წ. შევიდა სამსახურში და მაშინ უფრო კარგად ეცოდინებოდათ და ემახსოვრებოდათ დრო პოეტის დაბადებისა, ვიდრე ეხლა.

ამ რიგად გრიგოლ ორბელიანი უნდა იყოს დაბადებული 1800-ს., ამ საუკუნესთან ერთად, ან უკეთ: ამ საუკუნესა და

წარსულს საუკუნეს შორის—ორთა დროთ შუა—როდესაც ძველი დროების რეჟიმი განქრა და ახალი დროების რიჟ-რაჟი ჯერ ისევ სიბნელით და ბურუსით იყო გარემოცული. ახალ-დაბადებულს ზნეობითის და გონებითის სიდიდისა და სიმრთელისთვის ამაზე უარესი დრო მეორე სხვა ძნელი იყო გამოსჩენოდა. მთელს იმის ცხოვრებას, ამ დროების წყალობით, უნებლიეთ უნდა დასტყობოდა ამ ორი სხვა-და-სხვა ელემენტის—ძველისა და ახლის—გავლენა. გონებას, ხასიათს, ქცევას, ლაპარაკს, ენას, ყველას ორი პირის სახე უნდა ჰქონოდა, რადგანაც ორ-სახეობას წარმოადგენდა მაშინ თვით ცხოვრება. ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რამდენად დაიმორჩილა ამ გავლენამ პოეტი და რამდენად წინააღუდგინა იმან ამ გავლენის ზედმოქმედებას თავი ძლიერი პიროვნება.

მანამ კი ვნახოთ სად, როგორ და რა პირობაში მოიდგა ფეხი ახალ-დაბადებულმა, როგორ განატარა იმან თავისი სიბავშვე, სიყმაწვილე, სიჭაბუკე? ამ კითხვის დადგენა აქაც შეადგენს მიუცილებელს საჭიროებას, უტყუარი მისი პასუხი მოჰფენს სინათლეს ბევრს მხარეს პოეტის მოქმედებისას, განმარტავს მის გონების ავლა-დიდებას, იმის გულის მიდრეკილებას, იმის ხასიათს, მაგრამ საქმე ის არის, ქართველი უცნობი მწერალი კი არა, ევროპაში განთქმული პოეტი რომ იყოს ორბელიანი, რაკი ამ კითხვის პასუხი დღემდის არ დაწერილა, დღეს, ამ ოთხმოცის წლის შემდეგ, როცა მეოთხე მოდგმა გამოდის ცხოვრებაში, ამ კითხვის შესაფერად პასუხის გება ყველასთვის საძნელო იქნებოდა. ჩვენში ეს მით უფრო ძნელია, რომ ამ საუკუნის დასაწყისში პერიოდული ბეჭდვა არა გვქონდა, რომელშიაც ასე თუ ისე ყოველთვის გამოსჩხრეკს კაცი რამე საგულისხმო ცნობას, სახელოვან კაცთა შესახებ.

გარნა გზა არც ისე უიმედოთ შეუკრაკს გარემოებას, რომ თითო ორორი ფაქტის ცხოვრებიდან ან ძველ წერილებს არ შეენახოს ჩვენთვი, ან ძველ მეხსიერებას. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ პოეტის სიყმაწვილის დრო, ფაქტების სილარიბეს ჩვენ შევავსებთ ისტორიულის სურათით. იმ ზოგი-

ერთა ამბებს, რომელთაც ჩვენამდე ჩამოულწევია, ჩვენ გავუკეთებთ ისტორიულს ფონს და ამ გვარად შემოვფარგლავთ იმ ზნეობით „ატმოსფერას“ *), რომლისაგან—როგორც მცენარის ხეირობა „ფიზიკური ატმოსფერისაგან“—არის დამოკიდებული კაცის აღზრდა და ზნეობითი განვითარება. ამ გვარის ფონით გარშემოზღუდული პორტრეთი პოეტის სიყმაწვილისა უფრო ნათლად იქნება თვალთათვის დასანახავი და გონებისთვის გასაგები.

III.

წარსულის საუკუნის დამლევს და მდგომარის საუკუნის დასაწყისს ქართულ ენაზე ორი ჩინებული მოამბე ჰყავს: ალექსანდრე ორბელიანი და პლატონ იოსელიანი. პირველი არშიყია ძველის ქართველის ოჯახის და საზოგადოების ცხოვრებისა, მეორე—ულმობელი მეისტორიე, ანუ, მისივე სტილით რომ ვასიამოვნოთ მისს აჩრდილს, ულმობელი ტაციტი, რომლისთვისაც სიტყვაზე: ალექსანდრე ბატონიშვილი იყო მიტრიდატი; სოლომონ ლეონიძე—ფაბრიციოსი და კატონი; დავითგარესჯის უდაბნო—თებაილა და სხ., იმათ სულზე მოუსწრიათ წასრულის საუკუნის ისტორიულთა პირთა და გარემოებათათვის და თითონ ყოფილან მოწამენი ამ საუკუნის დასაწყისისა. მაშასადამე სრული ნდობის ღირსნიც არიან. პირველის ნაწერში მამულის სიყვარულისაგან მომხდარი გადაჭარბება და მეორის გამოკვლევაში ცოტაოდენი ურწმუნოება იმდენათ საჩინოა თვალთათვის, რომ არა ვის არ დაუშლის ჭეშმარიტების გამოცნობას.

მაშ დავეკითხოთ ამ ორთა, რა გვარ მდგომარეობაში იყო ჩვენში გრიგოლ ორბელიანის დაბადების დროს—ცოტა ადრე, ცოტა გვიან, ეს სულ ერთია; საზოგადოების ცხოვრება ყოველ წლობით არ იცვლება—ოჯახი, საზოგადოება, ეკლესია, შკოლა,

*) ტენის სიტყვა.

პოლიტიკური ცხოვრება, ე. ი. ყველა ის პირობა, რომლისაგან შესდგება ყმაწვილის აღზრდის ნიადაგი, მისი „ზნეობით ატმოსფერა“? თუ ეს მაგარი საფუძველი გავიკეთეთ, ჩვენი ბიოგრაფიული შენობაც არ იქნება ქვიშაზე აყვანილი.

ჯერ ოჯახი ვნახოთ, შევიტყოთ როგორ სცხოვრებდა ქართველი მებატონე, რომლის სახლშიაც აღიზარდი პოეტი.

აქ ჩვენ რამდენისამე ხნით თავადის ალექსანდრე ორბელიანის ცოდნაა და ავტორიტეტს მივმართავთ. ცოტა ქართულად „მსხვილადაც“ დავესესხებით მის ნაწერს, რადგანაც მისგან დახატული სურათი შინაური ცხოვრებისა თავის თავად გამტაცებელი არის კაცისა და პოეტის ცხოვრებისთვისაც მოგვცემს ბევრს საგულისხმო შენიშვნას.

ერთმა რომელსამე სახლეულობის ცოლ-ქმარმა—ანბობს თავისებურად ალ. ორბელიანი—გარიჟრაჟზედ გაიღვიძეს; მაშინვე იმათ ღმერთი ახსენეს: „ღმერთო დიდო, შენის მოწყალებით ნუ დაგვაგდებთ ჩვენ“ ამ სიტყვასთან ქმარი ქვეშ-საგებიდგან გადმოვიდა ტახტზედ და ფეხებზე მსუბუქად ჩაიცო. მერე აღმოსავლეთისკენ პირი მიმართა და თავის საიდუმლო ლოცვას მოჰყვა, განდისხან პირ-ჯვარის დაწერით და იშვიათად მეტანიის მოყრით. ეს რომ ქვეშ-საგებიდგან გადმოვიდა, იქ ქვეშ-საგებში იმისი ცოლი წამოჯდა, ბეჭებზედ მსუბუქად ხამოისხა, პირი აღმოსავლეთისაკენ მიიბრუნა და ისიც თავის საიდუმლო ლოცვას მოჰყვა, ხანდისხან სათხოვარის ხელების განპყრობით ღვთისადმი და თან პირ-ჯვარის დაწერითა... ქმარმა უფრო ადრე გაათავა ლოცვა, შემდეგ საჯინიბოსაკენ წავიდა თავის საჯდომი ცხენების მოსავლელად; იქ მეჯინიბეთ ცხენები კარგათ დაეურავებინა და მას უკან თავის ცოლთან შამოვიდა, რომელსაც ლოცვა გაეთავებინა, პირიც დაებანა, თავიც დაეხურა, ტანთაც ჩაეცვა, ქვეშ-საგებიც სულ აელაგებინა და ქეჩაზედ მოკეცილი თავის ქმარს ელოდა შემოსულიყო.

როდესაც იმის ქმარი შემოვიდა, ცოლმა თავის შვიდი წლის ვაჟი გაიღვიძა და უთხრა:

— ადე, შვილო, ილოცე, ჩაი დალიე და მერე შენს ოსტატთან წადი სასწავლებლად.

ფხიზელი, მორჩილი შვილი ჩქარა წამოდგა, გამდელმა ჯერ პირი დააბანინა, მას უკან ტანისამოსი ჩააცვა და შემდეგ ალოცეს.

შინამ ყმაწვილს ალოცებდნენ, იმისმა მამამ პირი დაიბანა და ტანისამოსის ჩაცმა მოასწრო. ამასთან მოსამსახურემ ფოდნოსზედ დადგმული

ჩაი ფიქებით ჩამოარიგა. ჩაი რომ გაათავეს, ყმაწვილის ლალას მოუწოდეს, და ყმაწვილის მჯმამ უთხრა:

„ეს შენი გაზდილი ოსტატთან წიიყვანე; ჩემ მაგიერ უთხარ, ამას რომ პირველი კანონი დავითნი გაუთავებია, დიდად გმადლობთ იმასაც და იმის შაგირდსაც... ესეც მოახსენე ჩემ მაგიერ, დღეს სადილად ჩვენთან მობრძანდნენ ამ თავის შაგირდით“...

ის რომ გაისტუმრეს, იმათი სოფლის მოურავი შემოვიდა და ორთავეს მძიმედ დაუკრა თავი.

— მოურავო, როდის მოხველ?

— წუხელის უდროოდ სოფლიდგან გიახელ. თქვენთან დრო არ იყო გზლებოდით, ჩემს სახლში ჩემს ხიზანთან გახლდით—მოახსენა.

— შენი ხიზანი ნაკლებობაში ხომ არ დაგხვდა?

— თქვენ ცოცხალი ბრძანდებოდეთ... თქვენის მოწყალებით ჩვენ ჩვენს დღეში ნაკლებობაში არ ვიქნებით.

— სოფელში ჩემი ცხენები, ბარგის ჯორები და მსახურის ცხენები როგორ არიან, ან ხომ არა აკლიათ-რა?

— არა აკლიათ-რა და კარგადაც არიან.

— ცხვარი, საქონელი და ან ცხენის ჯოგი როგორ არის?

— დიახ კარგად გახლავან, კარგი მწყემსები, კარგი მეჯოგეები ყავანან და ძალიან კარგად უვლიან.—ეს რომ მოურავმა მოახსენა, მერე იმან ჰკითხა: შენი ჰირიმე, ქერი და ბზე ხომ საკმაო იქმნება ცხენისთვის აქა?

— იმედი მაქვს, არ დააკლდესთ,—უპასუხა ბატონმა.

— ვინიცობაა თუ დააკლდათ, კიდეც ჩქარა ჩამოვატანინებ, ახლა ეს მიბრძანეთ: ყველი, ერბო, პური და ღვინო არ დაგაკლდებათ?

— წლის სამყოფზედაც ბევრია.—ცოლმა უთხრა.

ქალბატონიც კარზე გამოვიდა და ორი გამდელი უკან გამოყვა, ჯერ სამზარეულოში შევიდა, იქ ქვაბები გაიხრიკა, შემდეგ მზარეულს უბრძანა: გემრიელი სადილი გააკეთე: კარგი ცხვრის გუფთის ბოზბაში, კარგი ცივად ძროხის ხორცი, კარგი ხოხბის ფლავი და კარგი ჩახოხბილი ქათმები. ამასთან მისცა რამდენიმე დარიგება, დაათვალიერა სამზარეულო, და რომ ნახა ყველა რიგზედ და წმინდად იყო, გამოვიდა და საკუჭნაოში შეიდა.

იქ მეკუჭნავეს ყოველიფერი ჰკითხა... თავის გაკეთებული სხვა-და-სხვა მწნილებით სავსე ქილები, ერბოს ქილები, მარილი, ტომრებით ფქვილი, ტიკებით ღვინო, ცარიელი საღვინეები და ვოზაურები და სხვა, რაც საკუჭნაოს ეკუთვნოდა—სულ ყოველივე რიგზედ და თავის ალაგას იყო, მეკუჭნავემ ყველა კითხვაზედ პასუხი მოახსენა, მაგრამ მაინც ქალ-

ბატონმა ყველა თითონ დაიარა და გამდელებს აჩხრეკინებდა, თვითონ მხოლოდ დახედავდა. ყველა კარგად და რიგზედ რომ ნახა, მეკუჭნავეს უთხრა:

— მოსამსახურეებმა ამ დილით ისაუზმეთ, თუ არა?

— თქვენის მოწყალებით ვისაუზმეთ: პურით, ყველით და ორ-ორი აზარფეშაც ღვინო გიახელით,—უპასუხა მეკუჭნავემ.

ქალბატონმა ეს რომ სთქვა, საკუჭნაოდან გამოვიდა და გამდლეგბის ოთახი დაინახა. იქ მოახლეები დაათვალიერა,—ისინი ისხდნენ და საკერავებს აკერვებდნენ: ქარგას, ჭისას, კერვას და ამგვარებსა. მას უკან ქალბატონი თავის ოთახში შემოვიდა, საუცხოვო საფენზედ დაჯდა, დოზედ მიესვენა, აიღო საკერავი და მინამ არ გაათავა, არ მოეშო. მას უკან პატარა საერო წიგნს დაუწყო კითხვა ყურადღებით—შუადღემდის...

შემდეგ დაიწყო პურობა. წყალით სავსე ალთაფა ტაშტით მოატარეს მოსამსახურეთ და სუბუქად ხელი დაიბანეს ყველამ, მერე სრული სადილი გაიშალა გრძელს განიერს ყალანქრის სუფრაზედ, რომელზედაც სხვა-და-სხვა ვერცხლის სურები შუა სუფრაში გაამწკრივეს, კახური წითელის ღვინით სავსე. დიდრონი ვერცხლის სანაჟურები შუა სუფრაში ჩაიდგეს ორი თუ სამი, ვერცხლის აზარფეშები და თასები მიმობნეულისავით დააწყეს აქა-იქ.

ყოველი ესენი ლამაზად რომ გააწყეს სუფრაზე, მურასლავაშები და გამტკიცული მრგვალი პურები ყველას სათვითოოდ მოუტანეს, ამასთან დახატულის ხონჩებით სხვა-და-სხვა საჭმელები ჩაურიგეს და ყველას თავთავისად ჩაუმწკრიეს წინა.

მაშინდელი ზნეობა, სრულიად გაწმენდილი იყო ყოვლის მცირედის მწიკვლისაგან, ესე იგი იყვნენ: მშვიდობიანნი, წყნარნი, უფროსების მორჩილნი, ნათესაობის მიმდევ-ზომდევნი დიდის სიყვარულით, მეზობლების გამტანნი და შემწენი ერთმანერთისა; კეთილნი, პურ-მარილიანნი, პურადნი, შემწყნარებელნი, გლახაკთ-დავრდომილთ ხელის გამმართველნი, ზდილობიანნი, მართებულნი, უცხო დარბაისელნი, მოთავაზენი, გულგახსნილნი, სიწრფელით მოლაპარაკენი, დაუფერებით მთქმელნი, გულფიცხელნი, მხიარულნი, მომღერალნი, მახვილსიტყვიერნი, გონიერნი, საქმის მალე მიმხვედრნი, თავის პიროვნის აღმასრულებელნი. არაოდეს სალანძღველსა სიტყვას არ იტყოდნენ, არამც თუ საგიებელნი ეთქოთ რამე, და თუ როგორმე იტყოდნენ, დიდი შფოთიც მოუხდებოდათ; მეუფროსეთ პატივის მცემელნი და იმათ უბნობის დროს განკრძალვით ყურის მიმგდებნი, სინიდისიანნი, გულმარტივნი, შიმდობნი, უცხო დედა-კაცთან უმანკონი, ვალის გადახდაში უკანასკნელს ქონებას მისცემდნენ თავის დროზედ; მართალნი და მართლმსაჯულობის მოყვარულნი. სახლეულო-

ბაში ბედნიერნი, არაოდეს ტყუილს არ იტყოდნენ, რაც უნდა ძვირ-ფასი განძი ეპოვნათ, არ დამალავდნენ, მოსავნი, ჭეშმარიტნი მორწმუნენი, ხასიათში მაგარნი, გაჭირვებაში დიდი მომთმენნი, ძლიერნი ვაჟ-კაცნი, ამხანაგობაში ანუ მეგობრობაში მტკიცენი და ეგრეთვე სხვანი ამგვარნი...

ამ დროის გლეხიც—სულ იმავე ორბელიანის ჰაზრით—სხვა კაცი იყო. „ყმას მებატონე მამასავით უყვარდა"; ისინი ერთად სხდებოდნენ სადილ-ვახშამზე, ერთად საუბრობდნენ, ერთად სიამოვნებდენ. ყმა მდიდარი არ იყო, მაგრამ სარჩო საკმაოდ ჰქონდა და ისეთი შესაბრალისი გაჭირვება, როგორც ეხლა არის, არ ადგა. რაც გლეხობას შეეფერება, ყველა კარგათ იყო ჩაცმული, ყველას ლეკური ნაბადი ჰქონდა. ყოველ სოფელს თავისი ფეიქარი ჰყვანდა, თავის ქვეშ გასაშლელი ნაბდის მთელავი, თავის შალის მქსოველი დედაკაცი. უცხვროს, უსაქონლოს და ულოროს სოფელს ვერ ნახავდა კაცი.

ეხლა ნახეთ რა გვარის მაღალის გრძნობით იწყებდა გლეხი თვისს სამლვთო-მოქმედებას, თესვას. პირჯვარს დაიწერდა, ღმერთს ახსენებდა და მოაბნევდა რა პურის თესლს მარჯვნივ და მარცხნივ, თითოეულს ხელის გაშლაზე იტყოდა:

ეს ჩვენს სამშობლოს, არამც თუ ესა, ჩვენცა და ჩვენი ცოლ-შვილებიც. ეს ჩვენს ბატონს, ღმერთო პურადობას ნუ მოულევ! ეს სტუმარსა, ღმერთო ლუკმას ნუ მოგვაკლებ, დავხვდეთ გულგაშლითა. ეს მამულის ჯარის კაცებს, ეს დაცემულს, ვისაც საქონელი დახოცია. ეს იმასა, ვისაც მოსავალი არ მოსვლია. ეს უშვილოს ქვრივსა. ეს ქვრივსა, ობლების პატრონს. ეს ღარიბსა მარტოხელსა. ეს ობლებსა უდედ-მამოს. ეს იმასაც, ვისაც შიან. ეს სწორსა. ეს ამხანაგსა. ეს მეგობარსა. ეს ნათესავსა. ეს მეზობელსა. ეს. ამვლელს. ეს ჩამვლელს. ეს ფრინველს. ეს პიტუტყვს. ეს მყეფარსა ძაღლებს. ესეც მე და ჩემის ხიზნისათვის.

სარწმუნოება დიდათ მტკიცედ იყო ხალხში: უდაბნოებში ბერები არ ეტეოდა, ეკკლესიებში მლოცველები. ყოველ შემძლებელ მებატონეს საკუთარი კარის ეკკლესია ჰქონდა, საკუთარი მღვდელი ჰყავდა, რომელიც იმას უწირავდა, ულოცავდა, სადილ-ვახშამზე სუფრას უკურთხევდა და, სხვათა შორის, ვეჭვობ, მდივნობასაც უწევდა.

უდაბნონი და მონასტერნი ნამდვილნი ნავთ-სადგურნი იყვნენ კეთილ მოქმედებისა.

„აქა ინახებიან—ამბობს პლატონ იოსელიანი—ობოლნი და გლახაკნი; აქა იკურნებიან სნეულნი; აქა იკვებებიან მშიერნი; აქა სნეულნი სულითა მიიღებენ სიმრთელესა; აქა მწუხარენი ვითარცა სასნეულოსა, ნუგეშ იცემებიან და ჰპოებენ სიხარულსა და შვებასა, რომელსაცა ხშირად დავნატრით სოფლისა მდიდარნი და ნეტარად საგონებულნი, ბრძოლის ჟამსა სიტყვითა და ჯარითა შველიან ქვეყანასა; სიმშილისა დროსა გვიძღვნიან პურსა და ღვინოსა, საკლავსა და ცხენსა, ურემსა და მეურმეთა“ *).

ამ უდაბნოებში და ეკკლესიებში მიიღებდა ჩვენი ერი სრულს სწავლა-განათლებასა. აქ ასწავლიდნენ წერასა, კითხვასა, გალობასა, ღრამატიკასა, რიტორებასა, ფილოსოფიასა, ღვთის-მეტყველებასა სამღვთოთა წიგნთა, კატეხიზმოსა, ძველთა სამეფოთა ისტორიასა და სხვათა საგანთა. ამ საუკუნის პირველ ხანებში თბილისში ამ გვარი სასწავლებლები იყო: ნავთლის-მცემლის ეკკლესიაში, კალობანში, სიონს, ქვაშვეთს, მეტეხს და ანჩისხატში. მასწავლებლად, რასაკვირველია, სასულიერონი პირნი იყვნენ. რიცხვი მოწაფეთა ამ სასწავლებლებში აღაწევდა 400-დის.

დაგვრჩა მოსაგონებლად იმ დროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოსი. ესეთი „კარგი ოჯახი“, ესეთი მხიარული და უმწიკვლევანო ხალხი, ესეთი გულკეთილი გლეხი, ესეთი მორწმუნე და ქრისტეანე ერი სრულად ბედნიერი იქნებოდა, რომ არ დაეჩაგრა ერთს გარემოებას, სახელდობრ პოლიტიკურ სისუსტეს. კოკამ წყალი ვერ ზიდა სულ-მუდამ, გატყდა ისტორიული სიმძლავრე ქართველთა გაზვიადებულის მტრისაგან. სამოცის ომის მამაცი მეფე ერეკლე, ღრმათ მოხუცებული, და ღრმათ დაღლილი, ვერ წინააღუდგა სპარსთა ძლიერებას; მათ აღიღეს თბილისი და თბილისთან ერთად „დაემხო მთელი ივერია“. შემდეგ საქართველოს იმედი

*) ცხოვრება მეფის გიორგი XIII-ისა გვერდი 51.

ირაკლიც გარდაიცვალა და მისთა შვილთა ურთერთ შორის უთანხმოებამ სულ ერთიანად არივ-დარივა უიმისოთაც აშლილი ქვეყანა. მეფე გიორგის გონიერებამ ვერა გააწყო-რა, რადგანაც მას ვერ აჰყვა მისი ენერგია, და სახელმწიფო მმართველობა დაუახლოვდა ანარხიას. საუკუნე თავდებოდა და მასთან ერთად ჩვენი ისტორიის მეხუთე მოქმედებაც. მოქმედნი პირნი ძალზე უჩქაროდნენ ფარდის ჩამოშვებას და ფარდა დაეშვა საშვალ მეფის ძეთა და დიდებულთა ყურთაგლეჯისა და წელ-მოწყვეტილის ქვეყნის მძიმედ დაშვებისა. ჩინებულად ასწერს ამ არევ-დარევის დროს პლატონ იოსელიანი:

„სიმრავლემან ძეთა და ასულთა მეფისათა—ამბობს იგი—დაბადეს შური და მტრობა ურთიერთისადმი. დაჰყვეს ოჯახები და დაბადეს ურჩება და მედიდურობა სახლისა მწევრთა შორის, სადაცა იყოფოდა მეფის ასული რძლად და ანუ რომლისაგანაც წარიყვანდნენ მეფის ძენი ქალთა სასძლოდ თვისად. თავადნი ესენი, დამოკიდებულნი მოყვარეობითა მეფეთათანა, არღა ემორჩილებოდნენ მეფისა მოხელეთა, რომელნიცა იყვნენ მდივანბეგად, მდიკნად, მოურავად, ცეხნთა მცველათ და სხვად სამეფოისა საქმეთა გაძგედ. დასუსტდა ჰაზრი და მნიშვნელობა პირ-მშოებისა; ეცილოდნენ მემკვიდრეობასა; არა პატივს-ჰსცემდნენ პირველობასა და თვითოეული წევრი სამეფოისა სახლისა ჰგონებდა თავსა თვისსა მეფობისათვის განმზადებულად. ჰსჯული არღა ჰსჯულობდა სამეფოში, სადაცა უფლებდნენ მეფის ძენი და კარის კაცნი მათნი“)*.

ამ გვარი პოლიტიკური მდგომარეობის გამოწყობას ან მეორე მძლავრი მარჯვენა ეჭირვებოდა მეფის ერეკლესი, ან ძმათა მმუსრველი სამოქალაქო ომი და მისი საშინელება. პირველი არსაით სჩნდა და მეორემდის არ მიუშვა განგებულებამ. მეფის ძეთა უთანხმოებამ დააჩქარა ისტორიული მოფენა, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო იმ ანარხიისათვის, რომელიც ადრე თუ გვიან ისტორიულისავე და პოლიტიკურის საჭიროებათა გამო უნდა მომხდარიყო მიუცილებლად. მე ვამბობ საქართველოს შეფერებაზე რუსეთის იმპერიასთან. 18 დეკემბერს

*) ცხოვრება მეფის გიორგი XIII-ის გვერდი 13.

1800-ს იმპერატორმა პავლემ ხელი მოაწერა მანიფესტს, რომელმაც „საუკუნოდ და სამარადისოდ“ გამოსცვალა ბედი ქართლისა. 7 მაისს 1802 წ. პირველმა საქართველოს მთავარ მართებელმა კნორინგმა დააწესა ქალაქში უზენაესი მმართველობა და გამოაცხადა რუსის მმართველობა.

აი მოკლედ რა დროს, რა ოჯახში, რა ხალხში და რა პოლიტიკურ წყობაში დაიბადა გრიგოლ ორბელიანი, რა „ზნეობით ატმოსფერაში“ მოიდგა იმან ფეხი და გაახილა გონების თვალი.

ვინ იტყვის ალ. ორბელიანისგან დახატული სურათი ქართლის ცხოვრებისა სულ ყოვლისფერში სწორი იყოს ნამდვილთან? პირ-იქით, მხატვარს ცოტა მეტი ფერი დაუდვია სურათისათვის, მეტი სხივი დაუკრავს. ეტყობა, დღის სინათლის მაგიერ, იმის ქარხანა მამულის სიყვარულის შარავანდედით ყოფილა განათებული. მაგრამ, მეორეს მხრით, ვინ იტყვის, რომ დედა-ჰაზრი ორბელიანის სიტყვისა ტყული იყოს! ვინ არ დაეთანხმება იმას, რომ ქართველი არ იყოს კეთილი, მშვიდობიანი, გულ-მარტივი, მეგობრის გამტანი, პურ-მარილიანი, უფროსების მორჩილი, გაჭირვებაში მომთმენი, ღვთის მოშიში, მმოსავი. უმთავრესი ნაციონალური თვისება ჩვენის ბერის ხასიათისა, სწორედ რომ კარგადა აქვს იმას შემოხაზული. და რაც უფრო შორს წავალთ ჩვენ ჩვენის ისტორიის სიღრმეში, რაც უფრო გავშორდებით ამ განათლებულ დროს და დავუახლოვდებით ძველად ძველს პატრიარხალურს ჩვენს ცხოვრებას, ეს თვისება უფრო და უფრო წმიდა და შეურყეველი ყრის. ის დრო, როდესაც, როგორც ამბობენ, ულვაშზე ხელის დადება თამასუქის მაგიერობას სწევდა და სიტყვა კონტრაქტზე ძლიერი იყო, არც მოგონილია და არც ისე დაშორებული ჩვენგან. ერთად-ერთი საფუძვლიანი საყვედური, რომელიც ეთქმის ორბელიანის სურათს, არის გლეხის მდგომარეობის უმართებულო აღწერა. შეიძლება ბევრს გლეხს ბევრი მებატონე მართლა „ჰყვარებოდეს მამასავით“, როგორც ამბობს მწერალი, მაგრამ აქედამ იმ დასკვნის გამოყვანა, რომ გლეხი თავის-

მდგომარეობით კმაჰყოფილი იყოს საზოგადოდ, ეს კი ძნელი დასაჯერებელია. ვინ იცის ეგებ... ოდესმე... ოქროს საუკუნეში... მაგრამ მას აქეთ ქვეყანამ რამდენჯერ იცვალა ფერი. გარდა ამისა, რომ მებატონე გლეხის ოფლით სცხოვრობდა, კეთილ-შობილნი რას არ ჩადიოდნენ არა კეთილად-შობილებთან; არბევ-აწიოკებდნენ, სცემდნენ, სტანჯვიდნენ, საპყრობილეში ალპობდნენ, მზითვად ატანდნენ თავიანთ ქალებს, ეკკლესიებს სწირავდნენ, აგირავებდენ, ჰყიდდენ... „გლეხ კაცისა სულის მეტი ყველა მებატონისა იყო," როგორ ბრძანებდა მრისხანედ ვახტანგის კანონი. ამ გვარი „მამის" სიყვარული გულკეთილ ქართველ გლეხკაცისათვისაც შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, ჩვენის აზრით... მაგრამ, ამ ერთს კითხვას გარდა საზოგადო სურათი პოეტის დაბადების დროებისა სწორედ კარგად არის დახატული ალ. ორბელიანისგან და ჩვენ ადვილად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რა კაცები და გარემოება ეხვია გარს ახალ დაბადებულ მისს თანამოგვარეს, რომელსაც გვირგვინი დიდებისა უნდა დაედგა მთელის მისის გვაროვნობისათვის.

IV

ტყუილად არ უთქვამს ფილოსოფოსს: ბავშვის გონება თეთრი დაუწერელი ქაღალდი არისო. რასაც დასწერს ადამიანი იმ თეთრ ქაღალდზე, კაცის გონებაც ის იქნება საბოლოოდ. ათი ათასში ერთხელ თუ როგორმე თვით ქაღალდი იქნება განსხვავებული და ცხებული ღვთის მადლით და აღზრდა შეიქმს ბავშვისგან შესანიშნავსა კაცსა, თორემ უმეტეს ნაწილად, მდაბიო ენით რომ ვთქვათ, ბავშვი იგივე ქვევრია, რომელიც რასაცა ჩასძახებ, იმასავე ამოიძახებს.

ამისთვის იყო განსაკუთრებითი ყურადღება მივაქციეთ ყველა იმ გარემოებას, რომელსაც შეეძლო დაემჩნია თავს კვალი პოეტის ნორჩ გონებაზე. სანამ შვიდი-რვა წლის, სანამ ათი-თორმეტი წლის არ შეიქნება ბავშვი, ე. ი., სანამ იმას

სჯერა თითქმის უცილოდ ყველაფერი, რასაც ეუბნებიან, და გამოხატულება მეტად მმოძრავი აქვს, კაცი სანახევროდ მომზადებულია: ამ ასაკში მიღებული შთაბეჭდილება სამუდამოდ რჩება კაცის ზნეობითი არსებას საფუძველად. შეიძლება ეს შთაბეჭდილება ჟამთა განმავლობისა გამო მიეფაროს კიდეც მეხსიერებისაგან. მაგრამ ჩვენს არსებაში ჩვენი ქცევის ლოლიკაში ის პირველი შთაბეჭდილება უხილავ პირველ საბუთად რჩება, რომლისაგან აწმყო მომდინარეობს, როგორც დასკვნა. რომ ძლიერი სამახსოვრო შთაბეჭდილება მიიღოს ყმაწვილმა, ორისაგან ერთი უნდა: ან დედა ჰყავდეს გონიერი და ხელოვანი მოლაპარაკე, რომელსაც შეეძლოს ფეხი აუდგას მის ფანტაზიას და ამუშავოს—დედა უამბობდა გიოტეს არაკად, სხვათა შორის, იმ საიდუმლო გზებზე, რომელიც ვითომ უნდა მიდიოდეს ერთი ვარსკვლავიდამ მეორე ვარსკვლავამდე, იმ ფერიებზე, რომელნიც სცხოვრებდნენ ზეცათა სივრცეში, ეუბნებოდა ჰაერზე, მიწაზე, ცეცხლზე, რომელთაც გამოხატვიდა სახედ რომლისამე კაცისა ან ქალისა და ბავშვი „დიდის ყურადღებით უსმენდა დედას“, როგორც ამბობს მისი ბიოგრაფი ლიუსი—ან ხალხის სცხოვრებაში იდგეს ისეთი გაჭირვებული დრო, როდესაც ყოველი არსება კაცისა აღძრულია სხვათა და სხვათა გარემოებათა გამო, როგორიც არის, მაგ. ომი, ხალხთა გადასახლება, შიმშილი, ჟამი და სხვაგვარი საშინელება. როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში ბავშვის შეუბღალველი ბუნება—თუ ამასთან ის კარგათაც არის წარმართული—ღრმათ ჩაიჭრის გულში და გონებაში ნათქვამსა და ნანახსა და ფეხ ადგმული ფანტაზია განაგრძობს ფრენასა... სხვა დროსაც და სხვა ჰასაკშიაც.

ამ მხრით გრიგოლ ორბელიანი სიყმაწვილეში ბედმა საუკეთესო პირობაში ჩააყენა.

ალექსანდრე ორბელიანისგან დახატული სურათი ქართველის ოჯახისა და ქართველის ქალისა თითქო საგანგებოდ პოეტის ოჯახისა და დედისაგან არის გადაღებულიო. როგორც ამ სურათში, ზურაბ ორბელიანის სახლიც ისეთი ოჯახი იყო,

რომელშიაც მოურავები, მოსამსახურეები, გამდლები, მოახლეები, მოჯალაბენი, მეჯინებენი, მეჯოგენი ირეოდნენ და ერთგულობდნენ. როგორც ამ სურათში, ზურაბსაც თავისი საკუთარი კარის ეკკლესია ჰქონდა, საკუთარი მღვდელი ჰყვანდა და, მაშასადამე, იყო ნამდვილი ფეოდალური თავადი, რომლის სახლშიაც ახალ დაბადებულ გრიგოლს ბევრი ისეთი ღონისძიება რამ უნდა ჰქონოდა, რაც მრავლისგან უმრავლესს არა აქვს. დედა პოეტისა თვით განხორციელებული სიკეთე და სინაზე იყო. იმას იმდენათ უყვარდა პოეტი—გაგვიგია ძველთა ქალთაგან—და იმ ზომამდის მორწმუნე იყო, რომ როდესაც პატარა გრიგოლს ეძინა, დედა ლოცულობდა მის თავზე და წმიდა აიაზმას უსხურებდა მძინარეს. ყოვლიფრის შნო ჰქონდა ამ დროის ქართველ ოჯახსა, გვითხრა ქეთევან ორბელიანმა, უკანასკნელი გამდელი ბუზს რომ მოუგერებდა მძინარეს, იმის კეკლუცი რხევა კაცის თვალს დაატყვევებდა. ხორეშან იმ ძველ აღთქმის დედა კაცი იყო, რომელზედაც ლაპარაკობს ალექსანდრე ორბელიანი.

„იმ ჩვენს ქველს დედა-კაცებს ჯერ ყმაწვილობაში სამღვრთო წერილს ასწავლიდნენ, კერვა-ხელ-საქმეს და მასუკან საერო წიგნებს ანუ ხელწერილებს აკითხებდნენ; ამასთან კარგს ზნეობას, კარგს თვისებას ასწავლიდნენ; შემდეგ ქცევას, მიმოხვრას, თავის უმანკოების სიწრფელის სიმართლითა, თან ცდილობდნენ ყოველი წმინდა და პატიოსანი ხასიათი ჩაეწვეთათ, თავის მოთმინებით, იმათ ბუნებაში; და ბოლოს, როდესაც დრო მოვიდოდა, გაათხოვებდნენ,—და ეს ხასიათები ქალს განძად და საუნჯედ გაჰყვებოდა თავის ქმრისა და იმის სახლის გასაბედნიერებლად" *).

უეჭველია, ამ კეთილმა დედამ ჩაუნერგა გულში გრიგოლ ორბელიანს მისგან საუკუნოდ განუშორებელი ღვთის შიში, ერთგულება მამულისა, განუზომელი პატივისცემა მშობელთა და ნათესავთა (ამას მისი წერილებიდან შეატყობთ), წესიერებისა და თავდარიგის სიყვარული. იმის გარშემო სუფევდა ისეთი ქცევა, ისეთი მიმოხვრა, ისეთი სიტკბო ლაპარაკისა, თვით

*) ალ. ორბელიანის ნაწერი გვერდი 150—151.

ცხოვრება ისე განზომილად და—თუ შეიძლება ასე ითქვას—თვის-დროულად მიმდინარეობდა, რომ თითქო რაღაც გვარი საზოგადო ტაქტი და რითმა მიეცეს გამჩენს მთელის ოჯახის თვისაო. მომავალ პოეტზედ ამ პირობათ არ შეეძლოთ არ ჰქონოდათ სასარგებლო გავლენა.

მერე რა ესმოდა ბავშვს გარშემო? რას უნდა მოეყვანა გაკვირვებაში მისი ნორჩი გამოხატულება, რას უნდა მოეხდინა მისთვის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც უნდა ჰქონოდა საბოლაო გავლენა მთელს მისს ზნეობრივსა და გონებრივს არსებაზე.

ეს იყო: თბილისის აოხრება აღა-მაჰმადისაგან. მეფე ერეკლეს გარდაცვალება... რუსის ჯარის ჩამობარგება ქალაქში... მეფე გიორგის უდროვოდ სიკვდილი... ბატონიშვილთა ყურთაგლეჯა... მანიფესტი... ოთხი ათასი ეკზემპლიარი კნორინგის განცხადებისა ხალხში გავრცელებული... ლაზარევი დედოფალის ხელით მოკლული... დაჭრილი დედოფალი ტროიკით რუსეთში გაგზავნილი... თაგაურელების მეცადინეობა დედოფლის განთავისუფლებისთვის დარიალის ვიწროებში... დედოფალი მონასტერში ჩამწყვდეული... მაჰმადიანთა პროვინციების შემოერთება... ჭირი ქალაქში გაჩენილი.. სამეგრელოს გაქვეშევრდომება... იმერეთის მეფის გაქცევა... კახეთის ბუნტი და სხ. ყოველს ამაზე ცისმარე დღეს ესმოდა ლაპარაკი ახალგაზდა გრიგოლს. ამას უამბობდა გამდელი, ამაზე მუსაიფობდნენ იმის მამასთან სადილათ მოწვეული სტუმრები და ნაცნობები. ჯერ კიდევ ჯოხს დააჭენებდა იგი, როცა მის თვალ წინ მთელი ჩენი ქვეყნის პირი შეიცვალა. გაჩნდა რუსის სალდათი, რუსის პოლიცია, რუსის ორდენები და ლენტები, ურემმა გზა მისცა ტარანტასსა, ლეჩაქმა—შლიაპას, ქოშებმა—ბათინკებს. თითეული ამ გვარი წინა-მორბედი ახალის ცივილიზაციისა იწვევდა ჩვენს ბუნებითად კონსერვატორთა საზოგადოებაში დიდს ლაპარაკსა და ხშირად გაკიცხვასა. ორბელიანი ამ დროების მოწამე იყო და ყოველი ახალი მოვლენა ქართლის ცხოვრებისა სტოვებდა მის ნორჩ გამოხატულებაში ღრმასა და წარუშლელს შთაბე-

ჭდილებას. სამოც-სამოცდა ათი წლის შემდეგ, მოიგონებდა რა პოეტი ამ ორის ცივილიზაციის ერთად აღრევის დროსა, იტყოდა ნიმუშად დროების აღწერისა:

„მახსოვს, ერთხელ ივანე მალხაზიჩის (ანდრონიკოვის) დედასთან, მარიამთან, შეეედი და ბატონიშვილი დიდათ და დიდათ გაჯავრებული დამხვდა.

— რაო, ბატონიშვილო, რამ გაგაჯავრა ასე, ვინ რა გაწყენია?

— როგორ რამ გამაჯავრა? უი სირცხვილი! შვილო, გაგონილა, ოთარის ცოლსა ქოშები გაუხდია და ბაშმაკები ჩაუცვამს.

— მერე, ბატონო, რაო რომ ბაშმაკები ჩაუცვამს.

— ისა, შვილო, რომ დღეს რომ ბაშმაკები გაიხადა, ხვალ სხვასაც გაიხდის“.

ამ გვარი სხარტული გაცვლა ქოშებისა ბაშმაკებზე, ერთის ცივილიზაციისა მეორეზე, ამ გვარი საჩივარი, „ძველის რჯულის და მეგობრების“ მომხრეთა ახალს ზნეობაზე, სულ ეს ნგრევა-ტეხა ძველის პოლიტიკურის წყობისა და ახალის რეჟიმის დამყარება ამ ნანგრევებზე—აი რა შეადგენდა პოეტის პირველ შთაბეჭდილებას, რას უნდა მოეფინა შემდეგი მისი სულის სიღრმე ცოტ-ცოტად და შეუნიშნავად მუნ ჩაძირულის ისტორიულის მოგონებითა ..

წერა-კითხვა ორბელიანმა ანჩისხატის დეკანოზისგან ისწავლა. ეს დეკანოზი, გვარად ალექსეევი-მესხიევი, დიდი მწიგნობარი იყო და იმ ზომამდის მშვენიერი, რომ ერთმა მხატვარმა მისი სახე რომელღაც ეკკლესიის გუმბათზე საბაოთად დასახა, როგორც გაგვიგონია თვით პოეტისაგან. ამისგან წერა-კითხვა ქართული რომ ისწავლა, გრიგოლი იმისმა მშობლებმა მიაბარეს ახალს მთავრობისგან გამართულს კეთილ-შობილთა სასწავლებელში. აქ ქართული ენის მასწავლებლად შეხვდა იმას მღვდელი ხელაშვილი, ჩვენი ენის ზედ-მიწევნით მცოდნე. ჩინებული კაცი იყო, მოიგონებდა პოეტი თვისს მასწავლებელს: როდესაც სწავლა გავათავეთ და აფიცრები ვიყავით,

ერთხელ მე და ჩემ ამხანაგებს მთავარ-მართებელის სახლის გვერდით შემოგვხვდა ეს მღვდელი, ძლიერ ისიამოვნა ჩვენი ნახვა, გამოგვკითხა სად ვიყავით, რა სამსახურში შევედით, ჯამაგირი რა გვქონდა და როდესაც მუსაიფი გავათავეთ, გვითხრა: აბა, ახლა მშვიდობით! მე ასე უნდა წავიდე და თქვენ თქვენს გზაზე გაისეირნ-ქალწულ-ჰაერეთ! —

რუსულ ენას ჯერ კიდევ ხელით-ნაწერ რვეულებიდან სწავლობდნენ ამ დროს. ამ რვეულის თავზე პირველი რუსული სიტყვა, ქართულად თარგმნილი, იყო რუსული თანდებული — თვით ბავშვებმაც ამ რვეულს ეს სახელი დაარქვეს. „თუ კლასში დავაკლდებოდით ვინმე, — იტყოდა პოეტი, მეორე დღეს სასწავლებელში რომ მივიდოდით, მაშინვე ვეკითხებოდით ამხანაგებს: „აბა ერთი შენი ოთვისი მათხოვე, გუშინდელი უროკი“ გადმოვიწეროო“. სასწავლებლის უფროსი ბუვრინსკი კარგი კაცი თურმე იყო, თუმცა გულფიცხი. როდესაც ჩვენ იმას გავაჯავრებდით, დამტვრეულის ქართულით გვეტყოდაო: შეკაარცხვინოს ღმერთმა და კვალად შეკაარცხვინოს!

როდესაც ქალაქში გაიხსნა არტილლერიის შკოლა, გრიგოლ გამოიყვანეს ამ სასწავლებლიდან და არტილლერიის შკოლაში მისცეს...

პოეტის ბიბლიოთეკაში ინახება ერთი წიგნი „Начальныя основанія сельского домоводства, В. Кукольника“, რომელზედაც წარწერილი გვაჩვენებს, თუ როგორ სწავლობდა ორბელიანი ამ სასწავლებელში. ამ წიგნში სწერია:

Сія книга, по случаю публичнаго испытанья, бывшаго въ 1817 году 3-го іюня, пожалована за прилежаніе и успѣха ученику князю Григорію Орбельянову и во время публичнаго испытанія вручена за подписаніе правящаго должность Грузинскаго гражданскаго губернатора на правахъ и военнаго 19 ноября 1818 года Генераль маіоръ *Ховенъ*.

რამდენიმე ამ დროული მოგონებაც პოეტის ცხოვრებაზე. გრიგოლ სიყმაწვილეში ერთობ პატარა ტანისა იყო, ასე რომ შინაურობაში იმას „კურკას“ ეძახდნენ. თოთხმეტის წლისა

რომ შეიქნა, დიმიტრი ორბელიანმა დანიშნა იგი თავის ძმის ყაფლანის ქალზე—სოფიოზე,—რომელიც მაშინ სამის წლისა იყო, მაგრამ ეს ქორწილი არ მოხდა, რადგანაც როდესაც გრიგოლ რუსეთში იყო, სოფიო მიათხოვეს ერთს რუსის ჩინოვნიკს, ბეზაკს.

ამ დროების შესახებ არა ერთ-გზის უთქვამს ჩვენთვის პოეტს: ჩემს სიყმაწვილეში თავ-ეკკლესიაც ქალაქში ანჩისხატის ეკკლესია იყო. იქ იყო ერთი მთავარი, სახელად დავით, რომელმაც მშვენიერად იცოდა სახარების კითხვა. როდესაც შევიტყობდით, რომ ის იქნებოდა მწირველი, ავიყრებოდით აქედან ქალი და კაცი და ანჩისხატში წავიდოდით, თუმცაღა მაშინ ეკკლესია დიდათ გვეშორებოდა. უმეტეს ნაწილად წირვა-ლოცვას მამა ჩემი ამ სახლიდან ისმენდა ამ ჩვენს კარის ეკკლესიაში. მამამ კარგათ იცოდა საღმთო წერილი: თუ მღვდელს რამე შეცდომა მოუვიდოდა, აქედან გაუსწორებდა: ასე არ არის, მღვდელო, რა ღმერთი გაგიწყრა, რით ვერ ისწავლე აქამდის, დაუძახებდა. სამღთო წერილის ცოდნა ძლიერ იყო გავრცელებული საზოგადოებაში, მეტადრე ქალებში. ქართულის ცოდნა ხომ იყო და იყო. სომხებმაც ჩინებულად იცოდნენ ჩვენი ენა, განსაკუთრებით ბებუთაანთ, საკუთარი სამშობლო ენა იმდენად არ ემარჯვებოდათ, როგორც ჩვენი. ერთხელ სტამბოლიდან იყო არ ვიცი, თუ ეჩმიაძინიდან, გორს მოვიდა სომხის მქადაგებელი ეპისკოპოსი და წირვის შემდეგ ქადაქება სთქვა. წირვაში მყოფთა სომეხთ იმისი ქადაგება ვერ გაიგეს და ადგილის მღვდელმა იქვე სიტყვა-სიტყვით უთარგმნა ქართულად. ქართული მწიგნობრობა ყოველს ოჯახში იყო გავრცელებული. მწერალთა შორის მე მახსოვს: პეტრე ლარაძე, გიორგი თუმანიშვილი, „მრავალ-ყვავილოვანი“-ს დამწერი, ეგნატე იოსელიანი და სხ. იოანე ბატონიშვილი „კალმასობის“ ავტორი, თეიმურაზ ბატონიშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩემი დროის კაცნი იყვნენ. ალ. ჭავჭავაძეს მე ერთ დროს ადიუტანტადაც ვახლდი.

სხვა ამბებს, ჩვენ მიერ პოეტისგან გაგონილს, ჩვენ დავურთავთ თავ-თავის ადგილზე. ეხლა კი უნდა ვნახოთ, როგორი იყო მისი მსახურების დასაწყისი და პირველად ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა.

V

კეთილ-შობილთა სასწავლებელი ჯერ არ დაესრულებინა გრიგოლ ორბელიანს, რომ ქალაქში გაიხსნა არტილლერიის სასწავლებელი. გახსნისათანავე გრიგოლ გადვიდა ამ სასწავლებელში, რადგანაც საკუთარი მისი სურვილიც სამხედრო დიდებისკენ მიისწრაფებოდა და დიდ-მამასაც ეს უნდოდა.

ჩვიდმეტი წლისა ის შევიდა იუნკრად 21-ს არტილლერიის ბრიგადაში; ოცდა ერთის წლისა ის განწესდა პორტუპეი-უნკრად საქართველოს გრენადერის პოლკში; ოცდა ორის წლისას იმას მისცეს პრაპორშჩიკობა და ამ წელში მიიღო იმან პირველად „ცეცხლით ნათლის ღება“ მტრისაგან, ე. ი. ომში მონაწილეობა.

აი რა საქმეში და ბრძოლაში ერია გრიგოლ ორბელიანი თავის მსახურების პირველ წლებში:

1822-ს ის იყო მონაწილე გენერალ-ლეიტენანტის თავადის ერთისთავის რაზმისა, როდესაც ამან დაამარცხა და ციხე წაართვა ჭარის ლეკებს.

1826-ს, სპარსეთის ომის დროს (1826—1828) იგი იბრძოდა გრაფ სიმონიჩთან, როდესაც ამას შეება სპარსეთის კავალერიის პარტია; თავად მადათოვთან, როდესაც ამან დაამარცხა სპარსელები შამხორს ახლო; პასკევიჩთან, როდესაც ამან გაიმარჯვა სპარსელებზე განჯაში; ხელ-ახლა თავად მადათოვთან, როდესაც ეს წავიდა ექსპედიციით არაქსს გაღმა.

1827-ს წელს: გრაფ ბეკენდორფთან, როდესაც ამან დაამარცხა სპარსეთის ცხენოსანი ჯარი ეჩმიაძინის მონასტრის ახლო და სძლია ქურთის ჯარს და მის მოთავეს, გასან-ხანს. ამ წელს აიღო რუსის ჯარმა ორბელიანის მონაწილეობით: ირაკლი-

თაფა, აბას-აბადი, სარდარ-აბადი და თვით ერევანი, რომლის დაპყრობამ მისცა პოეტს აზრი „სადღეგრძელოს“ დაწერისა; ამ წელს სძლია რუსმა სპარსეთის პრინცის აბაზ-მირზას ჯარს და ამ ბრძოლაში მონაწილეობისათვის ორბელიანს მოუვიდა უმაღლესი მადლობა.

1828-ს ასტყდა ოსმალოს ომი (1828—1829) და ორბელიანი, პორუჩიკი, იბრძოდა პასკევიჩის ხელ-ქვეით, როდესაც ამან „ხმლის ტრიალით“, „ძლევის ყიჟინით“, „ხელს ბაირაღით“ „ძირს დასცა ყარსი“. ყარსის აღების შემდეგ ორბელიანი გამოჰყვა მურავიევის ჯარს, რომელმაც აიღო ახალ-ქალაქი, ხერთვისი, ახალ-ციხე. რაც შეეხებოდა იმის მცირე თანამდებობას, პოეტმა ყველა ამ საქმეებში იჩინა თავი და მთავრობამაც განასხვავა იგი.

1829-ს ორბელიანი კახეთში გაგზავნეს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან. ეს უკანასკნელი ამ დროს კახეთის სამხედრო საზღვრების უფროსად იყო და ორბელიანი საგანგებო მინდობილების კაცად უნდა ხლებოდა იმას...

1830-ს გრიგოლ გაჰყვა პასკევიჩის ექსპედიციას, რომელსაც უნდა დაეპყრა და შემოეერთებინა რუსეთისთვის ჭარ-ბელაქანის ლეკები. ამავე წელში ის იღებდა მონაწილეობას სტრეკალოვის ჯარში, რომელმაც ზაქათალა აიღო.

1831-ს კავკასიის აქეთა-მხრების მთავარ-სარდალის პანკრატიევის ბრძანებით, ორბელიანი გაიგზავნა პეტერბურგს, საცა წაასხა იმან კავკასიის კორპუსიდან დარჩეული სალდათები „საგანგებო ქვეითი ჯარის პოლკისთვის“.

ამას აქეთ მთელი შვიდი წელიწადი გრიგოლ ორბელიანი რუსეთში მსახურებდა. იქ გაიცნო იმან ზედ-მიწევნით რუსული ენა და მწერლობა, სთარგმნა ქართულად რამდენიმე ლექსი და იგავ-არაკები ჟუკოვსკისა, პუშკინისა, რილეევისა, კრილოვისა; აქ გაიცნო იმან დაახლოვებით ცოცხალი ნაშთი ჩვენის წარსულის ისტორიისა: საქართველოს დედოფალი, დედოფალი, იმერეთისა, სამეგრელოს მთავრის მეუღლე, ბატონიშვილები, წარჩინებულნი და თავადნი, რომელნიც მათთან იყვნენ გადა-

სიხლეებულნი რუსეთს... სიამოვნებით მოიგონებდა პოეტი მოხუცებულობაში იმათთან გატარებულ დროებას. ბატონიშვილებს უქებდა ცოდნას და მამულის სიყვარულს და ახირებული ხასიათის კაცად გამოსახვიდა, როგორც ბაგრატიონთა.

ბატონიშვილ თეიმურაზთან რომ შევიდოდა კაცი— გვითხრა ერთხელ პოეტმა—ის ჯერ თავაზიანად დაუწყებდა სტუმარს ლაპარაკს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უეცრად, თითქო დაიღალაო, გაჩუმდებოდა, დაფიქრდებოდა და ოცნებისაგან გატაცებული დადგებოდა, ან დაჯდებოდა ერთს ადგილზე დიდ ხანს, უძრავად, უენოდ. ამ მდგომარეობიდამ რომ გამოფხიზლდებოდა, ჩვეულებათ ჰქონდა წამოეძახნა: მერე? და ნაცნობ-მეგობრებიც გასცემდენ იმ გვარ პასუხს, რა გვარსაც მოიმარჯვებდენ. ერთხელ, ამ გვარი დაკარგულის ფიქრის შემდეგ, მეც მკითხა ჩვეულებრივი: მერე, მერე, ჩემო გრგოლ? მეც მოვახსენე ხმა-მაღლა: მერე, ბატონო, წავასხით ყარაიაში წევარ-მეძებრები, დავედევნეთ ჯეირანს და მანამ ვსდიეთ, სანამ... ამაზე იმანაც სიამოვნებით: ოჰო! ჰო! ჰო! ჩემო გრიგოლ, ჩემო გრიგოლ! მაგრე, მაგრე!

მიხეილ ბატონიშვილი თეიმურაზზე უფრო ახირებული კაცი იყო. მისი ოთახის კედლები სულ ხატებით იყო მოფენილი იატაკიდამ ჭერამდის. წირვა-ლოცვიდამ რომ დაბრუნდებოდა, მოჰყვებოდა ამ ხატების მთხვევას და რომელ ხატსაც ვერ შესწვდებოდა, მიუშვერდა თითს, ან ჯოხს და ეტყოდა: შენც თაყვანს-გცემ, შენც, შენც, შენც და ამ გვარად დაუვლიდა ყველას, არც ერთს გულს არ დააკლებდა. ერთხელ მე და სამეგრელოს დედოფალი შევედით იმასთან. ბატონიშვილს მის სასადილო ოთახში გარშემოუსხამს სტოლზე თორმეტი რუსის მუჟიკი, ვითომ თორმეტი მოციქული, და იმათთან ერთად შეექცევა სერობას. ამ ახირებულს ექიმებისა არა სწამდა რა. ერთხელ წაიქცა და ფეხი იღძო. ვერასფრით ვერ დავაჯერეთ, რომ ექიმი დაებარებინა და ეწამლნა. თუ მოვრჩები, ხომ კარგი, თუ არა და კარეტით ვივლიო და ამ გვარად ფეხი მართლა გაიფუჭა და შემდეგში ჯოხით დადიოდაო.

ნოემბრის თვეში, 1831-ს, გრიგოლ ორბელიანი მივიდა ნოვგოროდს, საცა ჰქონდა ბანაკი საგანგებო პოლკს, და თვის ტომისგან მოშორებული, ღარიბ-ღატაკი პრაპორშჩიკი გაერთო თავის მძიმე სამსახურს... უდარდელად, უზრუნველად ლხინის მოყვარე, დაუდევნელ ჭაბუკ აფიცერთა ამხანაგობაში, პოეტი ვერც კი ამცნევდა, რა მალე მიდიოდა დრო-ჟამი, როდესაც 1833-ს „უცებ გრიგალმა უბედობისამ“ დაჰქროლა მისს სიცოცხლეს, „ძლივს გაშლილს სასიხარულოდ“. პოეტს დასწამეს პოლიტიკური ორგულობა და დაიჭირეს. ის ჯერ პეტერბურგს წაიყვანეს ნოვგოროდიდამ და იქიდამ გამოგზავნეს ქალაქს, საცა უნდა გა-ჩეულიყო საქმე სხვათა პოლიტიკურთა დამნაშავეთა, ორგულობის მონაწილეთა. მე დაწვრილებით ავწერე ამ შეთქმულობის ამბავი თ. გიორგი ერისთავის ცხოვრების-აღწერაში (რომელთანაც ვგზავნი ამ ამბის შეტყობის მსურველთა) და აქ მოვიგონებ მხოლოდ იმას, რაც გამიგონია თვით პოეტისგან. აქ კი გაკვრით მოვიხსენიებ რაშიაც მდგომარეობდა ეს პოლიტიკური საქმე, რომლის გამო ჩვენი პოეტი რამდენიმე ხნით სამსახურს იქნა მოცდენილი და თავისუფლებას მოკლებული.

1829 წელს თბილისში დაარსდა ფარული საზოგადოება, რომელსაც უნდოდა გაენთავისუფლებინა ჩვენი ქვეყანა რუსეთის დამოკიდებულებიდამ. ამ საზოგადოების მოთავენი იყვნენ: ბატონიშვილები: ოქროპირ და დიმიტრი და თავადნი: ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ია ფალავანდოვი, გიორგი ერისთავი, მამუკა ორბელიანი და სხვანი მრავალნი. შეთქმულობის უმთავრესთა მონაწილეთაგანნი იყვნენ ეგრეთვე ქართულ გაზეთის რედაქტორი სოლომონ დოდაევი, მასწავლებელი სოლომონ რაზმაძე და ბერი ფილადელფოსი, გვარად კიკნაძე. 1830 წელს, როცა პოლშაში არეულობა მოხდა, ამ საზოგადოებამ უფრო დიდის გულს-მოდგინებით მოჰკიდა ხელი თავის საქმეს. შეთქმის მოთავეთ გადასწყვიტეს არეულობა მოეხდინათ 1832 წლის დამლევს, როცა თავად-აზნაურების კრება იყო დანიშნული ქალაქში. ამ დროისთვის თითოეულს

ამათგანს უნდა ეშოვა საკმაოდ დაიარაღებული ხალხი და მისთვის მიჩენილი საქმე აესრულებინა. დანიშნულს საათს უნდა დასცემოდნენ ხაზინას, არსენალს, მაღაზიებს, უნდა გაევრცელებინათ ხმა დაბალ ხალხში, რომ ქართველების სალდათათ გაყვანას აპირებენ რუსები და მოემზროთ დაბალ ხალხს გარდა თბილისში მყოფი პოლიაკებიც. არეულობა უნდა დაწყობილიყო ბალში, რომელიც უნდა გაემართა თავად-აზნაურობას და რომელზედაც უნდა მოეწვიათ ყველა თბილისში მყოფი მართებლობის უმაღლესნი წევრნი რუსთაგან. ყველა ესენი და ამათი მომხრე ქართველები უნდა დაეხოცათ ამ ბალში. მერე უნდა შეექნათ ქალაქში ზარების რეკა, გამოესვენებინათ ეკკლესიიდან ხატები, დაეფიცებინათ ხალხი. და ამ სახით მოეხდინათ არეულობა საქართველოს განთავისუფლებისათვის. მაგრამ შეთქმულთ გაუცუდდათ თავიანთი განზრახვა. ერთმა მოთავეთაგანმა, ია ფალავანდოვმა, 6 დეკემბერს, ყოველივე ამ საქმის გარემოება მოახსენა მთავრობას და შეთქმის მონაწილენი დაჭერილნი იქმნენ.

გრიგოლ ორბელიანი ერთობ დაახლოვებული იყო შეთქმულებთან, როგორც ნათესავი და ნაცნობი, რომ მთავრობას ეჭვი არ აეღო იმაზე. გამოძიებიდამაც აღმოჩნდა, რომ იმას შორი-ახლო დამოკიდებულებაც ჰქონია შეთქმულებთან და, როზენის მიწერილობის საფუძველით ის დაიჭირეს.

ერთხელ პოეტმა ლაპარაკი ჩამოაგდო ამ საგანზე და გვიამბო შემდეგი: „იმ დროებით მე ლაგერში ვიყავი, ნოვგოროდს ახლო და აფიცრები მყავდა დაპატიჟებული სადილად. სადილის წინ ქალაქში წავედი ღვინოების საყიდლათ და დაბრუნებულზე, სანამ სუფრა გაიშლებოდა, ამხანაგებმა ქალალდის თამაში გავმართეთ. ამ დროს უეცრივ ჟანდარმის პოლკოვნიკი შემოვიდა ჩემთან.

— დიდათ მოხარული ვარ, ბატონო, თქვენის გაცნობისა. რა გნებავსთ ჩემგან?

— მე ბრძანება მივიღე მთავრობისა სახლი გაგიჩხრიკო და შევიტყო, რა წიგნები გაქვს,—მიპასუხა განზე გახმობით ჟანდარმმა.

— ჩემი ბიბლიოტეკა ისე ღარიბია, რომ დიდხანს არ დაგჭირდებათ შრომის გაწევა. ინებეთ, ბატონო, აი ჩემი წიგნები,—ვუპასუხე მე.

რასაკვირველია, მე წიგნები არა მქონდა-რა, მართებლობის საწინააღმდეგო. მაგრამ ჟანდარმმა, რაც მქონდა, სულ ყველაფერი ჩამომართვა, სხვათა შორის, ჩემი დღიურიც. ამის შემდეგ ერთი კვირა რომ გავიდა, დამიბარეს პეტერბურგს. არლოვმა (გენერალ-ადიუტანტი არლოვი იყო ხელმწიფისგან დანიშნული პეტერბურგში მყოფთ ქართველ შეთქმულთა ჩვენების ჩამოსახდელად) მკითხა საქმის გარემოება.

— თავადო ორბელიანო, ელიზბარ ერისთავს იცნობთ?

— ვიცნობ.

— ალექსანდრე ორბელიანს? გიორგი ერისთავს?

— ვიცნობ.

— ბატონიშვილებს: ოქრიპირს, დიმიტრის?

ვიცნობ.

— საიდან იცნობ ყველა ამათ?

— ყველა ჩემი ნათესავებია და ამხანაგები.

— რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“ თქვენ სთარგმნეთ ქართულად!

— დიახ, მე.

— „იარალი“ თქვენ დასწერეთ?

— მე.

— რა გინდოდათ გამოგეხატათ ამ ლექსით?

— ის, რაც არის გამოხატული შიგ: ქართული შექცევა და ლხინი.

— გვითხარით, თუ იცით, რა მოიწერა საქართველოში ეგვიპტის ფაშამ.

— არ ვიცი და ვერც მივმხვდარვარ, ვისთან რა უნდა მოეწერა ეგვიპტის ფაშას. და სხ. ამ გვარები.

ერთი კვირა გამაჩერეს ამის გამო პეტერბურგს და შემდეგ ქალაქს გამომგზავნეს, საცა რამდენიმე თვე ყაზარ-ებში ვიყავი დამწყვდეული. ჩემ გვერდით ნომრებში ისხდნენ ალექსანდრე ორბელიანი, სვიმონ მაჩაბელი, გიორგი ერისთავი. ჩემზე საცოდავი და საბრალო არა იყო-რა დედამიწაზე. მამულში ვიყავი მოსული და ნაცნობ-მეგობრებთა შორის მხიარულების ნაცვლად საპატიმროს კედლების ხილვა მაწვა გულზე ტყვიასავით. ერთხელ მარტო მოეფინა სიამოვნება ამ გულს: ერთ კვირა დღეს, საღამოს პირზე, ჩვენ ყაზარმას დაუპირდაპირდა ზურნა-დალაბანდი მოქეიფე ბიჭებით, ღვინითა და სიმღერით. მოქეიფენი შეჩერდნენ ჩვენ ფანჯრის პირდაპირ და სიმღერით დაგვიწყეს ნუგეში: „ნუ გეშინიანთ, ბიჭებო, მოთმინება იქონიეთ, ღმერთი მოწყალეა“. ერთ ხანს გვალხენდნენ და გვანუგეშებდნენ ესენი, მაგრამ მალე ყაზარმის მთავრობამ გარეკა ისინი მანდედამ. ვინ იყვნენ ისინი, დღესაც არ ვიცი.“

1833 წლის ოქტომბერში საქმის წარმოება გათავდა. გამოძიებამ აღმოაჩინა რომ, გრ. ორბელიანს ძლიერ მცირე მონაწილეობა მიეღო შეთქმულთა განზრახვის განხორციელებაში. ამისგამო, როდესაც ბარონ როზენმა სამხედრო მინისტრის საშუალებით ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინა შეთქმულთა დანაშაულის აღწერილობა და სასჯელის პროექტი, გრ. ორბელიანი ჩარიცხულ იქმნა მეშვიდე წყობის დამნაშავეებთან (სულ იყო ათი წყობა), იმ დამნაშავეებთან, რომელთ შორის იყო თ. ალექსანდრე ჭავჭავაძეც. მთავარ-მართებელმა გრიგოლ ორბელიანი გაათავისუფლა საპყრობილედამ, როგორც მცირე დამნაშავის მექონი, და გაგზავნა სამსახურებლად კავკასიის ლინიაზე. ის სწერდა თავისს მოხსენებაში: „პორუჩიკი თავადი გრ. ორბელიანი, რომელმაც სთარგმნა ქართულს ენაზე „ნალივაიკოს აღსარება“, თხზულება რილეევისა, გავგზავნე მე კავკასიის ლინიაზე და სასარგებლოდ ვრაცხ, რომ იგი განწესებულ იქნას

შიდა რუსეთის რომელსამე პოლკში იმ პირობით, რომ რამდენიმე წელი აღეკრძალოს საქართველოში დაბრუნება“. ხელმწიფე იმპერატორმა როზენის მოხსენება დაამტკიცა და პოეტი ლინიიდან გაიგზავნა ნევის საზღვავო პოლკში, რომელსაც ვილნოს გუბერნიაში ჰქონდა სადგური.

ი. მეუნარგია

(შემდეგი იქნება)

უცხოეთის ფვრილმანი

კორეის საქმეები.

დღევანდელი დღე მთელის ქვეყნიერობისათვის საინტერესო გამხდარა. მთელი „განათლებული“, თუ „ვაუნათლებელი“ კაცობრიობა, „ევროპა“, თუ „აზია“ მარტო ერთს საქმეს ადევნებს თვალ-ყურს—რუსეთისა და იაპონიის შორის ამტყდარ ომს. როგორც ყოველთვის, დიდის მომენტების დროს მთელი ქვეყნიერობა აღელვებულია, ყველას ნერვები აქვს აშლილი. მთელი კაცობრიობა ორ ბანაკად გაიყო: ეგრედ წოდებული ინგლის-საქსთა ერები ცხადლივ იაპონიას ექომაგებიან; დანარჩენნი კი ვითომ „ნეიტრალობენ“, ნამდვილად კი იძიებენ დროსა მარჯვესა, რათა პირადი, წუთიერი „ვითომ და საერო“ ინტერესები დააკმაყოფილონ.

ეჭვი არაა, ეს ომი მეტად დიდი მოვლენაა; მეტად დიდ მნიშვნელოვანი ფაქტია. ყველასა სწამს, რომ მის შედეგზედაა დამოკიდებული ცივილიზაციისა და კაცობრიობის წინსვლის ახლო მომავალი.

იაპონია „აზიელად“ ე. ი. ველურად აღიარებულია ზოგთაგან, თუმცა „აზიელს“ გვერდში უდგია მთელის ევროპის ცივილიზაციის უფალი ინგლისი, ხოლო რუსეთი კი „ევროპის“ ცივილიზაციის წარმომადგენელად არის მიჩნეული. ამისთანა მცირე რამეშიაც სჩანს დღევანდელის საზოგადოების ნერვების აშლა: სასაცილოა, რასაკვირველია, ევროპიელი ვისმე

„აზიელობას“ უკიჟინებდეს, რადგან კარგად ვიცით, რომ ევროპის ხალხი და ცივილიზაცია აზიის ხალხის და ცივილიზაციის ღვიძლი შვილია და კიდევ უფრო სასაცილოა, რუსეთი „აზიელების“ მოპირდაპირედ იქმნეს აღიარებული, იმიტომ რომ ესევე ევროპიელები სხვა დროს რუსებს „აზიელებად“ იხსენიებენ და თვით რუსეთის მწერლობა და ისტორია აღიარებს, რომ რუსი ნახევარზედ მეტად „აზიელია“ (მონგოლის სისხლის.) ასეთია-მეთქი ნიჭუში დღევანდელის აზრის არა ნორმალურის მიმდინარეობისა.

მეტად ძნელია იმისი გადაჭრით თქმა, თუ რამ გამოიწვია ესა თუ ის ომი. ომის გამომწვევი მიზეზი მარტივი როდია, რთულია და მრავალ მხრივი და ვინც ერთს, განკერძოებულ მიზეზს დაასახელებს ამ დიადის მოვლენის მიზეზად, შემცდარი იქმნება.

ამ შემთხვევაშიაც ბავშვობა იქმნებოდა იმისი თქმა, ომი იაპონიამ გამოიწვიაო. თითქმის უძლეველმა გარემოებამ, საქმის ვითარებამ, მოვლენათა შეუჩერებელმა და ულმობელმა მსვლელობამ აუცილებლად გაჰხადა რუსეთისა და იაპონიის შეტაკება.

ამ შეტაკების განვითარების მშვენიერ დამახასიათებლად კორეის ამბებია და ამ ორ სახელმწიფოთა დამოკიდებულება კორეის სახელმწიფოსთან.

ამ საგნის შესახებ მშვენიერი წერილია დასტამბული ფრანგულ ჟურნალ Revue de Paris ამ წლის 15 იანვრის ნომერში. ეს წერილი ეკუთვნის ჟურნალის უცხოეთის მიმომხილველ ვიქტორ ბერარს,*) დაწერილია ომის დაწყებამდე და მაშასადამე, ყოველივე გარემოება ხელს უწყობდა ავტორს მიუდგომლად და საფუძვლიანად განეხილა საგანი. ამ წერილიდან ამოვ-

---

*) ამავე მწერალს ეკუთვნის მრავალი წერილები აღმოსავლეთის საგნის შესახებ: „სულთანის პოლიტიკა,“ „მაკედონია“, „კრიტოსის საქმეები, „ინგლისისა და იაპონიის კავშირი“, „ინგლისი და მშვიდობა“ და სხვ.

კრებთ ჩვენის მკითხველთათვის უფრო საინტერესო ადგილებს.

1894 წლამდის—იმ წლამდის, როდესაც ასტყდა ჩინეთსა და იაპონიას შორის ომი—კორეა ჩინეთის თითქმის პროვინცია იყო, კორეის მმართველობა, სარწმუნოება, განათლება, ჩინეთის სრულის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მართალია კორეიას თავისი მეფე ჰყავდა და ავტონომიაცა ჰქონდა, მაგრამ ყოველ წელიწადს ხარკს აძლევდა ჩინეთს და ყოველივე წელიწადს თაყვანისცემასა და უქვეშევრდომილესს ერთგულებას უცხადებდა ჩინეთის ბრძანებელთ. ჩინეთის მეფეებიც ნაცვლად ერთგულებისა კორეის გამგეთ მეფის სახელწოდებას უწყალობებდნენ ხოლმე და სამეფო ინვესტიტურასაც ისინი აძლევდნენ.

1890-შიაც კი კორეის მეფე ლი-ჰსი ოფიციალურს ქაღალდებში ასე სწერდა: „ვმეფობთ რა უხსოვარის დროიდან ძალითა და წყალობითა პეკინის იმპერატორთა“. ეკონომიურადაც კორეა ჩინეთთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო. იაპონიაც აცხადებდა ხოლმე თავისს უფლებებს კორეიის შესახებ. 1867 წლის რევოლიუციამდე ძველი იაპონია ისტორიულ უფლებებზედ უთითებდა, ხოლო 1867 წლ. რევოლიუციის შემდეგ ფეოდალური იაპონია დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდიქმნა და მიკადოს პოლიტიკასაც კორეას შესახებ საფუძვლად დაედვა ერის ეკონომიური მოსაზრება, ხალხის არსებითი საჭიროება.

ისტორიული უფლებები იაპონიისა კორეის შესახებ იწყება მე-III-ე საუკუნეში ქრ. დაბადებამდე. მხოლოდ XIV საუკუნეში ქრ. შემ. ჩინეთის გავლენამ სძლია კორეია. XVII-ე საუკუნეში კი ჩინეთი შეიქმნა სრული ბატონი კორეისა, თუმც იაპონიას 1830 წლამდისაც კი შერჩა ფაქტიური უფლება კორეის შესახებ.

ახალმა იაპონიამ სასოებით გაიხსენა თავისი ძველი ისტორიული უფლებები. თანაც სრულიად ახალი გარემოება დაი-

ბადა, რომელმაც იაპონიის პოლიტიკას კორეის შესახებ სხვა გზა მისცა: ჯერ ერთი, განახლებულ იაპონიის სახელმწიფო კაცებმა აზრად დაიდვეს კორეიაში ცივილიზაციის ლამპრის შეტანა; წმინდა მოვალეობად დაისახეს კორეიაში დემოკრატიულის რეფორმების მოხდენა. ესეც რომ არ ყოფილიყო, მეორე ახალ გარემოებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ იაპონიას ძლიერი ეკონომიური ინტერესი ამოქმედებდა, ის კი არ უნდა დავიიწყოთ, რომ ეს ინტერესები სრულიად წესიერი და კანონიერი იყო და სრულიად პატიოსანი და სინიდისიერი იყო ამგვარი მისწრაფება. თუ კი ყოველს ერსა აქვს უფლება იზრუნოს თავისის ცხოვრებისა და წარმატებისათვის იმგვარად, რომ სხვა ერის ცხოვრებასა და წარმატებას არა ავნოს-რა და თუ კი ეს პრინციპი ქვა-კუთხედია დღევანდელის საერთაშორისო უფლებისა, ამბობს ავტორი, მაშასადამე, იაპონიის განზრახვასა და მისწრაფებას კორეიაში სრულიად სამართლიანი საფუძველი აქვსო.

კორეა თითქმის უდაბნოა, ყოველს შემთხვევაში მცირედ დასახლებულია. დაახლოებით კორეაში ათ მილიონ მცხოვრებზე მეტი არ უნდა უყოს, სივრცე კი 220,000 ოთხკუთხედი კილომეტრი აქვს (თითქმის ერთი ვერსი) ე. ი. თითო ოთხკუთხედ კილომეტრს 50 მცხოვრები ძლივს მოსდის, ამგვარი განაწილება კი მცხოვრებისა საცხოვრებელ ადგილზედ ევროპისათვის ძალიან მცირედ ითვლება.

იაპონიას ორი ამდენი სივრცე არც კი აქვს (382,000 ოთხ კუთხედი კილომეტრი (ე. ი. ხუთი მეექვსედი საფრანგეთისა) და ოთხი იმდენი და, კიდევ მეტი, ხალხი სცხოვრობს: 45 მილიონი მცხოვრები. ხოლო თუ იაპონელ მეცნიერთა გამოკვლევებს გავითვალისწინებთ და მივიღებთ მხედველობაში სხვა და სხვა ადგილებს, სადაც ცხოვრება გასაჭირია ანა და ხალხი სრულიადაც არა სცხოვრობს, როგორც, მაგ. ულრანი ტყეები, საფლავები, წმინდა ადგილები და სხვ.—გამოვა, რომ იაპონიის კუნძულზედ საცხოვრებელი ადგილი შეიცავს 137000 ოთხკუთხ კილომეტრს და ამ მცირე ადგილზედ სცხოვრებს

45000 მილიონი მცხოვრები ე. ი. ოთხკუთხედ კილომეტრს უწევს 300 მცხოვრები. ყოველ წელიწადს ამ ხალხს 400,000 სული ემატება. იაპონელს მიწა თავისს ქვეყანაში აღარ ჰყოფნის. უნდა გაიხიზნოს. თეთრ კანიანები თავიანთ კოლონიებში არ უშვებენ ყვითელ კანიანთ. რა უნდა ექნათ იაპონელთ? ჩინეთს მიაქციეს ყურადღება. 1894—1895 წწ. ჩინეთთან ომის დროს დღევანდელი სადაო მანჯურია დაიჭირეს, მაგრამ ევროპიელები (საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი) გაერიენ ომში და მანჯურიას რუსეთი დაეპატრონა. იაპონელ ემიგრანტებისთვის ერთად ერთი-ღა კორეა დარჩა, ეს ქვეყანა ზედ იაპონიას აკრავს, მაშასადამე, შეუძლია იაპონელებს მეორე სამშობლო ადგილობა გაუწიოს.

ჰავით, მიწის ნიადაგით, წყლისა და მიწის ნაყოფით კორეია სწორედ მეორე იაპონიაა. უხსოვარის დროიდან იაპონელი იხიზნებოდა კორეაში და ესახლებოდა ამ ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთის ნაპირებზედ. 1597 წლიდან ფუზანის ერთი უბ.ნი იაპონელებით იყო დასახლებული. 1882—1895 წლიდან იაპონელებმა დაიწყეს ზღვის პირებზედ მდებარე ქალაქებში დასახლება; უენსანში, მოკპოში, ჩემულპოში და თვით სეულშიაც კი ჩასახლდა მრავალი იაპონელი ვაჭარი და აღებ-მიცემობა გამართეს. დღეს დღეობით კორეაში 30,000 იაპონელი სამუდამოდაა ჩასახლებული, მთელის ოჯახობით.

ეს ხომ ქალაქებში და სოფლებშიაც ბევრი იაპონელი ჩინებული მიწის მუშა ჩასახლდებოდა და გააჩაღებდა მუშაობას, მაგრამ კორეის სოფლებში უცხოელის ჩასახლება საშიშარია, მისი სიცოცხლე ყოველივე საფრთხეს რასმე უნდა მოელოდეს.

თვით კორეელებს კი უზარმაზარი, მშვენიერი ნოყიერი ადგილები უპატრონოდ, ოხერ-ტიალადა აქვთ გაშვებული. იაპონიის კუნძული ინდუსტრიის სამეფოა, ხოლო კორეა იაპონელთ ხელში ნამდვილი ფერმა შეიქმნებოდა, ბრინჯისა და მწვანილეულობის სალარო, რომელიც იაპონიას მეტად ეჭირვება.

იაპონიისათვის კორეა მიუცილებელია. როცა იაპონიაში სიმშილობაა, დამშეულ ხალხისათვის ერთად ერთი სახსარი კორეის ბრინჯია. კორეის მთავრობა კი ყოველთვის ბოროტად სარგებლობს იაპონიის დამშევით.

ამ დროს კორეის მთავრობა აღუკრძალავს ხოლმე ხალხს ბრინჯის გაყიდვას, ვითომ და ხალხის ინტერესების დასაცველად, ზედ მეტი ბრინჯი არ გაიტანონ და თვით ხალხი არ დაიმშესო, ნამდვილად კი ამგვარი წესი ხელსაყრელია მხოლოდ მოხელეთათვის, რომელთაგან პირველი თვით კორეიის მეფეა და რომელთა აღვირწახსნილ მექრთამეობასა და ხალხის ძარცვა-გლეჯის სურვილს ხელს უწყობენ ამგვარი ზომები. ამგვარი აღკრძალვა ბრინჯის გაყიდვისა სწორედ იმ დროს მოხდება ხოლმე, როცა ბრინჯის ვაჭრობა გაჩაღებულია, პირობები ერთმანერთ შორის შეკრულია და ვაჭრებს იაპონელთაგან ბეც კი აქვთ მიღებული. და აი ამ დროს იწყება უსირცხვილო და უსინიდისო სპეკულიაცია იაპონიის დამშევის გამო. კორეელი მოხელე, პოლიციის უფროსი, კანტროლიორი, მინისტრი და თვით უდიდებულესი მეფეც კი აგერ ნებას დართავს ბრინჯის გაყიდვისას, აგერ აღუკრძალავს, აგერ კიდევ ნებას მისცემს და ხელ-ახლა ართმევს ამ ნებას და ყოველთვის იმის მიხედვით, თუ რამდენ ქრთამს გაიღებს ნების მთხოვნელი და რამდენს აიღებს ნების დამრთველი, თუ გინდ მეფეც იყოს ეს ნების დამრთველი. მეფე ისევე მექრთამეობს, როგორც სულ უკანასკნელი მოხელე. იაპონელი მიწის მუშა კი ნიადაგ იმის შიშში უნდა იყოს, რომ ბრინჯის ფასი ერთი-ათად აიწევს და ეს ფასი მიდის მარტო ამ ოფიციალურ ავაზაკთა ბრბოის გასამდიდრებლად, თვით კორეელი ვაჭარი და გლეხი ზარალის მეტს ვერავითარ სარგებლობას ვერა ხედავენ მოხელეთა სპეკულიაციისაგან.

იაპონიის მუდმივი სურვილი ის იყო, რომ კორეაში თვით წესიერი მთავრობა დამყარებულიყო, რომელიც ხალხის მძარცვავი არ ყოფილიყო და რომელიც ვაჭრობისა და მრეწველობის კანონიერ მიმდინარეობას პირად კაპრიზს არ დაუქვემ-

დებარებდა. ამგვარი წესიერების დამყარება აღებ-მიცემობაში, არა თუ შარტო იაპონიას გამოადგებოდა, მიუცილებელი პირობა იყო თვით კორეიის ერის კულტურულის ზრდისა და განვითარებისთვის.

ცოტათი არის მაინც, რომ დაამყარდებოდეს კორეაში წესიერება და სამართლიანობა, სამხრეთი კორეა ის შეიქმნებოდა იაპონიისათვის, რაც ძველად იტალია იყო საბერძნეთისათვის; იაპონიის შეწეობით იქ დამკვიდრდებოდა ცივილიზაცია ბარბაროსობის ნაცვლად, სანაპიროებიდან განათლება შიგა და შიგ მთელს მხარეს მოედებოდა. ყველაო, ამბობს ავტორი, ყველა, გარდა მეფისა და მისის „ხალხის ჭამია“ მოხელეების მეტი—მოგებული დარჩებოდა მიწისა და ქარხნის ამგვარის დაკავშირებითაო.

*
* *

აქედან ცხადადა სჩანს, რომ იაპონიას კორეის შესახებ ერთი აზრი ჰქონია: განეთავისუფლებია კორეის ხალხი მოხელეთა ავაზაკ ბრბოსაგან, რომლის ბელადად თვით „წყალობითა ჩინეთის იმპერატორთასა“ კორეიის მეფე ბრძანდება; მიეცა ხალხისათვის დემოკრატიული, თავისუფალი, ევროპიული მმართველობა, რათა ხალხს შესძლებოდა თვითაც ესარგებლებია თავისის მდიდარის ქვეყნით და გონიერის და წესიერის სარგებლობით იაპონიისთვისაც სამსახური გაეწი. იაპონიის სურვილი იყო მეზობელ ერს ევროპის ცივილიზაციისაგან საუკეთესოდ მიჩნეული მთავრობა ჰყოლოდა, რათა შესძლებოდა მასთან ადამიანურის კავშირის დაჭერა. ვნახოთ ახლა ვინ ეღობებოდა იაპონიის ამ არა აზიურ, არა ველურ, არამედ სწორედ ადამიანურსა და ქრისტეანულ სურვილს?

1876—1880 წლ. კორეელებმა ზღვაზედ ძარცვა-გლეჯა დაუწყეს იაპონელ ვაჭართ. ამის გამო იაპონიამ სეულის მთავრობას პირობა დაადებინა, რომლის ძალითაც ნავთსადგური ფუზანი, უენსანი და ჩემულპო კარ-ღიად იქმნა აღიარებული.

ამ დროიდან იწყება ფარული და თანაც შეუწყნარებელი ბრძოლა იაპონიასა და კორეის „სასახლეს“ შორის. კორეის

ხალხზედ ლაპარაკი მეტია, ხალხი გაპირუტყვებულა მანდარინის ცემა-ტყეპითა და უდიერის ქცევით. ერთად ერთი ფიქრი ამ გათელილის ხალხისა ის არის, ან ხელში იგდოს მოხელეობა, თუ არა და თავისი ავლა-დიდება, თავისი სიცოცხლე მაინც დაიცვას მოხელეთა ურცხვობისაგან. ხალხს არავინ არად აგდებს. იგი ფეოდალთა პირუტყვის ფარადაა მიჩნეული, მას ძარცვენ და გლეჯენ, ცხვარივით კრეჭენ, სჭამენ და სვამენ მის საცხოვრებელს, მისი უსაზღვრო ბატონი-მეფე, რამდენიმე დიდ-კაცის ოჯახობა და აგენტები მეფისა, რომელნიც თან ახლავს სეულში ანა და პროვინციაში მისი წარმომადგენელნი არიან.

მეფეს გარს ახვევია საჭურისთა გროვა, მოცეკვავე ქალები, წვრილი მოხელეები, ჯალათები და პოლიციელები. სდგას სასახლეში და ვაჭრობს სხვა-და-სხვა თანამდებობითა და ადგილებით, რაკი ვაჭრობაა, ადგილსაც იმას დაუთმობს, ვინც მეტ საფასს გაიღებს.

საერო ბიუჯეტი მარტო მეფისა და მისი სასახლისთვის საჭირო ფულს შეიცავს; მიწის გადასახადი სავალდებულო ხარკია, რომელიც მეფეს ეძლევა და მეფის სრულს განკარგულებაშია; სასამართლო, პოლიცია და ადმინიტრაცია მეფის კაპრიზზეა დამოკიდებული, მეტი არავითარი საფუძველი არა აქვს ამ დიდმნიშვნელოვან დაწესებულებათ, თუ არ მეფის ჟინი ნება. მეფის აბსოლიუტიზმის საზღვარი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, და ისიც ერთის წუთით, როცა რომელსამე პროვინციაში ხალხი აჯანყდება და ან თვით სასახლეში იჩენს თავს შეთქმულობა.

იაპონიას ყოველთვის მარტო ერთი საზრუნველი ჰქონდა კორეის შესახებ: ისეთი რეფორმები მოეხდინა კორეაში, რომლის შემდეგაც მხარეში დამყარდებოდა პასუხის მგებელი მთავრობა, დაწერილი კანონი, წესრიგზედ დაყენებული ადმინისტრაცია, კანონის დამცველი და აღმასრულებელი პოლიცია და ადამიანური სამართალი. ამგვარი „რეფორმა“ კორეიაში მიუცილებელი იყო თვით ხალხისათვის, ხალხის არსებობის და წარმატებისათვის და, როგორც ზემოდ ნათქვამიდანა სჩანს,

ესევე იყო საჭირო იაპონიის ვაჭრობისა და მრეწველობისათვის. მაგრამ „სასახლე“ არაფრისათვის არა სთანხმდება ამ რეფორმას. „სასახლე“, მართალი რომ ვსთქვათ, არც თუ მარტო თვით მეფეა.

მეფე ლი-ჰსი 1864-ში გამეფდა და ამ დღიდან სავსებით დაამტკიცა სრული უნიჭობა, სრული სიდუხჭირე გონებისა და სიბეჩავე გრძნობისა. ყოველივე ეს თვისება ლაჩარ პირუტყვად ჰხდის მას. დედოფალი მენი კი, სრულიად წინააღმდეგ, მეტის მეტი სასტიკის ხასიათის ქალი იყო და აღმოსავლეთის დესპოტის ყოველივე ნაკლულევანებით იყო შემკული. ტახტის უფლებებს იცავდა ისე, როგორც გააფთრებული მხეცი. თხუთმეტის წლის განმავლობაში—1880—1895 წლ.—იაპონია მარტო ამ დედა-კაცს ეომებოდა. იაპონია თხოულობდა კორეის ერის საკეთილდღეო და თავისთვისაც სასარგებლო რეფორმებს და ყოველსავე საშუალებას ხმარობდა, რაიმენაირად ამ აზრისათვის მიეღწია. დედოფალი მენი თავისის მხრით „სასახლის“ უფლებების დასაცველად არას ზოგავდა, თავგანწირული იბრძოდა, სირცხვილსა და ნამუსს არას დასდევდა, ოღონდ კი ძალა შეერჩინა. დედოფალმა ჩინეთის მფარველობას მიჰმართა და იაპონელების ჯარის წინააღმდეგ ჩინეთის ჯარი მიიწვია.

1882-ში მოხდა აჯანყება კორეის მეფე-დედოფლის წინააღმდეგ. აჯანყებულთა მეთაურად თვით მოხუცი მეფის მამა იყო, მის რეგენტად ნამყოფი, რომელსაც შვილის სიკვდილიც კი გადაწყვეტილი ჰქონდა. მეფე-დედოფალმა ჯარის კაცად და მის ცოლად გადაიცვეს, ამ გვარად გაიპარნენ და ჩინეთის საელჩოს შეეფარნენ. დედოფლის მაგიერ ერთი მისი მსახური ქალი მოჰკლეს, რომელიც დედოფლის ტანისამოსით მოირთო და მისთვის თავი განიწირა. მეფემ საჭიროდ დაინახა დაედასტურებინა დედოფლის ვითომ და სიკვდილი და „ოფიციალურ უწყებებში“ გამოაცხადებინა ეს ამბავი და სასახლეში მგლოვიარობის დაცვა ბრძანა. მხოლოდ რვა თვის შემდეგ გაბედა მეფემ და გამოაქვეყნა, რომ დედოფალი სიკვდილს გადარჩა.

ამ ჟამად ჩინეთმა იხსნა მეფე-დედოფალი და ცნობილმა ლი-ჰუნ-ჩანგმა ჩინეთი გამოაცხადა კორეის მფარველად. იაპონიისათვის-კი ზარალი აზღვევინა კორეიას, რადგან აჯანყებულთ არც იაპონელები დაინდეს და ზარალი მიაყენეს.

ათის წლის შემდეგ კიდევ მოხდა აჯანყება სასახლის წინაალმდეგ. ამბობენ, აჯანყებულთ იაპონელნიც თანაუგრძნობდნენო. ამ აჯანყებამაც უნაყოფოდ ჩაიარა. 1892-ში კორეის მეფე-დედოფალმა მოინდომა იმ სახლის აფეთქება, სადაც მეფის მამა იდგა, მაგრამ ისე უხერხულად მოაწყო საქმე, რომ მამის ოთახის მაგიერ, მეორე ოთახი აფეთქდა. რათა აეცილებიათ თავიდან ეჭვი, მეფე-დედოფალმა ჩვეულებრივ დესპოტიურ ხრიკს მიჰმართეს: თავისი ცოდვა სხვას გადააბრალეს და რამდენიმე საცოდავი უბრალო კაცი ჯერ აწამეს და მერე ნაჭერ-ნაჭერ დააფლეთინეს... ამ ხერხმა ვერ გასჭრა, ხალხი „სასახლეს“ სთვლიდა ამ უნაყოფო და უხერხულის ღალატის მოთავედ. ორის წლის შემდეგ მამამ სამაგიეროს გადახდა მოინდომა. 1894-ში მოიწადინა იმ სამლოცველოს აფეთქება, საცა მეფეს თავისის მინისტრებით წინაპართ საფლავის წინაშე მსხვერპლი უნდა შეეწირა. მაგრამ აქაც უხეირო აფეთქება გამოდგა. ამ აფეთქებამ მხოლოდ ერთი მინისტრი იმსხვერპლა, სხვა ყველა გადარჩა. ყოველივე ეს მიმალ მომალეს. დედოფალმა კი ძლევა-მოსილად განაგრძო თავისი მოღვაწეობა და ვითომდა შეთქმულთა ტანჯვა-წამებას მიჰყო ხელი; მისის ბრძანებით სტანჯავდნენ და აწამებდნენ უბრალო ხალხს ფარულად, თუ ცხადად.

1894 წლ. ივლისში იაპონიის მთავრობამ თავისის საერო ინტერესებს დასაცველად ჯარი გადასხა ფუზანსა და ჩემულპოში, თანაც სეულის მთავრობას ულტიმატუმი წარუდგინა; იაპონია თხოულობდა: კორეიაში რეფორმების შემოხებას, რეგულიარულის ჯარის მოწყობას, კანონთა კრებულის შედგენას, პოლიციისა და სასამართლოების იმგვარად მოწესრიგებას, რომ ადგილობრივ და უცხოელ ერთათვისაც წესიერება და სამართლიანობა დამყარებულიყო.

კორეის მეფემ წინააღმდეგობა განაცხადა. ჩინეთმა მხარი დაუჭირა. ამან გამოიწვია ომი ჩენეთსა და იაპონიას შორის 1894—1895 წლებში. იაპონელებმა დაიჭირეს კორეა, ჩინელები იალუს იქით განდევნეს, შეესიენ მანჯურიას და სიმონოსეკის ხელშეკრულობის ძალით ჩინეთს უარი ათქვმევინეს კორეის მფარველობაზედ. გამოცხადებულ იქმნა კორეის დამოუკიდებულობა. კორეის მეფეს ამგვარად ჩინეთის მფარველობა ჩამოაშორეს, იაპონიის ჯარი გარს ერტყა, რაღა უნდა ექმნა, ძალა-უნებურად უნდა დათანხმებულიყო რეფორმებს. 1895 წლ. იანვარში იაპონიის ელჩმა მიიყვანა კორეის მეფე წინაპართ საფლავის წინაშე და იქ „წინაპართა სულების თანადასწრებით, რომელნიც ზეცას განისვენებენ“ საჯაროდ ფიცით დაამტკიცა 12 მუხლი სახელმწიფო დებულობისა, რომელიც სპობდა: „სასახლისა“ და ადმინისტრაციის ბოროტ-მოქმედებას, აწესებდა ჯარს, რომელიც იაპონელთ უნდა გაეწვრთნათ. იაპონიამ ასესხა კორეას შვიდი, თუ რვა მილიონი ფრანკი (2. 600,000—3.000.000-მან. მეტი) კარის კაცთა სურსათის დასამზადებლად და მოხელეთა ჯამაგირისთვის—უწინ ხომ მოხელეები ხალხსა სძარცვავდნენ და ამით იჯილდოვებდნენ თავს.

მეფე დამორჩილდა და ხელი მოაწერა. მაგრამ დედოფალი მენი არა სცხრებოდა, საიდუმლო წინააღმდეგობას არა შლიდა, ხალხს აჯანყებდა „საზიზღარ იაპონელთა“ წინააღმდეგ, განსაკუთრებით აქეზებდა სოფლის ხალხს, რომლის კაი ძალი ნაწილი პირუტყვულ განცხრომაში იყო და ყოველსავე ცვლილებას მტრულად ეგებებოდა, თორემ ქალაქების მცხოვრებნი რეფორმის მომხრენი იყვნენ. რეფორმის მომხრეთ დედოფლის წინააღმდეგ აჯანყებაც კი მოახდინეს, იაპონელნი, რასაკვირველია, თანაგრძნობით მოეკიდნენ. 8 ოქტომბერს 1895 წელს აჯანყებულნი შესცვივდნენ სასახლეში, გადმოათრიეს დედოფალი, წიხლებით გასთელეს, ხმლით დასჩეხეს, მოჰკლეს და შემდეგ ნავთი გადასხეს და დასწვეს მისი გვამი—ამ ზომამდის მივიდა ხალხი, რომელიც თვით დედოფალმა გამოიყვანა მოთმინებიდან, ხალხმა დედოფალი მოიშორა თავიდან, ჩინეთი იაპო-

ნიამ მოაშორა, ეხლა რეფორმებს წინ აღარა უდგა რა და იაპონიის სურვილი ხალხის მოთხოვნილებასთან ერთად უნდა აღსრულებულიყო. ხალხი მაინც არა სცხრებოდა, ბარგმ მეფეც მოვიშოროთ თავიდან, თორემ ეგ კარგს არას დაგვაყრისო. 1896 წლ. თებერვალში მომხდარ აჯანყების დროს მეფემ თავი შეიფარა რუსეთის საელჩოში. ამ დღიდან კორეის მეფეს ჩინეთის მაგიერი მფარველი რუსეთი აღმოუჩნდა. იაპონიის მისწრაფებას ჩინეთის მაგიერ ეხლა რუსეთი გადაეღობა წინ. ერთის სიტყვით კორეის ისტორიაში ამ დღიდან ჩინეთის ადგილი რუსეთმა დაიკავა. ყოველსავე მოთხოვნილებას იაპონიის მთავრობისას რუსეთი წინააღმდეგობას უცხადებდა. შვიდის წლის განმავლობაში (1896—1903 წწ.) იაპონელთა სულ უმნიშვნელო მოთხოვნილება ძლივს დააკმაყოფილეს. ასე რომ შვიდის წლის მეცადინეობამ და შრომამ იაპონელთათვის უნაყოფოდ ჩაიარა. შვიდის წლის შემდეგაც იმავე მდგომარეობაში იყვნენ რუსეთის წყალობით, როგორც შვიდის წლის წინად. რუსეთის მოქმედება კორეიაში, ამბობს ბერარი, საიდუმლოებით იყო მოცულიო. 1898—1903-ში რუსეთის შეხედულება კორეის საქმეების შესახებ სულ წინააღმდეგია იმ შეხედულებისა, რომელიც 1896—1897 წწ. ჰქონდა ამავე საქმეების შესახებ. იმიტომ, რომ უკანასკნელ ხანში რუსეთის ინტერესებმა შორეულ ალმოსავლეთში ძალზედ იცვალა ფერი. 1896-ში და 1898-ში ორი პირობა შეჰკრა რუსეთმა იაპონიასთან კორეის საქმეების შესახებ. ეს ორივე პირობა ერთი მეორეს წინააღმდეგია და ეს იმიტომ, რომ ამავე ხანაში იგივე რუსეთი პირობით ეკვრება ჩინეთს მანჯურიის შესახებ.

*
* *

რუსეთის მთელი პოლიტიკა საუკუნოების განმავლობაში იმაზედ იყო მიმართული, ოკეანეზედ ღია კარები ეშოვა, ისეთი ნავთსადგური, რომელიც არ იყინება. ვლადივასტოკი ამ აზრს ვერ გაუწევდა სამსახურს, რადგან იქ ნავთსადგური იყინება. ამ აზრისათვის ხელ საყრელი იყო კორეის ყურეები და ისეთი

ნავთსადგური, როგორიც არის კორეიის მოზამპო და ფუზანი. უამისოდ რუსეთის ფლოტი ვლადივასტოკში მკვდარი იქმნებოდა. ამიტომაც 1895 ში რუსეთი კორეის ნაპირების დაჭერას დიდ მნიშვნელობას აძლევდა და მიუცილებლადა სთვლიდა შემოეერთებია თავისის სამფლობელოსათვის კორეის გაუყინავი ნავთ-სადგურები.

1896-ში-რუსეთის პოლიტიკის მიმართულება უეცრად იცვლება: ჩინეთი ნებას აძლევს რუსეთს მანჯურიის იქითა მხარეში რკინის გზის გაყვანისას, რომელიც ირკუტკს უერთებს ვლადივასტოკს. ეს პირობა ხელმოწერილი იყო 1896-ის წლის მარტში, მაგრამ მხოლოდ იმავე წლის დეკემბერში გამოაქვეყნეს, თუმცა ზოგიერთი მუხლი ეხლაც საიდუმლოდ რჩება: როგორც ჰგავს, რუსეთს უნდა მოეთხოვოს იმ დროში ჩინეთისთვის ხანგრძლივის ვადით დაეთმო ჩინელთ ნავთ-სადგური კიაო-ჩეუ (ეს ნავთსადგური ეხლა გერმანელთ უჭირავთ) და ამგვარად კორეა რუსის ორ ნავთსადგურ შუა მოემწყვდია.

სწორედ ამ ხანში კორეის მეფემ აჯანყების გამო თავი შეაფარა რუსეთის საელჩოს და დაჰყო იქ ერთი წელიწადი— 1896 წლ. თებერვლიდან 1897 თებერვლამდის. სწორედ ამავე დროს რუსეთმა და იაპონიამ ერთმანერთის შეთანხმებით ხელი მოაწერეს საიდუმლო ოქმსა და საიდუმლო მემორანდუმს (1896 აპრილში), რომელიც გამოქვეყნებულ იქმნა მხოლოდ თითქმის ერთის წლის შემდეგ (1897 —მარტში). ოქმი ნათქვამი იყო: „რათა კორეის დამოუკიდებლობის პრინციპი ხელ უხლებლად დარჩეს, როგორც მოხსენებულიც არის სიმონოსეკის ხელშეკრულობაში—რუსეთი და იაპონია ეცდებიან, დაანებონ კორეის მთავრობას საჭირო ჯარის შექმნა და წესზედ დაყენება, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა ხელს მისცემს... და თანაც რჩევას მისცემენ კორეის მთავრობას მოახდინოს მიუცილებელად მიჩნეული რეფორმები“. „ეცდებიან დაანებონ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ჯარის შექმნა და წესზედ დაყენება!“ ოქმის ეს სიტყვები საუცხოვოა, ბუნდოვანი რომ არ იყოსო, ამბობს ავტორი.

მემორანდუმი უფრო გასაგებარის ენით არის დაწერილი. მემორანდუმის ძალით: რუსეთს ჰყავდა ჩაბარებული მეფის პირადობა, მისი სასახლე, ჰქონდა შინდობილი სასახლის მცველის რაზმის და ფინანსების რეფორმა; იაპონიას უნდა ედევნებია თვალ-ყური პოლიციისათვის იაპონელთა უბნებში სეულსა, ფუზანსა და უანსენში, სადაც რუსებსაც ეძლეოდა ნება ჰყოლოდათ სადარაჯო რაზმები; იაპონელებს ნება ჰქონდათ გაემართათ ტელეგრაფი ფუზანიდან სეულამდე და დაეყენებიათ ამ ტელეგრაფის მცველი ჟანდარმები; რუსებს ეძლეოდათ ამგვარივე უფლება გაემართათ ტელეგრაფი სეულიდან ვლადივოსტოკამდე, ასე რომ ეს დიპლომატიური საბუთები, რომელნიც აღიარებდნენ კორეის ვითომ-და დამოუკიდებლობას, ნამდვილად თავისებური განაწილება იყო კორეასი: იაპონიას ჰხვდა წილად დიდი ნავთსადგურები და კორეის სამხრეთი ნაწილი, ხოლო რუსეთს — სასახლე და ჩრდილო ნაწილი. 1896 და 1897 წწ. რუსეთი ვითომ და კიდევაც სცდილობდა ამ პროექტის სისრულეში მოყვანას და იმავე ხერხს მიჰმართა, რომელიც სპარსეთში ჰქონდა ნაცადი. სამხედრო ინსტრუქტორი ჩამოიყვანა დარაჯის შესადგენადა და გასაწვრთნელად; თავისის ფინანსთა სამინისტროს მოხელე ჩამოგზავნა, რომელმაც მაგრად ჩასჭიდა ხელი კორეის საბაჟოებსა და შემოსავალს; დააარსა რუსეთ-კორეიის ბანკი. ამასთანავე რუსეთმა ასესხა მეფეს შვიდი თუ რვაოდე მილიონი მანეთი და გირაოც, რასაკვირველია, შესაფერისი გამოართვა.

უეცრად ყოველივე იცვლება: მეფე სასახლეში დაბრუნდება; ინსტრუქტორი და ფინანსთა სამინისტროს მოხელე რუსეთში გაიწვიეს; სეულსა და ვლადივოსტოკის შორის ტელეგრაფის გაყვანა მიატოვეს; კორეის ნავთსადგურებში სადარაჯო რაზმს აღარ გზავნიან. რა ემართებოდა რუსეთს? თურმე ნუ იტყვით, 1898 წლ. აპრილში ხელ-ახალი ოქმი შეუდგენიათ რუსეთსა და იაპონიას. ამ ოქმიდან, როგორცა სჩანს, კორეა მარტო და მხოლოდ იაპონიის სრულ გავლენას ქვეშ რჩება. აი რას ამბობს ამ ოქმის მესამე მუხლი.

3. მუხლი: მივიღეთ რა მხედველობაში, რომ იაპონიის სავაჭრო და სამრეწველო მოქმედება კორეიაში ფრიად განვითარებულა და აგრეთვე რაკი იაპონიის ქვეშერდომთა დიდძალი რიცხვი სცხოვრობს ამ ქვეყანაში, რუსეთის მთავრობა ხელს არ შეუშლის იაპონიის სავაჭრო-სამრეწველო დამოკიდებულობას კორეიასთან.

1898 წლის 12 მაისის მთავრობის უწყების ნუმერში გამოქვეყნებული იყო ეს ახალი შეთანხმება იაპონიასთან და თანაც დამატებული; „ამ სამეგობრო ხელშეკრულობის შემდეგ რუსეთს შეუძლია შეუდგეს თავისის ისტორიულის და არსებითად სამშვიდობო აზრის განხორციელებას, რომელიც იწვევს მას დიდ ოკეანეს ნაპირებისაკენ“.

ახალი „გარემოებაც“ მიეცა რუსეთს, რომელმაც საოცრად გაუადვილა „განხორციელება“ ისტორიულის სამშვიდობო აზრისა ე. ი. „მოპოება ნავთსადგურისა თავისუფალ ზღვაზედ“. 1898 წლის 1 აპრილს ჩინეთმა დაუთმო რუსეთს კიო-ჩეუს ნაცვლად, რომელიც ორის წლის წინად ჰქონდა შეპირებული რუსეთს და რომელიც ეხლა გერმანიას ეჭირა, ხანგრძლივის ვადით 99 წლის პორტ-არტური და ტალიენვანი, თანაც რუსეთს მიეცა ნება შეუერთოს ეს ნავთსადგურები მანჯურიის რკინის გზას.

ეს მთელი რევოლიუცია იყო რუსეთის მსვლელობაში „ლია-კარებისაკენ“—თავისუფალის ზღვისაკენ. ამას თან მოჰყვა რევოლიუცია რუსეთის პროექტებში კორეის შესახებ.

ეხლა ადვილი მისახვედრია, რომ მეორე ხელ შეკრულობა რუსეთსა და იაპონიას შორის 1898 წლ., რომელიც კორეას მარტო იაპონიის გავლენას უქვემდებარებდა, ორი კვირის შემდეგ თან მოჰყვა იმ პირობას, რომელმაც პორტ-არტური რუსეთს მიაკუთვნა. რუსეთმა რა კი ჩინეთს გამოართვა ნავთსადგური, საიდანაც თავისუფალი გზა ჰქონდა გაშლილ ზღვისაკენ, კორეია ალარად ეპიტნავებოდა და იაპონიას დაანება, ოღონდ კი პორტ-არტურის დასაკუთრებაში ხელს ნუ შემიშლიო.

ავტორი ჰფიქრობს, რომ რუსეთისა და იაპონიის ხელშეკრულობა არ იყო ერთიანად გამოცხადებული. უეჭველიაო,

რამდენიმე მუხლი გამოშვებულია. რუსეთი უთმობს კორეიას იაპონიას „სავაჭრო-სამრეწველო მოქმედებისათვის“-კი, მაგრამ ნუ თუ ეს დათმობა უსასყიდლოდ იყო, სულ არა უსარგებ-ლებია-რა რუსეთს და არა მიუღია-რა ამ დათმობის სამაგიე-როდ? ეჭვი არ არის, სამაგიერო რამ უნდა მიეღო რუსეთს და ეს ოქმის მუხლშიაც უნდა ყოფილიყო მოხსენებული. 1894—1895 წლ. იაპონიასა და ჩინეთის შუა მომხდარ ომის შემ-დეგ, იაპონიამ დაიჭირა პორტ-არტური და მანჯურია და მხო-ლოდ მაშინ დასტოვა პორტ-არტურიცა და მანჯურიის ნაპი-რები ზღვაზედ, როცა ჩინეთმა და სხვა სახელმწიფოებმა (მათ შორის, რასაკვირველია, რუსეთმაც) კანონიერი აღთქმა დასდ ვეს, ეს პროვინცია და ეს ნავთსადგური ჩინეთის მფლობელო-ბაში დარჩება და თავის დღეში ჩინეთი არავის არ დაუთმობს მათ და არც სხვა სახელმწიფოები მოინდომებენ დასტყუონ ჩინეთს რაიმენაირათ ეს ადგილებიო.

1897 წ. დეკემბერში რუსეთმა თავისი ფლოტი გაჰგზავნა პორტ-არტურში, მაგრამ აღთქმა დასდვა, ზამთარი გაივლის თუ არა, გემებს უკან დავაბრუნებო, ნამდვილად კი 1898-ში პორტ-არტური რუსეთმა დაისაკუთრა, ხოლო იაპონიამ ხმა გაიკმინ-და და არავითარ წინააღმდეგობას არ აცხადებდა. ინგლისელი გაზეთები სამართლიანად ამტკიცებდნენ, რომ მეორე ხელშეკ-რულობა იაპონიასთან ამ სიჩუმის ჯილდო იყო. თუ კი რუ-სეთმა სიტყვა მისცა იაპონიას — არა თუ ხელს არ შეგიშლი, ხელს შეგიწყობ კორეიაში შენი მოქმედება გააფართოო, ეს უთუოდ იმიტომ, რომ იაპონელები დაპირდნენ სამაგიეროდ მანჯურიაში ჩვენ არ შეგეცილებითო.

1898—1903 წელში იაპონელებმა დიდი შრომა გასწიეს, ყოველივე ღონე იხმარეს კორეაში მოეხდინათ ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილება. მაგრამ მაინც კარგათ ესმოდათ, არა-ვითარი ეკონომიური მოქმედება არ იყო შესაძლებელი ამ ქვე-ყანაში, თუ მმართველობა არსებითად არ შეიცვლებოდა. ამი-ტომ იყო, რომ იაპონია სულ იმას ზრუნავდა კორეაში პოლიტი-კური და ადმინისტრატიული რეფორმები მოეხდინა, მაგრამ მეფე

საშინელს წინააღმდეგობას უწევდა. იაპონელთ სრულიადაც არა სურდათ კორეის დაპყრობა, ერთად-ერთი სურვილი მათი ის იყო, რომ კორეა ევროპიულად განათლებული და კულტურული ქვეყანა გამხდარიყო, ევროპიული კონსტიტუციაონალური წესწყობილება დამკვიდრებულიყო იქა, რათა ყველაზედ უწინ თვით კორეის ერს შესძლებოდა თავისუფალი შრომა და მოღვაწეობა და მერე ყველა იაპონელსა, თუ უცხოელს. ლი-ჰსიმ თავი იმპერატორად აღიარა, რათა ჩინეთისა და იაპონიის მპყრობელთ სწორი გამხდარიყო და კიდევ მეტი, მათზედ მაღლაც რომ ყოფილიყო დაყენებული, თავი „უდიდებულესს იმპერატორად“ აღიარა. კიდევაც გამოსცა ხარტა, რომლითაც „ძველი ჩვეულებანი“ დააკანონა და თუმცა 1895 წ. სულ სხვანაირი პირობა დასდვა და დაამტკიცა ფიცითის აღთქმით „წინაპრთა, სულების წინაშე, რომელნიც ზეცას განისვენებენ“, ეხლა—1899 წლის იელისში— ყოველგვარი უფლება თვით მიითვისა. მეტად საინტერესოა ეს ხარტა:

მუხ. 1. კორეა დამოუკიდებელი ქვეყანაა.

— 2. ხუთასი წელიწადია ქვეყანას მართავს აბსოლიუტური მონარ ქი და ასე ამგვარადვე დარჩება დასასრულამდე ცის ქვეშეთისა.

3. იმპერატორსა აქვ განუსაზღვრელი ძალა.

4. ყოველივე, ვინც გაბედავს ტახტის წინააღმდეგობას, კანონს გარეშეა აღიარებული.

5. იმპერატორი განაგებს ხმელეთისა და ზღვის ჯარს.

6. მარტო და მხოლოდ იმპერატორის ნებაა კანონის განსაზღვრა, კანონის ასე თუ ისე მოხმარება და მოსპობა.

7. იმპერატორი ნიშნავს ყველა მოხელეს, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო უწყებისას.

8 იმპერატორი აწერს ხელს ტრაქტატებს, აცხადებს ომს, ზავის ჩამოგდებაც სრულ მის ნებაზეა.

ამ დღიდან იმპერატორმა ჩაიგდო ხელში ქვეყნის ყველა საქმე; ყოველივე სულ უმცირესს განკარგულებაზედ იმას უნდა მოეწერა ხელი, ყოველივე პირობას, ბრძანებას, განცხადებას, სასამართლოს გადაწყვეტილებას, პოლიციის უბრალო განკარგულებას მის ხელში უნდა გამოევლო. ყოველივე სა-

ზოგადო და კერძო საქმე უნდა ჩაეხრჩოთ სეულის სასახლეში, სადაც მზის სხივსაც არავინ მიაკარებდა. კორეის მმართველობაში დამყარდა სრული ანარქია და ხაოსი. მინისტრებს ისე სცვლიდნენ, როგორც უბრალო ბიჭებს: 1903-ში ცხრა თვის განმავლობაში რვა გარეშე საქმეთა მინისტრი გამოსცვალეს და ვინც ადგილზედ რჩებოდა, ისიც მარტო სახელს ატარებდა, საქმეს კი ვინ ეკითხებოდა. ჯარს ჯამაგირი არ ეძლეოდა და ამიტომ აჯანყდა. პოლიციის პრეფექტები და პოლიციის დარაჯები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, სძარცვავდნენ ხალხს. სასამართლოში საქმეს ბოლო აღარა ჰქონდა ხოლმე, სოფელი და ქალაქი, თვით სატახტო ქალაქი ავაზაკ მოხელეთა ბრბოსაგან აკლებული იყო; საშიშარი იყო სახლიდან გარეულ გამოსვლა.

მარტო იმ ქალაქში შეიძლებოდა თავისუფლად სიარული, საცა იმპონელი იდგა და იაპონელ პოლიციის დარაჯები იცავდნენ ქუჩებს.

ყალბი ფულის მომჭრელებმა აავსეს ქვეყანა ყალბის ფულით. არავითარი კომერციული, არავითარი სამრეწველო მოქმედება არ იყო შესაძლო, ვინაიდგან სასახლე მტრული თვალით უცქეროდა, და მოხელეთა მექრთამეობას და ავაზაკობას ვერავითარი გაბედული კაცი ვერ გაუმკლავდებოდა.

1901-ში იაპონიაში ბრინჯის მოსავალი ნაკლები იყო. ბრინჯი კორეაში უნდა ეყიდათ. კორეის იმპერატორმა ჯერ ნება დართო ბრინჯის გაყიდვისა, მერე აღუკრძალა, ბოლოს ისევ ნება დართო და უკანასკნელად ისევ აღუკრძალა. იაპონიის ელჩმა თავისი დიდი უკმაყოფილება განაცხადა, მაგრამ იმპერატორმა ცივი უარი სტკიცა—არ შემიძლია ერთი ბეწოც არის შევცვალო „ძველი ჩვეულებანიო“. თვით წარმოიდგინეთ, თუ შესაძლოა ამგვარის ქვეყნის წარმატება, თუ შესაძლოა ამნაირი მეზობელი მოითმინოს ვინმემ, მით უმეტეს ისეთმა განათლებულმა ხალხმა, როგორიც იაპონიაა და მარტო თავისის ინტერესებისთვის კი არა, თვით მეზობელის ხალხის ინტერესებისათვის.

მეფის ამნაირი ჯიუტობა იაპონელთ ეუცხოვათ, როგორ, პირობა მოგვცეს და ეხლა ჩუმი და ფარული ინტრიგა რა საკადრისიაო. განაგრძობს ავტორი, რომ რუსეთს, რომლის წარმომადგენელიც იმ დროს სეულში ცნობილი ელჩი პავლოვი იყო,—კორეის მეფესთან საქმე სახვალიოდ ჰქონდა დაჭერილი და საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა გამართულიო. ერთ წელიწადს დემის კუნძულები (კორეის სამხრეთით) გამოართვა ხანგრძლივის არენდით, მეორე წელიწადს—მოზამპოს ღრმა რეიდი.

რუსეთმა ჯერ გადასწყვიტა თავი მიანებოს კორეას, მაგრამ ჩინეთისა და იაპონიის კავშირმა დააფიქრა, ისევ დაუბრუნდა გადაგდებულ ლუკმას და სულ სხვანაირად შეჰხედა საქმეს. ხუთის წლის განმავლობაში მიტოვებული ჰქონდა კორეა, თავისი დაწყებული ტელეგრაფიც კი მიატოვა, უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დალნი-რუსეთის სავაჭრო ნავთსადგური—ყინულით არის გაჭედილი მას შემდეგ, რაკი რუსის ინჟენრებმა დამბები დააკეთეს, რუსეთს კი სავაჭრო ნავთსადგური ეჭირვება და არა სამხედრო. შეიძლება ამიტომაც გამოიცვალა აზრი რუსეთმა და მოზამპოსა და მოკპოს მიაქცია დიდი ყურადღება.

იაპონიის კანონიერ მოთხოვნილებას ამერიკაც მხარს აძლევდა, ამერიკასაც ჰქონდა კომერციული ინტერესები კორეაში და ამ ინტერესების დაცვა შეუძლებელი იყო, თუ კორეაში დესპოტიზმი არ მოისპობოდა.

იაპონიის კანონიერ და სამართლიან მოთხოვნილებას კორეაში პოლიტიკურის რეფორმების მოხდენისას სულითა და გულით ემხრობოდა თვით კორეის ერი, რომელიც გაწამებული იყო მთავრობისაგან. ამ მოთხოვნილებას საფუძვლად ედვა დღევანდელი და მომავალი არსებითი საჭიროება ერისა. იაპონიის მოთხოვნილებას მხარს აძლევდა აგრეთვე კორეის ერთი მუჭა მოწინავე საზოგადოება, რომელიც გულწრფელად და გატაცებული მსურველი იყო ერის თავისუფლებისა. დაბოლოს იაპონელთა მომხრე იყო ყველა, ვისაც რაი-

მუ სავაჭრო, ან სამრეწველო ინტერესი ჰქონდა, ყველა, ვისაც რაიმე შეგნებული პირადი ინტერესი ჰქონდა, — ერთის სიტყვით, იაპონიის მოთხოვნილებათა ზნეობრივი ძალა იმაში იყო, რომ მასთან ერთად მოქმედებდა ყველა, ვისაც რაიმე საზოგადო ინტერესი ჰქონდა. კორეაში დიდი სიმდიდრეა ჩაფლულიო, ამბობენ; ოქროს მადნებია იქაო, გვარწმუნებენ, ამიტომაც იაპონელნი და მათი ძომხრენი ასე ამბობენო, დასძენს ავტორი: „განათლებულის კაცობრიობის მოვალეობაა უვიცთა ხელში არ დასტოვოს სიმდიდრე, რომელიც ბარბაროსთა წყალობით მკვდარია.“

თუ წესიერება არ დამყარდა კორეაში, არც ერთი უცხოელი თავისს კაპიტალს არ შემოიტანს ამ ქვეყანაში, უკაპიტალოდ-კი ყოველივე სიმდიდრე ფუჭია და მათი შემუშავება შეუძლებელია. კანონიერი მთავრობა უცხოელს ყოველგვარ გარანტიას მისცემდა. იაპონელთა და ევროპიელთა წყალობით მრავალგვარი საზოგადოებები და ამხანაგობები დაარსდებოდა; ევროპიელი ფულს მოიტანდა, იაპონელი კი ცოდნას, მართვა-გამგეობის უნარს, მუშა ხელსა და ძალას. ნუ დავივიწყებთ, რომ იაპონიამ დიდი ფული დახარჯა და გაიწყო მშვენიერი ჯარი, მშვენიერი ფლოტი, რომლის წყალობითაც ყოველთვის შეუძლია დაიცვას როგორც თავისი კერძო, ისე საერთო ევროპიელთა ინტერესები.

* * *

სამმა წელმა განვლო და არა ეშველა-რა, კორეაში ანარხია არა სცხრებოდა. „რუსეთის საიდუმლო წაქეზებამ ჩვენს მოთმინებას ბოლო მოუღოო,“ ამბობენ იაპონელები. ერთმა შემთხვევამ უკიდურესს გამწვავებამდის მიიყვანა საქმე და განხეთქილება გამოიწვია.

1897-ში რუსეთის ერთმა კომპანიამ კორეის მთავრობას კონცესიით გამოართვა უშველებელი ტყეები ტუმენისა და იალუს ხეკში. ეს იმ დროში მოხდა, როცა რუსეთმა იაპონიასთან პირველი ხელშეკრულობა დასდვა, რომ-

ლის ძალითაც კორეას შუაზედ იყოფდა ეს ორი სახელმწიფო: იაპონიის გავლენას ქვეშ სამხრეთი დარჩა, რუსეთს კი ჩრდილოეთი მიანებეს. როცა რუსეთისა და იაპონიის მთავრობამ ხელი მოაწერეს მეორე ოქმს, რომლის ძალითაც მთლად მთელს კორეას მარტო და მხოლოდ იაპონიის გავლენას უთმობდა რუსეთი, ცხადი იყო, იალუს ხევის ტყეების ზემოხსენებულ კონცესიაზედ უარი უნდა ეთქვა რუსეთს. მაგრამ 1901-ში ეს საქმე ხელახლად წამოაყენა სტატს-სეკრეტარმა ბეზობრაზოვმა, რომელმაც დააინტერესა რუსეთის მთავრობა კორეის ტყეებით.

1902-ში კორეის ერთ ქალაქში, იონგამპოში, სადაც უცხოელთ ნება არა აქვთ დასახლებისა, დაბინავდა რუსის ერთი კამპანია, რომელსაც აზრად ჰქონდა ტყის ექსპლოატაცია და ქარხნების გამართვა ამ საგნისათვის. ამ კამპანიამ ტელეგრაფი გამართა და ემზადებოდა რკინის გზის გაყვანას, რომ მდინარე იალუს ნაპირები მანჯურიის რკინის გზისთვის შეეერთებინა. 1903 წლ. აგვისტოში ამ კამპანიამ კორეის მთავრობისაგან მონოპოლიად აიღო მდინარე იალუზედ სატივე ხეების ექსპლოატაცია და ტივების მდინარეზედ ჩაშვებისა, ამას გარდა იონგამპოში 25 წლის ვადით აიღო ადგილი სამას ორმოცთა ათი აკრი, სადაც ციხე სიმაგრეებიც-კი ააგო.

ამბობენ, ამ კამპანიამ მოსთხოვა კონცესსია კორეის მთავრობას სეულიდან იალუსკენ რკინის გზის გასაყვანად. ეს კონცესსია ერთ დროს საფრანგეთის ერთ-ერთ კამპანიასა ჰქონდა მიცემული, მაგრამ ბოლოს დროს ისევ კორეის მთავრობამ ჩაიგდო ხელში. რუსეთის ელჩის ყოველსავე მოთხოვნილებაზედ კორეის იმპერატორი ფანხმობას აცხადებდა. იაპონიის ელჩი, რომელსაც მხარს აძლევდა შეერთებულის შტატების ელჩი, თხოულობდა საერთაშორისო კომერციისათვის ღია ყოფილიყო იალუს ნავთსადგური ვიჟუ, მაგრამ მისი თხოვნა უნაყოფო რჩებოდა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იალუს ეს ნაპირები მეტად ძვირფასია. ვისაც კი უმგზავრია ამ მხარეში, ყველა აქებს ამ დაუფასებელ ტყეებს, რომლითაც სარგებლობდნენ უხსოვა-

რის დროიდან ჩინელი კომერსანტები. ადგილობრივ მკვიდრთა აზრით, აქ მდინაარეებში ოქროს სილაც უნდა იყვეს. რუსეთისათვის კი ეს მხარე ერთი ორად ძვირფასია: ვლადივოსტოკსა და პორტ-არტურს შუა ტუმენისა და იალუს ნაპირებზედ რკინის გზების გაყვანა შეიძლება, ეს რკინის გზა ერთ დროს მიუკილებელი იქმნებოდა...

იაპონიაო, განაგრძობს ბერარი, მოთმინებიდან გამოვიდა. მოითხოვა იოგამპოში რუსეთის საელჩოს მოსპობა და თუ არა, იოგამპო ყველა უცხოელთათვის ღია უნდა ყოფილიყო; ტყის კონცესია უკანონოდ აღიარა და მოითხოვა, რომ ის ქალაქები და ნავთსადგური, რომლებშიაც უცხოელთა დასახლება აკრძალულია, ყველასთვის ნებადართული ყოფილიყო; მოითხოვა ახალის რკინის გზებისა და ტელეგრაფების კონცესსია; ყველაზე უფრო კი იმას ეტანებოდა, რაც შეადგენდა იაპონიის უმთავრეს სურვილს: კორეაში რეფორმები მომხდარიყო, რათა ხალხს შესძლებოდა წესიერის მთავრობის წყალობით თვით მოეწყო თავისი საქმეები და ამგვარად დაწესებულიყო ამ მხარეში კანონი და სამართალი. იაპონიის აზრით, ამ პირობებში ყველას შეეძლო კულტურული მოქმედება ამ მხარეში, შესაძლო იქმნებოდა ამ ქვეყანაში წესიერი, კანონიერი და მშვიდობიანი კონკურენცია.

სეულის იმპერატორი ცხარე წინააღმდეგობას უცხადებდა იაპონიას და რუსეთთან გამართა მოლაპარაკება. 1903 წლის ოქტომბერში რუსეთმა არ გაიყვანა ჯარი მანჯურიიდან. უკანასკნელის ხელშეკრულობის ძალით კი 1903 წლის 8 ოქტომრამდინ მანჯურიაში რუსეთის ჯარი აღარ უნდა ყოფილიყო. იაპონიამ წარუდგინა პეტერბურგის მთავრობას თავისიხ მოთხოვნილების მინიმუმი. იაპონია თხოულობდა, ან აღმისრულე 1898 წლის პირობა, რომლის ძალითაც კორეაში ჩემს სავაჭროსამრეწველო მოქმედებას წინ არ უნდა გადაეღობო, თუ არა და მანჯურიისა და პორტ-არტურის შესახები პირობა მაინც დაიცვეიო. მანჯურიიდან რუსეთს ჯარი უნდა გაეყვანა შარშან 8 ოქტომბრამდის, ხოლო პორტ-არტურიდან ფლოტი 8198

წლ. გაზაფხულზედ უნდა წაეყვანა. 1898 გაზაფხულზედ პორტ-არტური 99 წლით, ესე იგი, თითქმის ერთის საუკუნით იქირავა. იაპონიამ კი ჩინეთთან ომის შემდეგ მარტო მაშინ დასტოვა მანჯურია და პორტ-არტური, როცა სახელმწიფოებმა (საფრანგეთმა, რუსეთმა, გერმანიამ) პირობითი აღთქმა დასდეს, არც ერთი ჩვენგანი ამ პროვინციებს ხელს არ ვახლებთ და არ დავიჭერთო.

ამით ათავებს ავტორი ომის წინ დაწერილ წერილს და კიდევ იმედს გამოსთქვამს, საქმე მშვიდობიანად გათავდებაო.

შემდეგში იაპონიის შესახებ მოვილაპარაკოთ.

ბ. ს.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1

1. თ. მაგმაძე—ჰოლოკი.—2. წმინდა გიორგის რაზმი.—აკაკისა.—3. ლექსები გრ. ორბელიანისა,—გამოცემა ს. მერკვილაძისა.—4. საქართველოს კალენდარი.—5. რომის კათოლიკეთა ეპისკოპოზი დე როპპი და მისი მოგზაურობა საქართველოში.—6. თ. ალ. სუმბათაშვილი.—„ღალატი".—დრამა.—თარგმ. გრ. ყიფშიძისა.—7. პირველი ნაბიჯი.—რომანი.—გ. წერეთლისა.—8. ლექსთა ბაასი და არსენას ლექსი.—9. სრული სიზმრის ახსნა.—10. სრული სიზმრის ახსნა ანბანითა და მთვარითა.—11. ხალხური მესხური ლექსები.—შეკრებილი და გამოცემული მესხი კონსტანტინე გვარამაძისაგან.

ხშირათ გვესმის, ჩვენი ლიტერატურა დღითი-დღე ვითარდება და მდიდრდებაო. მართლაც ახალგამოულ წიგნების რიცხვი წინანდელთან შედარებით გაცილებით მეტია, ხოლო რაგვარ სიმდიდრეს წარმოადგენს ეს წიგნები, ამას კი ყურადღებას არ ვაქცევთ. ძვირათ თუ რომელიმე წიგნი თავის დროზე გახდება განხილვის ღირსი. ხშირად რომელიმე წიგნი კი მეორე, მესამე გამოცემითაც გამოდის და ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში უბრალო ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებსაც კი ვერ შეხვდებით მის შესახებ.

საზოგადოთ კრიტიკას და ბიბლიოგრაფიას ჩვენში ჯერ-კიდევ შემთხვევით ხასიათი აქვს და ათასნაირ მიზეზებზედ არის დამოკიდებული—ხშირად სიმპატია-მეგობრობაზე თუ პირად მტრობაზედაც.

ჩვენ განვიზრახეთ რაოდენიმეთ მაინც შევავსოთ ეს ნაკლი.

ჩვენ ვეცდებით სისტემატიურად აღვნუსხოთ ყოველივე წიგნი, დიდი თუ პატარა, მნიშვნელოვანი, თუ უმნიშვნელო,

რაც კი დაიბეჭდება ქართულს ენაზედტფილისში, თუ სხვაგან, და მივაწოდოთ „მოამბის“ მკითხველებს მათ შესახებ მოკლე ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

მიმდინარე 1904 წლის—იანვრის განმავლობაში დაიბეჭდა და გამოვიდა შემდეგი წიგნები.

1. თ. მაგმაძე.—ჰოლოკი, სამტერ-ზოყვრო კრებული. გამოცემა ავტორისა, ტფილისი სტამბა გ. დიასამიძისა, გვერდი 16. ფასი ერთი შაური დაიბეჭდა 1200 ცალი.

ამ პატარა წიგნაკში მოთავსებულია ლექსები და შაირები სხვა და სხვა საჭირბოროტო საგნებზე—ზოგი ლექსი გაზ. „ივერიის“ საკვირაო ფელეტონებში „შურდულში“ იყო მოთავსებული.

ავტორი მოურიდებლად ოხუნჯობს ზოგიერთ ჩვენ საზოგადო მოღვაწეებზე და დაწესებულებებზე. ლექსთ წყობა სუსტია. ავტორის ხუმრობა უფრო გასართობ ნაკვესებს წარმოადგენს, ვინემ გესლიანს იუმორს, რაც უფრო მეტ ძალას და მნიშვნელობას მისცემდა ამ კრებულს. საუკეთესო ადგილია „პალმის სიზმარი“.

2. წმინდა გიორგის რაზმი, აკაკისა. გამოკუმა ს. მერკვილაძისა, ტფილისი ფასი 5. კ. დაიბეჭდა 5,000 ც.

ეს წიგნი კი გადმობეჭდილია „აკაკის კრებულიდან“ და მშვენიერ სახალხო გამოცემად უნდა ჩაითვალოს. წიგნზედ არ აწერია, ავტორის ნებართვით არის გამოცემული, თუ არა.

ჩვენს მწერლობაში თითქმის განვლო იმ ხანამ, როდესაც წიგნების გამოცემა სამადლო საქმედ ითვლებოდა.

ამ ჟამად ქართულმა წიგნმა ცოტად თუ ბევრად მოიპოვა ბაზარი, განსაკუთრებით ისეთი იაფასიანი სახალხო წიგნები, როგორიც წმ. გიორგის რაზმია, გამომცემელს დეფიციტის ნაცვლად კარგ მოგებას მოუტანს. რაკი წიგნების გამოცემას მიეცა კომერციული ხასიათი, ავტორმაც უნდა მიიღოს ჰონორარი და წიგნი უსათუოდ მისი თანხმობით უნდა გამოიცეს.

ავტორის უფლების წესიერად დაცვა ჩვენში თანდათან შექმნის ისეთ ნიადაგს, რომ შესაძლებელი იქნება პროფესსიონალურ მწერალთა კლასიც გაგვიჩნდეს და სამუდამოთ არ დავრჩეთ ისეთ მდგომარეობაში, რომ ჩვენი მწერლები, როგორც აქამდის იყო, კერძო და სახელმწიფო სამსახურით დატვირთული ემსახურებოდენ მშობლიურ ლიტერატურას მხოლოდ „სხვათა შორის“.

3. ლექსები თ. გრიგოლ ორბელიანისა. გამოცემა ს. მერკვილაძისა. ტფილისი. დაიბეჭდა 500 ცალი.

კრებულში მოთავსებულია ავტორის უმთავრესი ლექსები. წიგნი სუფთად არის გამოცემული და სასარგებლო სახალხო გამოცემად შეიძლება ჩაითვალოს.

4. საქართველოს კალენდარი 1904 წ. ვალ. გუნიასი. რედაქცია ფ. გოგიჩაიშვილისა. წელიწადი მეცამეტე. ტფილისი. სტამბა ჭუთათელაძისა. გვერდი 720. ფასი 1 მან. დაიბეჭდა 2,000 ცალი.

ეს კალენდარი გამოცემულია „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობისაგან. დიდი შრომა მიუღია თავისთავზე კალენდრის რედაქტორს ბ. ფ. გოგიჩაიშვილს და არ დაუკლია ცდა, რომ ღირსეულად შეესრულებინა საზოგადოების მინდობილება.

არც ერთი კალენდარი ამ წელში გამოსული ტფილისში ქართულს, სომხურს, თუ რუსულ ენაზედ არ არის ისეთის მდიდარის შინაარსის, როგორიც ეს კალენდარია. ვერც ერთში ვერ იპოვით იმდენ ცნობებს ჩვენი ქვეყნის შესახებ, განსაკუთრებით ეკონომიურის მხრით, როგორც აქ არის. ჩვეულებრივი საკალენდრო ცნობებიც გაცილებით უფრო კარგად არის მოყვანილი და უფრო მრავალიც. ყოველსავე განყოფილებაში (სულ 9 განყოფილებაა) მასალა რიგიანად არის შემუშავებული და ბევრი სერიოზული წერილები არის მოქცეული. მაგ., სარწმუნოება საქართველოში მ. ჯანაშვილისა; ცა

და დედამიწა; სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის ფორმები; ქართული მწერლობა პ. უმიკაშვილისა; ენა და ერი პ. სურგულაძისა და სხვ. განსაკუთრებით მდიდარია შინაარსით მეოთხე განყოფილება (150 გვერდია)—კავკასია და საქართველო, სადაც დაწვრილებით არის დასურათებული საქართველოს ყოფილი და ახლანდელი მართვა-გამგეობა, სივრცე, მცხოვრებთა რაოდენობა, სოფლისა და ქალაქის ურთიერთობა, მეურნეობა, საფაბრიკო წარმოება, კრედიტის საქმე, სწავლა-განათლება და სხვ.

კერძო წერილებში აქვე იქცევენ მკითხველის ყურადღებას: ქართველი ერის დაქუცმაცება იაკობ გოგებაშვილისა, ბრძა წინამძღოლობა ხალხის განათლებაში ი. ვარიანელისა, „წერა-კითხვის საზოგადოების“ დაარსება ვ. თულაშვილისა და სხვ.

ლიტერატურულ განყოფილებაში დათმობილი აქვთ ადგილი: ჩვენს მწერლებს: ვაჟა-ფშაველას, დუტუ მეგრელს, ია ეკალაძეს და სხვ. კალენდარში მოთავსებულია აგრეთვე სურათები და ბიოგრაფიები ჩვენი მწერლებისა და ზოგიერთ მოღვაწეებისა. ბოლოში კალენდარს დართული აქვს სია იმ წიგნებისა, რაც 1902 წ. დაიბეჭდა ქართულ ენაზედ.

კალენდარში ძალიან მკრთალად არის შედგენილი მერვე განყოფილება: საექიმო და საოჯახო ცნობები. ბიოგრაფიებიც უსათუოდ უფრო ვრცლად უნდა იბეჭდებოდეს, ისე მაინც, როგორც ბ. ი. გოგებაშვილის ბიოგრაფიაა. ლიტერატურულ განყოფილებაში უნდა ყველა ჩვენ საუკეთესო მწერლებს მიეღო მონაწილეობა და მაშინ, რა თქმა უნდა, ამ განყოფილებას მეტი ინტერესიც ექნებოდა. საადრესო ნაწილში ბევრი დაძველებული ცნობა ჩარჩენილა.

მიუხედავათ ამ წვრილმან ნაკლისა, კალენდარი უსათუოდ სასარგებლო საოჯახო წიგნად უნდა ჩავთვალოთ და მისი შეძენა ვურჩიოთ ჩვენ საზოგადოებას. სამწუხაროდ, კალენდარი

გამოვიდა იანვარში, და არა გასული წლის ნოემბერში ან დეკემბერში, როგორც მოსალოდნელი იყო*).

5. ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ დე როპპი და მისი მოგზაურობა საქართველოში, შედგენილი და გამოცემული მღვდის კონსტანტინე გვარამაძის მიერ. ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა გ. 40 ცალი 800.

1903 წლის გაზაფხულში საქართველოს ესტუმრა კათოლიკეთა ტირასპოლის ეპარქიის (საქართველოც ამ ეპარქიას ეკუთვნის) ეპისკოპოსი დე როპპი. მოგზაურობის უმთავრესი მიზანი იყო, ეკურთხებინა ბათუმის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესია, რომელიც ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების სახელობაზედ არის აშენებული, და დაეთვალიერებინა კათოლიკეთა ეკკლესიები საქართველოში. ამ ფრიად საინტერესო წიგნაკში მოყვანილია ეპისკოპოსის მოკლე ბიოგრაფია, მოთხრობილია მისი მოგზაურობა კავკასიაში. მოყვანილია რამოდენიმე საინტერესო სიტყვა, წარმოთქმული თვით ეპისკოპოსისა და ზოგიერთ ქართველების მიერ. მოკლეთ არის მოხსენებული თვით ეკკლესიის აშენების ისტორიაც, რომლიდანაც სჩანს, რომ ეკკლესიის აშენება დაუწყიათ ბათუმელ ქართველებს, მაგრამ სისრულეში მოუყვანია ბათუმელ ქართველ კათოლიკეთა ნატვრა და სურვილი ქართველ ქველმოქმედს სტეფანე კონს. ზუბალაშვილს, რომელსაც ამ შესანიშნავი შენობის აგება დასჯდომია 200,000 მანათამდე. წიგნში მოთავსებულია სურათები ბათუმის ეკკლესიისა, ეპისკოპოსის როპპისა და თვით ზუბალაშვილისა. ფრიად საყურადღებოა თვით ეპისკოპოსის დღიურიდან მოყვანილი ცნობები. ბევრი საგულისხმიერო შენიშვნები შეუტანია ეპისკოპოსს თავის დღიურში კავკასიის შესახებ.

---

*) ჩვენ ვერ გაგვიგია კალენდრის ერთი შეცდომა „მოამბის“ შესახებ: რად წაურთმევია შემადგენელს „მოამბისათვის“ საკუთარი რედაქტორი? რედ.

სამწუხაროთ, წიგნაკის გამომცემელს მოჰყავს ეპისკოპოსის დღიურიდან ადგილები, რაც შეეხება უმეტეს ნაწილად სომეხ კათოლიკეთა ეკკლესიების დათვალიერებას*) და რა შთაბეჭდილება მოახდინა ეპისკოპოსზე ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიამ და ტფილისის ქართველობამ, აგრეთვე გორმა, ქუთაისმა, ბათუმმა და საზოგადოთ საქართველომ, ამის შესახებ ეპისკოპოსის დღიურიდან არავითარი ცნობა არ მოჰყავს. ამის შესახებ მხოლოდ თვით წიგნაკის შემდგენელი მოგვითხრობს. ეჭვი არ არის, ჩვენთვის უფრო საინტერესო იქნებოდა თვით ეპისკოპოსის აზრი ამის შესახებ, ვინემ ბ-ნ მესხი გვარამაძის აზრი. როგორც წიგნაკიდან სჩანს, ეპისკოპოსის ეს მოგზაურობა დასჯდომია ქართველ კათოლიკეებს 50.000 მანეთამდე. ეპისკოპოსი დაჰპირებია ქართველებს, რომ გამოვიკვლევ კითხვას ქართველ და სომეხ კათოლიკეთა შესახებ (ამ ჟამად მთავრობა არ სცნობს ქართველ კათოლიკეებს) და ვეცდები ქართველ კათოლიკეთა კანონიერი სურვილი დედაენისა და სარწმუნოებრივ მისწრაფებათა შესახებ განვახორციელოვო, მაგრამ, სამწუხაროთ, ეპისკოპოსს დე როპს კავკასიიდან წასვლაც არ დასცლია, რომ ის გადაიყვანეს სხვა ეპარქიაში (ვილნოში) და მის ყოვლად უსამღვდელოესობის დაპირებას უფრო პლატონიური ხასიათი მიეცა.

6. თ. ალ. სუმბათაშვილი. „ღალატი", დრამა-ლეგენდა 5 მოქ., თარგმანი გრ. ყიფშიძისა. ტფილისი, სტამბა გრ. დიასამიძისა. გვ. 123. ფასი 1 მან. დაიბეჭდა 1200 ცალი.

წიგნი სუფთათ არის გამოცემული და დართული აქვს ავტორის სურათი და წინასიტყვაობა.

ბ. ყიფშიძე ქართულ მწერლობაში კარგ სტილისტად ითვლება და იმედი გვქონდა წარმოადგენდა უკეთესს თარგმანს. მას შეეძლო ზოგიერთი ადგილები გადმოეცა უფრო

*) ამ ეკკლესიებს ეპისკოპოსზე იმ ზომამდე ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ეპისკოპოსს ამ ეკკლესიებში წირვაზედაც უარი უთქვამს.

მკვირცხლათ და მოკლეთ, როგორც დედანშია და არა გაგრძელებულათ და მძიმეთ. ეს თარგმანი დიდის აჩქარებით იყო დაწყებული და იბეჭდებოდა ფელეტონებათ „ივერია“-ში და, რა თქმა უნდა, სიჩქარის ელფერი ეტყობა როგორც ფრაზების კონსტრუქციაში, ისე აღმოსავლეთის ზოგიერთ ტერმინების და სიტყვების შეუმუშავებლობაში. ეჭვი არაა, თარგმანი სრულია და დედენთან ძალიან ახლო და საზოგადოთ უნდა ჩავთვალოთ გვარიან თარგმანად. ფასი ერთი მანეთი ძვირი არის, მაგრამ, ალბათ, აიხსნება იმით, რომ პრემიათ უნდა დაურიგონ „ივერიის“ ხელის მომწერლებს.

7. პირველი ნაბიჯი, რომანი გ. წერეთლისა. ქუთაისი სტამბა ჭილაძისა გამოცემა ქუთაისის ამხანაგობისა № 19. გვ. 384 ფ. 70 კ. დაიბეჭდა 1200 ც.

წიგნი გამოცემულია კარგად და ავტორის მშვენიერი სურათი აქვს დართული. ეს რომანი პირველად დაბეჭდილი იყო ქუთაისში „ცდის“ ნომრებში და დიდი ხანია მეორეთ გამოცემას ელოდებოდა.

კრიტიკამ თავის დროზედ მიაქცია ამ რომანს ყურადღება და, ეჭვი არაა, ხელმეორეთაც მიაქცევს, მით უმეტეს რომ ამ რომანის გამოსვლის შემდეგ დღევანდლამდის ბევრი თვალსაჩინო ცვლილება მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. გ. წერეთლის მიერ აღნიშნული დასავლეთ საქართველოს პირველი ნაბიჯი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გადადგმული ახლა ცხადია თავის შედეგებით და ეს რომანიც უფრო მნიშვნელოვანი და უფრო მეტის ყურადღების ღირსი ხდება ახლა, ვინემ პირველად დაბეჭდვის დროს იყო.

8. ლექსთა ბაასი და არსენას ლექსი, ტფილისი გამოცემა ზარიძისა. ფასი 5. კ. დაიბეჭდა—1,200 ც.

ლექსთა ბაასის სახელით მოქცეულია აქ ცნობილი ქალვაჟიანი და დართული აქვს ზედ ბ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი არსენას ლექსი. წიგნაკი საბაზროთ არის გამოცემული.

9. სრული სიზმარის ახსნა. მეცხრამეტე გამოცემა კ. თავართქილაძისა, ტფილისი. დაიბეჭდა 1800 ც. ფ. 10 კ.

10. სრული სიზმრის ახსნა ანბანითა და მთვარითა. მკითხაობა ჰურის მარცვლით, ასო სამღერალი და კვიმატი ღღეები. გამოცემა ალ. შახბარათოვისა № 14. ტფილისი, ტამბა როტინიანცისა ფასი 25 კ. დაიბეჭდა 2,000 ც.

ორივე ზემოთ მოხსენებული წიგნი, სამწუხაროთ, ძალიან გავრცელებულია ხალხში, რომელიც სასარგებლო გონებრივ საზრდოს მოკლებულია.

შინაარსით ისინი არაფერს საინტერესოს არ წარმოადგენენ და მხოლოდ ცრუმორწმუნეობის იარაღად ხდებიან.

11. ხალხური მესხური ლექსები, შეკრებილი და გამოცემული მესხი კონსტანტინე გვარამაძისაგან. ტფილისი. გვედი 30. ფ. 5. კ. დაიბეჭდა 1900 ც.

ჩვენს მწერლობაში არა ერთხელ ყოფილა ბაასი სხვა და სხვა კუთხეებში ზეპირ გადმოცემათა შეკრების და გამოცემის შესახებ. ვის არ გაუგონია, რამდენი წყობილი თვალმარგალიტია გაბნეული აქა-იქ ჩვენს დალოცვილს საქართველოში და შეგროვებას უნუგეშოთ მოელის. ამ მხრივ. ბ. გვარამაძის მცირე შრომაც ყურადღების ღირსია. მას შეუკრებია სახალხო ლექსები მესხეთში, იმ კუთხეში, რომელიც ხშირად და დიდის ხნობით ყოფილა განსხვავებულ ისტორიულ პირობებში, ვინემ დანარჩენი საქართველო. შეგროვილია სულ ოცდაოდე პატარა, მაგრამ საგულისხმიერო, ლექსი, ალბათ, ერთი მეათასედი ნაწილი იმისა, რაც შეიძლებოდა შეგროვილიყო, მაგრამ ეს პატარა მასალაც არ მოუყვანია ავტორს ჯეროვანს სისტემაში. ლექსები სადღესასწაულო, საქორწილო, საკეკვაო, საარშიყო და ისტორიული ზეპირ გადმოცემებიც ერთი მეორეში არიან აბნეული და არეული. უსათუოდ საჭიროა, რომ ვინც ასეთ შრომას გასწევს, როგორც ეს ბ. გვარამაძეს გაუწევია, ისიც მიიღოს მხედველობაში, რომ ასეთ მასალებსაც, როგორიც ეს პატარა კრებულია, უნდა მიეცეს სისტემატიური ხასიათი, რომ

ამით გაუადვილონ შრომა ჩვენ ზეპირ-სიტყვაობის მომავალ მკვლევართა და გამომცემელთა.

როგორ უნდა იკრიბებოდეს სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები, ამის შესახებ ბევრი დაწერილა თვით „მოამბე“-ში და სხვა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში, და აქ აღარ გავიმეორებთ.

X

ნარევი

ფინლანდიელი პოეტი რუნებერგი. ჰელსინგფორსის უნივერსიტეტმა და მასთან ერთად მთელმა ფინლანდიამ 23 იანვარს იდღესასწაულა სახელოვან ეროვნულ პოეტის რუნებერგის დაბადება (1804—1904). რუნებერგი სვედელი იყო, სვედურად სწერდა, მაგრამ თავის პოეზიით ღვიძლი შვილი იყო ფინლანდიისა და ამიტომ გახდა საყვარელ ეროვნულ პოეტად სვედელთათვისაც და ფინლანდელებისთვისაც. მისი ლექსი „ჩვენო ქვეყანავ, ჩვენო მშობელო ქვეყანავ" საერო ჰიმნად გაიხადა ამ ორმა ერმა. რუნებერგი დაიბადა 1804 წ. განათლება მიიღო ჰელსინგფორსის უნივერსიტეტში და ჯერ ისევ სტუდენტი იყო, რომ წერა დაიწყო. საუკეთესო მის თხზულებად ითვლება: 1) კუზო პერროში (1831 წ)—ეპიზოდი რუს-სვედთა ომისა; ყაზახთაგან ფინლანდიელის ოჯახის წვალება; 2) ირმის მკვლელნი (1832 წ.) და ჰანნა—პოემები ხალხის ცხოვრებიდან. ფინლანდიურად არა დაუწერია რა, მაგრამ ამ ხალხის ეროვნულ თვითცნობიერების აღორძინებაში და განვითარებაში იმოდენი ღვაწლი მიუძღვის თავის თხუზულებებით რუნებერგს, რომ ფინლანდიელებმა მას უძღვნეს სახელი—მამა ეროვნულის პოეზიისა. სკანდინავიაში ამ ენებს თითქმის ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ და განათლებული ფინლანდიელი ერთნაირად კარგად ხმარობს თავის ენასაც და სვედურსაც; ამ უკანასკნელს დროს ფინლანდელებმა შესამჩნევად წასწიეს წინ თავიანთი მწერლობა და უპირატესი ალაგი საკუთარს ენას დააჭერინეს. დღითი დღეიზრდება, მათი ლიტერატურა და იმე-

დია, ამ ცოტა ხანში ღირსეულს ალაგს დაიჭერს ევროპიელ ერთა მწერლობაში.

* *

მკვდარი გულის გაცოცხლება. მეცნიერულ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული, რომ ავადმყოფობისაგან სიკვდილი— სხვა-და-სხვა ორგანის მოქმედების ნელ-ნელი მისუსტება და ბოლოს სრული მოსპობა არისო; შეიძლება ორგანიზმი რომ მოკვდეს, მასთან ერთად ყველა ორგანმა არ მოსპოს მოქმედება, მაგრამ მკვდარ ორგანიზმში ცოცხალი ორგანი დიდხანს ვერ გაიტანს თავს და ისიც მალე მოკვდებაო. ამას წინად ფრიად საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა ფიზიოლოგმა კულიაბკომ მკვდარი გულის გაცოცხლების შესახებ, რომლითაც მტკიცდება სრული უსაფუძვლობა ზემოდ მოყვანილ აზრისა. კულიაბკომ ერთნაირი სითხე გაატარა მკვდარი ბაცაცის გულში და თუმცა ზოგი 5 დღის მკვდარი იყო, ზოგი შვიდისა, გულმა ისეთივე რითმიული ცემა დაიწყო, როგორიც ცოცხალი არსების გულს შეუძლიან. მკვდარი ბაცაცები ყინულში ჰქონდათ შენახული. მკვდარი კაცის გულზედ სცადეს შემდეგ იგივე სითხე, მაგრამ იმავე გარემოებაში მოათავსეს ადამიანის მსხვილი გული, რომელშიც ბაცაცის პაწაწკინა გულს სცდიდნენ, და ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ბავშვის გული კი რამდენიმე გააცოცხლა გულიაბკოს სითხემ: სულ 9 ბავშვის გულზედ სცადა მეცნიერმა თავისი წამალი; უნცროსი დღისა იყო, უმფროსი ექვსი თვისა; ზოგი ფილტვების ანთებას გადაეტანა, ზოგი ხუნაგს, ზოგი ყვანას. ცხრა გულიდან—სამი ვერ გაცოცხლდა, ერთი ოცის საათის მკვდარი, სრულიად გაცოცხლდა, ექვსი კი ოდნავ. თავის ცდას კულიაბკო ჯერჯერობით არავითარ პრაქტიკულს მნიშვნელობას არ აძლევს. ჯერ გამორკვეული არ არის— რა არის სიკვდილი, და თუ მნიშვნელობა აქვს რამე გულის გაცოცხლებას, უფრო ამ მხრივ არის საინტერესო. ცხადია, ორგანიზმი რომ მკვდება, მაშინვე არ კვდებიან ყველა ორგანები; სიკვდილი ნელ-ნელა ერევა სხვა და სხვა ნაწილს ორგა-

ნიზმისას და შეუძლებელია შეუცდომლად სთქვას მკვლევარმა—ეს ორგანი მოკვდა, ეს ჯერ არაო; ან ეს ორგანი უკვე მომკვდარა და მის სიცოცხლისკენ გამობრუნება შეუძლებელიაო.

* *

ჭაობის ხალხი. სერ ფრ. ვინტერს ახალ-გვინეაში უცნობი ხალხი აღმოუჩენია, რომელთაც მეზობლები აგიამბოს უწოდებენ. სულ 3000 სული იქნება და კუნძულის შუა გულში, ჭაობებში ცხოვრობენ. ამ ჭაობებში ბოძებზედ აქვთ ამართული თავიანთი სახლები და ერთმანეთთან ნავებით დაიარებიან, ან ცურვით. ხმელეთის კი არა, უფრო წყლის მცხოვრებნი არიან და იმდენად შეჩვეულან აქ ცხოვრებას, რომ სიარულიც კი იციან წყლის ძირში; მიწაზედ სიარული კი ეძნელებათ; ხეზედ ასვლა და ხიდგან ხეზედ გადასვლა ძალიან ეხერხებათ. ტანით სრული ადამიანები არიან, ფეხები კი ძალიან სუსტი და განუვითარებელი აქვთ. ჯერ ისევ პირვანდელს ყოფაში ცხოვრობენ, თუმცა ცეცხლის ხმარება უკვე იციან.

* *

სვედური გიმნაზია. სვედურ საშუალო სასწავლებლებში ამ უკანასკნელ დროს ცდილობენ სწავლებას საზოგადოებრივი წესწყობილებისას. ჯერ-ჯეროობით 11 კერძო სასწავლებელში უკითხავენ მოსწავლეთ ამ საგანს. ლექციებს კითხულობენ მასწავლებელთა გარდა გამოჩენილი ლიტერატორები. უმთავრეს ყურადღებას აქცევენ: სოფლის თვითმმართველობას და ღარიბთა შესახებ კანონებს; კერძო ქველმოქმედებას სვედიის დედა ქალაქს სტოკჰოლმში; კანონების მიერ მფარველობას ბავშვებისას; სახალხო განათლებას, სვედელ ქალის და დედაკაცის უფლებათ და სხ.

* *

ბადის სარგებლობა. ახლად აღმოჩენილი ელემენტი რადიფრიად სასარგებლო წამლად გამოდგა ეგრედ წოდებულ კუს მოსარჩენად; მაგრამ ხშირად კუ არ ეტყობა ავადმყოფს და

იმავე დროს ისე შეუხუთავს სასას, რომ ყლაპვას მოუსპობს და სიმშილით მოჰკლავს, თუ მუცელი არ გაუჭრეს და ისე არ მიაწოდეს საჭირო ნოყიერება. ვენელი პროფესორი ექსნერი სასის შეხუთვასაც რადით სწამლობს და იმდენს შვებას აძლევს სნეულს, რომ სასას უგანიერებს და საჭმელ-სასმლის ჩაყლაპვას შესაძლებლად უხდის.

* *

სპენსერის ავტობიოგრაფია ორ ტომად იბეჭდება და ამ გაზაფხულზედ გამოვა ინგლისურად. გამოჩენილს ფილოსოფოსს არ დასცალდა თითონვე დაემთავრებინა თავის ცხოვრების აღწერა და უკანასკნელის ხუთი წლის ცხოვრება მისმა მეგობარმა დუნკანმა დასწერა.

* *

ტურინის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დაწვამ ბევრი ფრიად იშვიათი და ძვირფასი ხელნაწერი დააკლო კაცობრიობას. ბიბლიოთეკაში 250,000 დაბეჭდილი წიგნი ინახებოდა და 4,146 ხელნაწერი; წიგნთაგან ასი ათასი დაიწვა და ხელნაწერები თითქმის ყველა. სხვათა შორის დაიწვა მრავალი ბიზანტიური დოკუმენტი, ციცერონის და კასიოდორის ნაწერები, ბუნებრივ მეტყველება პლინისა ნახატებით, რომელიც ოთხი ათას თუმნად იყო დაფასებული; გლობუსი, მილანში გაკეთებული 1570 წ., აღმოსავლეთური და ეგვიპტური პაპირუსები.

* *

მეტრული ზომა ინგლისში. გაიხსნება თუ არა ლორდთა პალატის სხდომები, ლორდი ბელჰავენი და ლორდი კელვინი მაშინვე შეიტანენ წინადადებას, რომ ინგლისში მეტრული ზომა იქმნას შემოღებული. ამ საგანს მრავალი მომხრე ჰყავს ინგლისის მოწინავე, უფრო განვითარებულ, წრეებში მით უფრო, რომ ჯერ ისევ 1773 წ. ჯემს უაიტმა აღძრა კითხვა ინგლისურ ზომათა სისტემის შეცვლაზედ იმ რიგად, რომ ათეულებად განიყოფებოდეს ყოველი ზომა და, მეტრული სისტემის ურთი-

უპირატესობათაგანიც ხომ ეს არის. რუსეთშიც ეპირებდნენ მეტრული ზომის შემოღებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ მეცნიერულ თხზულებებში ხმარობენ და ინგლისის მაგალითმა იქნება ამაოდ არ ჩაგვიაროს.

* *

უცნაური თეატრი. შეერთებულ შტატებში ამას წინად ხომალდზედ გამართეს თეატრი. ამ თეატრმა ოზიოს, ილლინოის და მისსისიპზედ უნდა იაროს. დარბაზი ათასი მაყურებლისთვის არის მოწყობილი და განიყოფება პარტერად და ლოჟებად; ორკესტრისთვის ცალკეა ალაგი. საცა კი სამყოფი მაყურებელი ეგულება, უნდა გაჩერდეს ეს მცურავი-თეატრი და წარმოდგენა გამართოს. თეატრის მოსვლას ხალხს ხომალდი ერთნაირ ფრიად სასიამოვნო საყვირით აცნობებს. თეატრი ელექტრონით არის განათებული, მსახიობნი — ერთობ დახელოვნებულნი — მეზღვაურნი არიან.

* *

მისაბაძი მაგალითი. ამ ზამთარს ბერძნის თეატრმა ისე მოაწყო საქმე, რომ ყველას შეაძლებინა წარმოდგენებს დასწრობოდა: კვირაში ორჯელ შესავალ ფასად ერთად ერთი აბაზი დანიშნა (ნახევარ ფრანკი) და მით გაუადვილა ღარიბს ხალხს საუკეთესო ნაწარმოების და არტისტების ნახვა. თეატრის გამგეობას ეშინოდა — ვაი თუ აბაზად ნაყიდი ბალეთები ძვირად ჰყიდონ და ტყუილად ჩაგვიტარონ ჩვენი განძრახვანო, და ამიტომ ბილეთის ყიდვა მარტო თეატრში შესვლისთანავე და ამასთან თითო ბილეთზედ მეტის შეძენის ნება არავის მისცა. ბილეთი კონვერტში დევს და კიდეც რომ მოინდომოს ვინმე, ვერავის მიჰყიდის, რადგან გახსნილ კონვერტიან ბილეთით თეატრში არ უშვებენ, და გაუხსნელში კი, ვინ იცის რა ალაგი შეხვდება — პირველი წყობის, თუ უკანასკნელისა. თეატრში ალკოოლიან სასმელებს არ ჰყიდიან. თეატრის ზარალის დასაფარავად კერძო წრე შედგა და პირველსავე მის მიწოდებაზედ რვაასი თუმანი მოაგროვა.

* *

ახალი იტალიური ჟურნალი. ენრიკო კორრადინიმ და ჯიოვანნი პაპინიმ ქ. ფლორენციაში დააარსეს ახალი ჟურნალი „სამეფო“, რომლის მიზანი იქნება იტალიური, ეროვნული ხელოვნების და თვითცნობიერების აღძვრა და განვითარება და უცხო ერთა პოლიტიკურ და ეკონომიურ ზედგავლენასთან შებრძოლება.

* *

ამერიკული ქალაქის მართვა. ქ. ფილადელფიის მოთავედ, ერთი ამერიკული ჟურნალის სიტყვით, იმისთანა მოხერხებული ქურდები არიან, რომ ამ ხუთის წლის განმავლობაში 200 მილიონი მანეთი მოჰპარეს ქალაქს; მოჰპარეს სრულიად კანონიერად, ისე რომ მათი რაშიმე გამტყუვნება ყოვლად შეუძლებელია, მით უფრო რომ ყოვლად ძლიერნი ისინი არიან მთელს ქალაქში. ხაზინადარის ანგარიშიდან სჩანს, რომ 1902 წელს ქალაქს 40 მილიონი მანეთი დარჩა ყოველ ხარჯს გარეთ და წელს კი იქნება ხარჯი ვერც კი დაჰფაროს შემოსავალმაო.

* *

იაპონელის აზრი ტოლსტოის შესახებ. იაპონელი ვინმე იშიკავა ამტკიცებს, ევროპიელების განათლება ქრისტეს მოძღვრების შედეგი არ არისო. „რამდენი ევროპიელი მოეხირება ჩვენს ქვეყანაში; აბა ჰკითხეთ—რა აზრისაა თავის სარწმუნოებაზედ? და მაშინვე დარწმუნდებით, რომ თავის საქმეების და ჯიბის მეტი არა სწამს რა, მით უფრო, რომ მისი საქმე ძირიანად ეწინააღმდეგება მის სარწმუნოებას. ევროპაში ქრისტიანობა ისეა დაცემული, თითქო ქრისტიანნი თავის დღეში არ ყოფილანო; სარწმუნოებრივი მათი ფიქრი დღეს ქრისტესთან კი არა, ტოლსტოისთან არის და ნიცშესთან. ევროპიულ განათლების გამომეტყველი და დამახასიათებელი თუ გნებათ, ნიცშე გახლავთ, სახარების უარმყოფელი. და სახარების გამომეტყველი, ღვიძლი შვილი, თუ გნებავთ, ტოლსტოი გახლავთ, განათლების უარმყოფელი“.

* *

ომის მიზეზი. იაპონელი თ. ოკუმა ამტკიცებს, ომის მიზეზი კორეა კი არა, მარტო და მარტო მანჯურია არისო. მანჯუ-

რია რომ რუსებს შევანარჩუნოთ, თავს დავიღუპავთ, რადგან მაშინ მარტო მანჯურიითაც გვაჯობებს რუსეთი; სულ ცოტა რომ ვთქვათ, 500 ათას კაცს თავისუფლად გამოიყვანს აქედგან საომრად და ჩვენ მოგვისევს. მანჯურელი ჩინგის-ხანის შთამომავალია და დღესაც იგივე მძლავრი და უძლეველი მხედარია, რაც უწინ იყო. მანჯურიაში რუსეთის გამაგრება და ჩინეთის დამორჩილება ერთი იქნება, ამას კარგად გრძნობს რუსეთის მართებლობაც. რა დიდ მნიშვნელობას აძლევს ჩინეთის სამკვიდრო მანჯურიას რუსეთი იქიდგანა სჩანს, რომ თავი მიანება თავის ინტერესებს ბალკანეთში და შორეულს აღმოსავლეთში დაიჭირა საქმე. გარდა ამისა, თუ რუსეთმა მანჯურია დაისაკუთრა, გერმანია შანსუნგს დაისაკუთრებს, საფრანგეთი—კვენგტუნგს, ინგლისი—იანგცეს მინდორს და... სხვებს კი არ უნდათ მეტის შეძენა? დაგვერევიან და მიწასთან გაგვასწორებენ აზიელებს. იაპონიის წარმატება იმაზედ არის დამოკიდებული, რომ ჩინეთში შეეძლოს თავის ნაწარმოების გასაღება. თუ ჩინეთში ევროპიელნი დამყარდნენ, საქონელს მძიმე ბაჟს დააღებენ და სულს ამოგვხუთავენ.

* *

ევროპიელთაგან გაურეკნელი ხალხი. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ თურმე იპოვება მიწის პირად ხალხი, რომელსაც გაუძლია და ევროპიელთა განათლებას—ლოთობას და გარყვნილებას—არ დამორჩილებია. დიდი ქებით მოიხსენიებს ამ ხალხს, ცეცხლის კუნძულზედ მცხოვრებს და ონასად წოდებულს ინგლისელი ბერკლეი. ღვინოს, არაყს და ერთობ ალკოოლიან სასმელს არა სმენ თურმე და დიდ შეურაცხყოფად მიიღებენ, თუ გაუბედა ვინმე და ამგვარი სასმელი შესთავაზა. მაგრამ როგორც სატანა აცდენდა ქრისტეს, ისე შესჩენიან ინგლისელი ვაჭრები და ცდილობენ—დაალევინონ არაყი, ზედ მიაყოლონ სხვა და სხვა სნეულებანი და ამოწყვიტონ საწყალი ხალხი.

* *

ოდისსეის დამწერი. პიერ კილიარი ამტკიცებს, რომ ოდისსეის თავგადასავალი ფინიკელ მწერლობაში იყო აწერი-

ლი და ბერძნებმა იქიდგან გადაიღესო. მეცნიერი ჟანეგნი დიდს მსგავსებას ჰპოვებს ოდისსეასა და ასსირიულ ეპოპეის „გილგამიშ“-ს შორის. ოდისსეა დაწერილი უნდა იყოს ებრაელთა კუმეში დასახლებიდგან (XI-ს.) ბერძენთაგან სიცილიის დაჭერამდეო. (VIII-ს. ქრ. შობამდე).

* *

ველური ხალხი. ელიზე რეკლიუს სიტყვით, ძმ. სარაზენთ ხელებეს კუნძულზედ ველური ხალხი აღმოუჩენიათ „ტა-ოტა“, რომელმაც ჯერ ცეცხლის ხმარება არ იცის. მართალია რუსი მოგზაური მიკლუხა-მაკლაი ამტკიცებდა, ახალს გვინეაში ამბობენ—ცეცხლის ხმარებას სულ ორი-სამი თაობა არის რაც შევეჩვიენითო, მაგრამ ამას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ და მეცნიერებაში უეჭვო ჭეშმარიტებად იყო მიღებული ის აზრი, რომ უცეცხლო ცხოვრება ადამიანისა დიდი ხნის საქმეა და პირვანდელს, უკვე დავიწყებულს დროებას ეკუთვნის. შემცდარი გამოდგა ეს შეხედულება და დღესაც მოიპოვება დედამიწის ზურგზედ ყოველი დარგის განათლების ხალხი, იმისთანაც კი, რომ ძნელი გადასაწყვეტია—პირუტყვს წარმოადგენს, თუ ქვეყნიერების მეუფედ წოდებულს ადამიანს!

ტა-ოტებმა სამს იქით თვლა არ იციან; სარწმუნოებრივი გრძნობა არა აქვთ; ბუჩქნარში ცხოვრობენ; ხილით და ფესვებით იკვებებიან, ბრძოლისა არა იციან-რა, არც ერთმანერთში, და ჯერჯერობით არც მეზობლებთან. მეტის-მეტად მხდალნი არიან, ცდილობენ—არაფრით გააგებინონ მონადირეებს თავიანთი არსებობა და იმისთანა მოხერხებით იმალებიან, რომ ძალიან გამოცდილნიც ვერარ მიაგნებენ ხოლმე მათ კვალს.

* *

ჰიპნოტიზმი აბაშაში. მენელიკის მიერ მეტად პატივცემული შვეიცარიელი ბ. ილგი ამტკიცებს, აბაშაში ქურდებს და კაცისმკვლელთ ჰიპნოტიური ძალის წყალობით აღმოაჩენენ ხოლმეო. 12 წლის ბავშვებს იშველიებენ, რომელთაც ლაბასჰა-ს უწოდებენ. ამას წინად ადის-აბადაში ცეცხლი წა-

უკიდეს ერთს სახლს და თუმცა ძალიან ეცადა პოლიცია, დამნაშავე ვერსად იპოვნა. მაშინ ბავშვი დაიბარეს და ჰიპნოტიურად ჩააგონეს—უნდა გვიპოვნო ცეცხლის წამკიდებელიო. ბავში წავიდა, ქუჩები გაიარა, მინდორში გავიდა და იქ ერთს მუშას დაადო ხელი. მუშა დაიჭირეს და აღიარა კიდეც თავისი დანაშაული. მეორედ ბავშვს უბრძანეს კაცის-მკვლელის პოვნა. ჯერ ეკლესიები დაიარა ბავშვმა, თან, რასაკვირველია, პოლიციის მოხელეები დასდევდნენ, მერე რამდენიმე სახლი, და ბოლოს ერთ სახლის კართან წამოწვა. იმდროს სახლში არავინ იყო. სახლის პატრონი რომ დაბრუნდა, დაიჭირეს. ჯერ უარი სთქვა, მაგრამ ბოლოს გამოტყდა და სთქვა—კაცი რომ მოვკალ, ჯერ ეკლესიებში ვიარე, მერმე ამ და ამ სახლებში ვიყავო... იგივე გზა დაასახელა, რომელიც ბავშვმა გამოიარა.

ფრანგული „საექიმო გაზეთი“ ამობს, ამ საშუალებას საფრანგეთშიც ხმარობენო და მაგალითსაც მოგვითხრობს ამ გვარად დამნაშავის აღმოჩენისას.

* *

პირუტყვის გონება. რომ პირუტყვსაცა აქვს გონება, ოღონდ განუვითარებელი, ყველასთვის ცხადია. პანრი კოპენს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს დასამტკიცებლად პირუტყვთა მოსაზრებისა, შურისძიებისა და წინადვე განძრახულ ხუმრობისა.

ზოოლოგიურ ბაღში დამწყვდეული მაიმუნი თავზედ წამოიცვამს ხოლმე პატარა ქვაბს, რომლითაც წყალს უდგამენ, და იმისთანად იღრიჯება, რომ სიცილით ხოცავს მაყურებელთ. მაგრამ ერთი ოფიცერია მათ შორის, ძალიან ხშირი სტუმარი ბაღისა, რომელიც არა თუ არ იცინის, პირიქით, აჯავრებს და აწვალებს მაიმუნს. აგერ დაინახა მაიმუნმა შორიდგან მომავალი თავისი მტერ-მოყვარე, იქვე ტალახი აზილა, ხელში დაიმალა და შიგ პირში მიარტყა ოფიცერს. რაც უნდა დაღონებული ყოფილიყო მას შემდეგ, იმ ოფიცრის დანახვა და იმის გამხიარულება ერთი იყო.

ერთს ნატურალისტს ძაღლი ჰყავდა, რომელსაც ძალიან უყვარდა ფანჯარაში ბუზების სრესა, და თან ძალიან სწყინდა

დაცინვა. ერთხელ, საცდელად, ბუზი რომ გაუფრინდა, სიცილი დავიწყე, მოგვითხრობს იგი, თითქო ჩემმა სიცილმა სიმარდე მოაკლოვო, რამდენსაც გამოეკიდა, ყველა გაუფრინდა; მე კი უფრო და უფრო გულიანად ვიცინოდი; რომ ველარას გახდა, პირი წაჰკრა და ვითომ დავიჭირეო, იატაკზედ დასდო, გასრისა, სწორედ ისე, თითქო მართლა გამარჯვებული ბრძანდებაო. მე ფანჯარაზედ მივუთითე, სადაც ბუზი თავისუფლად დანავარდობდა და იატაკზედ, რომელსაც გასრესილი ბუზისა არა ეტყობოდა. აქ კი შერცხვა ჩემს ძაღლს, კუდი ამოიძუა და ტახტ ქვეშ შეიმალა.

შეიტლინი ამბობს, ალპის მთებში ვსეირნობდით რამდენიმე კაცით. ერთი ცხენი გამოგვიდგა შორიდან: თქაფა-თქუფით წამოვიდა და—არ იქნა, გაგვიტანაო, რადგან ვიწრო ბილიკზედ ვიყავით, უცბად შესდგა, სწორედ ერთი ნაბიჯის მანძილზედ. თითქო მოეწონა ჩვენი შიში, გაბრუობდა, ცოტა დრო მოგვცა დავშორებულიყავით და ისევ გამოგვეკიდა და ისევ ისე ერთი ნაბიჯის მანძილზედ შედგა. ოთხჯერ გაიმეორა ეს ხუმრობა და, ეტყობოდა, ძალიან სტკბებოდა თავის ძალით და უპირატესობითაო.

ერთმა კაპიტანმა ცხარი პილპილი წააყარა კარაქ წასმულ პურს და სპილოს შეაჭამა. ექვსი კვირა დაიცადა—დაავიწყდება, თუ არაო; მერმე მივიდა და ძველებურად ალერსი დაუწყო. ჯერ არაფერი შეიმჩნია სპილომ, მაგრამ კაპიტანი რომ გაბრუნდა, ჭუჭყიანი წყალი ჩაიყენა ხორთუმში და თავით ფეხამდე გაზუნზლა.

ძაღლს ხორცი მოეტაცა და სჭამდა. იქვე ყვავები იყვნენ. ხან აქეთ მოუარეს, ხან იქით, მაგრამ ვერას გახდნენ. ბოლოს, თითქო მოლაპარაკება უნდათ, ერთად შესხდნენ ღობეზედ და ყვას ძახილი დაიწყეს; მერმე ორნი ხორცს მიუახლოვდნენ, ერთმა კი უკანიდან მოუარა ძაღლს და ნისკარტი ჩაჰკრა კუდში. ძაღლი რომ იმისკენ გაბრუნდა, ხორცი მოსტაცეს და წაიღეს.

შინაური მიმოხილვა

კერძო თაოსნობის საჭიროება

სამძიმოა საზოგადოდ იმ ხალხის მდგომარეობა, რომლის ცხოვრებაშიაც რაიმე ღრმა ცვლილება გარედან შემოიჭრება, უცებ,—ადგილობრივ რეალურ ნიადაგის მოუმზადებლად,—იჩენს თავს და იწყებს განვითარებას. ადამიანის გონება ბუნებით ზანტი და კონსერვატორია,—იგი ადვილად ვერ იშორებს ძველ აზრ-შეხედულებას, მალე ვერ ეჩვევა ცვლილებას და ვერ იგებს ახალ ვითარებას. საშუალო ადამიანი ხშირად ისევ ძველებურად სჯის და აზროვნობს, ძველის წესით ცხოვრობს და მოქმედობს და სრულებით ვერ ამჩნევს, რომ სოციალური ცხოვრება ძირიან-ბუდიანად შეიცვალა და საზოგადოებაში ახალი ურთიერთობა და დამოკიდებულება დამყარდა. მას ჰგონია, ისევ წინანდელს ნიადაგზე დგას, მაშინ როდესაც ცხოვრების ახალი ვითარება ფეხიდან აცლის ამ ნიადაგს და საეჭვოდ ჰხდის მთელს მის არსებობას. იგი იკვებება ძველებურ ოცნებით, თავს იტყუებს უნიადაგო იმედით, ეძლევა გონებრივს სიზანტეს და უდარდელობას,—და ეს სწორედ მაშინ, როცა გარემოება მოითხოვს მეტს სიფხიზლეს და დაკვირვებას, თავის მდგომარეობის გულდადებით აწონ-დაწონვას და საესებით შეგნებას.

ასეთი სიფხიზლის ნაკლებობა და მძინარობა ემჩნევა დღეს ჩვენი ძირითად საკითხების შესახებ ქართველ „საზოგადოებას“. თანამედროვე ცხოვრებაში არის ბევრი ისეთი გარემოება, რომელიც აბრკოლებს ჩვენს ხალხოსნურ წარმატებას და საფრთხეში აგდებს ჩვენს ეროვნულ არსებობას. და ამ დროს კი ჩვენ

ვიჩენთ სრულს უზრუნველობას, ფიქრად არ მოგვდის დავუკვირდეთ საერთო მდგომარეობას და ვეცადოთ შეერთებულის ძალით ბრძოლას და დაბრკოლებასთან გამკლავებას. ნაცვლად მოქმედებისა, ძვირფას დროს მარტო ლაპარაკში ვატარებთ, აღძრულ შავ ფიქრებს წარსულის მოგონებით ვაძინებთ და გულს უნიადაგო ოცნებით ვიოხებთ. ჩვენში მოიპოვება არა ერთი და ორი „განათლებული“ კაცი, რომელიც მარტო იმ საფუძვლით, რომ ძველად საქართველოზე ათასი რჯულის ხალხს გადაუვლია, მაგრამ ქართველი ხალხი მაინც ქართველად დარჩენილა და ხალხსნობა ჯერ დაუკარგავს, ნეტარს სიმშვიდეს ეძლევა და ჰფიქრობს, რომ ჩვენს ეროვნებას მერმისშიაც არ მოელის არავითარი განსაცდელი და დაბრკოლება. თურმე ასეთ დამამშვიდებელ გაკვეთილს იძლევა ჩვენი ისტორია და წარსული ცხოვრება. ტყვილად დაუწყებთ ასეთ ოპტიმისტს მტკიცებას, რომ დრო და გარემოება გამოიცვალა, რომ ეხლა რკინის გზისა და ტელეგრაფის ხანაა, სხვა და სხვა ხალხთა მოძრაობა ადვილი და ხშირია, უცხოს გავლენა საკუთარს თავისებურობაზე დიდი და ძლიერია, რომ „ისტორიის“ შემდეგ ეკონომიური წესი და განწყობილება შეიცვალა და ეხლა ხალხის დაპყრობა და სულიერად თუ ეკონომიურად დამონავება უთოფ-ზარბაზნოდაც შეიძლება,—ტყვილად დაუწყებთ მეთქი ყველა ამაებზე ლაპარაკს: იგი მაინც წარსულს ეპოტინება და იქ ეძებს თავის უაზრობის საბუთს და დამტკიცებას.

სამწუხაროდ,—და, შეიძლება, სასიამოვნოდაც,—პირადად ჩვენ ვერ თანავუგრძნობთ ამგვარ დამაძინებელ ოპტიმისტობას. პირიქით, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა მიგვაჩნია ფრიად სერიოზულად და ღრმად დამაფიქრებლად... და ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა ნამდვილი ვითარების არა დაფარვა და მიფუჩეჩება, არამედ საჯაროდ გამოცხადება და საზოგადოებრივის შეგნებისა და თვით-ცნობიერების გაღვიძება ავადმყოფს უნდა უთხრან და გააგებინონ დროზე მისი სენი და დაავადება, რომ მან შესძლოს ღონისძიების ხმარება;

ძალის მოკრება და სენისგან განკურნება. მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებისა, ჩვენი სენი არც ისე უიმედოა, რომ მხნეობითა და ენერგიულის მუშაობით არ შეიძლებოდეს მისი ძლევა და ჩვენი ხალხოსნური პოზიციის უფრო გამაგრება და განმტკიცება. მხოლოდ საჭიროა შრომა, კიდევ და კიდევ შრომა, მუყაითობა, შეგნებული და მიზან გათვალისწინებული მოქმედება, რომელიც ასე არ გვიყვარს ჩვენ და რომელსაც უნდა დავეჩვიოთ უეჭველად. ენერგიული მუშაობა სასწაულს ახდენს სხვა ხალხებში,—ამის მაგალითს მკითხველი ქვევით დაინახავს,—და ასევე ნაყოფიერი იქნება იგი ჩვენშიაც. შეთანხმებულ მოქმედებას ბევრი რამ შეუძლია,—ხშირად იგი, აღფრთოვანებული საერთო იდეით და მისწრაფებით, სძლევს ისეთ დიად დაბრკოლებას, რომელიც კაცს ერთის შეხედვით ეჩვენებოდა უძლეველად და მოწინააღმდეგის შემმუსვრელად. ჩვენშიაც საზოგადო საქმეები, რომელნიც მოითხოვენ შეერთებულ ძალ-ღონით მუშაობას, მრავალთ მრავალია და ამათში ბევრი ისეთი, რომელიც ჩვენი ეროვნულ თვით-არსებობის ძირითად საკითხს შეადგენს და ამიტომ ღირსია განსაკუთრებულის ინტერესის და ყურადღებისა. ჩვენ გვინდა დღეს ერთ ამგვარ საკითხზე მივუთითოთ მკითხველს და გავაცნოთ, თუ რა და როგორ უმოქმედნია ამისთვის ერთ-ერთ უცხოეთის ხალხს. ეს საგანია—ტერიტორიის დაცვა საქართველოში და ადგილ-მამულის შერჩენა ქართველებში.

ვურც ერთი ხალხი ვერ იარსებებს, ვითარცა ერი, თუ მას არ აქვს მიწა-წყალი, არ აქვს განსაზღვრული ტერიტორია. ტერიტორია ერთი პირობათაგანია ეროვნულ არსებობისა და განვითარებისათვის. „სამშობლოს არსებობისათვის — სწერს ლუი ლეგრანი (L'Jdée de patrie, გვ. 39—40),—საჭიროა ტერიტორია, რომელზედაც აღმოცენებულა და განვითარებულა ეროვნული ცხოვრება. ეულ ხალხებს, რომლებიც შიმშილისა თუ ფანტაზიის მიხედვით ხან ერთ ადგილას გაიკეთებენ ხოლმე კარვებს და ხან მეორეს, არ აქვთ სამშობლო. ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ისრაელები სამშობლოს მოკ-

ლებული იყვნენ, სანამ პალესტინაში არ დასახლდნენ. იმათ, ვითარცა ისრაელებს, აღარ აქვთ სამშობლო მას შემდეგ, რაც იძულებული გახდნენ იუდეა მიეტოვებინათ და მთელი დედამიწის ზურგზე გაფანტულიყვნენ... გეოგრაფიულ პირობებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ცა, ჰავა, ნიადაგის მოყვანილობა, მიწის კულტურა—ყველა ეს აძლევს მხარეს იმ ფიზიკურ სახეს, რომლითაც ჩვენ მას ვხედავთ და გვიყვარს. ამისთვის საჭირო არაა, რომ მზე იყოს ბრწყინვალე, ჰავა რბილი, ნიადაგი მდიდარი და ნოყიერი. პირიქით, შემჩნეულია, რომ ადამიანი მით უფრო ეკვრის თავის სამშობლო მიწას, რაც უფრო უმადურია იგი. შვეიცარიელს უყვარს თავისი მთები, ჰოლანდიელს ჭონჭყოები, რუსს გაყინული უდაბნოები. ტერიტორიას, იმის მიხედვით, სწორეა იგი თუ მთებიანი, წყლიანია თუ უწყლო, ღარიბი თუ მდიდარი, ცივი თუ ზომიერ ჰავის მქონე, მადნებიანი თუ მარტო მცენარეულობის მომცემი,—გავლენა აქვს მცხოვრებთა ზნე-ხასიათზე და ეკონომიურ მოქმედებაზე. იგი ჰქმნის თუ სცვლის დიდ წილად ეროვნულ ფიზიონომიას და აძლევს მას განსაზღვრულ გამოხატულობას".

ტერიტორიას სხვა კიდევ უფრო დიდი და მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის, მაგრამ ყველა ამის აღნუსხვას და გარკვევას ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით, რადგან ეს შორს წაგვიყვანს და მახლობელ საგანს აგვაცდენს. უამისოდაც, გვგონია, ნათელი და უცილობელი უნდა იყოს ყველასათვის, რომ მიწა, ადგილ-მამული, ვითარცა ბუნებრივი ნიადაგი (Standort) საზოგადოდ ადამიანის ყოველგვარ მოქმედებისა, აუცილებელი საფუძველია ხალხსნობისაც, რომელსაც უამისოდ არ ძალუძს აღორძინება და განვითარება. ეს კი არა, შეიძლება, ზოგიერთ მკითხველს ეხამუშოს კიდეც, რომ ასეთ საანბანო ჭეშმარიტებას ვიმეორებთ, და გაუკვირდეს მხოლოდ, რომ ამ—ჩვენში მაინც—მშვიდობიანობისა და მყუდროების დროს ტერიტორიის „დაცვასა" და „ბრძოლაზე" ლაპარაკს ვიწყებთ. კარგა ხანია, ჩვენში ისტორიული ბრძოლა შესწყდა, ახლა მტერი გარედან თავს აღარ გვესხმის და თოფ-ზარბაზნის სა-

შუალებით ადგილ-მამულის წართმევას არ გვიქადის. ამიტომ თითქოს უცნაური უნდა იყოს მამულის დაცვაზე ლაპარაკი, როცა არც სპარსეთი და არც ოსმალები არ გვემუქრებიან და არ ცდილობენ გამოგვტაცონ ხელიდან ის, რასაც ჩვენი წინაპრები თავგანწირულად იცავდნენ საუკუნეების განმავლობაში.

მაგრამ ეს უცნაურად ეჩვენება მხოლოდ იმას, ვინ თავისი აზრ-შეხედულებით ჩაფლულია საშუალო საუკუნეებში და ნაკლები ცოდნა-შეგნება აქვს თანამედროვე ცხორებისა და ურთიერთობის. ძველად მტერი, მართალია, ხშირად იპყრობდა ჩვენს ქვეყანას და ბატონდებოდა პოლიტიკურად, მაგრამ ხელ შეუხებლად სტოვებდა ხალხის ეკონომიურ წყაროს, მიწა-წყალს, და საერთოდ ხალხსნობის მთავარ საფუძველს,—ტერიტორიას. მაშინ ისეთი ეკონომიური წყობილება იყო, რომ დამპყრობელს არ შეეძლო სხვა ნაირად ესარგებლა დაპყრობილი ქვეყნით, თუ არ ხარჯის დადებით და მცხოვრებთაგან გადასახადის აკრეფით. მიწა, მამული რჩებოდა ხელში ისევ მწარმოებელს თუ მეპატრონეს და თავისუფლად შეეძლო ისევე წარემართა მისი შემუშავება, როგორადაც ამუშავებდა წინედ,—დამოუკიდებლობის დროს. ვერავითარი საშუალება ეკონომიურის ხასიათისა, თუ არ ძალმომრეობა (მაგალ., გაძევება ან მამულის კონფისკაცია), ვერ დააშორებდა ერთმანეთს მიწასა და მიწათ-მფლობელს და ვერ გახდიდა უკანასკნელს უმამულოდ და ბოგანოდ; ვერ გახდიდა, რადგან მაშინ მამული იყო ქონება უძრავი, უძრავი არა მარტო ბუნებრივად, ე. ი. მისი აღება და ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებოდა, არამედ უძრავი ეკონომიურადაც. ნატურალურ მეურნეობის ხანაში ყოველ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური ცხოვრება აქვს, რომელიც მოკლებულია უცხოეთთან კავშირს და დამოკიდებულებას. პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვის დროსაც დაპყრობილი მხარე განაგრძობდა წინანდელ წარმოების წესით მუშაობას და ძველებურს ეკონომიურ ცხოვრებას. გადასახდელ ხარკზე

მეტი, რომელსაც იძლეოდა ადგილობრივი შომა და წარმოება, ისევ ადგილობრივ რჩებოდა და არჩენდა როგორც მიწათ-მფლობელს, ისე უმამულო მშრომელ ხალხს. ერთის სიტყვით, ძველ დროში მხარე, დაპყრობილი პოლიტიკურად, რჩებოდა თავისუფალი და უცხოთაგან დამოუკიდებელი ეკონომიურად.

მაგრამ მას შემდეგ გარემოება შეიცვალა და დღეს ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ ჩვენს დროში შესაძლებელია ხალხის როგორც პოლიტიკურად დაპყრობა, ისე მისი ეკონომიურად დამონავებაც. შესაძლებელია ეს იმიტომ, რომ ძველი კარჩაკეტილი ცხოვრება მოისპო და ყველგან ესრედ წოდებული ფულის მეურნეობა განვითარდა და მისი შესაფერი ეკონომიური ურთიერთობა და განწყობილება დამყარდა. ამ განვითარების სავსებით გარკვევა და გათვალისწინება ფრიად საინტერესო და საგულისხმოა, და, იქნება, სხვა დროს როდისმე კიდეც დავუბრუნდეთ ამ საგანს. ამ ჟამად-კი ჩვენი მსჯელობა შეეხება უმთავრესად ტერიტორიას და მამულის საეროვნო ვითარებას. და ეს ვითარება სრულებით არა ჰგავს ძველ დროისას, როცა არ არსებობდა არც თანამედროვე აღებ-მიცემობა და არც ყოველ ნაწარმოებისა და ქონების საბაზროდ გახდომა. დღეს, შეიძლება, ვთქვათ, აღარ არის უძრავი ქონება და ფლობელობა,—ყველაფერი მოძრავი გახდა, ელვის სისწრაფით გადადის ხელიდან ხელში, ეცვლება მუდამ პატრონი და ფლობელობითი დანიშნულება. დღეს სულ რამდენისამე წუთის განმავლობაში შეუძლია ბერლინელს გინდ ლონდონელს პატრონი და მოსარგებლე გახდეს იმ მამულისა, რომელიც მდებარეობს საქართველოში, რუსეთში და გინდ ამერიკის რომელსამე შტატში. ასევე სწრაფად და ადვილად შეუძლია მას შეძენილი მამული მოიშოროს და სამაგიეროდ სადმე სხვას დაეპატრონოს. ის, რაც ძველად იყო შეუძლებელი, ეხლა შესაძლებელიცაა და ადვილად მოსახერხებელიც. ამას მკითხველი დაახლოვებით წარმოიდგენს შემდეგი მაგალითიდანაც, რომელიც მამულის დაგირავების გარებობას

შეეხება და რომელსაც ჩვენ, გაგების გაადვილების გულისათვის, ვამოკლებით და ძალზე ვამარტივებთ.

როგორც იცით, ფულის საშოვნელად მემამულე მიჰმართავს ხოლმე ბანკს და, მამულის დაგირავებით, იღებს იქიდან სესხს. იგი ვალდებული ჰხდება, თუ მამული გაჰყიდა, ბანკის ვალი სრულიად გაისტუმროს, ხოლო სანამ არ გაუყიდნია და მის ხელშია, ყოველ წლივ იხადოს მიღებულ ფულის სარგებელი და თან განსაზღვრებული შესატანი ვალის გადასაწყვეტად (ამორტიზაცია). ასრულებს-რა ყველა ფორმალურ მოთხოვნილებას, იგი იღებს ფულს და მალე მეჯლისში შექეიფიანებული მხიარულად დაჰღიღინებს „საქართველო ჩვენია„-ს და აზრადაც არ მოსდის, თუ ვის ხელში გავიდა ფაქტიურად საქართველოს ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც აქამდის მას ეკუთვნოდა იურიდიულის უფლებით და რეალურ სარგებლობითაც. ის ფული, რომელიც მემამულეს სესხად მიაქვს, ბანკს საკუთრებად არ მოეპოვება. მისი საკუთარი თანხა მოთხოვნილებასა და საჭიროებასთან შედარებით სრულიად მცირე და უმნიშვნელოა. ბანკმა თავის მხრით უნდა მიჰმართოს ფულიან კაცებს და იმათგან მოიპოვოს საჭირო კაპიტალი. ამისთვის იგი გამოსცემს ხოლმე ესრედ წოდებულ გირავნობის ფურცლებს, რომლებიც იმის მაჩვენებელია, რომ ბანკს გირაოდ მიღებული მამულები მოეპოვება და, მაშასადამე, ფულის პატრონს მასზე გასესხებული ფული ვერ დაეკარგება. ამ ფურცლებს ყიდულობენ ისინი,—ჩვეულებრივ კაპიტალისტები,—რომლებსაც თავისუფალი ფული აქვთ და ფულის გასესხებით სარგებლობის მიღება სწადიათ: გირავნობის ფურცლის საფასო ფული შემოდის ბანკის კასაში, ხოლო თვით ფურცელი, ვითარცა თამასუქი, ინახება კაპიტალისტის პორტფელში, საიდანაც მხოლოო დრო გამოშვებით ამოიღებს პატრონი, რომ მაკრატელი გაათამაშოს, კუპონი მოსჭრას და გასესხებულ ფულში ვადაზე სარგებელი მიიღოს ბანკებიდან. ეს ის სარგებელია, რომელიც უნდა იხადოს წლიურად მემამულემ,—თავის მამულ-დედულის დამგირავებელმა.

ამ სახით, როგორც ხედავთ, ადგილობრივი ბანკი მხოლოდ შუამავალია მემამულეებსა და კაპიტალისტებს შუა. პირველნი, ბანკის საშუალებით, აძლევენ უკანასკნელთ სესხის სარგებელს და უხდიან ნაწილ-ნაწილ ვალსაც. ამ დამოკიდებულებაში ძალიან ადვილია მოვალეების ცნობა და გაგება, მაგრამ ეგევე არ ითქმის მევალეების ე. ი. ფულის გამსესხებელთ შესახებაც. ესენი, შეიძლება, მთელი დედამისის ზურგზედ იყვნენ გაფანტულნი და ჩამომავალობით ეკუთვნოდნენ ათასგვარ ხალხს და ეროვნებას. გირავნობის ფურცლების ყიდვა ყველას შეუძლია, ვისაც აქვს სურვილი და თან შეძლებაც და, მაშასადამე, ყველა ჯურის ფულიან ხალხს აქვს შეძლება გახდეს მოსარგებლე ე. ი. ფაქტიურად მფლობელი იმ მამულისა, რომელსაც დავალიანებული მესაკუთრე ანუ პატრონი de jure თავისად სთვლის და ამის გამოისობით თავისი თავი მართლა მემამულე ჰგონია. შემოსავალი მემამულისა, როცა იგი, როგორც ეს, მაგალითად ჩვენშია, მარტო თავის ფლობელობითი უფლებით სარგებლობს, თვითონ წარმოებას არ ეწევა, არამედ მამულს საღალოდ ან საიჯაროდ აძლევს სხვას, მხოლოდ მიწის რენტაა და სხვა არაფერი. ეს რენტა დაახლოვებით ეთანასწორება იმ ღალას ან საიჯარო ქირას, რომელსაც მიწის შემმუშავებელი აძლევს მას. და საზოგადოდ მიწის ფასიც რენტის კვალობაზე იანგარიშება და ამავე საფუძველით აფასებს ბანკიც, როცა მამულს იღებს გირაოდ ვინმესაგან. მართალია, ბანკები სესხად იმდენსავე არ იძლევიან, რამდენადაც მამული დაფასდება (50—60%), მაგრამ მოგეხსენებათ, სესხის მძებნელი მემამულე ყოველი საშუალებით ცდილობს დაფასების დროს შემოსავალი დიდად გამოაჩინოს და ამის მიხედვით შემდეგ სესხიც მეტი მიიღოს. და მომატებულ სესხს, რასაკვირველია, მეტი სარგებლის შეტანით უნდა პასუხის გაცემა და გასწორება.

ერთის სიტყვით, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მემამულე, თუ მთელ რენტას არა, რენტის უდიდეს ნაწილს მაინც იხდის ნასესხებ ფულის სარგებლად და ვალის გადასაწყვეტად. და

ეს კი იმის მომასწავებელია, რომ მან, ვითარცა მემამულემ, დაჰკარგა თავისი ფუნქცია და გაჰხდა უბრალო მმართველი კაპიტალისტისა, რომელსაც იგი რენტას უგროვებს და დანიშნულ ვადაზე აძლევს ვალის სარგებლად. სახელად მას მიწათ-მფლობელი ეწოდება, ხოლო სახრავად-კი მისი მამული სხვისია,—კაპიტალისტისაა, რომელიც, ვინ იცის, სად სცხოვრობს და ჩვენგან აღებულ სარგებელს რომელ მხარესა და ხალხში ხარჯავს.

ცხადია ამიტომ, რომ საქართველოს მამულების დავალიანება ყურადღების ღირსია არა მარტო იმათგან, ვისაც ეს პირადად შეეხება, არამედ იმათგანაც, ვინც ბანკის სარგებელს არ იხდის, მაგრამ ჩვენს საერთო სოციალ-ეკონომიურ ყოფამდგომარეობას უკვირდება და საზოგადოებრივ საკითხებს შეგნებითა და ინტერესით ეკიდება. ჩვენს მწერლობაში არა ერთხელ გვსმენია გულის ტკივილით აღსავსე მოთქმა ამ დავალიანების გამო, მხოლოდ არასოდეს არ შეგვხვედრია სასტატისტიკო ცნობები, რომლებიც ჰხატავდნენ ამ ეკონომიურ მოვლენის სიდიდეს და განვითარებას. ეს კი აუცილებლად საჭიროა საგანზე ნამდვილ და სწორე წარმოდგენის შესადგენად. ზეპირად ლაპარაკი და წერა არ კმარა იქ, საცა საჭიროა ფაქტის სავსებით აღნიშვნა და მისი სისხო-სიდიდის უმეტნაკლებოდ გათვალისწინება. ასეთი ცნობები, რომლებიც აღნიშვნენ ციფრებით მამულების დავალიანებას ჩვენში, დღეს უკვე მოიპოვება და, გვგონია, უსარგებლო არ იქნება გავაცნოთ ისინი ჩვენს მკითხველსაც. რა თქმა უნდა, ეს ციფრები სრულიად სწორი და უტყუარი არაა და გარდა ამისა არც ჰხატავს სავსებით დავალიანების სიდიდეს: ტფილისის გუბერნიისათვის ჩვენ გვაქვს ცნობები მარტო თავად-აზნაურთა ვალების შესახებ, ხოლო ქუთაისის გუბერნიის შესახებ 1898 წლის შემდეგი სტატისტიკური ციფრები არაა გამოქვეყნებული. მიუხედავად ამისა, შემდეგი ცხრილი დაახლოვებით მაინც წარმოგვიდგენს სურათს ადგილ-მამულების დავალიანებისას საქართველოში.

გუბერნია და მაზრები	რიცხვი დაგირავებულ მამულების	სივრცე დაგირავებულ მამულების დესეტ.	ფასება დაგირავებულ მამულების მან.	გაცემული სესხი მან.	ვალი 1 იანვ. 1903 წ. მან.
ტფილისის გუბერნია					
1. ახალციხის მაზრა . . .	2	1020	20000	16000	9770
2. ბორჩალოს „ . . .	98	114788	4.731504	2.751047	2.696340
3. გორის „ . . .	434	90276	3.717062	1.979625	1.931966
4. დუშეთის „ . . .	87	18527	741855	436195	378211
5. სიღნაღის „ . . .	81	17613	992597	501430	485956
6. თელავის „ . . .	114	39138	1.604909	858589	831357
7. თიანეთის „ . . .	40	21953	654627	357400	347831
8. ტფილისის „ . . .	150	55828	2.067054	1.124652	1.075434
სულ გუბერნიაში	1006	359143	14.529680	8.018938	7.756865
ქუთაისის გუბერნია					(1 იანვ. 1898 წ.)
1. ქუთაისის მაზრა . . .	499	8087	2.113687	1.025800	957227
2. ზუგდიდის „ . . .	27	9019	567300	223200	206642
3. ლეჩხუმის „ . . .	9	2899	63800	18200	15680
4. ოზურგეთის „ . . .	42	3231	613331	319000	311609
5. რაჭის „ . . .	49	3379	140400	64300	59794
6. სენაკის „ . . .	99	3186	717470	379900	366888
7. შორაპნის „ . . .	335	12195	1.148200	543700	512835
8. სოხუმის ოლქი . . .	12	4871	258600	104900	103760
სულ გუბერნიაში	1072	46867	5.622788	2.679000	2.534435
სულ ორივე გუბერნიაში . . .	2078	406010	20.152396	10.697937	10.291300

როგორც ხედავთ, ტფილისის გუბერნიაში დაგირავებულია სულ 359 ათასი დესეტინა თავად-აზნაურთა მამული. საერთო სივრცე თავად-აზნაურთა მამულებისა ამ გუბერნიაში შეადგენს 1 მილიონ დესეტინას. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქ, გარდა ქართველ მემამულეებისა, არიან მიწათ-მფლობელნი სხვა ეროვნების წარმომადგენელნიც, რომელნიც ამავე წოდებას ეკუთვნიან, მაგრამ, ქართველობასთან შედარებით, ვითარცა უფრო შეძლებულთ და ყაირათის მცოდნეთ, ნაკლები ვალი ადევთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ ქართველ თავად-აზნაურობის მამულების ნახევარი დაგი-

რავებულია ბანკებში. ამასთან არ უნდა დავიიწყოთ, რომ ეს ციფრები შეეხება მხოლოდ თავად-აზნაურთა მიწათ-ფლობელობის დავალიანებას. საერთო ჯამი დავალიანებულ მამულებისა, რასაკვირველია, უფრო დიდია. ჩვენ არა გვაქვს ხელთ ახალი ცნობები, რომლებიც ამ მოვლენის ეხლანდელ მდგომარეობას ასურათებდეს. სტატისტიკურ კომიტეტის ცნობებით 1897 წლის ბოლოს სულ ყოფილა დაგირავებული ბანკებში 710099 დესეტინა ტფილისის გუბერნიის ყველა წოდების კერძო მესაკუთრეთა მამულები.

ქუთაისის გუბერნიაში მამულების დავალიანება ბევრად ნაკლებია, ვიდრე ტფილისისაში, რაც, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ იქ მეტად წვრილი მიწათ-ფლობელობაა გავრცელებული. დაგირავებულ მამულების სივრცეა 47 ათასი დესეტინა, ხოლო ვალის რაოდენობა $2^1/_2$ მილიონი. ორივე გუბერნიაში-კი მემამულეთა ვალი აღემატება 10 მილიონს. ამ ფულში ისინი იხდიან ვალის გადასაწყვეტად, სარგებლად თუ სხვა და სხვა ნედოიმკებისა და ჯარიმების გასასწორებლად $^1/_2$ მილიონ მანეთს ყოველ წლიურად.

აი, ასეთი სამსახური გაუწია ბრწყინვალე წოდებამ სამშობლოს მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში. 10 მილიონი მანეთი ათი კაპეიკი არ არის;—ამოდენა კაპიტალს რაიმე კვალი უნდა დაეჩინა ჩვენს სასოფლო მეურნეობაში, რაიმე ცვლილება და გაუმჯობესება უნდა შეეტანა სამეურნეო წარმოებასა და საზოგადოდ სოფლის ცხოვრებაში. მაგრამ არც ერთი ეს არ მომხდარა,—ეს ამოდენა ფული გაიფლანგა სრულიად უნაყოფოდ და უსარგებლოდ უაზრო ფუფუნებაში და უმიზნო ხეტიალში. და ეხლა, როცა დაუფიქრებლად აღებულ ვალის სიმძიმე დააწვა კისერზე, ჯიბე-ცარიელი მემამულე დიდ ჭაპან-წყვეტაშია და აღარ იცის, სანამდის მოახერხებს შეინარჩუნოს ხელში მამა-პაპისაგან საუკუნეების განმავლობაში სისხლით დაცული და იარაღით შენახული მამული. იგი ცდილობს, რასაკვირველია, ბანკებში სარგებლის ვადაზე შეტანას იმ იმედით, რომ ის ცოტა შემოსავალი, რომელიც მას

რჩება სარგებლის გადახდის შემდეგ, არ დაჰკარგოს და სრულიად მშრალზე არ დარჩეს. ამისთვის იგი არ დასდევს საშუალების სიავ-კარგეს, ადიდებს ღალა-იჯარას, მამულის რენტას, და ამ ნაირად მომეტებულ ხარკსა და გადასახადს ადებს გლეხობას და საზოგადოდ მიწათ-მომქმედ ხალხს. ჯერ მან, თავის ხან-მოკლე ფუფუნებისა და სიამოვნების გულისათვის, არ დაჰზოგა საკუთარი მამული, დაჰკარგა დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალება, და ეხლა ვითომ იმ შეცდომის გასასწორებლად არ ჰზოგავს ხალხის ძალ-ღონეს და შეძლებას, რომელიც თავის ოფლითა და მუშაობით არჩენს მას და არჩენს თავის თავსაც.

მამულის დავალიანება ისეთი მოვლენა არ არის, რომელიც ვითომ მარტო ჩვენში იყოს და სხვა ხალხებში არ არესებობდესო,— იტყვის ვინმე. მართალია. ჰიპოტეკური დავალიანება მემამულეებისა დიდია როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებშიაც. მაგრამ ამ საფუძვლით არ შეიძლება ვთქვათ, რომ ვითომ ეს მოვლენა ერთნაირის საზომითა და აზრით გასასჯელი იყოს სხვაგან და ჩვენშიაც. ჩვენში დავალიანება სწარმოებს ისეთ პირობებსა და გარემოებაში, რომელიც, ეროვნულ ინტერესის მხრით, განსაკუთრებულ მიმართულებასა და მნიშვნელობას აძლევს მიწის დაგირავებას და მამულზე ვალის დადებას. გერმანიაში, მაგალითად, მემამულეთა მევალეები, რომელთაც ხელში უჭირავთ გირავნობის ფურცლები და მიწათ-მფლობელებზე ფული აქვთ სესხად გაცემული, არიან გერმანლები,— იმავე ერის შვილები. მაშასადამე, ტერიტორიის ფლობელობა ისევ გერმანელებში რჩება და უცხოელების ხელში არ გადადის. სულ სხვაა ჩვენში. გვგონია, არ შევსცდებით, თუ ვიტყვით, რომ იმ კაპიტალისტებში, რომლებსაც, ბანკების საშუალებით, ჩვენს მემამულეებზე სესხი აქვთ გაცემული, არ ურევია ათიც, რომელიც ქართველ ერს ეკუთვნოდეს და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ქართულ ინტერესის წარმომადგენელი იყვეს. ქართველების მევალეები სულ უცხო ტომის ხალხს ეკუთვნიან და ეს უცხონი არიან საქართველოს დავალიანებულ მამულების მოსარგებლენი და ფაქტიური მფლობელნი.

შეიძლება, აქ მკითხველმა შემდეგი შენიშვნა მოგვცეს: მართალია, მევალეები უცხონი არიან და ამიტომ ბანკებში შეტანილი სარგებელიც უცხოთა ჯიბეში მიდის, მაგრამ ცოტა რამ ჩვენშიაც რჩებაო. მემამულეთაგან შეტანილ გადასახადის ის ზედმეტი, რომელიც რჩება მევალეთა სარგებლის გასტუმრების შემდეგ, ჩვენი ბანკების მოგებად ირიცხება და სხვა და სხვა საზოგადო საჭიროებათ ხმარდებაო.

წარმოიდგინეთ, ჩვენ ამ მხრივაც არა ვართ სასურველ მდგომარეობაში. როგორც იცით, ჩვენში არსებობს სამი საადგილ-მამულო ბანკი, რომელიც იღებს გირაოდ მამულებს და აძლევს სესხს მიწის პატრონებს. ესენია: სათავად-აზნაურო ბანკები ტფილის-ქუთაისში და სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილება ტფილისში. სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებს, რომ მამულების უმრავლესობა დაგირავებულია არა „ჩვენს“ ბანკებში, არამედ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილებაში. ამას მკითხველი შემდეგი ციფრებიდან დაინახავს.

რომელ ბანკშია დაგირავებული.	რამდენი მამული	რამდენი დესეტინა	დაფასებული მან.	გაცემული სესხი მან.
ტფილისის გუბერნიაში:				
სახელმწ. ბანკის განყ.	382	217951	8.990308	5.424400
ტფილისის სათ.-აზნ.	621	140588	5.506000	2.577938
ქუთაისის სათ.-აზნ.	3	604	33300	16600
სამივეში	1006	359143	14·529608	8.018938
ქუთაისის გუბერნიაში:				
სახელმწ. ბანკ. განყ.	54	10145	1.823688	1.016600
ტფილისის სათ.-აზნ.	12	6237	245600	121500
ქუთაისის სათ.-აზნ.	1006	30485	3.553500	1.540900
სამივეში	1072	46867	5.622788	2.679000
ორივე გუბერნიაში:				
სახელმწ. ბანკ. განყ.	436	228096	10.813996	6.441000
ტფილისის სათ.-აზნ.	633	146825	5.751600	2.699438
ქუთაისის სათ.-აზნ.	1009	31089	3.586800	1.557500
სამივეში	2078	406010	20.152396	10.697938

ცხადად ხედავთ, რომ მამულების უმრავლესობა დაგირავებულია არა ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკებში, არამედ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის განყოფილებაში. ეს საკრედიტო დაწესებულება მხოლოდ 1890 წელს გაიხსნა ჩვენში და მას შემდეგ დიდ კონკურენციას უწევს ადგილობრივ თავად-აზნაურობის ბანკებს. იგი შედარებით უფრო ძვირადაც აფასებს მამულებს, მეტ სესხსაც აძლევს (დაფასების 60%-ს, ნაცვლად სხვა ბანკების 50%-ისა) და სარგებელსაც ნაკლებს ახდევინებს დამგირავებელს. ეს პირობები ხელს უწყობს, რასაკვირველია, რომ მემამულეებმა უფრო იქ დააგირავონ თავისი მამულები. და ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ჩვენს“ ბანკებს აკლდება სოფლიდან კლიენტები და ამიტომ აკლდება ამ მხრით საზოგადო საჭიროებაზე მოსახმარი შემოსავალი და სარგებელი.

რა თქმა უნდა, როცა ისეთი ეკონომიური წყობილება მყარდება, რომელშიაც უძრავი ქონება, ასე ვთქვათ, მოძრავად გარდაიქმნება, მისი მობილიზაცია ჰხდება და სააღებ-მიცემო საგნად იქცევა, ხშირი უნდა იყოს მიწის ყიდვა-გაყიდვა და მამულით ვაჭრობა. გადაჭარბება და შეცდომაა, რასაკვირველია, თუ ვინმე ჰფიქრობს, რომ ეს მობილიზაცია ჩვენში საადგილ-მამულო ბანკების დაარსებამა და მოქმედებამ გააჩინა და გააძლიერა. მაგრამ იმის უარისყოფა კი არ შეიძლება, რომ ბანკების არსებობა და ჰიპოტეკურ კრედიტის შოვნის გაადვილება ხელს უწყობს ამ მოვლენის გახშირებას და განვითარებას. მემამულეს ხშირად დროზე ბანკის სარგებელი ვერ შეაქვს; აქ ძველებურ „მადროვეს“ ძახილი აღარ შეიძლება,—ბანკი საჯარო ვაჭრობას ნიშნავს და მის მამულს იმაზედ ჰყიდის, ვინც მეტ ფასს შეაძლევს და დარჩენილ ნედოიმკას ნაღდად გადაიხდის. ყველამ იცის, რომ წელიწადში ორჯერ გაზეთები ივსება განცხადებებით, რომლებშიაც ბანკები ქვეყანას აგებინებენ, ესა და ეს მამულები, ხვედრ ფულის შემოუტანლობის გამო, საჯარო ვაჭრობით გასაყიდადაა დანიშნულიო. ვაჭრობის დღემდის ზოგი მემამულე ახერხებს

წვითა და დაგვით საჭირო ფულის შოვნას და იხსნის მამულს გაყიდვისაგან. მაგრამ ბევრსაც ფულის სასესხებლად სირბილი და ჭაპან-წყვეტა უნაყოფოდ ურჩება და დაგირავებული ქონება საჯარო ვაჭრობით ეყიდება.

სამწუხაროდ, არ მოიპოვება ცნობები, რომლების საშუალებითაც შეიძლებოდეს ამ მოვლენის სავსებით აღნუსხვა და მისი სისხო-სიდიდის გათვალისწინება. არც ტფილისისა და არც ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი არ ჰპოვებს საჭიროდ ამის შესახები ვრცელი და დალაგებული სტატისტიკა შეამუშაოს და წლიურ ანგარიშში ჩაურთოს. ეტყობა, იმათ გამგეებს უფრო ოპერაციების ბუხჰალტერია აინტერესებს, ვიდრე ჩვენი ეკონომიურ მდგომარეობის გამოკვლევა და აწონ-დაწონვა. ვრცელ ანგარიშებს ჰბეჭდავს მხოლოდ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი და იქ შეიძლება ზოგიერთ ცნობების პოვნა, რომლებიც ჩვენს მხარეს შეეხება და ჩვენ ამ ჟამად გვეინტერესება. 1891 წლიდან 1897 წლის ბოლომდის გაყიდულა და არა თავად-აზნაურთა ხელში გადასულა 7273 დესეტინა ამ ბანკში დაგირავებული ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მამულები. ამ მამულთა ფასი, ბანკის შეფასებით, შეადგენს 346 ათას მანეთს და მათში გაცემული სესხი 105 ათას მანეთს.—თავისთავად საგულისხმოა, რომ ეს ციფრები არ ჰხატავს იმ მამულების სრულს რაოდენობას, რომლებიც პირველ დამგირავებელთ გაჰყიდვიათ და სხვის ხელში გადასულა, რადგან აქ არ შედის ის მამულები, რომლებიც საჯარო ვაჭრობით აზნაურებს შეუძენიათ.

ვინ არიან ეს მამულების შემძენნი? ქართველები თუ სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი? ამაზე ბანკის „ანგარიში“ არას ამბობს, მაგრამ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი უმრავლესობა უცხო ხალხს ეკუთვნის და არა ქართველობას. ანგარიშიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტი მამული შეუძენიათ „არა აზნაურთ“ ბორჩალოს მაზრაში, შემდეგ ტფილისისა და გორისაში. და ეს სწორედ ის მაზრებია, საცა უცხო ტომის ფულიანი ხალხი გაძლიერებული და გაბატონებულია.

მკითხველი ჰხედავს, რომ უცხო ხალხი საქართველოში ილებს არა თუ რენტას, არამედ ისაკუთრებს მამულებსაც. ამ აზრს ამტკიცებს არა მარტო სტატისტიკა, არამედ ყოველიჩვენ-განის დაკვირვება და გამოცდილება. ჩვენი მემამულეები ძალიან მარდნი არიან მამულების დაგირავებასა და გაყიდვაზე და ფიქრადაც არ მოსდით, თუ რა გავლენა აქვს ამას ჩვენს საერთო ეკონომიურ და ეროვნულ მდგომარეობაზე. ამ მხრით სრული შეუგნებლობა სუფევს მათ გონებაში და ინდიფერენტიზმი გულსა და სულში.

მაგრამ ის, რაც მიეტევება უვიც და გადაგვარებულ აზნაურს, ვერ მიეტევება ქართველ საზოგადოების შეგნებულ ნაწილს. საქართველოს მამულების უცხო ხალხის ფლობელობაში გადასვლა ისეთი დიდი და საყურადღებო საგანია, რომ ყველას უნდა გვაფიქრებდეს და სამოქმედოდ გვიწვევდეს. ამას აქვს მნიშვნელობა როგორც ეროვნული, ისე სოციალ-ეკონომიური. ქართველთა მამულები და მიწა-წყალი გადადის სხვების ხელში, მაშინ როდესაც ჩვენი გლეხობა, მიწის სიმცირის გამო, აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. მას არ აქვს არც შეძლება, არც ცოდნა და გამოცდილობა, რომ ის მამულები, რომლებსაც ბანკები თუ თავად-აზნაურნი ჰყიდიან, შეისყიდოს და თავის საკუთარ საწარმოვო იარაღად გაიხადოს. გასაყიდი მამულები ჩვეულებრივ ფართო სივრცისა და დიდი ფასისაა; ერთ ან ორ გლეხს არ შეუძლია მათი შეძენა, ხოლო ბევრთან ერთად შეამხანაგება და ყიდვის სხვა და სხვა ფორმალურ მოთხოვნილებათა შესრულება ეძნელება და არ ეხერხება. აქ საჭიროა კერძო თაოსნობა და შეგნებულად მოქმედება, საჭიროა ენერგიული მუშაობა და კერძო პირთა შეერთებულის ძალით ამ დიდი საქმის მოწყობა და მოგვარება. ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რომ ჩვენში დაარსდეს კერძო ამხანაგობა ან საზოგადობა, რომელსაც მიზნად ჰქონდეს მემამულეთა და ბანკებისაგან მიწების შეძენა, მათი დაყოფა-დანაწილება და შემდეგ გლეხებისათვის მიყიდვა.

ნურავინ იტყვის, რომ ვითომ ჩვენ უფულობისა და უსახსრობის გამო არ შეეძლოს ამგვარ საქმის დაწყება და გაძღოლა. თუ ხალისი და ენერგია იქნება, საქმე პატარისაგანაც გაიზრდება და გადიდდება. მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ ჩვენ ფულზე კიდევ უფრო გვაკლია ჩვენი მდგომარეობის შეგნება და იდეური საქმიანობა. ჩვენ ყოველთვის რაღაც ახირებული და უნიადაგო იმედები გვაქვს და გვგონია, რომ ესა თუ ის სასარგებლო დაწესებულება, რომელიც სხვაგან არსებობს, ჩვენშიაც თავის თავად მოვა და გაგვიწევს საჭირო დახმარებას. იმის მაგიერ, რომ თვითონ ხელი გავანძრიოთ და ჩვენს ჭირ-ვარამს ჩვენვე ვუპატრონოთ, მუდამ რაღაც მოწყალებაზე ვფიქრობთ და ნათხოვნის მოლოდინში პრაქტიკულ საქმეს ვივიწყებთ და ღრმა უდარდელ ძილს ვეძლევით.

სამწუხაროდ, ერთ ამგვარ „თხოვნის“ გამართვაში მეც მიდევს წილი და ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ჩემი „ცოდვა“ საჯაროდ მოვინანიო. შარშან, როცა ჩვენში დიდი სჯა-ბაასი იყო გამართული ადგილობრივ სამეურნეო საჭიროებათა შესახებ, „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ“ აღძრა, ჩემი მოხსენების თანახმად, მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ ჩვენშიაც დაარსებულ იქნეს იმ საკრედიტო დაწესებულების განყოფილება, რომელიც დიდი ხანია რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედობს და სახელად „საგლეხო ბანკი“ ეწოდება. მე—და, უეჭველია, „საზოგადოებასაც“—მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმაჩნდა ამ დაწესებულების ჩვენში გადმოტანა სასურველად და სასარგებლოდ, თუ იგი თავის საზოგადო წესდებით იხელმძღვანელებდა და აქაც იმის თანახმად იმოქმედებდა. ეს ბანკი რუსეთში გლეხობის ინტერესებისთვისაა დაარსებული. მისი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ უმიწა-წყლო გლეხებს მამულის შეძენაში დაეხმაროს: იგი აძლევს მათ სესხს მცირე სარგებლით მიწის საყიდლად და ამ ნაყიდ მიწას გირაოდ იღებს. აძლევს აგრეთვე გლეხებს სესხს იმ მიწების დაგირავებითაც, რომლებიც მათ საგლეხო ბანკის დაუხმარებლად უყიდიათ, რომ ამით

გლეხებმა მიწის ყიდვისთვის აღებული ვალი გაისტუმრონ. გარდა ამისა თვითონ ბანკიც ყიდულობს თავისი კაპიტალით მიწებს და შემდეგ ჰყიდის, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იქნება, ისევ გლეხებზე. როგორც ხედავთ, მიზანი ბანკისა სიმპატიური და თანაგრძნობის ღირსია. „აგერ 20 წელიწადია,—ვწერდი შარშან ამ საგანზე („ცნ. ფურც.“ № 2113),—რაც ეს სიმპატიური საკრედიტო დაწესებულება რუსეთში არსებობს, და დღემდი მისი მოქმედება ამიერ-კავკასიას არ შეეხება. ამიტომ იყო, რომ ჩემს მოხსენებაში ვთხოვე „სამეურნეო საზოგადოებას აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნას ამ ბანკის განყოფილება, რომელმაც უნდა იმოქმედოს არა რაიმე პოლიტიკურ მოსაზრებათა განსახორციელებლად, არამედ კავკასიის მკვიდრთა ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“.

მიუხედავად ამისა, დღეს მაინც მეზარება ამ ჩემ მიერ გამართულ „თხოვნის“ მოგონება, და ეს იმიტომ, რომ... არ ვარ—და არც მინდა ვეგონო ვინმეს—წარა-მარად მთავრობასთან თხოვნებით მიმართვის მომხრე... პირიქით, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი დევიზი უნდა იყოს თვით-მოქმედება და დამოუკიდებელი საქმიანობა. ფრანგებს აქვთ ერთი ანდაზა: „უშველე თვითონ შენს თავს და ღმერთიც გიშველისო“. დიდი ნაბიჯის წინ გადადგმას ნიშნავს ეს, როცა ხალხი შეიგნებს, რომ მან „თვითონ უნდა უშველოს თავის თავს“. და ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ შეგნების გაძლიერებასა და განმტკიცებას,—რომ იმ ხალხს არც ღმერთი შველის და არც კაცი, რომელმაც არ იცის თავის ინტერესების დაცვა და თავისი თავის საკუთარის ძალ-ღონით დაფარვა...

სრულს სიმართლეს სწერს ამის გამო, ჩვენის აზრით, ბ-ნი განი „ცნობის ფურცელში“ (№ 2412): საგლეხო ბანკის მსგავს „დაწესებულების საჭიროება კარგა ხანია შეგნებული ჰქონდა ჩვენს პრესსასაც, ჩვენის საზოგადოების მოთავეთაც, მაგრამ ჩვეულებრივმა დაუდევრობამ გვძლია და საჭიროების დასაკმაყოფილებლად ხელი არ გაგვინძრევია. როგორც

ყოველთვის და როგორც სხვა საქმეშიაც, ამ საქმეშიაც მთავრობას ვუცდიდით, მარტო მისგან ველოდით შველას. მიუხედავად იმისა, რომ თვით მთავრობა მუდამ იმას ურჩევს საზოგადოებას,—ეკონომიურ ვითარების გასაუმჯობესებლად საკუთარი ინიციატივა, თვით-მოქმედება გამოიჩინეო, ჩვენ მაინც მას შევყურებდით ხელში და დახმარებას ვემუდარებოდით... განა არ შეიძლებოდა, მაგალითად, ჩვენებურ გლეხთა მიწათ-ფლობელობის გასაძლიერებლად რაიმე პრაქტიკული საქმე თვით ჩვენვე მოგვეწყო? განა არ შეიძლებოდა თუნდ ამხანაგობა დაგვეარსებინა სათავად-აზნაურო ბანკებში დაგირავებულ მამულების შესაძენად და შემდეგ გლეხებისთვის მისაყიდად? რასაკვირველია, შეიძლებოდა ამ დიდი საქმის ჩვენდა სასაგებლოდ მოწყობა, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ,—რუსების თქმისა არ იყოს,—„პირჯვარს არ დავიწერთ, სანამ მეხი არ გავარდება“...

ამიერ-კავკასიაში საგლეხო ბანკის განყოფილების დაარსების საქმე არაა ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი, თუმცა ჰფიქრობენ, რომ ეს სულ მოკლე დროში უნდა მოხდეს. მაგრამ ჩვენ ეხლავე უნდა გავაგებინოთ ჩვენს მკითხველებს, რომ ჩვენში თურმე ეს ბანკი ჩვენი გლეხობის შესახებ არ იხელმძღვანელებს იმავე აზრითა და მიზნით, რომელიც აქვს მას დადებული შიდა რუსეთში. ამ საგნის შესახებ ერთი ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო კორესპონდენცია იყო ამას წინად ეკატერინოდარიდან გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილი (№ 41). საგლეხო ბანკის განყოფილება არსებობს ეკატერინოდარშიაც. ეს არის „კავკასიის განყოფილება“, რომელიც ჩრდილოეთ-კავკასიაში მოქმედობს და ამიერ კავკასიას არ შეეხება. „ამ დღეებში—სწერია „კავკაზ“-ის ხსენებულ კორესპონდენციაში—ამ განყოფილებამ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა მიიღო პეტერბურგიდან, რომელიც შეეხება ბანკის მოქმედების გავრცელებას ამიერ-კავკასიაზე. საქმე იმაშია, რომ ამას წინედ შინაგან საქმეთა სამინისტროს აღუძრავს საკითხი,—ფინანსთა სამინისტრო ხომ ვერ ჰპოვებს შე-

საძლებლად, რომ, სანამ ამიერ-კავკასიაში საგლეხო ბანკის განყოფილება გაიხსნებოდეს, ნება დართოს, ამ ბანკმა თავისი თანხით შეიძინოს ის მამულები, რომლებიც საჯარო ვაჭრობის შემდეგ დარჩა სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, იმ მიზნით, რომ შემდეგ ეს მამულები მიჰყიდოს რუსეთიდან გადასახლებულ გლეხებს. ეხლა საგლეხო ბანკის ცენტრალური განყოფილება იტყობინება, რომ ფინანსთა სამინისტროს გამგემ თანაუგრძნო ამ აზრს, რომ სასურველია გაშენდეს რუსის გლეხთა სოფლები იმ მიწებზე, რომლებიც დარჩენია სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს ხსენებულს გუბერნიებში, და ამიტომ მისცა ბრძანება ამ ბანკს, რომ მან მის საკუთრებაში მყოფი მამულები ამიერ-კავკასიაში მიჰყიდოს ხოლმე უმთავრესად (преимущественно) რუსის გადასახლებულ გლეხებს, როცა კი ესენი განუცხადებენ ყიდვის სურვილს.

„ამასთან იმ შემთხვევებში, როცა მყიდველთ არ ექნებათ საჭირო სახსარი შესაძენ მამულების ფასის გადასახდელად, ფინანსთა სამინისტროს გამგემ ჰპოვა შესაძლებელად, სანამ ამიერ-კავკასიაში საგლეხო ბანკის განყოფილება გაიხსნებოდეს, ნება დართოს ამ ბანკს მიიღოს საწარმოებლად ეკატერინოდარის განყოფილების საშუალებით გადასახლებულ რუსის გლეხთაგან ხსენებულ მამულების ყიდვის საქმეები.

„რაც შეეხება იმას, რომ საგლეხო ბანკს ნება-რთვა მიეცეს თავისი თანხით შეიძინოს ის მამულები, რომლებიც ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს ეკუთვნის,—ფინანსთა სამინისტროს გამგემ ვერ ჰპოვა ეს მოსახერხებლად იმ მოსაზრებით, რომ საგლეხო ბანკს თავისი განყოფილება არა აქვს ამიერ-კავკასიაში და ამიტომ ხსენებული ოპერაცია საძნელო იქნება მისთვის მამულების მოვლა-გაშგეობის მხრით.

„ყველა ზემოდ ნათქვამის მიხედვით, რუსის გადმოსახლებულმა გლეხებმა, როცა მოისურვებენ საგლეხო ბანკის დახმარებით იმ მამულების შეძენას, რომლებიც დარჩენია სახელმ-

წიფო საადგილ-მამულო ბანკს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, უნდა მიჰმართონ თხოვნით სესხის მისაღებად საგლეხო ბანკის კავკასიის განყოფილებას, რომელიც ქ. ეკატერინოდარში იმყოფება".

ეს არის გაზ. „კავკაზ"-ის კორესპონდენცია, მართლა ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო...

საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენი მიწები დარჩენია საჯარო ვაჭრობის შემდეგ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს, რომელიც ამიერიდან, თანახმად მინისტრის განკარგულებისა, უმთავრესად რუსის გადმოსახლებულ გლეხებს მიჰყიდის ამ მამულებს. ჩვენ არ გვაქვს ცნობები, რომლებიც გვიჩვენებდეს, თუ რა სივრცისაა დღეს ბანკის საკუთრებად გამხდარი მამულები. ის ცნობები, რომლებიც ჩვენ ხელთა გვაქვს, მხოლოდ ორი წლის წინანდელ ვითარებას ჰხატავს. მაგრამ ჩვენ გვგონია, მკითხველი ამ ცნობებითაც შესძლებს დაახლოვებით მაინც შეადგინოს საგანზე აზრი და წარმოდგენა.

1901 წლის დამდეგს ბანკის ხელში ყოფილა 5777 დესეტინა ქუთაისის გუბერნიაში და 7314 დესეტინა ტფილისისაში (12746 დესეტ. ორივეში). წლის განმავლობაში დარჩენია საჯარო ვაჭრობის შემდეგ 748 დესეტ. პირველ გუბერნიაში და 1964 დესეტ. მეორეში (2712 დესეტ. ორივეში). ამავე წლის განმავლობაში გაუყიდია და თავიდან მოუშორებია 427 დესეტ. ქუთ. გუბ. და 5777 დესეტ. ტფილისისაში, ასე რომ წლის ბოლოს დარჩენია საკუთარი მამული რიცხვით 38 და სივრცით 5752 დესეტ. ქუთ. გუბ., ხოლო ტფილისისაში 11 მამული სივრცით 3501 დესეტ. (49 მამული 9253 დესეტ. ორივეში). ამ 49 მამულზე ყოფილა სულ 727315 მანეთი ვალი. ამათგან უფრო მსხვილი მამულებია ტფილისის გუბერნიის. აქ უუდიდესი მამული შეიცავს 772 დესეტ., შემდეგ არის 646, 467, 409, 336, 305 დესეტ. და ასე ქვევით. ქუთაისის გუბერნიის მამულებიდან ერთია 2000 დესეტინაზე მეტი, ერთიც 430 დესეტ., 3 მეტი 200 დესეტინაზე, 7 მეტი 100 დესეტინაზე, ხოლო დანარჩენი მამულები ყვე-

ლა 100 დესეტ. ნაკლებია. ამ ნაირად რუს გლეხთა დასახლების მიზნის განსახორციელებლად უფრო მოსახმარია ტფილისის გუბერნიის მამულები, ვიდრე ქუთაისისა, სადაც ძალიან წვრილი მიწათ-ფლობელობაა და ამიტომ აქა-იქ კანტიკუნტად დასახლებული რუსი იქაურ მჭიდრო და მრავალრიცხოვან ქართველობაში ეროვნების მხრით სულ მოკლე ხანში გაილესება და გაითქვიფება...

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჯერ-ჯეროობითაა, რომ გადმოსახლებულ რუსის გლეხების ხელში მარტო ის მამულები უნდა გადავიდეს, რომლებიც სახელმწიფო ბანკს დარჩენია გაუყიდველი. შემდეგში, როცა აქ საგლეხო ბანკის განყოფილება გაიმართება, უეჭველია, ეს ბანკი პირდაპირ გამოვა მყიდველად საჯარო ვაჭრობის დროს და, რახან მას დიდი თანხა აქვს, თვითონ დაინახრჩუნებს (რუს გლეხებისათვის) გასაყიდად დანიშნულ მამულების უმრავლესობას.

შეიძლება ამიტომ, ამ ბანკის დიდი კაპიტალისა და ძალის გამოისობით, ზოგიერთ მკითხველს უნიადაგოდ და შეუსრულებელ საქმედ ეჩვენოს ჩვენი წინადადება შესახებ კერძო თაოსნობის გაძლიერებისა და თვით-მოქმედების ნიადაგზე ჩვენი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესობისა. მაგრამ ეს არის მხოლოდ ეჭვი, რომელიც არ გამართლდება, თუ ჩვენ გამოვიჩენთ ენერგიას, საერთო მისწრაფებით აღფრთოვანებას და დაუღალავს შრომა-მუყაითობას. ქართველებს რაღაც უცნაური ბუნება გვაქვს: საქმის დაწყებისათანავე ყველაფერი ერთად და უცებ გვინდა და გვავიწყდება, რომ ყოველი საქმე პატარაობით იწყება და თანდათანის მუშაობით დიდი და შესამჩნევი ჰხდება. ამის დამამტკიცებელი მაგალითები ბევრად ბევრია უცხოეთის ხალხთა ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენ აქ მარტო ერთს გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს. ეს არის მოვლენა, რომელიც დღესაც სწარმოებს პრუსიასა და პოლონეთის პროვინცია პოზნანში და ცხადად გვისურათებს, თუ რა დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია კერძო თაოსნობას და თვით-მოქმედებას, როცა იგი ხელმძღვანელობს გარკვეულის პროგრა-

მით თავის საქმიანობაში და შეგნებულის მიზნით პრაქტიკულ მიმართულებაში.

1885 წელს პრუსიის მთავრობამ უცებ ერთი დაუვიწყარი „გმირობა“ მოიმოქმედა, რომელიც მიმართული იყო პრუსიაში მცხოვრებ პოლონელების წინააღმდეგ: მოულოდნელად გააძევა პრუსიის სამეფოდან და საზღვარს იქით გადაჰგზავნა 40000 პოლონელი, რომელთაც, ვითარცა რუსეთ-პრუსიის საზღვარზე მცხოვრებთ, არ ჰქონდათ ფორმალურად პრუსიის ქვეშევრდომობა მიღებული. ეს ამოდენა ხალხი მოაშორეს თავის საქმეს და სარჩო-საბადებელს და გაუკითხავად და უცერემონიოდ სახელმწიფოდან განდევნეს. უცებ ათასობით საზღვარზე გადაყვანილი ხალხი დარჩა უბინაოდ და ულუკმაპუროდ. ბევრი მათგანი ავადმყოფობისა და შიმშილის გამო გამოეთხოვა წუთისოფელს. ეს იყო პირველი ნიადაგის მომზადებელი „ეფექტი“, რომლითაც ბისმარკს სწადდა გერმანელ „პატრიოტებზე“ შთაბეჭდილება მოეხდინა და პოლონელთა წინააღმდეგ შემუშავებული კანონ-პროექტი პრუსიის პარლამენტისთვის მიეღებინებია. პოლონელების განდევნის გამო დიდი ალიაქოთი ასტეხეს რეიხსტაგში პოლონელ დეპუტატებმა, უკიდურეს მემარცხნეებმა და სხვა დემოკრატებმა. მაგრამ ბისმარკმა ამათი კიცხვა არაფრად არ ჩაგდო და რეიხსტაგს პირდაპირ გამოუცხადა: პოლონელების განდევნა მარტო პრუსიის საქმეა, ეს რეიხსტაგის კომპეტენციაში არ შედის და ამიტომ აქ არც არაფერი გეთქმითო. პრუსიის მთავრობამ მიიღო ეს ღონისძიება, რომ გერმანელები „დაეფარა“ პოლონელთა „შემოსევისაგანო“...

1886 წელს პრუსიის ლანდტაგის (პარლამენტის) გახსნის წინედ წაკითხულ იქმნა მეფის სეფე-სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ „პოლონელები თანდათან ძლიერდებიან აღმოსავლეთ პროვინციებში და გერმანელებს აძევებენ იქიდანო; ეს გარემოება ვალად სდებს მთავრობას იზრუნოს და ღონისძიებანი გამონახოს, რომელნიც ხელს შეუწყობენ და უზრუნველ ჰყოფენ გერმანელ ხალხის არსებობასა და განვითარებასო“.

ამ სიტყვებით ეს სეფე-სიტყვა აღნიშნავდა გაკვრით იმ ღონისძიებას, რომელიც უკვე შემუშავებული ჰქონდა ბისმარკს. 9 თებერვალს ეს უკანასკნელი წარსდგა ლანდტაგის წინაშე კანონმდებლობითი წინადადებით, რომელსაც ეწოდებოდა „კანონ-პროექტი გერმანელთა დასახლების გაძლიერების შესახებ დასავლეთ პრუსიისა და პოზნანის პროვინციებში“. მთავრობამ ამ პროექტში ითხოვა 100 მილიონი მარკა (50 მილ. მან.) პოლონელთა სამშობლო პოზნანში ადგილობრივ თავად-აზნაურთაგან მამულების შესასყიდად და ამ ადგილებზე გერმანელ გლეხების დასასახლებლად. ბისმარკს არ დაუფარავს თავისი აზრი და პირდაპირ გამოსთქვა ლანდტაგში: „ჩვენი მიზანია პოლონეთის მამულები შევისყიდოთ და იქაურ თავად-აზნაურობის ექსპროპრიაცია მოვახდინოთო. პოლონელებს ჩვენ ამით არავითარ უსამართლობას არ ვუშვრებით,— განაგრძო ირონიით ბისმარკმა,—რადგან ისინი თავიანთ მამულებში ფულს მიიღებენ. იმათ შეუძლიანთ ამ ფულით საზღვარს იქით—რუსეთში იყიდონ მამულები, თუ არა და შეუძლიანთ მონაკოშიაც წაბრძანდნენ და ლატარიაში წაგონ-“ო.

აქაც, ამ კანონ-პროექტის საჭიროების დასაბუთების დროს, ბისმარკმა იგივე გაიმეორა, რაც რეიხსტაგში სთქვა: პოლონელები თანდათან გვაძევებენ პოზნანიდან და ჩვენ იძულებული ვართ „თავი დავიფაროთო“. გარდა ამ გვარ პრტყელ-პრტყელ სიტყვებისა მთავრობას არავითარი ნამდვილი საბუთები და ფაქტები არ წარმოუდგენია, რომლებიც მაჩვენებელი ყოფილიყოს პოლონელთაგან გერმანელების და„ჩაგვრისა“ და ეკონომიურად დაძაბუნებისა. „როგორ?—იძახის აღშფოთებით ერთი უკიდურეს დემოკრატთა ორგანო.— ხალხი დაიპყარით, დაიმონავეთ, პოლიტიკური არსებობა მოუსპეთ, საკუთარი კულტურული განვითარება შეუჩერეთ და ეხლა თავის თავს ნებასაც აძლევთ, მოღალატეობად დასახოთ, რომ ეს ხალხი, მიუხედავად ყველა ამისა, მაინც ცოცხლობს? თქვენ შეცვივდით ამ ხალხის სამშობლოში,

ეცადეთ ყოველგვარ საშუალებით ეკონომიურად გაგეყვლიფათ იგი, გააღვიძეთ მისი სოციალ-ეკონომიური ძალა და ეხლა მოსთქვამთ და ჰყვირით, რომ ეს ხალხი მოქმედებას იწყებს და უცხო ელემენტის გადამეტებულ შესევას ბოლოს უღებს?“ (იხ. კარსკის წერილი: **Die Thätigkeit der Ansiedelungs-Kommission in Posen und Westpreussen).**

პარლამენტმა, რომელშიაც პრუსიის „იუნკრობა“ (თავად-აზნაურობა) და მსხვილი ბურჟუაზიაა გაბატონებული, მიიღო უცვლელად მთავრობის წინადადება: გადაიდო 100 მილიონი მარკა, შესდგა ესრედ წოდებული „გერმანელთა დასახლების კომისია“ და გაჩაღდა პოლონელთა საწინააღმდეგო მოქმედება.

პირველად კომისიამ მამულების ყიდვა დაიწყო ისეთ ადგილებში, სადაც გერმანელები და პოლონელები ერთმანეთში არეულად მოსახლობენ, და ეს იმ მიზნათ, რომ გერმანელების რიცხვი გაეძლიერებია და მათი გავლენა გაედიდებია. შემდეგ გადვიდა პროვინციის ისეთ ნაწილებშიაც, სადაც უფრო პოლონელთა მჭიდრო მოსახლობაა, და მიჰყო ხელი პოლონელ თავად-აზნაურობის მამულების შეძენას და გერმანელ გლეხების დასახლებას. ეს კომისია დღემდის არსებობს და განაგრძობს თავის მოქმედებას. იგი ყიდულობს მამულებს, ახდენს ამ მამულებში მელიორაციას, აშენებს სადგომ სახლებს, სკოლებს, ეკლესიებს და სხვა-და-სხვა საზოგადო საჭიროებათათვის შენობებს და ასე მოწყობილ კოლონიებში ასახელებს გლეხებს. გლეხებს მიწა ეძლევათ როგორც იჯარით, ისე ყიდვითაც; უკანასკნელ შემთხვევაში ესენი გრძელის ვადით სწყვეტენ ვალს და იხდიან მცირე სარგებელს ($2^1/_2$%-ს).

გერმანელები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ პოლიტიკაზე და ოცნებობდნენ, რომ სულ მოკლე ხანში პოლონელების მამულებს ხელში ჩაიგდებდნენ და მცხოვრებთ ერთიან გააგერმანელებდნენ. მაგრამ გამოცდილებამ ყველანი დაარწმუნა, რომ მაგ რიგად ადვილი საქმე არ არის შეგნებულ და მებრძოლ ხალხის გადაგვარება და მოსპობა. გერმანელთა მოლო-

დინი არ გამართლდა და მათმა მილიონებმა შედარებით მცირე და უმნიშვნელო შედეგი მოიტანა. 1886 წლიდან 1898 წლამდის გერმანელებმა დახარჯეს 80 მილიონი მარკა და იყიდეს სულ დასავლეთ პრუსიასა და პოზნანში 89 ათასი დესეტინა მიწა, აქედან პირველში 25 ათასი დესეტინა, ხოლო მეორეში 64 ათასი დესეტ. ამ მიწებიდან 65 ათასი დესეტინა პოლონელებისაგან შეიძინეს, ხოლო დანარჩენი 24 ათასი დესეტინის გამყიდველნი ისევ გერმანელები იყვნენ. ამ სახით პოზნანში გერმანელების ხელში გადვიდა 4% მიწათფლობელობისა და 2% მიწის საერთო სივრცისა. ამავე ხნის განმავლობაში „კომისიამ“ დაასახლა 2342 კომლი გერმანელი გლეხი 38 ათას დესეტინის სივრცის მამულებზე, ხოლო დანარჩენი 51 ათასი დესეტინა ჰქონდა იმ დროს მოუწყობელი და დაუსახლებელი. ამ ნაირად, პრუსიის „გერმანებელ“ ღონისძიების საშუალებით ორსავე ხსენებულ პროვინციას მიემატა სულ დაახლოვებით 10 ათასი სული გერმანელი, რაც იქაურ მცხოვრებთა საერთო რიცხვის მესამედ პროტესტსაც კი არ შეადგენს.

ეს იყო სულ ის ნაყოფი, რომელსაც წარმოადგენდა 1898 წლის დამდეგს „დამსახლებელ კომისიის“ 12 წლის მოქმედება. 1886 წელს გადადებული 100 მილიონი თითქმის გათავდა და მთავრობამ ხელახლა სთხოვა პარლამენტს ამავე საგნისთვის კიდევ 100 მილიონის გადადება, რაზედაც პარლამენტი დასთანხმდა და „კომისიას“ ნათხოვნი ფული მისცა (იხ. ვ. შულცეს **Preussisches Ansiedelungsgesetz für Posen und Westrpeussen**).

მაგრამ ამავე დროს არ ეძინათ პოლონელებსაც. როგორც კი ბისმარკის პროექტი დაკანონდა და თანხაც გადაიდო, პოლონეთში გაიმართა გერმანელების წინააღმდეგ ძლიერი აგიტაცია და მოძრაობა. დევნამ კიდევ უფრო გააღვიძა პოლონელებში ეროვნული ინტერესის შეგნება და ხალხსნური თვით-ცნობიერება. პოლონეთის პრესამ გამოაცხადა უპატიოსნოდ და სამშობლოს მოღალატედ ყოველი მემამულე,

რომელიც კი თავის მამულს პრუსიის „კომისიას“ მიჰყიდდა. გაძლიერდა კერძო თაოსნობა, შესდგა მრავალი ამხანაგობები, რომლებმაც მამულების ყიდვას მიჰყვეს ხელი, რომ შემდეგ პოლონელი გლეხები დაესახლებიათ და ამ ნაირად გერმანელებისთვის კონკურენცია გაეწიათ. ამ გვარივე ოპერაციები დაიწყეს რამდენიმე კერძო ბანკებმაც. ერთის სიტყვით იმათ გამოიჩინეს დიდი ეროვნული სიფხიზლე და საქმიანობა. ამ საქმიანობამ დიდი ნაყოფი მოიტანა და ყველას დაუმტკიცა, რომ პატარა ხალხსაც შეუძლია შეერთებულის ძალით ძლიერი მეტოქის წინააღმდეგობა და დამარცხება. პონელებმა არათუ ნიადაგი არ დაუცალეს გერმანელებს, არამედ, პირიქით, ალაგ-ალაგ შეუმცირეს მათ მიწათ-ფლობელობა და შეიძინეს გერმანლებისაგან უძრავი ქონება. ამ წლის თებერვლის 19-ს მინისტრმა ჰამერშტეინმა განაცხადა პრუსიის პალატაში (Herrenhaus), რომ ამ უკანასკნელ ხანებში პოლონელთა ფლობელობაში გადავიდა მამულები, სივრცით 36 ათასი დესეტინა, რომლებიც 1896 წლამდის გერმანელებს ეკუთვნოდაო.

პრუსიის მთავრობას მოსვენებას არ აძლევს პოლონელთა ასეთი სიფხიზლე და ეროვნული მოძრაობა. იგი მუდამ ახალ საშუალებასა და ღონისძიებას იგონებს, რომ ეს მოძრაობა მოსპოს და პოლონეთის ერი როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურად, ისე ეროვნულ-სულიერადაც გერმანიას დაუმორჩილოს. ერთი ამგვარი საშუალება მას ეხლა ხან გამოუგონია და ამის შესახები კანონ-პროექტიც შეუმუშავნია. მას უნდა მთელი პოლონელი ხალხი საერთოდ კანონს გარეშე დააყენოს და მოაკლოს ის უფლება, რომელიც, კონსტიტუციის ძალით, ყოველ მოქალაქეს აქვს გერმანიის იმპერიაში მინიჭებული.

პალატაში შეტანილია განსახილველად კანონ-პროექტი რომელიც, თუ მიღებულ იქმნა და დაკანონდა, პოლონელებს წაართმევს მოქალაქობრივ უფლებას და მოუსპობს მამულების შეძენის საშუალებას. აქ ეს პირდაპირ ნათქვამი არ არის, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს,—ფაქტიური შე-

დეგი მისი მიღებისა და კანონად გახდომისა უეჭველად ეს აკრძალვა იქნება. პროექტის სიტყვით, პოზნანში არავის არ ექნება უფლება დასახლდეს ან სხვები დაასახლოს, თუ „დასახლების კომისია“ ჰპოვებს ამას თავის მიზნისა და დანიშნულების წინააღმდეგად. და ეს კი, რა თქმა უნდა, იგივე აკრძალვაა: „დასახლების კომისია“ თავის დღეში არ დართავს ნებას, რომ პოლონელთა მიწათ-ფლობელობა გადიდდეს და დასახლებულ პოლონელთა რიცხვი გამრავლდეს.

ამ კანონ-პროექტზე სჯა-ბაასი ჰქონდათ პრუსიის პალატაში ამ თვის 19-ს. მეტად დამახასიათებელია გერმანელთა და პოლონელთ განწყობილებისა ის სიტყვები, რომლებიც იქ ამ შემთხვევის გამო წარმოითქვა. „შეგნებულ გერმანულ პოლიტიკის წარმართვა აღმოსავლეთ პროვინციაში—განაცხადა მინისტრმა პოდბიელსკიმ—ჩვენ შეგვეძლება მხოლოდ მაშინ, როცა დაყრდნობილი ვიქნებით გერმანელ გლეხობაზე. იმ ბრძოლაში, რომელიც გამოგვიცხადეს პოლონელებმა, ჩვენ გვესაჭიროება იარაღი, და იმედი მაქვს, ამ იარაღის მოცემაზე თქვენ უარს არ გვეტყვით. 40 ათას ჰექტარზე მეტი გერმანელთა მამული გადავიდა პოლონელების ხელში. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ბოლომდის და უნდა გავიმარჯვოთ. წინანდელი ობერ-პრეზიდენტი თავადი ჰაცფელდი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ზემო შლეზიაში მშვიდობიანობა დაემყარებია, მაგრამ ვერ მოახერხა,—ჩვენ, გერმანელები, ძალად გამოგვიწვიეს საბრძოლველად: და, აი, ეხლა, როცა ომი (Krieg) გაჩაღდა, ჩვენც უნდა ვიომოთ და გამარჯვების დროშა ავაფრიალოთ. პოლონეთის ბანკების მოქმედებას, რომლებიც მიწებს ყიდულობენ, ანაწილებენ და პოლონელ გლეხებს ასახლებენ, ბოლო უნდა მოვუღოთ. პოლონელები პირაქედ გვებრძვიან, და ჩვენი ღირსების გათელვა იქნება, პასუხი არ გავსცეთ და მათს მისწრაფებას წინააღმდეგობა არ გავუწიოთ“.

ზოგიერთ მხრით კიდევ უფრო საინტერესო იყო თავ. ბისმარკის—„რკინის“ ბისმარკის შვილის—„რეჩი“. „პოლო-

ნელები—სთქვა მან სხვათა შორის—გახელდნენ და გასაძაგლდნენ. პატარა ბავშვებსაც-კი აგონებენ, რომ თავისი სათამაშო ნივთები გერმანელ ვაჭრების დუქნებში არ იყიდონ. აღარაფერს ვიტყვი იმაზედ, თუ საიდან მოსდით მათ ის დიდი თანხები, რომლებიც პოლონეთის ბანკებს აქვთ საწარმოებლად... თუ პოლონელები მართლა პრუსიელებად სთვლიან თავის თავს, როგორც ამას ხშირად გვეუბნებიან, მოსჯონ საკუთარი პარტიები ლანდტაგში და რეიხსტაგშიაც. მხოლოდ მაშინ დავუჯერებთ, რომ „დიდი პოლონეთის“ აღდგენის ოცნებაზე ხელი აუღიათ. ბატ. პოლონელები მუდამ პოლონეთის ეროვნებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ასეთი ეროვნება გერმანიაში არ გახლავთ. ამ სახელწოდებით ისინი აღვივებენ დიდი პოლონეთის უტოპიას. მე ჩემდა თავად ვერ გამიგია, თუ როგორ ჰხარჯვენ ისინი ამდენ ძალას, დროს და ფულს ასეთ უტოპიაზე... დაანებეთ, ბატონებო (მიჰმართავს პოლონელებს), ამ უტოპიას თავი და იმუშავეთ ჩვენთან ერთად; ილაპარაკეთ სახლში პოლონურად, რამდენიც გენებოთ, მაგრამ მადლობელი იყავით, თუ თქვენს შვილებს გერმანულ ენას ვასწავლით!.. უწინარეს ყოვლისა ჩვენ პრუსიელები ვართ და იმედი მაქვს, მთავრობა საკმაო ძლიერებას გამოიჩენს, წვრილმან დაბრკოლებაზე ფეხს არ წაიკრავს, არამედ პრუსიის სახელმწიფოს ინტერესს ყველაფერზე მაღლა დააყენებს და განაგრძობს მოქმედებას აღმოსავლეთ პროვინციებში პრუსიის ღირსება-სახელის დასაცველად“.

ასე რიხიანად და მოურიდებლად ლაპარაკობდნენ პალატაში აღძრულ საკითხის გამო ყველა გერმანელები. მათში არ გამოჩნდა არც ერთი კაცი, რომელსაც ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისთვის ხმა აღემაღლებია, მთავრობის ბარბაროსული პროექტი დაეგმო და ბედისაგან დაჩაგრული პატარა ერი დაეფარა. თვით პოლიტიკურ ეკონომიის პროფესორმა შმოლერმაც, რომელიც განთქმულია თავისი ლიბერალობით და „სოციალ-პოლიტიკით“, სრული ნდობა და თანხმობა გამოუცხადა მთავრობას.

რასაკვირველია, კანონ-პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკეს პოლონელებმა. „ჩვენ ომი გამოგვიცხადეს,—სთქვა კოსციელსკიმ,—უნდათ, რომ გაგვალატაკონ და დედამიწის ზურგიდან აღგვგაონ. ჩვენთვის ხელსაყრელი არაა ისეთს ძლიერ სახელმწიფოსთან ომის გამართვა, როგორიც პრუსიაა, და ვერც ვერავინ დაგვწამებს ამას... კანონ-პროექტი ჩვენს წინააღმდეგაა მომართული. მე თავი მომწონს იმით, რომ ჩემმა თანამემამულეებმა, მიუხედავად დევნისა, თავის ბეჯითობითა და შრომით მოახერხეს გამკლავება და თავის დაცვა. საბოლოო გამარჯვება მხოლოდ იქ შეიძლება იყვეს, სადაც სამართლიანობაა, და ეს სამართლიანობა კი ჩვენს მხარეზეა... ჩვენ შეჩვეული ვართ დევნისა და შევიწროვების ატანას, და ამ კანონის შემდეგაც, თუ კი იგი მართლა მიღებულ იქმნა, მაინც ვიარსებებთ და არ გავჰკრებით. ჩვენ არ ვისურვებთ გადაგვარებას და ჩვრების ტომრებად არ გადავიქცევით. დიახ, ბატონებო! განა სანეხვე ტომრები არ ვავხდებით, თუ ჩვენ უარვყავით ჩვენი ეროვნება? ჩვენ გვინდა პატიოსანი კაცები ვიყვეთ. ისეთ ხალხს, რომელიც თავისში გრძნობს ძალას, თქვენ ვერას დროს ვერ მოერევით“.

მთავრობის საკანონმდებლო პროექტი გადაეცა კომისიას დაწვრილებით განსახილველად. წინ და წინ ძნელია იმის თქმა, შეიცვლება იგი, თუ უცვლელად დაკანონდება. ადვილი შესაძლებელია, რომ შიგ ცვლილება არაფერი მოხდეს და პრუსიის მთავრობამ ძალმომრეობითა და კანონის უარყოფით დაუწყოს პოლონელებს დევნა და შევიწროება.

მაგრამ თვით-ცნობიერების გაღვიძებას და ენერგიულს მუშაობას შეუძლიან გადალახოს დაბრკოლება და გააუმჯობესოს მდგომარეობა...

ფ. გოგიჩაიშვილი.

უცხოეთის მიმოხილვა

გაზეთისა თუ ჟურნალის ეხლანდელი მკითხველი რუსეთ-იაპონიის ომის ამბებს თხოულობს. და გაზეთიცა და ჟურნალიც დღეს მართლა ამ ამბებითღაა სავსე. არც საკვირველია ასეთი გარემოება: ეხლანდელ ომიანობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება როგორც მებრძოლ მხარეებისათვის, ისე მთელ კაცობრიობისთვისაც და მაშასადამე ჩვენთვისაც...

მიუხედავათ ამისა დღევანდელი მიმოხილვა ომიანობას არ შეეხება: ერთი იმიტომ, რომ ამ ერთი თვის განმავლობაში მებრძოლ მხარეთა მდგომარეობა არ შეცვლილა—ზღვაზე ისევ იაპონიაა გაბატონებული და ხმელეთზე ჯერ საყურადღებო შეტაკება არ მომხდარა; მეორეც იმიტომ, რომ გაზეთ „ცნ. ფურცლის“ მექრონიკე ყველა საყურადღებო ცნობებს აწვდის ჩვენ მკითხველს და მესამეც იმიტომ, რომ ევროპაში ბევრი საყურადღებო ამბები ხდება, რომელსაც გაზეთი ვერ აქცევს ეხლა შესაფერ ყურადღებას და რომლის ცოდნა თანამედროე მკითხველისათვის ფრიად მნიშვნელოვანია.

თუ ომიანობაზე არა, იაპონელებისა და ჩინელების შესახებ მაინც მოვიყვანთ ზოგ საყურადღებო აზრს, სანამ სხვა საგნებს შევუდგებოდეთ.

რუსულ გაზეთ „რუსკია ვედომოსტი“ს*) ლონდონელ კორესპონდენტი, სხვათა შორის, სწერს: „...ამ ბოლოს დროს დიდ ძალი წიგნები იბეჭდება; მათ შორის უფრო საინტერესონი არიან ის ნაწერები, რომელნიც იაპონელის „სულის“ გაგებას გვიადვილებენ. ინგლისურ ჟურნალ „თვიურ მიმოხილვა“-ში მოყვანილია ტოკიოელ პროფესორის ინაკო ნიტობეს გამოკვ-

*) იხ. № 64

ლევის შინაარსი იმ ზნეობრივ პრინციპების შესახებ, რომლებითაც იაპონელი ხელმძღვანელობს. იაპონელების ზნეობის კოდექსს „ბუშიდო“ ჰქვია სახელად. ეს „ბუშიდო“ იყო საფუძველი „სამურაების“ აღზრდისა და დღესაც სკოლებში მის საშუალებით ასწავლიან ზნეობას.

„ბუშიდო“ს წინ უძღვის მიკადოს სიტყვა განათლების მნიშვნელობაზე. ამ სიტყვას ყოველთვის ჰკითხულობენ ხოლმე სკოლებში ზნეობის გაკვეთილის დროს. იაპონიის იმპერატორი, სხვათა შორის, ეუბნება თავის ხალხს: „იყავით კარგი შვილები მშობლებისათვის, დაიცევით ძმობა, იყავით პატიოსანი ქმრები და ერთგული მეგობრები; თავის თავს სასტიკად მოეპყარით, სხვებს ლმობიერად; გიყვარდეთ სხვა, როგორც თავის თავი; იშრომეთ, ისწავლეთ, იფიქრეთ და განავითარეთ თქვენში ზნეობრივი გრძნობანი, აღზარდეთ თქვენში საზოგადოებრივი სული, ემორჩილეთ ჩვენ კონსტიტუციას და აღასრულეთ ჩვენი ქვეყნის კანონები“.

თვითონ „ბუშიდო“ ან „რაინდული წესები“ შემუშავებულია ძველად სამურაების მიერ. ეს „ბუშიდო“ იმდენად ნაციონალურია, იმდენად იაპონურია, რომ მას „იაპონიის სულს“ ეძახიან. პროფესორი ინაკო ნიტობეს გამოკვლევით „ბუშიდო-“ს ოთხი გავლენა ეტყობა. პირველად ყოვლისა აღსანიშნავია ბუდისმის გავლენა: ბედის წერის რწმენა, აუცილებელის დამორჩილება, სტოიცისმი დიდ საშიშროებისა და უბედურობის დროს და სიკვდილის არაფრად მიჩნევა. შინტოისმმა შეიტანა „ბუშიდო“ში, რაც ბუდისმს აკლია—ლოიალობა, წინაპართა კულტი და პატივის ცემა მშობლისა შვილის მხრივ. შინტოისმის ტაძრებში საპატიო ადგილი უკავია სარკეს, რომლის წინ იჩოქებს ხოლმე მლოცველი. აზრი ამ ჩვეულებისა ის არის, რომ ვისაც სურს ნამდვილ კეთილმორწმუნეობას მიაღწიოს, ჯერ თავის თავი უნდა იცნოს. შინტონისმის სწავლით, სამშობლო მარტო მოხვეჭისა და მოსავლის ადგილი კი არ არის, არამედ წინაპართა სულის სადგომიც. კონფუცისა

და მენცძის გავლენაც ცხადათ ეტყობა იაპონელების ზნეობას კოდექსისიმ ნაწილში, სადაც წმინდა ეთიკაზეა ლაპარაკი.

„ბუშიდო“ მეომართა წრეშია შექმნილი; ამიტომაც არის, მეტად მაღლა აქ დაყენებული ადამიანის პატიოსნება და სახელი, იმდენათ მაღლა, რომ ევროპიელს ასეთი შეხედულება გადაჭარბებულად ეჩვენება. „მოიქეც ყოველთვის პირდაპირ, როგორც გონება გასწავლის. მოკვდი, როცა სიკვდილი უნდა დადგეს; დაჰკარ, როცა დაკვრა სამართლიანია. პირდაპირობა ის ძვალია, რომელიც იკავებს მთელ სხეულს; როგორც უძვლოდ თავი ვერ გაჩერდებოდა ტანზე, ხელები ვერ იმოძრავებდნენ, ფეხები ვერ გაჩერდებოდნენ, ისე პირდაპირობას მოკლებული კაცი ვერ გახდება ნამდვილი საგურაი, რაც უნდა ნასწავლი და ბუნებით ნიჭიერი იყოს. ვინც პირდაპირია, არ უნდა რცვხვენოდეს არც გაუნათლებლობისა და არც უნიჭობისა“. ინაცო ნატიბეს სიტყვით, ფეოდალურ ხანის დროს სიტყვა „გიში“ (პირდაპირი კაცი) ითვლებოდა ბევრად უფრო საპატიოდ, ვიდრე სხვა რომელიმე ტიტული. პირდაპირობასთან ერთად დიდათ დაფასებულია სამართლიანობა (შრი). ამ სათნოებათა შემდეგ მოდის სიმამაცე, ვაჟკაცობა. „თუ იცი, რა არის სამართლიანი, და არ იქცევი მის მიხედვით, შენში არ ყოფილა ვაჟკაცობა“. „ბუშიდო“-ს განმარტებით, დიდი განსხვავებაა ფიზიკურსა და ზნეობრივ ვაჟკაცობას შუა. „ადვილია შევარდე შიგ შუა-გულ ბრძოლაში და იქ სიკვდილი იპოვო; ეს ყველა თავზე ხელაღებულ ოხერსაც შეუძლია. ნამდვილი ვაჟკაცობა ის არის—იცოცხლო, როცა ვალდებული ხარ და მოკვდე, როცა ამას სამართლიანობა თხოულობს“. ამიტომაც ნამდვილი ვაჟკაცობა ბევრად მაღლა სდგას უბრალო ფიზიკურ ვაჟკაცობაზე. სამურაის შვილები არც საჭიროებდნენ ფიზიკურ ვაჟკაცობაზე ქადაგებას, რადგან თავიდგანვე ნამდვილ სპარტანულად იზრდებოდნენ.

ვაჟკაცობას მოსდევს მოწყალე გული, დიდსულოვნობა და სიყვარული მოყვასისადმი. „ბუშიდო“ ასწავლის აგრეთვე ზრდილობასაც, ე. ი. სხვათა აზრის პატივისცემას. ცრუობა მეტად

დაგმობილია: „სიცრუე და ორჭოფობა სიმხდალის ნიშანია“-ო.

„სირცხვილი ის ნიადაგია, რომელზედაც ამოდის ყოველ გვარი სათნოება“-ო, ამბობს მენცძი. ეს იმას ნიშნავს, რომ კაცს იმ თავითვე უნდა შეათვისო შეხედულება, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება ცნობილ რუსულ ანდაზის აზრს— Стыдъ не дымъ, глазъ не выѣстъ. თუ გრცხვენია შენის ცუდის მოქმედებისა, შეგიძლიან სათნოიანიც გახდეო, ამტკიცებს მენცძი. „ბუშიდო“ სამ მთავარ სვეტზეა დამყარებულიო, ამბობს ხსენებული პროფესორი; ეს სვეტებია—ხი, ჯინ და იუ, ე. ი. სიბრძნე, გულმოწყალეობა და ვაჟკაცობა.

„ბუშიდო“ ავითარებს და ზრდის იაპონელებში პიროვნების ღირსების გრძნობასაც. ინაკო ნიტობე სწერს: „ჩვენი ქვეყანა გავალეთ უცხოელებისათვის, ბევრი რამ გამოვცვალეთ ჩვენ ცხოვრებაში და შევუდექით დასავლეთ ევროპის მეცნიერებისა და პოლიტიკის შესწავლას. რით ვხელმძღვანელობდით, როცა ეგრე ვიქცეოდით? იმითი კი არა, რომ იაპონიის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება და მოხმარება გვინდოდა; არც ბრმა მიმბაძველობით ჩაგვიდენია ასეთი საქმე. მთავარი მიზეზი რეფორმების შემოღებისა იყო სახელისა და პატიოსნების გრძნობა. ჩვენ არ გვინდოდა, რომ სხვა ხალხებს ამაყად ეცქირათ ჩვენთვის ზემოდან. მატერიალური ინტერესები გაჩნდნენ შემდეგში, როცა სარეფორმო პროცესსი უკვე დაიწყო“.

როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი, „ბუშიდო“ სამხედრო წოდების ზნეობრივი კოდექსი იყო. ამიტომაც შიგ ბევრია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა არის მხედრის სახელი და პატიოსნება. ამ სახელისა და პატიოსნებისათვის სამურაის ხშირად თავიც უნდა მოეკლა. „ბუშიდო“ ქებით იხსენიებს თავის მოკვლას ერთგულებისა და სიყვარულისათვის. მოგვყავს ერთი ამბავი ასეთ თავის მოკვლისა. ეს ამბავი მოხდა მე-XVI-ე საუკუნეში, როცა გამწვავებული სოციალური ბრძოლა იყო იაპონიაში. მთავრის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს ერთ სამურაის, რომელსაც პირადათ არ იც-

ნობდა, რომ დარწმუნებულიყო, რომ სწორედ ის დასაჯეს, ვინც მას სურდა, მთავარმა ბრძანა, რომ მოკვეთილი თავი ეჩვენებიათ სამურაის შვილისათვის, რომელიც იქვე იყო. „მამა-შენის თავია?“ ჰკითხა მთავარმა ახალგაზდა სამურაის. სამურაიმ შეხედა თავს და მამამისის თავი არ აღმოჩნდა. მაგრამ მამის ხსნისათვის, დასჯილი მამად იცნო, აკოცა და იქვე თავი მოიკლა, რომ ეჩვენებინა მთავრობისათვის, რამდენად შეწუხებულია მამის სიკვდილით. მთავარმაც დაიჯერა და ამ გვარად შვილის თავის მოკვლამ მამა გადაარჩინა.

სამურაების „ბუშიდო“ ეხლა ის ზნეობრივი კოდექსია, რომელზედაც იზრდება იაპონიის მთელი მოზარდი თაობა“.

რუსულ გაზეთის ამავე კორესპონდენციაში მოყვანილია სხვა და სხვა აზრი იმის შესახებ, თუ რისთვის დაიწყო იაპონიამ ომი.

„იაპონიამ დაიწყო ბრძოლა იმიტომ, რომ ასე რო არ მოქცეულიყო, მას მოელოდა სიამისა და სპარსეთის ბედი... იაპონია ხედავს თავის წინ უდაბურ ბილიკს, რადგან სულ განმარტოებულად სდგას სხვა ხალხებ შორის. მთელი ევროპა— ერთი ოჯახია მიუხედავათ იმისა, რომ ამ ოჯახის წევრები კინკლაობენ და ერთმანერთის წინააღმდეგ ინტრიგების ქსელს აბმენ. ამავე ოჯახს ეკუთვნის ამერიკაც. ევროპიელებმა ჩაჰყლაპეს მთელი ქვეყანა, გარდა შორე-აღმოსავლეთის იმ იმპერიისა, რომელიც კუნძულებზე მდებარეობს. იაპონელების მონათესავე ფილიპელებს, მალაელებს, კანაკებს და მაორისებს ევროპიელები ხან ჟლეტდნენ და ხან საქონელსავით ბაზარში გამოყავდათ და ყიდდნენ. თათრები და ციმბირის ხალხები ხივიდან დაწყებული კამჩატკამდე აღარ არსებობენ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. აზიის ის ხალხები, რომელნიც ჯერ კიდევ არ გამხდარან სავსებით ევროპიელების მსხვერპლნი, სამსხვერპლო „სიაში არიან შეტანილი“. იაპონიის არსებობა ისტორიაში მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ იაპონიის ხალხი შესძლებს უახლოეს მეზობლებისა და ნათესავების—კორეისა და ჩინეთის გამოღვიძებას. იაპონიას კარგად

ესმის, რომ თუ ეს ასე არ მოხდა, ისიც უნდა შევიდეს იმ ბრძმედში (სადნობელი ქურა), სადაც ევროპიელებმა გადაჰყარეს არა თეთრ კანიანების ყველა სახელმწიფოები. ამ ბრძმედიდან ჯერ არც ერთი ხალხი არ გამოსულა განახლებული. იაპონიაში ყველას კარგად ესმის, რომ მათ მოელისთ უკიდურესი ბრძოლა არსებობისათვის; ყველას ესმის, რომ ბრძოლა ერთი და ორი წელიწად კი არ გაგრძელდება, არამედ რამდენიმე ათი წელიც".

მთელი ევროპა შორე-აღმოსავლეთის ომიანობით არის გატაცებული, ყველა ომის ამბებს ჰკითხულობს და მთავრობანი განუწყვეტლივ იმის ცდაში არიან, რომ ომმა არავინ ჩაითრიოს და უფრო რთული და სახიფათო ხასიათი არ მიიღოს. მიუხედავად ამისა შინაური პოლიტიკური ცხოვრება დაწინაურებულ ევროპისა სდუღს და გადმოდუღს; თავისუფლად მომქმედი ევროპიელი ცხოვრების პირობებს იუმჯობესებს, იბრძვის უკეთეს მომავლისათვის...

საფრანგეთის დიდი რესპუბლიკა ისევ განაგრძობს ენერგიულ ბრძოლას თავის შეურიგებელ მტრებთან—მეფობისა და ეკლესიის ძველ ავტორიტეტის აღდგენის მოტრფიალეებთან. კომბის სამინისტრომ წარმოადგინა და გაიტანა კიდეც ახალი კანონ-პროექტი კლერიკალების ბუდე—კონგრეგაციების წინააღმდეგ. მკითხველს ემახსოვრება, რომ ვალდეკ-რუსოს მიერ გაყვანილ კანონით მთავრობისაგან ნება-დაურთველი კონგრეგაციები ყველა უნდა დახურულიყო. ბევრი კონგრეგაცია საფრანგეთიდან გადასახლდა სხვა სახელმწიფოებში, ბევრმა ნებართვა ითხოვა, მაგრამ რესპუბლიკის მთავრობამ ყველას უარი უთხრა და ძალით დახურა. ბერებისა და მაღალ სამღვდელო პირების ჩაგონებით და მეცადინეობით ბევრგან დიდი მანიფესტაციები გაიმართა მთავრობის ასეთ ენერგიულ მოქმედების წინააღმდეგ. ძველ, დახავსებულ და გამრყვნელ წესწყობილების მომხრეებმა იმდენი მოახერხეს, რომ რამდენიმე წარჩინებულ ჯარისკაცებსაც კი უარი ათქმევინეს მთავრობის მორჩილე-

ბაზე—ზოგან აფიცრებმა არ აასრულეს თავის უფროსის ბრძანება, როცა გალაღებულ ბერების წინააღმდეგ უნდა ემოქმედნათ. მთავრობაც, რასაკვირველია, შესაფერად მოეპყრო ასეთ ჯარის-კაცებს და ბოლოს თავისი გაიტანა—ყველა ნება-დაურთველი კონგრეგაციები დახურა. საქმე ამით ვერ გათავდებოდა.

საფრანგეთში საკმაოდ იყო ნება-დართული კონგრეგაციებიც და ამ კონგრეგაციებს დიდძალი სკოლები ჰქონდათ ხელში. ბერების ეს სკოლები არიან ის ქარხანა, საიდანაც გამოდიოდნენ და გამოდიან ახალ, დემოკრატიულ წესწყობილების შეურიგებელი მტრები. ბერი თუ მონაზონი, რომელმაც ვითომდა უარჰყო ამ სოფლიური ცხოვრება და მხოლოდ სულის საქმეზე მზრუნავი არის, დიდის მოხერხებით ზრდიდნენ და ზრდიან თავიანთ შეგირდებს, რომ შემდეგ მათის დახმარებით ვითომდა უარყოფილ ამ სოფლიურ ცხოვრებას სათავეში ჩასდგომოდნენ და, როგორც ძველად, ეხლაც განეგრძოთ ხალხის ყვლეფა. სკოლა კლერიკალების ხელში საშინელი იარაღი იყო რესპუბლიკისა და დემოკრატიის წინააღმდეგ. „სკოლა კლერიკალების ხელში“ ისეთი მოვლენაა თანამედროვე ევროპაში, რომელსაც ლოღიკაში contradictio in adjecto ჰქვია. სკოლა—გონების სინათლის კერაა თავის დანიშნულებით, და სად გონების სინათლე და სად კლერიკალისმი! კლერიკალები იმ თავითვე იმას იყვნენ მოწადინებული, რომ ხალხი უვიცი დარჩენილიყო, რადგან ხალხი მხოლოდ მა'მინ არის, მორჩილი და ადვილი სათლელი, როცა იგი უვიცია. კლერიკალმა რომ განათლება, განვითარება შეიტანოს ხალხში ეს იმას ემზგავსება, რომ კაცმა საკუთარის ხელით მოსჭრას ის ერთად-ერთი ტოტი, რომელზედაც თვითონ ზის. ამიტომაც არის რომ კლერიკალების სკოლა გონებრივ სინათლეს კი არა, სიბნელეს ჰფენდა და ჰფენს ნორჩ ახალთაობას. საფრანგეთის დაწინაურებულმა დემოკრატიამ გადასწყვიტა საბოლოოდ მოესპო ბერების ეს მეტად მავნებელი და წინმსვლელობის შემაფერხებელი დაწესებულება.

კომბის უკანასკნელი კანონ-პროექტი არის „დაგვირგვინება“ იმ საქმისა, რომელიც მისმა სამინისტრომ მიიღო მემკვიდრეობად ვალდეკ-რუსოსაგან. ახალ კანონ-პროექტის პირველი მუხლი ამბობს: „კონგრეგაციებს (რასაკვირველია, წინად ნებადართულებს, რადგან ნება დაურთველი კონგრეგაციები ყველა დახურულია) აკრძალული აქვთ ყოველგვარი სწავლება სკოლებში. ის კონგრეგაციები, რომელნიც წინანდელ ნებართვის ძალით მხოლოდ სწავლების მიზნით იყვნენ დაარსებული, დაიხურება ხუთის წლის განმავლობაში“. იმავ კანონის მეორე მუხლის ძალით, ვერც ერთი „მასწავლებელი კონგრეგაცია ვერ მიიღებს ახალ წევრებს“.

სულ საფრანგეთში თორმეტი ათასი სკოლა ჰქონდათ კონგრეგაციებს; აქედან რვა ათასი სკოლა წინანდელი კანონების ძალით დაიხურა. ახალი კანონის ძალით კიდევ უნდა დაიხუროს დანარჩენი ოთხი ათასი.

დიდი და გაცხარებული წინააღმდეგობა გამოიწვია კომბის ახალმა კანონმა კლერიკალების მხრივ. მთელი სამინისტრო ხალხის განათლების მტრად დასახეს, მაგრამ ეხლანდელი პარლამენტის უმრავლესობა ისეთ დაწინაურებულ ელემენტებისაგან შესდგება, რომ კარგად ესმის რა არის ხალხის ნამდვილი განათლება, და ამიტომაც მან მტკიცედ დაუჭირა მხარი თავის წარმომადგენელ სამინისტროს.

დახურულ სასულიერო სკოლების მაგიერ, რასაკვირველია, გაიხსნება საერო სკოლები. ასე რომ სკოლის გარეთ არ დარჩება სწავლის მსურველი.

ეს ერთი დამარცხება კაცობრიობის პროგრესის მტრებისა. მეორე დიდი დამარცხება მათი დრეიფუსის საქმის განახლებაა.

მკითხველს ეხსომება ამ საქმის წინანდელი დაბოლოვება. რენის სასამართლომ ხელმეორედ იცნო დამნაშავედ საფრანგეთის ჯარის კაპიტანი დრეიფუსი და სასჯელიც გადაუწყვიტა, მაგრამ ამნისტიაში მოხვდა და განათავისუფლეს. მარტო ეს უკანასკნელი გარემოება იყო საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ რენის სასამართლოს დადგენილება სამართლის ქმნა კი

არა უსამართლობის დაკანონება იყო. სად გაგონილა, რომ სამშობლოს გამცემსა და მოღალატეს დანაშაული ეპატიოს! ყველასათვის ცხადი იყო, რომ დრეიფუსი მართალი იყო, ეს ვალდეკ-რუსოს სამინისტრომაც კარგად იცოდა, მაგრამ სამხედრო სასამართლო კლერიკალების სრულ გავლენის ქვეშ იყო და, რასაკვირველია, დრეიფუსი დამნაშავედ იცნო, რომ კლერიკალისმის წარჩინებულ პირების სიყალბე და უსინიდისობა არ გამოაშკარავებულიყო.

დრეიფუსმა მიიღო ამნისტია; კლერიკალებმა ეს ახალ საბუთად გამოიყენეს უბედურ კაპიტანის წინააღმდეგ: ამნისტია დანაშაულის პატიებაა და ვინც ამ პატიებას მიიღებს, იგი ამით ამტკიცებს, რომ ეს დანაშაული მართლა ჩაუდენია. ამიტომაც მოხდა, რომ ლაბორი, ნიჭიერი და გაბედული ვექილი დრეიფუსისა, შეტად უკმაყოფილო დარჩა თავის კლიენტის მოქმედების გამო. მაგრამ დრეიფუსის გამტყუნებაც ძნელია ამ საქმეში: მართალია, მის მხრივ სულმოკლეობა იყო ამნისტიის მიღება, რადგან უბრალო იყო იმ დანაშაულში, რომელსაც მას სწამებდნენ, მაგრამ სულმოკლეობა ადვილად გასაგები და საპატიებელიც—ამნისტია რომ არ მიეღო, ისევ უნდა დაბრუნებულიყო კატორგას, სადაც ამდენხანს იტანჯა და იწამა, და კატორგაში დაეწყო ლოდინი საქმის განახლებისა. ასეთ გმირობას ვერ მოვსთხოვთ ჩვეულებრივ ადამიანს.

გავიდა ხანი და ჟამი. დრეიფუსი და მისი საქმე თითქოს მიივიწყეს. ამასობაში უფრო და უფრო განმტკიცდა ნამდვილი დემოკრატია, ძალა მოიკრიბა და სასტიკი, მედგარი იერიში მიიტანა ბნელეთის წარმომადგენელთა ბანაკზე. ბრძოლიდან დემოკრატია გამოვიდა გამარჯვებული. კეთილშობილმა ჟორესმა არ დაივიწყა უდანაშაულოდ დასჯილი და წამებული კაპიტანი და მისის მეოხებით საქმე ისევ განახლდა: აღმოჩნდა დიდძალი ახალი სიყალბე, რომელიც დემოკრატიის მტრებს ჩაედინათ, რომ თავისი გაეტანათ, და უმაღლეს სასამართლომაც დაადგინა საქმის ხელ-ახალი გარჩევა.

ეხლანდელი საფრანგეთი სახელოვნად განაგრძობს დიდ-
რევოლიუციის კეთილშობილ და ჰუმანურ ტრადიციებს; ევ-
როპის მოწინავე ერი ისევ მეთაურობს თანამედროვე პროგრესს.

—

თუ საფრანგეთის თანამადროვე პოლიტიკური ცხოვრება
იმედისა და სასოების მომგვრელია, სულ სხვა შთაბეჭდილებას
ილებს პრუსიის პოლიტიკურ ცხოვრების მეთვალყურე. ძალმო-
მრეობამ, ადამიანის უფლების გადალახვამ, უბრალო ელემენ-
ტალურ სიმართლის უარყოფამ ურცხვად და გაბედულად იჩი-
ნეს აქ თავი.

ჩვენს მიმოხილვებში არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი პრუ-
სიის საეფოში მცხოვრებ პოლონელებზე. დაპყრობილ ერის
მდგომარეობა ყველგან მძიმე და აუტანელია, მაგრამ ზოგი და-
მპყრობელი სახელმწიფო მაინც საზღვარს გადადის. ასეთებს
ეკუთვნის პრუსიის სამეფოც. არ არის ისეთი ღონისძიება, რომ
პრუსიის მთავრობამ სიხარულით არ მიიღოს, ოღონდ პოლო-
ნელების წინააღმდეგ იყოს იგი მიმართული. საკოლონიზაციო
ფონდის დაარსება მკითხველს ეცოდინება: პრუსიის მთავრობამ
დიდძალი ფული გადადო, რომ პოლონელ თავადაზნაურობის
ადგილ-მამული შეიყიდოს და ზედ გერმანელები დაასახლოს.
პოლონელები მედგრად დაუხვდნენ იერიშით მოსულ ძლიერ
მტერს; დააარსეს პოლონური ბანკები, ამ ბანკების საშუალებით
თავადაზნაურობის ადგილ-მამულს ჰყიდულობენ, წვრილ ნაჭ-
რებად ჰყოფენ და შემდეგ ზედ პოლონელ გლეხებს ასახლე-
ბენ. შედეგი ამ ბრძოლისა ის იყო, რომ პოლონელების ხელ-
ში მეტი ადგილები გადავიდა გერმანელებისა, ვიდრე პოლო-
ნელების გერმანელების ხელში. ამიტომაც პრუსიის მთავრობამ
ახალი ღონისძიება გამოიგონა და პრუსიის ლანდტაგს წარუდგინა.
მთავრობის პროექტით, პოზნანსა და დასავლეთ პრუსიაში ვერა-
ვინ დასახლდება, თუ საკოლონიზაციო კომისიის თავმჯდომარე
არ მისცემს საგანგებო ნებართვას. თუ ეს პროექტი დაკანონდა
(და ეს უთუოდ ასე მოხდება, რადგან გარდა პოლონელებისა
ლანდტაგში არავინ არის მისი წინააღმდეგი), ყოველ პრუსიელ
პოლონელს აკრძალული ექნება თავის სამშობლოში მიწა შეი-
ძინოს და დასახლდეს: **სახელმწიფო უკრძალავს ქვეშევრდო-
მის ერთ ნაწილს საკუთრების შეძენას.**

პოლონელი დეპუტატები, რასაკვირველია, მთელის თავის ძალღონით შეებრძოლენ მთავრობის პროექტს: ერთადერთი მიზანი ამ კანონ-პროექტისა პოლონელების მოსპობა არისო და რომ ამ მიზანს მიაღწიოთ, კონსტიტუციისა და სამოქალაქო დებულების დარღვევისაც არ გრცხვენიათო, თამამად ეუბნებიან პოლონელების წარმომადგენელნი პრუსიის მთავრობას. და მერე როგორ პასუხს იძლევიან მთავრობა და მისი თანამგრძნობნი?

მინისტრმა პოდბიელსკიმ, სხვათა შორის, განაცხადა: პროექტის მიზანია პოზნანში და დასავლეთ პრუსიაში გერმანელების დასახლების გაადვილება, რადგან გერმანული პოლიტიკა მხოლოდ გერმანელ გლეხზე შეიძლება იყოს დამყარებული. იმ ბრძოლისათვის, რომელიც მთავრობას მოახვიეს თავზე, იგი საჭიროებს იარაღს და იმედი მაქვს, რომ ამ იარაღზე უარს არ გვეტყვით. მიუხედავათ ყოველგვარ ცდისა 40 ათასი ჰექტარი მიწა გერმანელებისა პოლონელების ხელში გადავიდა... ბრძოლა ბოლომდე უნდა განვაგრძოთ და უთუოდ გავიმარჯვოთ... რაკი ბრძოლა არის, გამარჯვება ჩვენი უნდა იყოს. პოლონურ ბანკების პოლიტიკას (დიდ მამულების პატარა ნაჭრებად დაყოფვა და ისე გაყიდვა) ბოლო უნდა მოვუღოთ".

ტყვილი იყო დეპუტატ კოსცელსკის პასუხი: პოლონელი გიჟი ხომ არ არის, რომ ომი გამოუცხადოს ისეთ ძლიერ სახელმწიფოს, როგორიც პრუსია არისო; თუ ვიბრძვით, იმიტომ რომ პრუსია სრულ მოსპობას გვიქადისო; მეორე მინისტრი, პოდბიელსკიზე კიდევ უფრო ურცხვი, ჰამერშტეინი უფრო მკაცრად ლაპარაკობდა—პრუსიაში მბრძანებელი ჩვენ, გერმანელები, ვართო და პოლონელები ჩვენ უნდა გვემორჩილებოდნენო.

დავანებოთ თავი მინისტრებსა და მთავრობას: ძალმომრეობა, სუსტის დაჩაგვრა ამათ ხომ ყოველთვის ეადვილებათ, მაგრამ რას იტყვით განთქმულ პროფესორზე და ცნობილ მეცნიერზე, რომელიც მხარს აძლევს ასეთ პოლიტიკას? ცნობილი ეკონომისტი შმოლერო პრუსიის ლანდტაგის წევრია და მოსალოდნელი იყო, რომ იგი მაინც აღამაღლებდა თავის ავტორიტეტულ ხმას უსინიდისო კანონ-პროექტის წინააღმდეგ. ნამდვილად კი აი რა სთქვა განთქმულმა მეცნიერმა: „...თუ მთავრობა აგვიხსნის, რომ უამკანონოთ ჩვენი კოლონიზაციის დიდი

საქმე პოზნანსა და დასავლეთ პრუსიაში შეუძლებელი გახდება, უთუოდ უნდა მივანიჭოთ მთავრობას მოთხოვნილი უფლება, რადგან ყველაზე მაღლა Salus publica სდგას. თუ სახელმწიფოს არსებობას რაიმე ხიფათი მოელის, ყველა გერმანელები ერთ სულ უნდა ვმოქმედებდეთ“.

გამოდის, რომ პრუსიელი პოლონელი პრუსიის სახელმწიფოს მოქალაქე არ ყოფილა: მართალია, გადასახადებს იხდის სახელმწიფოს სასარგებლოდ, ჯარში მსახურებს და პრუსიის მეფისათვის სისხლს ღვრის საჭიროების დროს, მაგრამ ეს ხომ მარტო მოვალეობანია. მოქალაქეს მოვალეობასთან უფლებაც უნდა ჰქონდეს! უფლება მარტო გერმანელისა უნდა იყოსო, გამოდის შმოლერის სიტყვიდან. პოლონელი მოკლებულია უფლებას თავის სამშობლო ენაზე მიიღოს სწავლა, თუმცა კანონით პოლონელი და გერმანელი სწორუფლიბანი უნდა იყვნენ, პოლონელ გლეხს მოკლე ხანში არ ექნება უფლება ადგილი შეიძინოს—გერმანელი გლეხი უნდა დავასახლოთ თქვენ ქვეყანაშიო. შმოლერის „Salus publi a“ „salus fermamca“-ა, რადგან როცა პოლონელიც თხოულობს ამ „Salus“-ის პატარა წილიც ირგოს, ახლოსაც არ იკარებენ.

და განა გასაკვირველი უნდა იყოს ამის შემდეგ, რომ პოლონელს არ უყვარდეს პრუსია და მისი მთავრობა?

კანონ-პროექტის დაკანონების შემდეგ პოლონელებს, რასაკვირველია, უფრო გაუძნელდებათ მტერთან ბრძოლა, მაგრამ კოსციელსკის სიტყვებისა არ იყოს, „იმ ხალხს, რომელიც სიცოცხლის ძალას გრძნობს თავის თავში, თქვენ (პრუსიის მთავრობა და მისი თანამგრძნობნი) ვერას უზამთ„. „სიცოცხლის ძალა“ პოლონელმა არა ერთხელ დაამტკიცა და მომავალშიაც დაამტკიცებს.

როგორც ნათქვამი გვქონდა, პრუსიის ლანდტაგში არ გამოჩნდა არც ერთი გერმანელი დეპუტატი, რომ პოლონელებისათვის მხარი მიეცა და მთავრობისათვის პროტესტი გამოეცხადებია. გერმანიის რეიხსტაგში რომ ყოფილიყო ასეთი კანონ-პროექტი წარდგენილი, პოლონელები მარტო არ დარჩებოდნენ: ოთხმოც-და-ორი დეპუტატი, გერმანიის დემოკრატიის წარმომადგენელი, მტკიცედ გამოესარჩლებოდა დაჩაგრულ პოლონელ ხალხს. პრუსიელი პატრიოტები, რასაკვირველია,

ასეთ ქცევისათვის სამშობლოს „მოღალატეებს“ უწოდებდნენ მათ, მაგრამ ეს ხომ ძველი და ყოვლად უნიადაგო ცილის წამებაა. სხვა ერის უფლებათა და გრძნობათა პატივისცემა შეუძლია მხოლოდ ნამდვილ პატრიოტს და სწორედ ასეთები არიან ნამდვილი დემოკრატები დაწინაურებულ ევროპისა. ვისაც აქამდე ეჭვი ჰქონდა ამის შესახებ, მან წაიკითხოს ბებელის მეორე სიტყვა, წარმოთქმული სამხედრო ბიუჯეტის განხილვის დროს. ეს სიტყვა იმდენად საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ შემოკლებით მაინც: „...ჩვენ მუდამ ამას გვისაყვედურებენ, რომ ჯარს მტრულად ვუცქერით. ჩვენი საქმე რომ იყოს, ყოველი საღი მოქალაქე ჯარისკაცი იქნებოდა, მაგრამ იმ ხნის განმავლობაში, რამდენიც აუცილებლად საჭიროა, ეს ეს განსხვავებაა თქვენსა (არა სოციალდემოკრატებსა) და ჩვენ შორის. ბურჟუაზულ საზოგადოების წინააღმდეგობანი უფრო და უფრო გამწვავდნენ. ამ გამწვავების მიზეზი არც ჩვენა ვართ და არც თქვენ, არამედ ეკონომიური დამოკიდებულებანი... ვის შეუძლია უარჰყოს ის ფაქტი, რომ ეს წინააღმდეგობანი ჯარშიც გადაიტანეს?... ამას ამტკიცებენ ისეთი მწერლები, რომელნიც დაწვრილებით იცნობენ ჯარს...

სამხედრო მინისტრმა სთქვა, რომ თუ ჯარში ხშირად ჯარის-კაცებს ცუდათ ეპყრობიანო, ამისი ბრალი სოციალდემოკრატიასაც ედებაო (ვითომ სოციალ-დემოკრატია უნდა აგულიანებდეს თანამოაზრე ჯარის-კაცებს უფროსების წინააღმდეგობაზედ). სულ ახალი თეორია არის, მაგრამ ისევე დასაბუთებული, როგორც ბევრი სხვა. სამი მილიონი ხმა მივიღეთ უკანასკნელ არჩევნების დროს, ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ჯარშიაც არიან სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით სათადარიგო ჯარში; საქსონიაში აუცილებლად უნდა იყვნენ სოციალ-დემოკრატი ჯარის-კაცები; მე ვიცი საპიორების ბატალიონები, სადაც მხოლოდ სოციალ-დემოკრატები არიან. თქვენ უნდა თავი მოუაროთ ასეთ გარემოებას. თქვენ წინაშე ისეთსავე მდგომარეობაში ვართ ეხლა, როგორც მესამე საუკუნეში ქრისტიანები იყვნენ კეისრების წინაშე: ისინიც შეურიგებელი მტრები იყვნენ სახელმწიფოსი, როგორც დღეს ჩვენ ვართ. უჩვენოთ ვერც ერთ ომსაც ვერ დაიწყებთ. **და თუ ჩვენ ასეთ ომში მოგვიხდება მონაწილეობის მიღება, სადაც საქმე**

სამშობლოს არსებობას ეხება, სიტყვას გამლევთ, რომ ყოველი ჩვენგანი მზად იქნება თოფი მხარზე გაიდგას; იმიტომ კი არა, თქვენი ან ვისიმე გულის მოგება გვინდოდეს; უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ, რომ ეს სამშობლო, რომელიც ჩვენი სამშობლოც არის ისე როგორც თქვენი, ისე მოვაწყოთ, რომ იქ ცხოვრება სიხარული იყოს ყველასათვის. ეს არის ჩვენი მიზანი და ამიტომაც ყოველთვის უკანასკნელ სულის თქმამდე შევებრძოლებით ყველას, ვინც კი მოიწადინებს ჩვენ სამშობლოს რამე წაჭვლიჯოს. ყოველ ჩვენგანის მაგიერ გამლევთ სიტყვას, რომ ეს ეგრე იქნება....“

გერმანია ძლიერი, თავისუფალი სახელმწიფოა. წარმოვიდგინოთ ერთის წუთით, რომ გერმანია ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, როგორშიც დღეს პოლონეთია: თუ დღეს ბებელი ზემოთ მოყვანილ სიტყვას ამბობს, რას იტყოდა და როგორ მოიქცეოდა წარმოდგენილ შემთხვევაში? თუ ეხლა ასეთ მამულის-შვილურ გრძნობას ამჟღავნებს, მთელის პარტიის სახელით, რამდენად უფრო მხურვალე და ძლიერი იქნებო და ეს გრძნობა გერმანელი რომ პოლონელის მდგომარეობაში ჩავარდეს?

ჩვენთვის სრულიად საკვირველი არ არის ბებელის სიტყვა და გრძნობა: იგი ყოვლად კანონიერი და ბუნებრივია. და თუ აქ ასეთ ხაზს ვუსვამთ, ზოგიერთ მოურჯულებელ დოკტრინიორებისა და მათ დამჯერეთა საგულისხმიეროდ.

Городская библиотека

რედაქტორი
ალ. ჯუანია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი.

IX—ნარევი.—1. ფინლანდიელი პოეტი რუნებერგი.—2. მკვდარი გულის გაცოცხლება.—3. ბოიბის ხალხი.—4. სვედური გიმნაზია.—5. რადის სარკეებლობა.—6. სპენსერის ავტობიოგრაფია.—7. ტურინის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დაწვა.—8. მეტრული ზომა ინგლისში.—9. უცნაური თეატრი.—10. მისაბაძი მაგალითი.—11. ახალი იტალიური ჟურნალი.—12. ამერიკული ქალაქის მართვა.—13. იაპონელის აზრი ტოლსტოის შესახებ.—14. ომის მიზეზი.—15. ევროპიელთაგან გაურყვნელი ხალხი.—16. ოდისეის დაბწერი.—17. ველური ხალხი.—18. ჰიპნოტიზმი ბაგშაში.—19. პირუტყვთა გონება 115

X—შინაური მიმოხილვა.—კერძო თეატრობის საჭიროება.—ფ. გოგიჩაიშვილისა. 125

XI—უცხოეთის მიმოხილვა. 155

მოამბე

წელიწადი მეთერთმეტე

გამოდის ყოველ თვე

ფასი ჟურნალ „მოამბისა“ გაგზავნით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში:		საზღვარ-გარედ:	
ერთის წლით	10 მან.	ერთის წლით	13 მან.
ექვსი თვით	6 მან.	ექვსის თვიო	7 მან.
სამი თვით	4 მან.	სამი თვით	5 მან.

ვინც „მოამბეს“ გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ კვირაში ორის სურათებიანის დამატებით უფასოდ დაეთმობა

ფასის განაწილება შეიძლება ასე: ზირველად 5 მან. 1-ლ მარტამდე — 3 მან, და 1-ლ აგვისტომდე — 2 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა **ერთი** მანეთი უნდა წარმოადგინოს **დამატებათა** გასაგზავნად.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Моамбе“.**

ჟურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერილებს, თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში,—შერმე ველარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭველად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოსთქვას, ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გამოუგზავნოს რედაქციას.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქეებს გარდა, შუადღიდან ნაშუადღევის ორ საათამდინ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი
ალ. ჯუღნია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი.